HELP Guidebook
on Human Rights training methodology for legal professionals

HELP სახელმძღვანელო
ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის

HELP
European Programme
for **H**uman Rights **E**ducation
for **L**egal **P**rofessionals

HELP
ადამიანის უფლებების
სწავლების ევროპული
პროგრამა
იურიდიული პროფესიის
წარმომადგენლებისთვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

HELP Guidebook

on Human Rights
training methodology
for legal profesionals

HELP სახელმძღვანელო

ადამიანის უფლებების
სწავლების მეთოდოლოგია
იურიდიული პროფესიის
წარმომადგენლებისთვის

Council of Europe

Georgian edition: HELP Guidebook on Human Rights training methodology for legal professionals
ქართული გამოცემა: HELP სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის

HELP Guidebook was published within the Council of Europe and the European Union joint project on Application of the European Convention of Human Rights and harmonization of national legislation and judicial practice in Georgia in line with European standards
HELP სახელმძღვანელო გამოიცა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ავტორთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს და არ ასახავს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

წინამდებარე დოკუმენტის სრულად ან ნაწილობრივ ხელახლა გამოქვეყნებასთან ან თარგმანთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს კომუნიკაციის დირექტორატში (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int). ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია მიმართული უნდა იყოს შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: DGI-Help-Programme@coe.int.
ყდის დიზაინი და სქემა: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო
ყდის ფოტო: DC ევროპის საბჭო
© ევროპის საბჭო, 2016 წლის მაისი

სარჩევი

რატომ ეს სახელმძღვანელო?	**7**
აბრევიატურების სია	**15**
ნაწილი 1: შესავალი	**19**
1. ადამიანის უფლებათა ტრენინგი იურისტებისთვის	**19**
ა) განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში და მისი პოტენციური გავლენა ადამიანის უფლებათა გაუმჯობესებულ დაცვაზე	19
ბ) იურისტებისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების სხვადასხვა დონეები	19
გ) ადამიანის უფლებათა ტრენინგის კონკრეტული აუდიტორია	22
დ) ადამიანის უფლებათა ტრენინგისთვის დამახასითებელი გამოწვევები	25
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტულ სამართალზე წვდომის სირთულეები	33
iv. მიზანმიმართული მიდგომა და გრძელვადიანი ვალდებულება	38
v. მულტიდისციპლინარული და მულტიპროფესიული მიდგომა	38
2. HELP როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგის ინსტრუმენტი	**41**
ა) რა არის HELP?	41
ბ) როგორ მუშაობს HELP-ის პროგრამა	44
ნაწილი 2: HELP-ის კურსი: შემუშავებიდან შეფასებამდე	**55**
საფეხური 1: რა უნდა იცოდეთ	55
ა) საჭიროებების შეფასება	55
ბ) საერთო მიზნების განსაზღვრა	63
საფეხური 2: რა უნდა გააკეთოთ –HELP-ის მიდგომა	64
ა) კურსის შემუშავება	64
ბ) კურსის ადაპტაცია (შინაარსი და ფორმატი)	121
საფეხური 3: როგორ განვახორციელოთ კურსი	135
ა) ტრენინგის ყველაზე სათანადო ტექნიკის შერჩევა	135
ბ) ტრენინგის მეთოდის შერჩევის მისადაგება სასწავლო მიზნებთან	137
გ) კურსის დაწყება	139
დ) ტრენინგის ჩატარება: როგორ და ვის მიერ?	144
საფეხური 4: როგორ შევაფასოთ კურსი და დავგეგმოთ მისი შემდგომი განხორციელება	163
მსმენელების მიერ ტრენერებისთვის უკუკავშირის მიწოდება:	164
შეფასება: შედეგები	167
ა) HELP-ის მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ტრენინგის შეფასებასთან დაკავშირებით	170
ბ) HELP-ის კურსების შეფასების ეტაპები	171
გ) სერტიფიკაციის გადაცემა და შემაჯამებელი შეხვედრა	171
დ) კურსის გადახედვა	172
ნაწილი 3: დასკვნა - როგორ ვითამაშოთ აქტიური როლი HELP-ის ქსელში	177
1. HELP-ის ქსელის მნიშვნელობა: იყო მისი ნაწილი	181
2. HELP-ის პლატფორმის გამოყენების უპირატესობები	181
3. HELP-ის სერტიფიცირება	181
ა) HELP-ის სერტიფიცირებული ტრენერები	182
ბ) HELP-ის კურსების სერტიფიკატები	182
გ) HELP-ის კატეგორიის მინიჭება	182
4. HELP-ის ხუთი მთავარი ძლიერი მხარე	183
რესურსები და დანართები	187

ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგია სახელმძღვანელო იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის

დოკუმენტის საბოლოოპროექტი

რატომ ეს სახელმძღვანელო?

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია მათთვის, ვის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისთვის ტრენინგის ჩატარება HELP-ის მეთოდოლოგიისა და რესურსების გამოყენებით. იგი განიხილავს იმ მოსაზრებებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანის უფლებებზე, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის შემუშავებისას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და ადვოკატებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი ფაკულტატური ოქმებით გარანტირებულ ადამიანის უფლებათა დაცვაზე. თუმცა, მასალები ასევე აქტუალურია პროფესიონალთა ყველა იმ ჯგუფის ტრენინგისათვის, რომელთაც საჯარო სერვისების მიწოდებისას ევროპული სტანდარტების ცოდნა სჭირდებათ. ესენია: პოლიციის და სამართალდამცავი ორგანოების, სასჯელაღსრულების და პრობაციის დაწესებულების თანამშრომლები, სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის პერსონალი და სოციალური მუშაკები. HELP-ის კურიკულუმს შეიძლება გარკვეული ადაპტაცია დასჭირდეს ამ სამიზნე ჯგუფებისთვის, მაგრამ მისი მეთოდოლოგია საკმარისად მოქნილია, რათა მოერგოს აუდიტორიის ფართო სპექტრს. სახელმძღვანელო შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს უნივერსიტეტებისა და იურიდიული ფაკულტეტებისთვის, რათა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსში.

ზოგადად, ტრენინგის მიზანია ცოდნის მიწოდების გაუმჯობესება, ხოლო ადამიანის უფლებათა ტრენინგის მიზანია ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა მართლმსაჯულების აღსრულებისას. ამ მხრივ, იურისტები მოწინავე ხაზზე დგანან და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ტრენინგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ადამიანთა უფლებების ეფექტური და ეფექტიანი დაცვისთვის.

ფრთხილი დაგეგმვა და წინასწარი მომზადება საკვანძო მნიშვნელობისაა, რათა ტრენინგი შინაარსიანი და საინტერესო იყოს აუდიტორიისთვის, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოში მოხსენიებულია როგორც "მსმენელი", და ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ტრენინგის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მიზნის ნათელი და ერთგვაროვანი გაგება. სახელმძღვანელოს დიდი ნაწილი ეფუძნება "ტრენერთა ტრენინგის" არსებულ მიდგომებს, ანუ იგი იძლევა რეკომენდაციებს ტრენინგის შემუშავებისა და ჩატარების შესახებ (ამასთან მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება თემას "რას მოვერიდოთ", რომელიც ხშირად მტკივნეულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული). შესაბამისად, სახელმძღვანელო წარმოადგენს ტრენინგის თეორიისა და პრაქტიკული რეკომენდაციების ნაზავს.

საბოლოო ჯამში მოველით, რომ ტრენინგის შედეგად მივიღებთ არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას სტრასბურგის გარანტიების შესახებ, არამედ ასევე რეალურად უკეთ გავიგებთ, თუ რას ნიშნავს მსმენელისათვის ამ სტანდარტების ადგილობრივ დონეზე შესრულება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროპის საბჭოს მონიტორინგის სხვა მექანიზმების მიერ ევროპაში მცხოვრები 850 მილიონი ადამიანისთვის მათი უფლებების დაცვის მექანიზმები ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვა არ ხორციე-

ლდება წარმატებით, ან არ არის ეფექტური. სტრასბურგის სააღსრულებო მექანიზმი არ არის ადამიანის უფლებების პირველადი დამცველი, ეს ფუნქცია ადგილობრივ უწყებებს (სასამართლოები, პროკურორები, ადვოკატები, პოლიციელები და ციხის ადმინისტრაცია) აკისრიათ.

შესაბამისად, ტრენინგი ადამიანის უფლებათა სფეროში ვერ შემოიფარგლება ევროპული მოლოდინების შესახებ მხოლოდ ცოდნის მიწოდებითა და ცნობიერების ამაღლებით. ტრენინგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ისეთ უნარებზე, როგორიცაა ადამიანის უფლების დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება რეალურ ვითარებებში. რადგან ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივ დონეზე ხორციელდება, ტრენინგი ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების საკითხებზე უნდა მოიცავდეს ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების შესახებ მსჯელობას. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო გვთავაზობს ტრენინგის სქემას, რომლის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგი მიზნად უნდა ისახავდეს შემდეგ საკვანძო ასპექტს: დამოკიდებულების შეცვლის მხარდაჭერას. იურისტებმა შეიძლება იცოდნენ, თუ რას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თუმცა ამ სტანდარტების ადგილობრივ სასამართლოებში რეალურად გამოყენების მიზნით შესაბამისი ვალდებულებების დაკისრების გარეშე ტრენინგი არაეფექტური იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდნა და უნარები არასაკმარისია, თუ მსმენელებს არ დავეხმარებით გააცნობიერონ მათი, როგორც საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობა, დაიცვან და გამოიყენონ ადამიანის უფლებათა გარანტიები. ძალიან ხშირად ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვა არ არის ეფექტური არა ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის (ან მათი გამოყენების უუნარობის) გამო, არამედ უფლებადამცველის როლში მოქმედების სურვილის უქონლობის გამო. ხშირად ეს ბარიერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძირეულად მცდარი წარმოდგენა არსებობს იმის შესახებ, რომ მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოა პასუხისმგებელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებაზე. ევროპის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მომუშავე ყველა მოსამართლე ამასთანავე ევროპელი მოსამართლეა: ისინი წარმოადგენენ დაცვის წინა ხაზს. ტრენინგის ეს ასპექტი, ბუნებრივია გარკვეულ გამოწვევებს შეიცავს. იგივე ვრცელდება ადვოკატებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე მიუთითებენ და პროკურორებზე, რომლებიც ევროპის საბჭოს სამართლებრივ ინსტრუმენტებს იყენებენ. გზავნილი, რომ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა ადგილობრივი პასუხისმგებლობაა, ნათლად და ცალსახად განმტკიცებულ უნდა იქნას ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც საჯარო სამსახურის მართვაზეა პასუხისმგებელი. ეფექტური, საჭიროებებზე ადაპტირებული და შესაბამისი ტრენინგის მიწოდება ამ გზავნილის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დამოკიდებულებების შეცვლა მჭიდრო კავშირშია მიუღებელ ღირებულებებთან ბრძოლასთან. მსმენელების ღირებულებების გადასინჯვა მიიღწევა მათ მიერ კონცეფციების (ცოდნის) ნათელი გაგების ჩამოყალიბებით და მიღებული ცოდნის გამოყენების უნარების განვითარებით. დაარწმუნო მსმენელი გამოიყენოს ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენცია შეიძლება ნიშნავდეს ღირებულებების გადასინჯვის საჭიროებას. თუ იურისტი დარწმუნდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების საჭიროებაში, მაშინ დამოკიდებულების შეცვლა მიღწეული იქნება.

წინამდებარე სახელმძღვანელო განმარტავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებელია HELP-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით ადამიანის უფლებათა ტრენინგის შემუშავებისთვის. ის გამიზნულია იმ სასწავლო დაწესებულებებისთვის, რომელთაც სურთ კურიკულუმში ადამიანის უფლებების სწავლების ინტეგრაცია ან ყურადღების უფრო მეტად გამახვილება ადამიანის უფლებებზე საწყისი, ან უწყვეტი სწავლების კონტექსტში. ის ასევე მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისათვის ტრენინგის შემუშავებაში ჩართული ყველა ადამიანის მხარდაჭერას, რათა შესაძლებელი იყოს სახელმძღვანელოს გამოყენება სასწავლო ინსტრუმენტის სახით სხვადასხვა სასწავლო სიტუაციებში და ზოგადად, ყველა იურისტის ინფორმირებისთვის HELP-ის შესახებ, რათა მათ სათანადოდ გააცნობიერონ მისი მნიშვნელობა მათი პროფესიული საქმიანობისთვის.

ადამიანის უფლებათა სფეროში ეფექტურ ტრენინგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმძღვანელო განიხილავს, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს ადამიანის უფლებათა ტრენინგმა სხვადასხვა ეტაპებზე, ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უკეთესად გამოყენებაში.

რატომ ეფექტური ტრენინგი?

- კარგი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა კარგი და ეფექტური ტრენინგის შედეგია;
- იურიდიული განათლების მიღება შეიძლება არ იყოს დაკავშირებული დადებით გამოცდილებასთან, რაც იურისტების პროფესიული სწავლებისადმი მიდგომაში აისახება.
- ტრენერებს შეიძლება ძირითადად დიდაქტიკურ სტილში სწავლებისა და ტრენინგის ჩატარების გამოცდილება ჰქონდეთ. შედეგად, ბევრი მათგანი უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს იმ ცნებასთან, რომელიც "ტრენინგს" განიხილავს, როგორც ლექციის სტილში სწავლებით ცოდნის გადაცემას; ამავდროულად, საგნის სიღრმისეული ცოდნის ნაკლებობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შემაფერხებელი ფაქტორი.
- პროფესიულმა სწავლებამ შეიძლება ბევრი მაგალითი აიღოს უმაღლესი განთლების სფეროდან და პირიქით.
- მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, რა თქმა უნდა, არ არიან პირველი კურსის სამართლის სტუდენტები, თუმცა მათი და სამართლის სტუდენტების სწავლის სტილი ფუნდამენტურად არ განსხვავდება. მათ (და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს), ტიპური სამართლის სტუდენტისგან განსხვავებით, აქვთ გამოცდილება და სამართლებრივი სამყაროს მოწინავე გაგება.

> "ტრენინგის ევროპული პლატფორმა ყველა წევრ სახელმწიფოს ეხმარება კონვენციის ეფექტურ ინტეგრირებაში იურისტებისა და მოსამართლეებისთვის განკუთვნილ ტრეინინგებში."

სახელმძღვანელოში გამოყენებული იქნება შემდეგი სიმბოლოები:

კითხვა

კითხვარი / ეტაპობრივად

წარმატებული ისტორია

ჩაინიშნეთ

მნიშვნელოვანი იდეა

მიზანი

მაგალითი

იხ. ვებგვერდი

ციტატა

წინასიტყვაობა

ტორბიორნ იაგლანდი
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი
Secrétaire Général du Conseil de l"Europe

მოხარული ვარ ავღნიშნო HELP-ის ქსელის, იურიდიული განათლების ერთადერთი პანევროპული პროგრამის მიღწევები, რომელიც აერთიანებს ეროვნული სასწავლო ინსტიტუტებისა და ადვოკატთა ასოციაციებს მთელი ევროპის მასშტაბით.
მე თქვენი საქმის დიდი მხარდამჭერი ვარ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების დაცვის საუკეთესო გზაა მათი წევრი სახელმწიფოების ადგილობრივ კანონებში, პრაქტიკასა და კულტურაში ინტეგრირება.

სტრასბურგი ყოველთვის აქტიური პარტნიორი იქნება, რომელიც მოწოდებულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისაკენ მთელს კონტინენტზე.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები კონვენციის ძირითადი გარანტორები არიან: ჩვენს განზრახვას ყოველთვის ეს წარმოადგენდა.

მე მოხარული ვარ, რომ 2015 წელს, ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე მათ მოუწოდეს HELP-ის პროგრამის გაძლიერებისაკენ.
რა თქმა უნდა, HELP მიზნად არ ისახავს ჩაანაცვლოს ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების ძალისხმევა.

თქვენ გეკუთვნით ადამიანის უფლებათა სწავლება , ისევე როგორც ეროვნულ მთავრობებს- კონვენცია.

მნიშვნელოვანია, რომ ძალისხმევა არ დავიშუროთ ევროპის იურისტების მხარდაჭერისათვის, რადგანაც მათ სწრაფად განვითარებად საერთაშორისო სამართალის სფეროსადმი ადაპტირება და გადაუდებელ გამოწვევებთან გამკლავება უწევთ.

ჩემი სურვილია კიდევ ერთხელ მივულოცო ქსელს მისი წარმატებები და ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო მომავალში.

HELP-ის სამდივნო მადლობას უხდის ყველა ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა სახელმძღვანელოს შემუშავებაში. კერძოდ:

ვინსენტ ბერგერი პარიზში პრაქტიკოსი ადვოკატი და ევროპის კოლეჯის პროფესორია, სადაც იგი ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კითხულობს ლექციებს. იგი შვიდი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისკონსულტი იყო.

დოქტორი გჟაგოშ ბორკოვსკი, მოსამართლე, პოლონეთის სამართლის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი. HELP-ის საკონსულტაციო საბჭოს წევრი და მისი პირველი კოორდინატორი. 2015 წლამდე მუშაობდა პოლონეთის მოსამართლეთა და პროკურორების ეროვნულ სკოლაში (KSSiP), იყო მისი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი. მის პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდა საერთაშორისო თანამშრომლობა და მოსამართლეთა და პროკურორების სწავლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. 2011 წლიდან იგი სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელის (EJTN) სამუშაო ჯგუფის აქტიური წევრი იყო, რომლის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა ევროპის სასამართლო სისტემის წევრებისთვის ადამიანის უფლებათა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზება. იგი მოქმედებდა, როგორც ექსპერტი და ხელმძღვანელი. იგი სამართლის დოქტორია და 2010 წლიდან უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს; როგორც ლექტორი და ადამიანის უფლებათა საკითხებში სემინარების ხელმძღვანელი მონაწილეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში სამართლის სფეროში ჩატარებულ მრავალ სასწავლო ღონისძიებაში. 2013-2014 წლებში მონაწილებდა გრძელვადიან სამართლის სასწავლო პროგრამაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სტრასბურგი.

იაინ ცულკინი სწავლის ტექნოლოგიის სპეციალისტი და ინსტრუქციული დიზაინერია გაერთიანებული სამეფოდან. 8 წლის განმავლობაში გაერთიანებული სამეფოს საჯარო სამსახურში ელექტრონული სწავლების შემუშავების შემდეგ, მან ელექტრონული სწავლების კომპანია დააფუძნა. ელექტრონული სწავლის სარგებლიდან გამომდინარე იგი მიზნად ისახავს წაახალისოს ორგანიზაციები გამოიყენონ ეს ტექნოლოგია და მეტად დაეყრდნონ საკუთარ წარმოებას. 2014 წლიდან, იგი უძღვებოდა HELP-ის პროგრამის მიერ ელექტრონული სწავლის მეთოდოლოგიის შემუშავებას და ეხმარებოდა გუნდს შთამბეჭდავი სასწავლო კატალოგის შემუშავებაში.

ქ-ნი. ასტრიდ ჰოპმა უფროსი კონსულტანტია ციფრული სწავლის სფეროში ნიდერლანდების სამოსამართლო ტრენინგისა და სწავლის ცენტრში (SSR). კურსის მენეჯერად და ტრენინგის შემუშავების სპეციალისტად მუშაობის შემდეგ, ბოლო წლებში იგი დაინტერესდა და აქტიურად ჩაერთო ელექტრონული სწავლის სფეროში. ამჟამად, იგი შერეული სასწავლო პროგრამის შემუშავების მრჩეველი და ტრენერია. იგი მუშაობს ციფრული გამოცდილების გაუმჯობესებაზე, სტუდენტების მოლოდინების დაკმაყოფილებასა და ეფექტური შედეგის მიღწევაზე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებში.

დოქტორი არტაშეს კურშუდიანი, იუსტიციის აკადემიის დისტანციური სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სომხეთის რესპუბლიკის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის დისტანციური სწავლების ლაბორატორიის დირექტორი. არტაშეს კურშუდიანი მრავალი სტატიისა და კვლევის ავტორია დისტანციური განათლებისა და ელექტრონული სწავლის შესახებ. მისი პროფესიული ინტერესის სფეროებია ღია და დისტანციური განათლების თეორია და პრაქტიკა, უწყვეტი განათლება და სიცოცხლის განმავლობაში სწავლა, ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, განათლების სოციოლოგია და განათლების ფილოსოფია.

პროფესორი მარტინ კუიერი ნიდერლანდების უშიშროების და იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა სამმართველოს ხელმძღვანელი და ადამიანის უფლებათა სამართლის პროფესორია ამსტერდამის VU უნივერსიტეტში. 15 წელზე მეტია იგი პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ტრენინგებზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ჰოლანდიაში ის ამზადებს ჰოლანდიის მოსამართლეებს, ადვოკატებს, მთავრობის წარმომადგენლებს (საემიგრაციო და ნატურალიზაციის სამსახურის მოხელეების ჩათვლით) და სამართლის სტუდენტებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ.

ჯიმ მერდოკი სამართლის სკოლას შემოუერთდა ადვოკატის კვალიფიკაციის მიღების შემდეგ. იგი სტუდენტობის დროს კითხულობდა სამართალს გლაზგოში და სამართლის მაგისტრის ხარისხი მიიღო კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლი. 1996-2000 წლებში იგი სამართლის სკოლას ხელმძღვანელობდა, კითხულობდა ლექციებს მაინცის, ფრაიბურგის, ჰამბურგისა და პარიზის უნივერსიტეტებში და სტაჟიორი ლექტორი იყო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატში, საფრანგეთი. ჯიმ მერდოკი რეგულარულად მონაწილეობს ევროპის საბჭოს პროგრამის ფარგლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ორგანიზებულ სემინარებში. ადამიანის უფლებათა აღსრულების არა სასამართლო მექანიზმები მისი განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ასევე:

დოქტორი ჯეინ მაკენზი, საგნის ხელმძღვანელი, აკადემიური განვითარების განყოფილება, სწავლისა და სწავლების სამსახური, გლაზგოს უნივერსიტეტი. მათი წვლილის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

აბრევიატურების სია

BA	ადვოკატთა ასოციაცია
CCBE	ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭო
CDDH	ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი
CEPEJ	მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია
CM	მინისტრთა კომიტეტი
CNUE	Conseil des Notariats de l'Union Europ□enne
CoE	ევროპის საბჭო
CPD	უწყვეტი პროფესიული განვითარება
DGI	ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი
DH-SYSC	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემის ექსპერტთა კომიტეტი
DIO	შიდა ზედამხედველობის დირექტორატი
EC	ევროპის კომისია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EJTN	სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი
EU	ევროკავშირი
HELP	ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისათვის შექმნილი ევროპული საგანმანათ-ლებლო პროგრამა
HRTF	ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდი
HUDOC	ადამიანის უფლებათა დოკუმენტაცია
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
LGBT	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
NTI	ეროვნული სასწავლო ინსტიტუტი
OB	სტანდარტული ბიუჯეტი
OHCHR	(გაეროს) ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
PACE	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
P&DR	შესრულებისა და განვითარების გადასინჯვა
SCORM	ელექტრონული სწავლების განვითარების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს თავსებადობას ყველა სასწავლო მართვის სისტემაში
TOR	ტექნიკური დავალება
TOT	ტრენერთა ტრენინგი
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
UNICRI	გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტი
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო

ნაწილი 1
შესავალი

ნაწილი 1: შესავალი

ადამიანის უფლებათა ტრენინგი იურისტებისთვის

იურისტებზე საუბრისას ვიყენებთ ტერმინს „ტრენინგი“. თუმცა უფრო ზოგადად, ტერმინი „განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში“ (HRE) უფრო ფართოდ გამოიყენება, რათა მოცული იქნას როგორც პროფესიული, ასევე საწყისი ტრენინგი ადამიანის უფლებების შესახებ. წინამდებარე სახელმძღვანელო ორივე ტერმინს იყენებს.

ა) განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში და მისი პოტენციური გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებაზე

განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში მოიცავს ყველაფერს, რაც ზრდის ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს/ქცევებს ადამიანის უფლებების შესახებ. ეს მთელი ცხოვრების გზაა, რომელიც სკოლებში უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს ადამიანის პროფესიული ცხოვრების მანძილზე. ეს პიროვნული მიდგომიდან იწყება, თუმცა შემდეგ პროცესი უფრო ფართო პროფესიულ საზოგადოებაზე ვრცელდება. წინამდებარე სახელმძღვანელო შეეხება განათლებას ადამიანის უფლებათა სფეროში კონკრეტული სამიზნე ჯგუფისთვის - ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს იურისტებისთვის (ძირითადად, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები).

ცხადია სასამართლო სისტემის ყველა მონაწილეს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა აკისრია მათ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ. ბუნებრივია, მხოლოდ მათ არ აქვთ გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის დონეზე. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტია უზრუნველყოფილი იქნას მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების მიერ პროფესიულ ცხოვრებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და საერთაშორისო მექანიზმების გააზრება, ისევე როგორც მათი გამოყენების ცოდნა.

ტრენინგი ადამიანის უფლებათა სფეროში ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელსაც წვლილი შეაქვს ამ ამბიციური მიზნის მიღწევაში. მხოლოდ ტრენინგი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვას ეროვნულ დონეზე. თუმცა, განათლებას ადამიანის უფლებათა სფეროში წვლილი შეაქვს ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და ძალადობრივი კონფლიქტების გრძელვადიანი პრევენციის საქმეში, ხელს უწყობს დემოკრატიულ სისტემაში თანასწორობასა და მდგრად განვითარებას, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაძლიერებას[1].

ზოგადად რთულია განათლების გავლენის შეფასება. თუმცა, კიდევ უფრო რთულია ადამიანის უფლებების სფეროში განათლების შეფასება მისი არამატერიალური ხასიათიდან გამომდინარე. მართლაც, ეს რთული წამოწყებაა, რადგან ადამიანის უფლებების სფეროში განათლების საბოლოო მიზანს ადამიანის უფლებების მეტი პატივისცემა წარმოადგენს, რომელსაც სოციალური ცვლილებებისკენ მივყავართ. რთულია გაიზომოს მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.

ბ) იურისტებისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების სხვადასხვა დონეები

სოციალური ცვლილების მიღწევის მიზანი საკმაოდ ფართოა. სწორედ ამიტომ, ტრენინგის სფეროში აუცილებელია მიზნის ზუსტი განსაზღვრა. ამის განხორციელების ეფექტური გზაა სხვადასხვა დონეებზე მოსალოდნელი ცვლილებების გამოვლენა:

- **ინდივიდუალური:** რა ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები და ქცევები შეიძლება შეიძინოს, განამტკიცოს ან შეცვალოს ადამიანმა? მაგ. მსმენელი თავისუფლად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს ადამიანის უფლებათა სასწავლო სესიებზე.

- **ორგანიზაციული/ჯგუფური:** ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, როდესაც მსმენელები მათ სასწავლო გამოცდილებას გადასცემენ იმ ჯგუფს, რომელშიც მუშაობენ (მაგ. ცოდნის გადაცემა სხვა სასამართლოების მოსამართლეებისათვის, ა.შ.)

1) ადაპტირებულია A/HRC/15/28-დან, აბზაცი 1, 3 და 4. სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2010 წლის 30 სექტემბერს. (რეზოლუცია 15/11)

- **ზოგადად თემი/საზოგადოება:** ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, როდესაც ორგანიზაცია/ინსტიტუტი გადასცემს მის მიერ მიღებულ ცოდნას ფართო საზოგადოებას (აქ ხაზგასმულ უნდა იქნას HELP ქსელის წარმომადგენლების როლი). მსგავსი შედეგი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ტრენინგის ეფექტურობა და მდგრადობა მხოლოდ ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების (NTI)/ ადვოკატთა ასოციაციების (BAs) მხარდაჭერით მიიღწევა.

ეფექტური ტრენინგი ასევე გულისხმობს მის შეფასებას. რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი ტრენინგის შეფასება? შეფასება ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე სპეციალისტების განკარგულებაში არსებული ერთ-ერთი უძლიერესი ინსტრუმენტია. მისი საშუალებით გაიზომება ეფექტურობა, მიიღება განმარტებები, დასკვნები, შემუშავდება რეკომენდაციები და შესაბამისი ცვლილებები შევა ტრენინგში.

შეფასება 2 ძირითად მიზანს ემსახურება: სწავლასა და განვითარებას, როგორც ზემოაღნიშნულ იქნა და ანგარიშვალდებულებას. როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე სახსრების უკმარისობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დავამტკიცოთ, რომ განათლებას ადამიანის უფლებათა სფეროში მივყავართ კონკრეტული შედეგებისაკენ, და იგი დამატებით ღირებულებას ქმნის იურისტებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, რომელიც მართლმსაჯულების პროცედურების გაუმჯობესების შედეგებით მოსარგებლეა.

კარგი შეფასება უნდა იყოს[2]:

- **მიზანმიმართული :** ნათელი მიზნითა და გაზომვადი შედეგით (SMART[3]);
- **ქმედებაზე ორიენტირებული:** ტრენინგის შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს პროცესი მნიშვნელოვანია, როდესაც ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს შევეკითხებით: რა ცვლილებებს შემოგვთავაზებდით ტრენინგის გასაუმჯობესებლად?;
- **პრაქტიკული:** იგი უნდა ითვალისწინებდეს უკეთესი შედეგების მიღების ინოვაციურ გზებს და მონაწილეთა პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებზე ამახვილებდეს ყურადღებას;
- **მონაწილეობრივი:** მონაწილეობრივი მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული გამოცდილებების გაზიარებას და ინდივიდუალურ შეხედულებებსა და ღირებულებებზე კრიტიკულ მსჯელობას. იგი ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთსწავლებას. ეს გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იმ სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ. მონაწილეთა გამოცდილებიდან დაწყება კარგი საფუძველია. ჩვეულებრივ მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები სიამოვნებით გვიზიარებენ ყოველდღიური საქმიანობისას მათ გამოცდილებას ადამიანის უფლებათა განხორციელების მხრივ.

2) იხ. http://www.ohchr.org/Documents/Publications/EvaluationHandbookPT18.pdf p.20 for more details
3) ეს კონცეფცია განმარტებულ იქნება მოგვიანებით, გვ.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- **თვითკრიტიკული:** ზოგიერთი ტრენერისათვის საკმაოდ რთულია მიიღოს კოლექტიური ინფორმაციული უკუგება ტრენინგის მიწოდების, ან მისი ნებისმიერი ასპექტის შესახებ. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ტრენერი ღია იყოს კონსტრუქციული კრიტიკისადმი.

HELP-ის ტრენინგის შეფასება ეფუძნება კირკპატრიკის მოდელს[4], რომელიც ფართოდ გამოიყენება ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში შეფასებისათვის. იგი მოიცავს სწავლის შეფასების ოთხ დონეს, რომლითაც იზომება:

რეაქცია: როგორია მონაწილეთა აზრები და გრძნობები სწავლის შესახებ. ამ დონეზე იზომება: მონაწილეთა გრძნობები და პირადი რეაქციები; სასწავლო გამოცდილების, შინაარსისა და პროცესისადმი დამოკიდებულება; სწავლის სარგებლიანობის შესახებ აღქმა; თუ რეალურად რა ისწავლეს მათ; რამდენად გრძნობენ, რომ შეიცვალა მათი იდეები ან აღქმა; ტრენერითა და სასწავლო მასალებით კმაყოფილება; სასწავლო მასალების ლოგისტიკური ასპექტებით კმაყოფილება.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მონაწილეთა ტრენინგით ზოგადი კმაყოფილება, რომელიც მათ შესაძლოა გაუზიარონ სხვებს, ვინც მომავალ კურსებში მონაწილეობას აპირებს. ასევე, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი მომზადებისთვის შემდგომი შეფასებისთვის.

სწავლა: ტრენინგის შედეგად ცოდნის ან შესაძლებლობების გაძლიერება. ამ დონეზე იზომება ის, თუ რამდენად გაიზარდა მსმენელის ცოდნა და უნარები ან შეიცვალა დამოკიდებულებები და ქცევები პროგრამის შედეგად.

ქცევა: ამ შემთხვევაში იზომება, თუ როგორ გამოიყენეს მონაწილეებმა კურსის განმავლობაში ნასწავლი. ეს ნაწილობრივ შეიძლება შეფასდეს ეფექტურობის ინდიკატორების დადგენით. იურისტების შემთხვევაში ქცევითი ცვლილების/პროფესიულ პრაქტიკაში ცვლილების სისტემური და ინსტიტუციონალიზებული შეფასების განსახორციელებლად აუცილებელია დავეყრდნოთ ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებს/ადვოკატთა ასოციაციებს. ამის განხორციელება მხოლოდ ეროვნულ დონეზეა შესაძლებელი, თუ მონაწილეები (მაგალითად, კურსის მონაწილეებიდან შერჩეული წინასწარ ინფორმირებული ფოკუს ჯგუფი) აიღებენ ვალდებულებას შეავსონ შეფასების კითხვარი ტრენინგის დასრულებიდან 6 თვეში, 1 წელიწადში და 2 წელიწადში.

ქცევაში და სწავლის გადაცემაში ცვლილებების (ანუ ნასწავლის მუშაობაში გამოყენება და სხვებისთვის პრაქტიკაში გაზიარება) რაოდენობრივი გაზომვა უფრო რთულია და კარგად შემუშავებულ შეფასების სისტემას მოითხოვს. მიუხედავად სირთულისა, ამ დონეზე შეფასება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან იგი შეისწავლის ტრენინგიდან მიღებული ცოდნის განხორციელებასა და გამოყენებას. კარგ რეაქ-

4) http://www.kirkpatrickpartners.com/OurPhLOsophy/TheKirkpatrickModel

ციასა (დონე 1) და გაუმჯობესებულ უნარებს (დონე 2) ეკარგებათ ღირებულება, თუ არაფერი შეიცვლება მსმენელის საქმიანობაში ან/და საზოგადოებრივ კონტექსტში.

გავლენა: მონაწილეთა ქმედებების გავლენა საზოგადოებაზე. მე-4 დონეზე, ჩვენ ვზომავთ მსმენელის პროგრამაში ჩართვის ზეგავლენას ორგანიზაციაზე, ან უფრო ფართო საზოგადოებაზე. ეს ასევე ცნობილია, როგორც ზეგავლენის ანალიზი და შემდგომი შეფასება, და ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია გრძელვადიანი შედეგების გაზომვაზე. სწავლის ზეგავლენის შეფასება პროგრამის შეფასების მსგავსია. ორივე შემთხვევაში მიზანი მდგომარეობს მთლიანი სასწავლო პროცესის შეფასებაში, მისი დასაწყისიდან და დასასრულამდე. ეს უფრო მარტივია ინდივიდუალური მსმენელის დონეზე, და ბევრად უფრო რთული ფართო საზოგადოების დონეზე. საზოგადოებაში არსებულმა გარე ფაქტორებმა და ადამიანის უფლებათა გლობალურმა კონტექსტმა შეიძლება პოზიტიური და ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს ორგანიზაციებისა და საზოგადოების შესაძლებლობებზე უზრუნველყონ ადამიანის უფლებადაცვითი და სასწავლო/საგანმანათლებლო საქმიანობა. ეს ბევრად უფრო ართულებს ორგანიზაციების ქმედებებსა და ფართო თემში ან საზოგადოებაში დამდგარ ცვლილებებს შორის კავშირის დადგენას.

HELP-ის შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების ან/და ადვოკატთა ასოციაციების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასწავლო რესურსების გამოყენება და მათი ინტეგრაცია ეროვნულ სასწავლო პროგრამებში სწავლის მდგრადობისა და „თოვლის გუნდის“ ეფექტის უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტია.

გ) ადამიანის უფლებათა ტრენინგის კონკრეტული აუდიტორია

მოცემულ ნაწილში განხილულია კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის, კერძოდ კი მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, სახალხო დამცველის აპარატის ან ადამიანის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების გარკვეული საჭიროებები.

მოსამართლეები

სასამართლო სისტემის წარმომადგენლები შეიძლება განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ გარკვეულ კონკრეტულ საკითხებში. მათ დააინტერესებთ ის, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული/საერთაშორისო სტანდარტები ეროვნულ სასამართლო სისტემაში; რა სამართლებრივი ძალა უნდა მიენიჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (პოტენციურად სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების ჩათვლით) კონვენცი-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ით დაცული უფლების განმარტებას; კონვენციით დაცული კონკრეტული უფლებები გამოყენებულ უნდა იქნას თუ არა მოსამართლის მიერ ex officio; და რა შეიძლება გაკეთდეს, თუ დადგინდება, რომ ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის (ანუ, ამ სტანდარტებთან კოლიზიაში მყოფი ეროვნული ნორმების გაუქმება; ან მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი ინტერპრეტაცია). არ არის აუცილებელი, რომ კონვენცია და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ კითხვებზე პასუხებს იძლეოდეს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ტრენინგის ეს ასპექტი უმეტესწილად დამოკიდებული იქნება არსებულ ეროვნულ (ანუ საკონსტიტუციო) სამართლებრივ სისტემაზე.

პროკურორები

რიგ შემთხვევაში, პროკურორები შეიძლება ადამიანის უფლებებს მოიაზრებდნენ როგორც მათი საქმიანობის დამაბრკოლებელ ასპექტს იმ პირების მსჯავრდების თვალსაზრისით, რომლებიც მათი აზრით „აშკარად“ დამნაშავენი არიან. შესაბამისად, ადამიანის უფლებების ტრენინგი პროკურორებისათვის ხაზს უნდა უსვამდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის საბოლოო მიზანი სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფაა. იგი სამართლიანი უნდა იყოს როგორც ბრალდებულის მიმართ, ისევე როგორც საზოგადოების თვალში, რომელსაც პროკურორები წარმოადგენენ. ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, პროკურორებს უნდა

იხ. კურსი დაკავების ალტერნატიული ღონისძიებები და საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში

შევახსენოთ მათი განსაკუთრებით ძლიერი პოზიცია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი გარკვეულწილად სამართალდამცავებზე ზედამხედველობას ახორციელებენ (მაგ., თუ როგორ უდგებიან ისინი იმ მტკიცებულებათა გამოყენებას, რომლებიც უკანონოდ ან არასწორად იქნა მოპოვებული).[5]

ადვოკატები

ზემოხსენებულთან ერთად, ადამიანის უფლებათა ტრენინგი ადვოკატებისთვის ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ეროვნული სამართალწარმოებისას ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენების და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადების წარდგენის პროცედურულ ასპექტებზე. ეროვნულ სასამართლოში სამართალწარმოებისას ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული საკითხის წამოჭრა უნდა მოხდეს არსებითად და დასაბუთებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შიდა სასამართლომ შეიძლება უბრალოდ უგულებელყოს სასამართლოს

5) რეკომენდებულია ტრენერებმა სხვა წყაროებთან ერთად გამოიყენონ ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, რომელიც 2000 წელს კეიპტაუნში ადამიანის უფლებებისა და პროკურორების შესახებ პროკურორების საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის შემდეგ იქნა მიღებული. 2008 წელს გამოიცა მეორე რედაქცია (E. Myjer, B. Hancock & N. Cowdery (eds), ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, Wolf Legal Publishers, 2008), რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ფრანგულად, ესპანურად, თურქულად და რუსულად.

მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატებიც კარგად იცნობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადის წარდგენის პროცედურულ მოთხოვნებს. სტრასბურგის სასამართლო წარდგენილი განაცხადების 90%-ზე მეტს აშკარად დაუსაბუთებლად, ან სხვა მიზეზის გამო დაუშვებლად ცნობს. სტრასბურგის სასამართლოს პროცედურული მოთხოვნების უკეთესი გაგება შეამცირებს ხსენებულ პროცენტულ მაჩვენებელს, რაც არა მხოლოდ სასამართლოს შეზღუდული რესურსების უკეთესად გამოყენებას შეუწყობს ხელს, არამედ ასევე განმცხადებლებს აარიდებს მრავალ იმედგაცრუებას.[6]

იხ. კურსი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმები

ხელისუფლების წარმომადგენლები

კანონმდებლები ან საჯარო მოსამსახურეები პასუხისმგებელნი არიან კანონპროექტებისა და პოლიტიკის ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ხშირად კანონპროექტი ან ახალი პოლიტიკა შეეხება ადამიანის უფლებათა საკითხებს. საჯარო მოსამსახურეებს უნდა შეეძლოთ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენა. მათ უნდა ესმოდეთ არა-აბსოლუტურ უფლებებში გარკვეული ჩარევების დასაბუთების საჭიროება (როგორიცაა პირადი ცხოვრების უფლება და საკუთრების უფლება).

ხელისუფლებამ უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ სადავო ღონისძიება მართლაც ეფექტურია გამოვლენილი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად (რომელიც შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს), დაასაბუთოს, თუ რატომ არის აუცილებელი არსებული მექანიზმების გარდა გასაჩივრებული ზომის გამოყენება, როგორია ყველა სამართლებრივი ნორმის კუმულაციური ზეგავლენა დაკავშირებულ თავისუფლებაზე, და არსებობს თუ არა თანაზომიერი ურთიერთკავშირი ღონისძიების ეფექტიანობასა და იმ თავისუფლებას შორის, რომელიც ხელყოფილი იქნა. ამასთან, ცენტრალურ ხელისუფლებაში მომუშავე საჯარო მოსამსახურეებს უნდა ესმოდეთ იმ პირთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, რომლებზეც გავლენას ახდენს საკითხის გადაჭრისთვის მიღებული (ირიბი) დისკრიმინაციული პოლიტიკა და გარკვეულ შემთხვევებში გარდამავალი კანონმდებლობის მიღების საჭიროება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ მათი ქცევის ადაპტირება (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემთხვევაში, რომელიც ზეგავლენას ახდენს საკუთრების უფლებებზე).

იხ. სახელმძღვანელო საჯარო მოსამსახურეების ინფორმირებისათვის სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესახებ

6) ამ მხრივ, რეკომენდებულია ტრენერებმა გამოიყენონ დასაშვებობის კრიტერიუმების პრაქტიკული სახელმძღვანელო (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროცედურის წესების 47-ე ახალი წესი), პრაქტიკული დირექტივები, ვიდეო დასაშვებობის პირობების შესახებ, ვიდეო "როგორ წარვადგინოთ სწორი განაცხადი" და სხვა პრაქტიკული ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი (სათაურით "განმცხადებლები"). HELP-ის ონლაინ კურსი „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი განაცხადების დასაშვებობის კრიტერიუმები" ასევე ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე (იხ. ინგლისური ვერსია).

ზოგიერთი საჯარო მოხელე რთულ და სახიფათო სფეროში მოღვაწეობს: პოლიციელები, ციხის თანამშრომლები, საიმიგრაციო ოფიცრები და დაცული ფსიქიატრიული დაწესებულებების ან სხვა დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწყვლად პირებზე ზრუნვას. ამ შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავებული სასწავლო საჭიროებები წარმოიქმნება. [7]

სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და სახალხო დამცველის აპარატები

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებში, სახალხო დამცველის აპარატსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მომუშავე იურისტებს ჩაუტარდებათ არა მარტო ცოდნის, არამედ კონკრეტული უნარ-ჩვევების შეძენაზე ორიენტირებული ტრენინგები, მაგალითად, საქმის მართვისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები (მედიასთან ურთიერთობის ლობირებაც კი შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობის იყოს).

დ) ადამიანის უფლებათა ტრენინგისთვის დამახასიათებელი გამოწვევები

წინააღმდეგობა სტანდარტებსა და პრაქტიკას შორის

არსებობს გარდაუვალი წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა სტანდარტების სრულ დაცვასა და იურისტების ყოველდღიურ საქმიანობაში არსებულ სირთულეებს შორის. ზოგი სირთულე შეიძლება განპირობებული იყოს სამართლებრივი ჩარჩოთი, რომლის ფარგლებშიც იურისტს უწევს მუშაობა, ისევე როგორც აიხსნებოდეს საბიუჯეტო ან საკადრო შეზღუდვებით, ან ორგანიზაციაში უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დადგენილი დომინანტური "კულტურით". შესაძლებელია სასარგებლო იყოს ამ საკითხების ღია განხილვა ადამიანის უფლებათა ტრენინგის განმავლობაში. ტრენერს შეუძლია მხოლოდ პრაქტიკული რჩევებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, თუ მსმენელი ღიად ისაუბრებს იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც იგი აწყდება თავისი საქმიანობის განხორციელებისას (ან აღიარებს, რომ არსებული პრობლემების გადაჭრის გზები ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან არც თუ საუკეთესო იყო). ადამიანის უფლებათა ტრენერებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა მოერიდონ გაკიცხვას. ნაცვლად ამისა, ტრენერის ამოცანაა იმუშაოს შესაბამისი სტანდარტის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, ახსნას ადამიანის უფლებადამცველი ორგანოების მიერ სტანდარტის ასეთი ფორმით შემუშავების მიზეზები, და როგორ უნდა მოხდეს ამ სტანდარტის პრაქტიკაში (ეტაპობრივი) რეალიზაციის უზრუნველყოფა. განვიხილოთ ეს საკითხი ეფექტური ტრენინგის სამი შესაძლო ბარიერის ჭრილში. თითოეული მოიცავს სფეროს, სადაც საჭიროა გამოვავლინოთ და ვიმუშაოთ მსმენელის მიერ საკუთარი როლის და პასუხისმგებლობების აღქმაზე:

7) ახლახან შემუშავდა სახელმძღვანელო საჯარო მოსამსახურეების ინფორმირებისათვის სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესახებ: http://echr-toolkit.coe.int. სახელმძღვანელო აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას, რომლითაც საჯარო მოხელეებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა ყოველდღიურ ვითარებებში. იგი არ საჭიროებს დამატებით იურიდიულ ცოდნას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ორგანიზაციული კულტურიდან მომდინარე საფრთხეები

ტრენინგი შეიძლება მსმენელების გაგებით წინააღმდეგობაში მოდიოდეს ორგანიზაციის მიზანთან. ამ შემთხვევაში აუცილებელია ორგანიზაციის მართვა და ხელმძღვანელობა მხარს უჭერდეს ტრენინგის შინაარსს. ადამიანის უფლებათა სფეროში პოლიციის თანამშრომლების ტრენინგის შემთხვევაში, არსებული კულტურის ან ეთოსის გამო შეიძლება მიჩნეული იქნას, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა წინააღმდეგობაში მოდის ორგანიზებულ დანაშაულთან (განსაკუთრებით ტერორიზმთან) "ბრძოლასთან". ანუ, შესაძლებელია მიიჩნეოდეს, რომ ფიზიკური ხელშეუხებლობის ან სამართლიანი სასამართლოს გარანტიების გარკვეული დარღვევა ორგანიზაციის მხრიდან გარდაუვალია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მაგრამ თუ ადამიანის უფლებათა ტრენინგი ხაზს გაუსვამს ისტორიულ გამოცდილებას, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან, ან ტერორიზმთან ბრძოლაში არ არსებობს მოკლე გზა; რომ ადამიანის უფლებები (და არა უბრალოდ "ეჭვმიტანილის" უფლებები), ინსტრუმენტია, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში სიმართლის დადგენაში გვეხმარება - ნებისმიერი ტენდენცია, რომელიც ადამიანის უფლებებს პასუხისმგებლობების ეფექტური შესრულების ბარიერად განიხილავს, შეიძლება დაბალანსდეს იმის გააზრებით, რომ ადამიანის უფლებები საჯარო სექტორის მოხელეების ხელთ არსებული ეფექტური ინსტრუმენტია. ადამიანის უფლებათა სტანდარტები ხშირად პოლიტიკურად სენსიტიურ სფეროებზე ვრცელდება (მაგ. ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირის დეპორტაცია).

გამოწვევა ინდივიდუალური "პროფესიონალიზმისთვის"

ტრენინგი (განსაკუთრებით, თუ მას გარეშე პირი ატარებს) შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც გამოწვევა მოხელის "პროფესიონალიზმისთვის" (ხოლო სასამართლო კონტექსტში ეს შეიძლება აღიქმებოდეს როგორც გამოწვევა "სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის"). აქ პრობლემას წარმოადგენს "პროფესიონალიზმის" ცნების არასწორი, მცდარი გაგება. ტრენერმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა პროფესიონალიზმის არსებითი ნიშანია (ისევე როგორც უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების აღიარება). იმის აღიარება, რომ ისინი ვისაც კანონის უზენაესობის დაცვა ევალებათ, თავად უნდა სცემდნენ პატივს კანონის უზენაესობას, თავისთავად ცხადი უნდა იყოს (როგორც ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულებში). ტრენერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ტრენინგს ადამიანის უფლებების შესახებ გააჩნია დამატებითი ასპექტი, რაც გულისხმობს, რომ იგი ემსახურება არა უბრალოდ ცოდნისა თუ უნარების გადაცემას, არამედ სათანადო დამოკიდებულებებისა და ღირებულებების განმტკიცებას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დამოკიდებულება, რომ ადამიანის უფლებებს მცირე პრაქტიკული კავშირი აქვს მსმენელის ყოველდღიურ საქმიანობასთან

ტრენინგზე დასწრების, ან მონაწილეობის სურვილის არქონა შეიძლება მომდინარეობდეს იმ მოსაზრებიდან, რომ ტრენინგის ფარგლებში განხილულ საკითხებს გავლენა არ აქვს მსმენელის მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე. მაგალითად, მოსამართლეებს შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ადამიანის უფლებათა იურისპრუდენცია რელევანტურია სასამართლოს საქმიანობისათვის (მაგ. რადგან არასათანადო მოპყრობის ეფექტური გამოძიება მოიაზრება როგორც პროკურორის, და არა მოსამართლის პასუხისმგებლობა, ან სამართლებრივი პრობლემის "გადაწყვეტა" შესაძლებელია სხვა საშუალებებით, რაც არ მოითხოვს სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციისთვის მიმართვას).

თუმცა, თუ ტრენინგი აღქმული იქნება, როგორც აუდიტორიაზეა მორგებული (ნაცვლად იმისა, რომ აუდიტორიამ თავად გამოიტანოს დასკვნები, თუ ტრენინგის რომელ ასპექტებს გამოიყენებს მომავალში) ასეთ შემთხვევაში იგი დროის ღირებულ ინვესტიციად ჩაითვლება. ზოგადი ტრენინგისა, და არა კონკრეტულ მსმენელზე მორგებული ტრენინგის შემთხვევაში, ისევე როგორც მსმენელის არსებულ ცოდნასა და უნარებზე არასათანადოდ "გათვლილი" ტრენინგის შემთხვევაში, აუდიტორიის გაუცხოების რისკი წარმოიქმნება.

ii. წყაროების მრავალფეროვნება და სირთულე

სამართლის სხვა სფეროების მსგავსად, ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტების შემთხვევაშიც იურისტებს წყაროების ფართო სპექტრთან უწევთ მუშაობა. ადამიანის უფლებათა ტრენინგი მსმენელს უნდა ეხმარებოდეს მრავალფეროვან სამართლებრივ წყაროებთან მუშაობაში. ადამიანის უფლებათა სტანდარტები კოდიფიცირებულია ეროვნულ (მაგ. კონსტიტუციური დებულებები, კანონები პირადი ცხოვრებისა და თანაბარი მოპყრობის შესახებ და ა.შ.) და ევროპის დონეზე (მაგ. ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სხვადასხვა შესაბამისი ინსტრუმენტები) და საერთაშორისო დონეზე (როგორიცაა გაეროს სხვადასხვა ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების შესახებ). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების სფერო, რა ღირებულებას სძენს ერთი ინსტრუმენტი მეორეს, და საერთაშორისო სტანდარტების შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ წყობაში ინტეგრირება. კერძოდ, შეიძლება სასარგებლო იყოს, ერთის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ხოლო, მეორეს მხრივ, ევროკაშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის გამოყენების სფეროს შესწავლა. ევროპაში მოქმედ იურისტს ადამიანის უფლებათა ორივე ინსტრუმენტთან მოუწევს მუშაობა და დასჭირდება საქმეში არსებული იმ გარემოებების გაგება, რომელშიც თითოეული მათგანი უნდა იქნას გამოყენებული.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, სახელმწიფო პასუხისმგებლობის (კონვენციის 1-ლი მუხლი) ცნება გადამწყვეტია. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კანონმდებლობის (ან სხვა რეგულაციების) ძალაში შესვლის, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების, ცალკეული საჯარო მოხელეების, ან სხვა თანამდებობის პირების ქმედებების შედეგად, რომლებზეც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება (ანუ პოლიცია, ციხის თანამშრომლები, საიმიგრაციო ოფიცრები და ა.შ.), ან სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად.

კონვენციით გათვალისწინებული **სახელმწიფო პასუხისმგებლობა** ტრადიციულად სახელმწიფოს მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად დგება. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სულ უფრო მეტად მიუთითებს ეგრეთ წოდებულ "პოზიტიურ ვალდებულებებზე" ანუ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს, რათა უზრუნველყოს კონკრეტული ადამიანის უფლებებით ეფექტური სარგებლობა (მაგ. კანონის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლის, ან ახალი კანონმდებლობის წარმოდგენის ვალდებულება, ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ან ადამიანის უფლების სავარაუდო დარღვევის ეფექტური, სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების ვალდებულება).

ერთ-ერთი **პოზიტიური ვალდებულება** შეეხება კერძო პირებს შორის ურთიერთობაში ჩარევის ვალდებულებას, რათა თავიდან იქნას აცილებული **ადამიანის უფლებათა "კერძო"** დარღვევები, ანუ ადამიანის უფლებათა სტანდარტების ირიბი ჰორიზონტალური ეფექტი. ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს იმ კანონების აღსრულება, რომლებიც აღკვეთავს კერძო პირებსა და კორპორაციების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას. თუ კერძო პირები და კორპორაციები არღვევენ ადამიანის უფლებებს ,აუცილებელია სწრაფი სამართლებრივი ზომების მიღება საკითხის გადაჭრის მიზნით.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას "იურისდიქციის ეფექტურ აღსრულებას" უკავშირებს. "იურისდიქციის" კონცეფცია ძირითადად ტერიტორიულია. პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ წარმოიშვება იმ კერძო პირთან მიმართებაში, ვინც ხელშემკვრელი სახელმწიფოს "იურისდიქციის ფარგლებში იმყოფება", რაც მის ტერიტორიაზე ფიზიკურად ყოფნას მოიაზრებს. თუმცა, სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული ქმედებები, ან მათი შედეგი გამონაკლის გარემოებებში შეიძლება წარმოადგენდეს იურისდიქციით სარგებლობის საკითხს. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიგვითითებს, რომ მსგავსი გარემოებები შეიძლება არსებობდეს, როდესაც სახელ-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მწიფოს ორგანოებს გააჩნიათ კონტროლი ან უფლებამოსილება კერძო პირებზე, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. ამ კატეგორიაში ექცევა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების ქმედებები, უცხო ქვეყნის მთავრობის თანხმობით, მოწვევით ან უსიტყვო თანხმობით ექსტრატერიტორიული სახელმწიფო უფლებამოსილებით სარგებლობა, და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ექსტრატერიტორიული ძალის გამოყენება კერძო პირის კონტროლის ქვეშ აყვანის მიზნით. გამონაკლისი გარემოებები შეიძლება წარმოიშვას, როდესაც მართლზომიერი ან არამართლზომიერი სამხედრო ოპერაციის შედეგად, ხელშემკვრელი სახელმწიფო განახორციელებს ეფექტურ კონტროლს მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიაზე პირდაპირ მისი შეირაღებული ძალების, ან ქვემდებარე ადგილობრივი ადმინისტრაციის საშუალებით.
კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფო პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს დამოუკიდებლად მსხვერპლის მოქალაქეობისა. იგი ვრცელდება ყველა პირზე, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციაში იმყოფება.

კონვენციით გათვალისწინებული სახელწმიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება მოიცავდეს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის შედეგად გადადგმულ ნაბიჯებს, როგორიცაა ევროკავშირი. სანამ ევროკავშირი არ მიუერთდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, შეუძლებელია თავად ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება. საჩივარი გამოცხადდება დაუშვებლად ratione personae საფუძველზე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი არ წარმოადგენს კონვენციის მხარეს. მთავრობის მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებთან მიმართებაში, სტრასბურგის სასამართლომ ბოსფორის საქმეში დაადგინა, რომ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაუშვას, რომ იგი არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას მის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით, თუ თავად საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვას (როგორც ეს დადგენილი იქნა ევროკავშირთან დაკავშირებით). მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დაცვა აშკარად არასაკმარისია, შესაძლებელია უარყოფილი იქნას ხსენებული პრეზუმფცია.

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია

რაც შეეხება ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიას, გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ ქარტია “უფლებათა ევროპული ბილია”, რომელიც ევროკავშირში და მის წევრ სახელმწიფოებში ყველა ვითარებაში გამოიყენება. მაგრამ, ქარტიის 51-ე მუხლი ადგენს, რომ ქარტიის დებულებები ვრცელდება ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოების ინსტიტუტებსა და ორგანოებზე, როდესაც ისინი ევროკავშირის კანონმდებლობას ახორციელებენ. ქარტიაში თანდართული ოფიციალუ-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

რი განმარტებები ოდნავ გაუგებარია: „ევროკავშირის კონტექსტში განსაზღვრულ ფუნდამენტურ უფლებათა პატივისცემის მოთხოვნა სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის, როდესაც ისინი მოქმედებენ კავშირის კანონმდებლობის ფარგლებში“. ეს უკანასკნელი ცნება, აშკარად ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე თავად დებულების ტექსტი გვთავაზობს. 2013 წლის მაისში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) უფრო ნათელი განმარტება წარმოადგინა აკერბერგის საქმეში. სასამართლომ აღნიშნა, რომ „კავშირის კონტექსტში განსაზღვრულ ფუნდამენტურ უფლებათა პატივისცემის მოთხოვნა სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის, როდესაც ისინი მოქმედებენ კავშირის კანონმდებლობის ფარგლებში“ (21-ე პუნქტი). სასამართლოს თანახმად, შესაბამისად არ არსებობდა ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელებისათვის ეროვნული კანონმდებლობის მიღების მკაცრი მოთხოვნა. საკმარისი იყო, რომ გარემოებები ევროკავშირის კანონმდებლობის სფეროში მოქცეულიყო. ეს მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ზედამხედველობას.

იმ შემთხვევაში, თუ საქმე ქარტიის მოქმედების სფეროში ექცევა, ადამიანის უფლებათა სტანდარტი უპირატესი ძალით სარგებლობს მსგავს საკონსტიტუციო დებულებაზე (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ ხარისხს გვთავაზობს). ქარტიის გამოყენება შესაძლებელია ევროკავშირის ინსტრუმენტის მართლზომიერების გასასაჩივრებლად (და არა უბრალოდ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში მისი გამოყენებისთვის). და ბოლოს, ქარტიის ირიბი ჰორიზონტალური გავლენა, როგორც ჩანს, აღიარებულ იქნა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მის პრეცედენტულ სამართალში.

HELP 28“-ის[8] ფარგლებში შემუშავებულ კურსებში (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ) გათვალისწინებულია ის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის სოციალური ქარტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი გარანტიების დაცვასთან. კურსი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ევროპულის სოციალური ქარტიის (ESC), ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიისა და ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებზე.

iii. პოლიტიკური ასპექტი

ტრენინგს ხშირად თან ახლავს “პოლიტიკური” ასპექტი და ტრენერებმა ეს მხედველობაში უნდა მიიღონ. პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა სტანდარტები ხშირად პოლიტიკურად სენსიტიურ სფეროებზე ვრცელდება (მაგ. ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირის გაძევება). ტრენერს არ უნდა გაუკვირდეს, თუ ზოგი მსმენელი ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით მიღებულ გარკვეულ განჩინებებს “პოლიტიკურად მოტივირებულ” გადაწყვეტილებებად აღიქვამს. შესაბამისად, შესაძლებელია აუცილებელი იყოს განვასხვავოთ (ა) ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებები

8) HELP 28-ში პროექტი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა ტრენინგის გაძლიერებას ევროკავშირის 28 ქვეყანაში. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე: www.coe.int/en/web/help/help-in-the-28.

პოლიტიკურ კონტექსტში მოქმედებს და შეიძლება დიდი ზეგავლენა იქონიოს საზოგადოებაზე; და (ბ) აღქმა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები "მემარცხენე" პოლიტიკური პროგრამის სამართლებრივი ინტერპრეტაციაა. მეორე: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საერთაშორისო პოლიტიკურ გარემოში ფუნქციონირებს, რომელშიც საერთაშორისო ორგანოს (ანუ სტრასბურგის სასამართლოს) პრინციპში უწევს პატივი სცეს ადგილობრივ დონეზე გაკეთებულ პოლიტიკურ არჩევანს და მიანიჭოს სახელმწიფოებს მიხედულების არე, თუ კონვენციით დაცული მინიმალური სტანდარტის დარღვევას არ აქვს ადგილი. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფუნდამენტურად განსხვავდება ევროკავშირის ზეეროვნული მიდგომისგან. კონვენციის მექანიზმის მიზანია არა ჰარმონიზება, არამედ მინიმალური სტანდარტების დაცვა (თუმცა ფართოდ აღიარებულია, რომ პრაქტიკაში სტრასბურგის სასამართლოს გარკვეული გადაწყვეტილებების შედეგი შეიძლება ჰარმონიზება იყოს).

საბოლოოდ, **მიხედულების ფარგლების დოქტრინა** შემუშავებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, როგორც სუბსიდიარობის პრინციპის დამკვიდრების საშუალება ევროპულ სასამართლოსა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის ურთიერთობაში. პრაქტიკაში, ზოგმა ეროვნულმა მოსამართლემ ადგილობრივ პრეცედენტულ სამართალში გადმოიტანა მიხედულების ფარგლების დოქტრინა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დოქტრინას გარკვეულწილად მსგავსი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს (მაგ. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ გადასინჯვა), მიუღებელია სტრასბურგის მიხედულების ფარგლების დოქტრინის წმინდად ეროვნულ გარემოში გამოყენება.

iv. მსმენელის მოტივაცია

ჩვენ უკვე შევეხეთ მსმენელების განსხვავებული სწავლის სტილს. მეორე საკითხია მსმენელების მოტივაცია. არსებობს მთელი რიგი თეორიები ამასთან დაკავშირებით. თუმცა არ არსებობს ერთი უნივერსალურად ყოვლისმომცველი სწავლის მოტივაციის თეორია და სხვადასხვა თეორიები შეიძლება სხვადასხვა სასწავლო ვითარებებში იქნას გამოყენებული. ზოგიერთი თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების ტრენინგ პაკეტის შემუშავებისას.

თვითგამორკვევის თეორია

ამ თეორიის ცენტრალური კონცეფციაა „სწავლის ავტონომიური მოტივაცია“ - ანუ, მსმენელს უნდა ჰქონდეს სწავლის ტემპის შერჩევის თავისუფლება. ეს წინააღმდეგობაში მოდის სწავლის ისეთ პრინციპებთან, როგორიცაა ვადები, ზედამხედველობა და სხვა (გარკვეულად საინტერესოა გაერთიანებული სამეფოს ღია უნივერსიტეტის გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ კურსებს, სადაც სტუდენტები თავისუფლე-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ბი არიან დავალების წარდგენის ვადებში, სტუდენტთა შენარჩუნების მაქსიმალური მაჩვენებლები აქვთ). ონლაინ ტრენინგი, და ასევე გარკვეულწილად დისტანციური სწავლების კურსებიც სასწავლო რესურსების სა სწავლების გზების შერჩევის თავისუფლებას იძლევა.

ეპისტემოლოგიური იდენტობის თეორია

მოცემულ შემთხვევაში მიზანია, რომ სწავლის მთლიანი პროცესის განმავლობაში, მსმენელმა შეძლოს თქვას: „ეს კონკრეტული სწავლება სწორედ ჩემთვისაა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსმენელის სწავლის მოტივაცია მაქსიმალურად იზრდება, როდესაც ის გრძნობს, რომ სწორ კურსზე მოხვდა შინაარსის, დონისა და შედეგების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაა ასეთი მნიშვნელოვანი HELP-ის კურსების ეროვნული კონტექსტისა და სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტაცია.

საკუთარი კომპეტენციების აღქმის თეორია

მსმენელს შეიძლება არ ჰქონდეს რეალისტური წარმოდგენა საკუთარი კომპეტენციების შესახებ, რაც ხელს შეუშლის წარმატებულ სწავლას. შესაბამისად, ეს თეორია მიუთითებს, თუ რამდენად მნიშნელოვანია დავეხმაროთ მსმენელს შეიქმნას რაციონალური წარმოდგენა მისი შესაძლებლობების შესახებ მოტივაციის წახალისების მიზნით.

პოზიტიური ფსიქოლოგია - “ძლიერი მხარეების მიდგომა”

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გავიგოთ თუ რა ხდის ადამიანებს ბედნიერს. „ძლიერი მხარეების“ მიდგომა ეყრდნობა პოზიტიური ფსიქოლოგიის მიგნებებს და ნაწილობრივ ეფუძნება ამერიკელი მკვლევარების ანდერსონისა და კლიფტონის ნაშრომებს. მოცემული მიდგომა მსმენელის მოტივაციის გაზრდაზე ამახვილებს ყურადღებას და ხაზს უსვამს თვითშეფასებას, როგორც სწავლის პროგრესისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორს. მოტივაციის პროაქტიული მხარდაჭერა მოიცავს: პოზიტიური ასპექტების აღნიშვნას; არსებულ აქტივებსა და კომპეტენციებზე ყურადღების გამახვილებას; წარსულ წარმატებასა და მაღალ ქულებზე დაყრდნობას; “პოზიტიური გავლენის” წახალისებას (იმედი და ამაღლებული აზრები); ძირითადი ღირებულებების, მიზნებისა და მოტივაციის გამოვლენას; და ძალისხმევისა და არა მიღწევის შეფასებას (და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გაურკვევლობებზე, შიშებსა და უნარების ნაკლებობაზე საუბარი).

პრაქტიკული მაგალითები[9]:

- მცირე წარმატებების მიღწევა. რთულ დავალებებზე გადასვლამდე ხელი შეუწყოთ მსმენელს თავდაპირველად მარტივ დავალებებში მიაღწიოს წარმატებას ანუ პროგრესულად გავზარდოთ სირთულე.
- შეაქეთ მსმენელები გაწეული ძალისხმევისთვის და არა მხოლოდ მათი წარმატებული მცდელობებისთვის. ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში ეს შეიძლება ავტომატური უკუკავშირის საშუალებით გაკეთდეს.
- შეიმუშავეთ „თამაშები“, სადაც მსმენელს ქულები მცდელობისათვის ენიჭება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის სათანადო შედეგი მიღწეული.
- შექმენით სასწავლო კლიმატი. წაახალისეთ მსმენელები ან შეიმუშავეთ აქტივობები, რომლებიც უნარების დაუფლებასა და მსმენელის წინა შედეგის გაუმჯობესებაზე და არა მუდმივად სხვებთან შედარებასა და შეჯიბრზე ამახვილებს ყურადღებას.
- მიაწოდეთ ინფორმაციული და კონსტრუქციული უკუკავშირი. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ მსმენელებს თხოვოთ „მეტი ძალისხმევა“ გამოიჩინონ, გაარკვიეთ არადამაკმაყოფილებელი შედეგის ძირეული მიზეზი და გააუმჯობესეთ მათი უნარი მაგ. „შეეცადეთ ეს განიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის x მუხლის ჭრილში“.

> „თქვენ უნდა იგრძნოთ, რომ კომპეტენტური ხართ ისეთ სასწავლო გარემოში, სადაც ვითარება გაკონტროლებულია. კომპეტენტურობის შეგრძნება (Deci & Ryan, 1985; Elliot & Thrash, 2002; Koestner & McClelland, 1990) გულისხმობს, რომ თქვენ კმაყოფილებას განიცდით სწავლის პროცესში და იმის გამო, რომ თქვენი უნარები იხვეწება. ადამიანები ისეთი დონის სირთულეების დაძლევას ცდილობენ, რაც მათი განვითარების დონისთვის ოპტიმალურია" Harter, 1978; White, 1959).

ე) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტულ სამართალზე წვდომის სირთულეები

სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის ფარგლებში დაგროვებული ცოდნა და მისი დაუფლება გამოწვევებთანაა დაკავშირებული.

i. ტექნიკური ბარიერები

იურისტები ორი მნიშვნელოვანი ბარიერის წინაშე დგებიან: ენა და პრეცედენტული სამართლის დიდი მოცულობა.

9) MERL: თეორიის პრაქტიკაში განხორციელება. საკუთარი კომპეტენციის აღქმისა და შინაგანი მოტივაციის მნიშვნელობა http://merl.nie.edu.sg

განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ენა

ტრენინგის მომზადებისას აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ მასალების უმეტესობა (როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები) მსმენელის უმრავლესობისათვის უცხო ენაზეა (ანუ ინგლისურად ან ფრანგულად) წარმოდგენილი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი იურისტისთვის ხსენებული მასალების სრულყოფილად გაგება (მეტი ან ნაკლები ხარისხით) სირთულეს წარმოადგენს. პრაქტიკაში, ამან შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ სამართლებრივ გარემოში მიღებაზე. შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობისაა მასალების შერჩევა. HELP-ის მეთოდოლოგია ამ გამოწვევას მხედველობაში იღებს და არა მხოლოდ ტრენინგის და კურსის მასალების თარგმანს, არამედ შესაბამისი ქვეყნების ეროვნულ სამართლებრივ დებულებებთან ადაპტაციასაც ითვალისწინებს (მეტი ინფორმაცია ადაპტაციის პროცესის შესახებ იხ. მე-2 ნაწილში). ამასთან, ხორციელდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წამყვანი განჩინებების თარგმნა და ზოგი თარგმანი ხელმისაწვდომია HUDOC-ის საძიებო სისტემაში სასამართლოს ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლოს განჩინებების თარგმანის უზრუნველყოფის მხრივ. ახალი ტრენინგ პროგრამების შემუშავებისას რეკომენდებულია საბიუჯეტო რესურსი იყოს გამოყოფილი საჭირო მასალების თარგმანზე.

პრეცედენტული სამართლის დიდი მოცულობა

იურისპრუდენცია პრეცედენტული სამართლის შთამბეჭდავ მოცულობას შეიცავს, რომელიც ათასობით განჩინებისა და გადაწყვეტილებისაგან შედგება. ბუნებრივია, მე-14 ოქმის ძალაში შესვლამდე კომიტეტის, ისევე როგორც ცალკეული მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გამოვრიცხოთ ამ მოცულობიდან. ასევე გასათვალისწინებელია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში ასახული კრიტერიუმები. მიუხედავად ამისა, იურისპრუდენცია განსაკუთრებით შთამბეჭდავ და რთულად მართვად სფეროს წარმოადგენს. კერძოდ, რთულია დარწმუნებით ვიცოდეთ, თუ როგორ ვიპოვოთ მოცემულ საკითხისთვის ყველაზე რელევანტური პრეცედენტი.

ii. ეროვნული თავისებურებები

არსებობს ორი ძირითადი ტიპის თავისებურებები, რომლებიც სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნებიდან, პროცედურების და ეროვნული ინსტიტუტების თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნება

კონტინენტური სამართლის სისტემებს ან რომანო-გერმანულ და საერთო სამართლის სისტემებს შორის ტრადიციულად არსებული და კარგად ცნობილი განსხვავებების გარდა ევროპაში სამართლებრივი სისტემების, მათი ადაპტაციისა და კომბინაციების დიდი მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი.

სასამართლოს იურისპრუდენცია გარკვეულწილად ასახავს ამ ფაქტს, რაც იურისტებისგან მეტ ანალიზისა და გააზრებას მოითხოვს.

ამასთან, სხვადასხვა ქვეყნების შიდასამართლებრივ წყობაში იურისპრუდენციის ადგილი და მნიშვნელობა სხვადასხვაა, განსაკუთრებით კი უზენაესი სასამართლოების იურისდიქციის დონეზე. მაგისტრატი მოსამართლეების აზრით პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს მეტი წონა აქვს. იმის ვარაუდი, რომ ევროპაში წმინდად ეროვნულ ჩარჩოში მომუშავე იურისტები საერთაშორისო იურისპრუდენციაზე განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ, არ არის მართებული. შესაბამისად, მათ მოუწევთ საკუთარი მიდგომების გადასინჯვა კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

პროცედურებისა და ინსტიტუტების სპეციფიკა

ანალოგიურად, ევროპა პროცედურებისა და ინსტიტუტების საოცარ მრავალფეროვნებას გვთავაზობს. ხსენებული შეიძლება ძველი ტრადიციის, ან ზოგჯერ მწვავე კონფლიქტების შედეგი იყოს. ხშირად, კომპლექსური ინსტიტუტების ნაწილი, მათი ბალანსი და თანხმობა და მათი არსებობაც კი, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს გარკვეული ცვლილებების შედეგად. და კვლავ, ამ შემთხვევაში იურისპრუდენცია გარკვეულწილად უნდა მოერგოს არსებულ ვითარებას კონვენციის ჰარმონიზებული ინტერპრეტაციისადმი ზიანის მიყენების გარეშე. ზოგჯერ იურისტებისთვის შეიძლება სირთულეს წარმოადგენდეს ეროვნული სისტემის კონკრეტული კონცეფციის სხვა სისტემაში გადატანა მიუხედავად მათი მსგავსებისა.

ii. განჩინებათა დასაბუთება

ეს შეიძლება უმნიშვნელოვანეს სირთულეს წარმოადგენდეს. უკეთესად როგორ ვისარგებლოთ იურისპრუდენციით ორაზროვნებისა და განსხვავებების არსებობისას?

ორაზროვნება

განზრახ თუ არა, სასამართლო ზოგჯერ იყენებს წინადადებებს, გამოთქმებსა თუ სიტყვებს, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაცია ჰქონდეთ. ეს ხდება მაშინ,

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

როდესაც ახალი ან რთული საკითხი წარმოიშობა, რომელიც შეიძლება მომავალი გადაწყვეტილებებისთვის საკვანძო მნიშვნელობის იყოს. დაუყოვნებლივ აბსოლუტური პასუხის გაცემის ნაცვლად შეიძლება წარმოადგენდეს მომავალი გადაწყვეტის ძირითად ნაწილებს. ასეთი მიდგომა ფრთხილ და პროგრესულ მიდგომას მოითხოვს; ტემპი ისევე, როგორც შედეგი უცნობია. ზოგჯერ სახეზე გვაქვს ცვლილებები, რაც დამაბნეველია იურისტისთვის.

გარდა ამისა, არ არის იშვიათი, როდესაც დიდი პალატა საყვედურს უცხადებს სხვა პალატებს არასაკმარისად დასაბუთებული ან ზედმეტად ინოვაციური გადაწყვეტილების გამოტანისთვის. მეორეს მხრივ, პალატების ზოგიერთი განჩინება დიდი პალატის პრაქტიკის ანალოგიურად მიიღება, რაც არ დგება ეჭვქვეშ.
გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო კონვენციის მთელ რიგ ტერმინებს დამოუკიდებელ, კერძოდ, ევროპულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამან შეიძლება დაბნეულობა, გაუგებრობა და წინააღმდეგობაც კი გამოიწვიოს იურისტებს შორის, რომლებიც მათი ეროვნული კანონმდებლობის კატეგორიებსა და კონცეფციებს არიან შეჩვეული.

განსხვავებები

სასამართლო მიისწრაფის მისი იურისპრუდენციის ერთგვაროვნების, სამართლებრივი განჭვრეტადობისა და სახელმწიფოებსა და პირებს შორის თანასწორობის უზრუნველყოფისკენ. თუმცა, ზოგჯერ ადგილი აქვს განსხვავებებს ძალიან მარტივი მიზეზების გამო: სხვადასხვა პალატები მუშაობენ იდენტურ საკითხებზე და დიდი პალატის შემადგენლობა, მიუხედავად სტაბილური ბაზისა, იცვლება ყოველი ახალი საქმის შემთხვევაში. გარდა ამისა, ადგილი აქვს აზრთა თუნდაც დროებით სხვადასხვაობას, ასე ვთქვათ, სანამ პალატები და დიდი პალატა არ მივლენ საერთო გადაწყვეტამდე.

ასეთი გამონაკლისი შემთხვევები იურისტებისგან შემდეგნაირ რეაგირებას მოითხოვს: გაითვალისწინონ დიდი პალატის უახლესი და უფრო ნათელი განჩინება ან გადაწყვეტილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში პალატების უახლესი და უფრო ნათელი განჩინება ან გადაწყვეტილება. ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ შესაძლებელია უბრალოდ აღინიშნოს, ან მითითებული იქნას, რომ პრეცედენტული სამართალი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ცალსახა პოზიციას არ მოიაზრებს.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

iii. როგორ დავძლიოთ გამოწვევები?

სამი პრაქტიკული რჩევა ტრენერებისათვის, რომლებიც ამავდროულად პასუხობს კითხვებს.

როგორ უნდა მოხდეს პრეცედენტული სამართლის ინტერპრეტაცია?

სასამართლო ძალიან იშვიათად გვთავაზობს კონვენციის დებულების ზოგად ინტერპრეტაციას. უფრო მეტიც, პრინციპული მნიშვნელობის განჩინებები და გადაწყვეტილებები ბევრი არაა. ძალიან ხშირად მსგავს განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში მხოლოდ ერთი აბზაცი, ქვეთავი ან წინადადებაა საყურადღებო, რადგან იგი ზოგადი, ანუ ევროპული სამართლის საკვანძო ასპექტს წარმოადგენს. და გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ეს ელემენტი იქნება შემდგომში სასამართლოს მიერ გამოყენებული, ზოგჯერ ძალიან ხშირადაც კი.

როგორ შევარჩიოთ პრეცედენტული სამართალი?

არჩევანი უპირველეს ყოვლისა უნდა შეჩერდეს პუბლიკაციისთვის მომზადებულ განჩინებებზე, პრეცედენტული სამართლის შესახებ წლიური ანგარიშის შესაბამის თავებზე, და საინფორმაციო ანგარიშებზე. ამ უკანასკნელის უპირატესობაა ანალიტიკური ნაწილი. უფრო მეტიც, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დიდი პალატის განჩინებებს, რადგან აქ ზოგადი პრინციპების შეჯამებაა ასახული.

როგორ შევიმუშაოთ პრაქტიკული მაგალითები პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით?

უმარტივესი გზაა მოცემული ქვეყნის იურისტებისთვის კარგად ნაცნობი სიტუაციების განხილვა და განსაკუთრებულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებისგან თავის შეკავება. ამის შემდეგ შეგვიძლია პრეცედენტული სამართალი არსებულ სიტუაციებს მოვარგოთ ყველაზე გავრცელებული, ან ხშირი გადაწყვეტების გათვალისწინებით. საბოლოოდ, ტრენინგი აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც მაგისტრატი მოსამართლეები და ადვოკატები უმეტესწილად ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ მათი ყოველდღიური საქმიანობისას.

უმარტივესი გზაა მოცემული ქვეყნის იურისტებისთვის კარგად ნაცნობი სიტუაციების განხილვა და განსაკუთრებულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებისგან თავის შეკავება. ამის შემდეგ შეგვიძლია პრეცედენტული სამართალი არსებულ სიტუაციებს მოვარგოთ ყველაზე გავრცელებული, ან ხშირი გადაწყვეტების გათვალისწინებით. საბოლოოდ, ტრენინგი აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც მაგისტრატი მოსამართლეები და ადვოკატები უმეტესწილად ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ მათი ყოველდღიური საქმიანობისას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

iv. მიზანმიმართული მიდგომა და გრძელვადიანი ვალდებულება

ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ ცნობიერების სტრუქტურული გაუმჯობესება ხშირად მიზანმიმართულ მიდგომასა და გრძელვადიან ვალდებულებას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა ტრენინგი ხშირად პროფესიაში არსებული მენტალიტეტის შეცვლას მოითხოვს. ანალოგიურად პროფესიის ყველა წევრის მოცვა შეიძლება გრძელვადიან ვალდებულებას საჭიროებდეს (რომ აღარაფერი ვთქვათ უწყვეტი სწავლების საჭიროებაზე). ამისთვის საჭიროა სხვადასხვა სასწავლო აქტივობების კოორდინაცია და სამუშაოს დუბლირების აცილება. ამ მხრივ HELP-ის პროგრამა შეიძლება დაეხმაროს ტრენინგის სფეროს ადგილობრივ ექსპერტებს.
შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მოსამართლეებისა და პროკურორების პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელმა ეროვნულმა სასწავლო ინსტიტუტებმა და ადვოკატთა ასოციაციებმა სრულად დანერგონ HELP-ის მსმენელზე მორგებული კურსები ეროვნული სასწავლო პროგრამების.

v. მულტიდისციპლინური და მულტიპროფესიული მიდგომა

იურისტები მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობენ. იურისტები სამართლებრივ სტანდარტებს (ადამიანის უფლებების სტანდარტების ჩათვლით) სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, რელიგიური და ეთიკური ასპექტების ფონზე იყენებენ. შესაბამისად, შეიძლება სასარგებლო იყოს ადამიანის უფლებათა სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს ხსენებულ მულტიდისციპლინარულ მოსაზრებებზე. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ რელიგიისთვის დამახასიათებელი წესებისა და ჩვეულებების უკეთ გაგებას. ბიოეთიკის კონტექსტში ადამიანის უფლებათა ასპექტებთან დაკავშირებული მუშაობა შეიძლება მოითხოვდეს სამეცნიერო საქმეთა მდგომარეობის საბაზისო ცოდნას. სოციალურ უფლებებზე მუშაობისას კი აუცილებელია შესაძლო ეკონომიკური ზემოქმედების შესახებ საბაზისო ცოდნა.

თავად მულტიპროფესიული მიდგომა (რომელიც მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგს მოიცავს) არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს, მაგრამ ზოგიერთი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები შეიძლება მოითხოვდეს ასეთ მიდგომას (მაგალითად, დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საკითხები ან ციხის პირობები). ასეთ შემთხვევაში, ტრენერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (მაგ. სოციალური მუშაკები ან ექიმები) სხვადასხვა ტერმინოლოგიას გამოიყენებენ.

2015 წელს HELP-ის ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეთა 93%-მა გამოთქვა მულტიდისციპლინარულ ტრენინგში მონაწილეობისადმი ინტერესი.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

პრიორიტიზაცია:

ნებისმიერ ორგანიზაციას სჭირდება მისი ტრენინგის პრიორიტეტების დადგენა შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. უბრალოდ შეუძლებელია ერთდროულად ყველა საკითხზე თანაბარი ინტენსივობით ყურადღების გამახვილება. თუმცა, ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგის კონტექსტში ზოგიერთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება სასარგებლო იყოს.

▶ ადამიანის უფლებათა საკითხების მიმოხილვა

- შეისწავლეთ ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები: რა საკითხებია წამოჭრილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოების მიერ, უნივერსალური პერიოდული გადახედვის (UPR) პროცესში, გაეროს სხვადასხვა სახელშეკრულებო ორგანოების დასკვნით დაკვირვებებში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ყოველწლიურ ანგარიშში, ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, როგორიცაა Amnesty და Human Rights Watch, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ანგარიშებში და ა.შ
-
- გამოიკვლიეთ ადგილობრივი წყაროები, ანუ რა საკითხებია წამოჭრილი ადგილობრივ პრეცედენტულ სამართალში, აკადემიურ ნაშრომებში, პოლიტიკურ დებატებში და ადამიანის უფლებათა ეროვნული ორგანიზაციების მიერ?
-
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა მთავრობის, სასამართლოს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, აკადემიური წრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ა.შ.
-
- უახლესი მედია-ანგარიშების ანალიზი.

▶ მსგავსი მიმოხილვის საფუძველზე გამოვლინდება შესაბამისი საკითხები, და მათი ჩამონათვალი მომზადდება. შემდეგ უნდა შევარჩიოთ, თუ რომელ საკითხებზე შევჩერდებით. ზოგიერთი შესაძლო კრიტერიუმი შემდეგია:

- რა საკითხებს შეეხება ადამიანის უფლებათა ერთი ან მეტი სტანდარტი;
-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- რამდენად ეფექტურია სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობა;
- საკითხის სიმძიმე;
- დაინტერესებულია თუ არა საზოგადოება საკითხის გადაჭრაში;
- შესაძლებელია თუ არა საკითხის გარშემო არსებული ყველა ფაქტის დადგენა;
- შესაძლებელია თუ არა შედეგების მიღწევა (რაც შეიძლება გულისხმობდეს საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში ჩართვას, ან სტრატეგიული სამართალწარმოების დაწყებას).

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

2. HELP როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგის ინსტრუმენტი

ა) რა არის HELP?

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით იურისტებისთვის განკუთვნილი ევროპული საგანმანათლებლო პროგრამა (HELP) მხარს უჭერს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განხორციელებაში, მინისტრთა კომიტეტის (2004)4 რეკომენდაციის შესაბამისად „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საუნივერსიტეტო და პროფესიულ განათლებაში შესახებ“.

HELP ევროპის საბჭოს მიერ სამართლებრივ სფეროში განხორციელებული ყველა სასწავლო საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტია. მისი პოლიტიკური მნიშვნელობა პირველად, 2012 წელს ბრაიტონის დეკლარაციით იქნა აღიარებული. გარდა ამისა, მას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბრუსელის დეკლარაციაში 2016 წელს, სადაც აღნიშნული იქნა სახელმწიფოებისა და სასწავლო ორგანიზაციების საერთო პასუხისმგებლობა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განხორციელების თვალსაზრისით.

HELP-ის მიზანია 47 წევრ სახელმწიფოში მოსამართლეების, ადვოკატებისა და პროკურორების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ ყოველდღიური საქმიანობისას გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მართლაც, იურისტებმა, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის მოწინავე ხაზზე დგანან, სარგებელი უნდა მიიღონ მაღალი ხარისხის ტრენინგისგან. ეს უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მუდმივად განვითარებადი სტანდარტებისა და პრეცედენტული სამართლის შესახებ.

მოკლედ რომ ვთქვათ HELP-ი არის:

1. მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების ერთადერთი პანევროპული ქსელი 47 წევრ სახელმწიფოში;

2. ადამიანის უფლებათა ელექტრონული სწავლების პლატფორმა; და

3. იურისტებისათვის ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგია.

i. მიზანი

ამგვარად, HELP-ის მიზანია ეროვნული სასაწავლო დაწესებულებების მხარდაჭერა ყველა კატეგორიის სამართლის სფეროს სპეციალისტების მომზადებაში, იქნებიან ეს ადვოკატები, მოსამართლეები თუ პროკურორები. სიტყვა "მხარდაჭერა" კარგადაა შერჩეული. მართლაც, HELP-ის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განხორციელებაზე მიმართული ეროვნული სასწავლო დაწესებულებების ძალისხმევის მხარდაჭერა და არა ჩანაცვლება. HELP-ის პროგრამა 2012 წელს შეიქმნა, როგორც სამოსამართლო განათლების საპილოტე პროგრამა ევროპის საბჭოს 12 წევრ სახელმწიფოში. თავდაპირველად პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდი ახორციელებდა 2015 წლის დეკემბრამდე. 2013 წელს პროგრამა გაფართოვდა და პროკურორებისა და ადვოკატების განათლების სფერო და ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფო მოიცვა.

ii. განვითარება

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ტრენინგის საჭიროების გათვალისწინებით, პროგრამა სწრაფად გაფართოვდა და იურიდიული პროფესიის სხვა კატეგორიები, ისევე როგორც სხვა თემებიც მოიცვა. ამჟამად ხელმისაწვდომი თემებია:

- დასაშვებობის კრიტერიუმები
- მტკიცებულების დასაშვებობა
- ანტიდისკრიმინაციული საკითხები
- თავშესაფარი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
- ბიზნესი და ადამიანის უფლებები
- ქიმიური პრეკურსორები და საერთაშორისო თანამშრომლობა ნარკოტიკების უკანონო წარმოებისა და ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში
- ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული სამართალი
- საზოგადოებრივი სანქციები და დაკავების ალტერნატიული ზომები
- სამედიცინო პროდუქტების გაყალბება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები
- განზრახ არასათანადო მოპყრობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობით
- საოჯახო სამართალი და ბავშვთა უფლებები
- გამოხატვის თავისუფლება
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა
- საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გაცნობა

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- განჩინებათა დასაბუთება
- წინასწარი გამოძიება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჭრილში
- საკუთრების სამართალი
- გარდამავალი სამართალი და ადამიანის უფლებები

დღემდე HELP-ის დახმარებით იურიდიული პროფესიის 2100 წარმომადგენელს მიეწოდა ტრენინგი. პროგრამა ფართოვდება, რათა სხვა კატეგორიის პროფესიონალები მოიცვას, მათ შორის ციხის პერსონალი. არსებული კურსები ჩაუტარდა 30 ჯგუფს, რის შედეგადაც 400 მოსამართლემ და 1650 ადვოკატმა გაიარა ტრენინგი ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საკითხებზე. 2014-2015 წლებში, 500 სერთიფიკატი გადაეცა სასწავლო კურსის წარმატებულ მონაწილეებს.

ამჟამად HELP-ი ევროპის საბჭოს ძირითადი საქმიანობის ნაწილია და იგი შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული ყველა აქტივობის ფარგლებში გამოიყენება.

HELP-ის მზარდი მნიშვნელობა სხვადასხვა პროექტების სხვადასხვა წყაროებიდან დაფინანსებას უწყობს ხელს. დღეისათვის, HELP-ი ნაწილობრივ ფინანსდება ევროპის საბჭოს სტანდარტული ბიუჯეტიდან, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი დაფინანსება ევროკავშირისგან მიღებული რესურსებიდან არის გამოყოფილი ევროკავშირის 28 წევრ ქვეყანაში HELP-ით გათვალისწინებული 4 ძირითადი თემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ესენია:

- მონაცემთა დაცვა
- შრომითი უფლებები
- პირის ხელშეუხებლობა (ბიოეთიკა)
- რასიზმის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის / ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლა.

რუსეთში, ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით HELP-მა შეიმუშავა კონკრეტული მოდულები სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულებების შეფასების და დასაშვებობის შესახებ. ეს საკითხები ხშირად წამოიჭრება რუსი მოსამართლეების, პროკურორებისა და გამომძიებლების ყოველდღიური საქმიანობისას. მოცულ საკითხებს შორისაა “აგენტი პროვოკატორები" (პოლიციის პროვოცირება), უკანონო საშუალებებით მოპოვებული მტკიცებულებები, ადვოკატის ხელმისაწვდომობა, სასამართლოში მოწმეთა გამოუცხადებლობა, წინასასამართლო პატიმრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები და ა.შ.

2016 წლის აპრილის მდგომარეობით, HELP-ის პროგრამის განხორციელება ბალკანეთში დაიწყო. პროექტი ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და რეგიონში HELP-ის დანერგვას ისახავს მიზნად პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების გამოყენებით.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ბ) როგორ მუშაობს HELP-ის პროგრამა

HELP-ი წარმოადგენს ეროვნული სასწავლო ინსტიტუტებისა და ადვოკატთა ასოციაციების ქსელს. HELP-ის საქმიანობის განხორციელებაში მას მხარს უჭერენ სხვადასხვა უწყებები.

i. ქსელი

HELP-ის ქსელი ადამიანის უფლებათა ერთადერთი პანევროპული, თანასწორთა განათლების ქსელია. იგი შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს მოსამართლეთა და პროკურორების ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების (NTIs) და ადვოკატთა ასოციაციების (BAs) წარმომადგნელებისგან.

HELP-ის ქსელს ავალია 2012 წლის ბრაიტონის დეკლარაციის 9.vi პუნქტის განხორციელება, რის საფუძველზეც HELP-მა უნდა:

- ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ინტერპრეტაციის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების შესახებ იურისტების თავდაპირველი და უწყვეტი სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას;
- უზრუნველყოს საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და იურისტებისათვის სასწავლო პროგრამების, ტრენინგისა და ტრენინგის მეთოდოლოგიების შესახებ რეკომენდაციების გაცემა, გამოავლინოს მომავალი სასწავლო საქმიანობის პრიორიტეტული თემები;
- უზრუნველყოს რჩევები, რათა წევრმა სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ სათანადო ტრენინგის საშუალებით, ადგილობრივ დონეზე მხარი დაუჭირონ მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების შესაძლებლობების გაძლიერებას, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები;
- უზრუნველყოს რჩევები ადვოკატთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რათა მათ უფრო ეფექტურად დაიცვან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი განაცხადების დასაშვებობის კრიტერიუმები, რითაც გაიზრდება სათანადოდ დასაბუთებული განაცხადების ხარისხი;
- უზრუნველყოს იურისტების მიერ HELP-ის სასწავლო რესურსების ფართო ცოდნა და გამოყენება;
- ხელი შეუწყოს გაუმჯობესებულ კოორდინაციას საერთაშორისო და ეროვნულ ინსტიტუტებს შორის ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისთვის სასწავლო ტრენინგის ინიციატივების შესახებ.

2015 წლის მარტში, მაღალი დონის კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა თემას - "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესრულება, ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“, წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა: „პარლამენტის წევრთა ცნობიერების ამაღლების ძალისხმევის გაძლიერება და მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და ადგილობრივი თანამდებობის პირებისათვის კონვენციის და მისი განხორციელების, მათ შორის განჩინებათა აღსრულების შესახებ ტრენინგის გაუმჯობესება კონვენციის მოთხოვნების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში ინტეგრირების გზით, მათ შორის, ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამისა და სასამართლოს სასწავლო პროგრამებისა და მისი პუბლიკაციების საშუალებით". ქსელის წევრები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან სტრასბურგში HELP-ის ყოველწლიური კონფერენციის განმავლობაში, რათა განიხილონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თაობაზე სწავლებასთან დაკავშირებული საჭიროებები და შეიმუშაონ მომავალი საქმიანობის სამოქმედო გეგმა. ამ განხილვებისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე ხდება HELP-ის სასწავლო კურსებისა და ინიციატივების შემუშავება.

სამუშაო მეთოდები

HELP-ის ქსელი თავის საქმიანობას HELP-ის სამდივნოსთან კოორდინაციით ახორციელებს.

შეხვედრები ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ, ევროპის საბჭოს ოფისში, სტრასბურგში იმართება. ქსელის შეხვედრები შემდეგნაირადაა ორგანიზებული:

პლენარული სხდომა: 94 წევრი (150 პარტნიორი და დამკვირვებელი) წელიწადში ერთხელ ორდღიანი შეხვედრა. HELP-ის ყოველწლიური კონფერენცია შემდეგ შესაძლებლობებს იძლევა:

- 47 წევრი ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება იურისტებისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების, ისევე როგორც ტრენინგის მეთოდოლოგიის საკითხებში (ტრენინგის გავლენისა და შედეგების შესაფასებლად ახალი ინსტრუმენტების შემუშავების ჩათვლით);
- 47 წევრ სახელმწიფოში იურისტებისათვის ტრენინგის საჭიროებების ფართომასშტაბიანი შეფასების შესაძლებლობა;
- მომდევნო წლის სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება (პრიორიტეტული თემების იდენტიფიკაცია, მრავალეროვანი და მულტიდისციპლინური სასწავლო ინიციატივები და ა.შ.).

HELP-ის პარტნიორები

- სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი (EJTN)
- მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციები
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭო (CCBE)
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციების ფედერაცია (FBE)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
- მოსამართლეებისა და პროკურორების ეროვნული ასოციაციები
- ადვოკატთა პროფესიული ასოციაციები
- ადამიანის უფლებებზე სპეციალიზებული სამართლებრივი დახმარების ქსელები და იურიდიული კლინიკები
- ალბერტ კოენის სახელობის ფონდი

HELP-ის სამდივნო ქსელთან მისი საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრების საშუალებით ურთიერთობს. ისინი უზრუნველყოფენ კავშირს HELP-ის სამდივნოსა და ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებს შორის. ცენტრები მოქმედებენ, როგორც საკონტაქტო პუნქტები ადამიანის უფლებათა სწავლებასთან დაკავშირებით მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის (საკოორდინაციო ცენტრი) ან ადვოკატებისათვის (საინფორმაციო ცენტრი).

საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრები რეგულარულ შეხვედრებს ატარებენ შესაბამის ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებთან, მოსამართლეთა და პროკურორების ადამიანის უფლებათა სასწავლო საჭიროებების შეფასებაში მხარდაჭერის მიზნით. ისინი ატარებენ პრეზენტაციებს, რათა გააცნონ HELP-ის პროგრამა მათ კოლეგებს, HELP-თან დაკავშირებულ ინფორმაციასა და სასწავლო მასალებს შესაბამის ეროვნულ ენაზე ტვირთავენ სისტემაში და მონაწილეობენ HELP-ის ყოველწლიურ კონფერენციაში.

HELP-ის საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ HELP-ის სამდივნოსთან და წარადგენენ წლიურ ანგარიშებს.

HELP-ის საკონსულტაციო საბჭოს მოქმედი წევრების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხ. ჩვენი ვებგვერდი.

საკონსულტაციო საბჭო

HELP-ის საკონსულტაციო საბჭო HELP-ის ქსელის მიერ დანიშნული ორგანოა, რომელიც რეგულარულ საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევს HELP-ის სამდივნოს.

საბჭო ექვსი წევრისგან შედგება, რომლებიც HELP-ის ქსელის წარმომადგენლებისგან ინიშნებიან. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში უნდა იყოს HELP-ის პროგრამაში მონაწილე იურიდიული პროფესიის (მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები) თითოეული კატეგორიის სასწავლო ინსტიტუტის სულ მცირე ერთი წარმომადგენელი.

საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება HELP-ის ქსელის ყოველწლიურ კონფერენციაზე ფარული კენჭისყრის საშუალებით. საბჭოს წევრად აირჩევა პირველი ექვსი კანდიდატი, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებენ.

საკონსულტაციო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა ორი წელია. შესაძლებელია საბჭოს წევრის უფლებამოსილების ერთხელ განახლება.

საკონსულტაციო საბჭოს წევრებს შეუძლიათ კონკრეტულ თემებზე მომხსენებლების დანიშვნა. საკონსულტაციო საბჭო წლიური საქმიანობის ანგარიშს HELP-ის ქსელის ყოველწლიურ კონფერენციაზე წარმოადგენს.

საკონსულტაციო საბჭო:

- აფასებს HELP-ის პროგრამის მიერ შემუშავებულ სტანდარტულ სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო მასალებს;
- HELP-ის ქსელს სთავაზობს მომავალი სასწავლო საქმიანობის პრიორიტეტულ თემებს;
- განსაზღვრავს შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ მოთამაშეებს შორის ადამიანის უფლებათა ტრენინგის კოორდინაციის, მათ შორის რეგიონალური ინიციატივების განვითარების საერთო სტრატეგიას;
- აწვდის რეკომენდაციებს იურისტების ტრენინგის მეთოდოლოგიების შესახებ;
- თანამშრომლობს HELP-ის სარედაქციო პერსონალთან (HELP-ის სარედაქციო პერსონალი შედგება სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სწავლების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ვებკომუნიკაციის ექსპერტებისგან. იგი ინიშნება HELP-ის სამდივნოს

საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრების სიის ნახვა შესაძლებელია ჩვენ ვებგვერდზე.

მიერ და პასუხისმგებელია HELP-ის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელებაზე, HELP-ის ვებგვერდზე საინფორმაციო და სასწავლო მასალების გამოქვეყნებასა და გადახედვაზე);

- აწვდის რეკომენდაციებს HELP-ის ქსელისა და მისი სამდივნოს მიერ განსაზღვრულ სხვა დამატებით სპეციფიკურ საკითხებზე; და
- ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს HELP-ის ქსელისთვის.

სარედაქციო საბჭო

HELP-ის სარედაქციო საბჭო შედგება სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სწავლების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ვებკომუნიკაციის ექსპერტებისგან. იგი ინიშნება HELP-ის სამდივნოს მიერ და პასუხისმგებელია HELP-ის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელებაზე და HELP-ის ვებგვერდებზე საინფორმაციო და სასწავლო მასალების გამოქვეყნებასა და გადახედვაზე. იგი იძლევა რეკომენდაციებს HELP-ის საქმიანობისა და ინიციატივების განვითარების შესახებ.

HELP-ის სამდივნო ამჟამად შედგება ხელმძღვანელის, პროექტის მენეჯერისა და პროექტის ასისტენტისგან. ასევე პროექტში „HELP 28 ქვეყანაში“ წარმოდგენილნი არიან პროექტის მენეჯერი და პროექტის ასისტენტი.

სამდივნო პასუხისმგებელია მეთოდოლოგიის ჰარმონიზებაზე ყველა იმ საქმიანობაში, სადაც HELP-ის სასწავლო მეთოდოლოგია და რესურსები გამოიყენება. იგი ასევე ხელმძღვანელობს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების ორგანიზებას, რომელთა მიზანია HELP-ის კურსების შემუშავება. სამდივნოს ორგანიზებით იმართება HELP-ის ყოველწლიური კონფერენცია და HELP-ს ტრენინგი ტრენერებისათვის. იგი ასევე ზედამხედველობს ტრენერების შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესს. ყველა სერტიფიკატი იბეჭდება და ვრცელდება სამდივნოს მიერ.

HELP-ის სამდივნოს სხვა ძირითადი პასუხისმგებლობები მოიცავს HELP-ის რესურსების თვისობრივ განახლებას, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, HELP-ის პარტნიორებთან კოორდინაციას, მათ შორისაა სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭო და ტრენინგის სხვა საერთაშორისო მომწოდებლები, ისევე როგორც ევროპის საბჭოს მონიტორინგის და სტანდარტის განმსაზღვრელი უწყებები.

HELP-ის სამდივნო ასევე უზრუნველყოფს HELP-ის ქსელის ფუნქციონირებას პარტნიორ ინსტიტუტებში საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრებთან (იხ. ზემოთ) რეგულარული კონტაქტის საშუალებით. ამავდროულად, ელექტრონული სწავლების პლატფორმის საშუალებით, იგი მხარს უჭერს დისტანციური სწავლების კურსების შემუშავებასა და წარმართვას და უზრუნველყოფს HELP-ის პლატფორმაზე ხელმისაწვდომი მასალების რეგულარულ განახლებას.

ii. ელექტრონული სწავლების პლატფორმა

მსოფლიოში, სადაც ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და ადამიანები ყოველთვის ეძებენ სწრაფ და ადვილად ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ელექტრონული სწავლება ტრენინგისადმი მიდგომის საუკეთესო გადაწყვეტას გვთავაზობს. რა თქმა უნდა, იგი ყველა სიტუაციაში ვერ ჩაანაცვლებს ტრადიციულ პირისპირ ტრენინგს, თუმცა შეიძლება მისი დამატება გახდეს. ზოგიერთ შემთხვევაში ელექტრონული სწავლება შეიძლება დამოუკიდებლად ხორციელდებოდეს, თუმცა ასევე შესაძლებელია მისი როგორც ინსტრუმენტის გამოყენება სწავლების შერეული მიდგომის შემთხვევაში.

ტექნოლოგია:

- ***ზრდის ტრენინგის ხელმისაწვდომობას;***
- ***ხელს უწყობს მსმენელის მონაწილეობას;***
- ***ხელს უწყობს ხანგრძლივი, ავტონომიური სწავლის განვითარებას;***
- ***იყენებს ფართო სპექტრის რესურსებს, რითაც აძლიერებს მსმენელის სწავლას; და***
- ***აღიარებს, თუ სად შეუძლია ტექნოლოგიას სწავლისა და სწავლების გაძლიერება;***

რატომ ელექტრონული სწავლება?

HELP-ის მეთოდოლოგია და ელექტრონული სწავლების გამოყენება ითვალისწინებს იურისტების დროის თვალსაზრისით დაძაბულ ყოველდღიურ საქმიანობას. მის დამატებით ღირებულებას წარმოადგენს ინდივიდუალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამა, რომელიც მსმენელის კონკრეტული სასწავლო საჭიროებებს და სწავლის ინდივიდუალურ ტემპს ერგება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ იგი მოქნილობის საშუალებას იძლება.

გარდა ამისა, ელექტრონული სწავლების გამოყენება რაც შეიძლება მეტ წევრ სახელმწიფოში იურისტების მაქსიმალურ რაოდენობაზე წვდომის რენტაბელურ საშუალებას იძლევა.

HELP-ის პროგრამა ახორციელებს “ტრენერთა ტრენინგს” ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების მიერ პროცესის ფლობის გაზრდის მიზნით (იხ. ნაწილი 2, საფეხური 2, სექცია ბ). HELP-ის სამდივნოს მიერ ორგანიზებული “ტრენერთა ტრენინგი” შერეული სასწავლო მიდგომის კარგი მაგალითია. იგი სასწავლო მეთოდოლოგიისა

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

და შინაარსის მომზადების ეტაპზე იყენებს ელექტრონული სწავლების პლატფორმას, რასაც მოჰყვება 2-3 დღიანი პირისპირ ტრენინგი. ხოლო შემდეგ, შეფასებისა და უკუკავშირისათვის კვლავ გამოიყენება ელექტრონული სწავლების პლატფორმა. შესაბამისად, ხდება ტრენინგის ოპტიმიზირება ელექტრონული სწავლების საშუალებით.

ელექტრონული სწავლება - როგორ?

HELP-ის პროგრამის მიერ შემუშავებულ და შეგროვებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ სასწავლო რესურსების ფართო სპექტრი. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ონლაინ და ნათარგმნია ბენეფიციარი ქვეყნების ეროვნულ ენებზე. იგი სწრაფად ვითარდება მასშტაბისა და რაოდენობის თვალსაზრისით, რათა უპასუხოს იურისტების წინაშე არსებულ გამოწვევას მისდიონ სტრასბურგის სასამართლოს ექსპანსიურად განვითარებად პრეცედენტულ სამართალს. HELP-ის პროგრამა ასევე წარმოადგენს პლატფორმას, სადაც იურისტები შეძლებენ თვალი მიადევნონ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას ადვილად ხელმისაწვდომი განახლებების საშუალებით.

არსებობს HELP-ის სასწავლო რესურსების ორი ძირითადი ტიპი:

- დისტანციური სწავლების კურსები - ხელმისაწვდომია იურისტების შერჩეული ჯგუფებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ სერტიფიცირებული ადგილობრივი ტრენერების მიერ წარმართულ საპილოტე კურსებში (ჩამონათვალი იხ. ვებგვერდზე). ხელმისაწვდომი კურსების ჩამონათვალი და აღწერა ხელმისაწვდომია კურსების კატალოგში.

- დამოუკიდებელი სასწავლო რესურსები - ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის, რომელსაც ანგარიში აქვს გახსნილი ჩვენს პლატფორმაზე. რესურსები მოიცავს სასწავლო ლიტერატურას, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეთოდოლოგიასა და ძირითად კონცეფციებზე, ასევე სახელმძღვანელოებს, სტანდარტულ კურიკულუმებს, კურსის მონახაზებს, პრეზენტაციებს, პრაქტიკულ მაგალითებსა და ელექტრონული სწავლების კურსებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლებისა და თემების შესახებ.

წარმატების ისტორია

ესპანეთის ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული დიდი ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა HELP-ის სასწავლო კურსი თავშესაფრის შესახებ. “ლტოლვილთა კრიზისის” საპასუხოდ ესპანეთის ადვოკატთა ასოციაციამ 100-მდე ადვოკატისთვის ჩაატარა სემინარი მადრიდში. 800-მდე ადვოკატი თვალს ადევნებდა ღონისძიებას ონლაინ. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგის მიერ წარმართულ კურსში მონაწილეობას მხოლოდ 25 ესპანელი იურისტი შესძლებს, განზრახულია სასწავლო კურსის მასალების ნებისმიერი დაინტერესებული ესპანელი ადვოკატისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დამოუკიდებელი სასწავლო მასალების სახით.

---

iii. HELP-ის მეთოდოლოგია

HELP-ი ერთადერთი, ნამდვილი პანევროპული ქსელია, რომელიც 47 წევრი ქვეყნის ეროვნულ სამოსამართლო სასწავლო ინსტიტუტებსა და ადვოკატთა ასოციაციებს აერთიანებს. HELP-ის ქსელის წევრები ერთობლივად მუშაობენ ტრენინგის საჭიროებების შესაფასებლად და შესაბამისი სასწავლო მასალის წარმოსადგენად.

HELP იყენებს "à la carte" ინდივიდუალურ მიდგომას, რათა არსებული სასწავლო კურსები ეროვნულ სასწავლო სისტემას მოარგოს. თავდაპირველად ხდება სასწავლო საჭიროებების შეფასების საფუძველზე კურსების ინგლისურ ენაზე („კურსის მოდელი“) შემუშავება. სასწავლო საჭიროებების შეფასება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე ტარდება HELP-ის ყოველწლიური კონფერენციის დროს. კურსი ადაპტირებულია ეროვნული სამართლებრივი სისტემის საჭიროებებსა და სამიზნე აუდიტორიაზე.

ადაპტაციის უზრუნველსაყოფად, HELP ამზადებს ტრენერებს „ტრენერთა ტრენინგის“ პროგრამის ფარგლებში, რათა შეიქმნას პროგრამის ძლიერი ეროვნული ფლობა. ეს აძლიერებს იმ ფაქტს, რომ HELP-ის მიზანია ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების ძალისხმევათა მხარდაჭერა და არა მათი ჩანაცვლება.

HELP-ის სასწავლო მოდულების ახალი მახასიათებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ კანონმდებლობასთან შერწყმა. თითოეული ეროვნული კურსი განსხვავებული და მორგებულია. ასევე განსხვავდება პრეცედენტული სამართლის წარმოდგენილი შემთხვევები და სხვა ეროვნული სასწავლო რესურსები.

HELP-ი იყენებს ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა ინტერაქტიული დისტანციური სწავლება. ეს ფართო აუდიტორიაზე გასვლის და შეზღუდული რესურსებით მეტი იურისტის მომზადების საშუალებას იძლევა.

წარმატების ისტორია

საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაცია პარიზში HELP-ის შესავალი კურსის შერეულ სწავლების ვერსიას იყენებს თავდაპირველ სასწავლო პროგრამაში ადვოკატებისათვის. დღემდე, დაახლოებით 2000 ადვოკატის მომზადება მოხდა ხსენებული კურსის საშუალებით. ყოველ სემესტრში, დამატებით, დაახლოებით 200 ადვოკატის მომზადება იგეგმება.

საკვანძო საკითხი

გაიგეთ მეტი: ნახეთ ვიდეო HELP-ის შესახებ, ხელმისაწვდომია HELP-ის ვებგვერდზე:
http://helpcoe.org/

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ნაწილი 2: HELP-ის კურსი: შემუშავებიდან შეფასებამდე

საფეხური 1: რა უნდა იცოდეთ

ტრენინგის შემუშავებისას არსებობის მთელი რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ტრენინგის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. პირველი საფეხურია გავარკვიოთ, თუ რამდენად რელევანტურია ტრენინგი. ეს ხორციელდება სასწავლო საჭიროებების შეფასებით, რაც თავის მხრივ გვეხმარება ტრენინგის სასწავლო მიზნების განსაზღვრაში (საერთო და კონკრეტული).

ა) საჭიროებების შეფასება

აუცილებელია ორგანიზაციის, ისევე როგორც "მსმენელთა" საჭიროებების გათვალისწინება. ამ სახელმძღვანელოში გამოიყენება ტერმინები: "საერთო მიზნები" (OOs) (ზოგჯერ მოიხსენება, როგორც "მიზნები); და "სასწავლო მიზნები" (Los) ზოგჯერ მოიხსენება, როგორც "სწავლის მოსალოდნელი შედეგები" ან "კონკრეტული სასწავლო მიზნები".

i. ორგანიზაციისა და მისი წევრების სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა

საერთო მიზნების განსაზღვრა ტრენინგის შემუშავების პირველი და უმნიშვნელოვანესი საფეხურია. იგი დაგეგმვის ეტაპზე საერთო მიზნის გაგებას უზრუნველყოფს. ხშირად ტრენინგის საერთო მიზნები მომდინარეობს ინსტიტუციონალური გარემოდან (მაგ. ახალი კანონმდებლობა, არახელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილება ან უნარების ნაკლებობა). ამ შემთხვევაში, ორგანიზაციას შეუძლია ზოგადი ან კონკრეტული სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების ან ნაკლოვანებების გამოვლენის საფუძველზე.

თუმცა, სასწავლო მიზნების განსაზღვრისას ასევე სასარგებლოა მსმენელთა სასწავლო საჭიროებებზე ინფორმაციის თავად სამიზნე აუდიტორიის წევრებისგან მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო მიზნების შესახებ მსმენელის აზრის გაგება სასარგებლოა (რამდენადაც ის აძლიერებს აღქმას, რომ ტრენინგი რელევანტურია), ეს გარკვეული რისკების მატარებელია. ტრენერებსა და მსმენელებს შეიძლება განსხვავებული სურვილები ჰქონდეთ, რომლებიც არ შეესაბამება ორგანიზაციის საჭიროებებს. წარსულში, მომატებული ყურადღება ექცეოდა მსმენელთა სასწავლო საჭიროებების გამოვლენას. თუმცა ყოველთვის ნათელი არ იყო, რამდენად შეესაბამებოდა ეს ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს. მას შემდეგ, რაც ორგანიზაციები ცდილო-

ბენ ორგანიზაციული საჭიროებებისა და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების შესაბამისობაში მოყვანას, სულ უფრო მეტად ხდება ხსენებულ ორ ასპექტს შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობის გაცნობიერება.

პირველი ნაბიჯია იმის განსაზღვრა, თუ რა მიზანს ემსახურება ტრენინგი. საერთო მიზნების განსაზღვრისას ორგანიზაციის და თითოეული პოტენციური მსმენელის საჭიროებები შეჯერება უნდა მოხდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მიწოდებული ტრენინგის რელევანტურობა და მისი ასეთად აღქმა ტრენერებისა და მსმენელების მიერ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია როგორც სამიზნე აუდიტორიის, ასევე ორგანიზაციის სასწავლო საჭიროებების გათვალისწინება. იმ გარემოს "სკანირება" (ანალიზი), რომელშიც კონკრეტული ორგანიზაცია ფუნქციონირებს თავად წარმოაჩენს პოტენციურ სასწავლო საჭიროებებს. ხშირად ტრენინგის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები უფრო მზად იქნებიან მსგავსი ანალიზის განსახორციელებლად. რაც გულისხმობს, რომ ორგანიზაციამ უნდა დაიწყოს ამგვარი საჭიროებების განსაზღვრის მეთოდების შემუშავება და ტრენინგზე პასუხისმგებელი პირებისათვის მათი გაზიარება.

ორგანიზაციული საჭიროებების გამოვლენა –სასწავლო საჭიროებების შეფასების პირველი დონე

სასწავლო საჭიროებების გამოვლენის ყველაზე აშკარა საშუალებაა ტრენერების მიერ ორგანიზაციული და (სავარაუდო) მსმენელის საჭიროებების შეფასებაში წამყვანი როლის შესრულება. ეს ორ ელემენტს მოიცავს:

• გამოავლინეთ საკითხები, რომლებიც აფერხებენ ორგანიზაციის მიერ მისი ფუნქციების უფრო ეფექტურ შესრულებას (არსებულ კონტექსტში ერთგვაროვნად გამოიყენოს ადამიანის უფლებათა სტანდარტები)

o ადგილი აქვს ადმინისტრაციულ ცვლილებებს, რომლებიც მოითხოვს ტრენინგის ჩატარებას - მაგ. ციხეების მონიტორინგის სფეროში ამჟამად არსებული პასუხისმგებლობების რეორგანიზაცია?

o საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, ან იგეგმება, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა ტრენინგების ჩატარება?

o მიიღო ეროვნულმა უზენაესმა სასამართლომ ან სტრასბურგის სასამართლომ არახელსაყრელი გადაწყვეტილება, რაც მიგვანიშნებს ხარვეზებზე

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის გააზრებაში?

o ორგანიზაცია განიცდის სისტემურ, პროცედურულ პრობლემებს, მაგ. "გონივრულ ვადებში" გადაწყვეტილებათა გამოტანის პრობლემა?

• გამოავლინეთ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომელთანაც შეიძლება დაგჭირდეთ კონსულტაციების გავლა, ან მათი დაგეგმვაში ჩართვა. ორგანიზაციის ყველა იმ წევრის ჩართვა კონსულტაციებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თქვენს მიერ შემოთავაზებული, ან გადასინჯული სასწავლო კურსებისა და პროგრამების მიწოდებას, უაღრესად მნიშვნელოვანია მათ მიერ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

HELP-ის სამდივნო ყოველწლიურად ტრენინგის საჭიროებების ფართომასშტაბიან შეფასებას ახორციელებს HELP-ის ქსელის ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში, რომელიც სტრასბურგში ტარდება ივნისის თვეში. ეს HELP-ის პლატფორმაზე არსებული ონლაინ კითხვარის საშუალებით, ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების ყველა ეროვნული სასწავლო დაწესებულების პრიორიტეტული საკითხების გამოვლენის შესაძლელობას იძლევა.

გარდა ამისა, HELP-ის სამდივნო ახალ თემებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიახლეებისა და სტრასბურგის სასამართლოს განჩინებათა აღსრულებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის რეკომენდაციების საფუძველზე წარმოადგენს.

სამიზნე აუდიტორიის კარგად შესწავლა – სასწავლო საჭიროებების შეფასების მეორე დონე

მეორე დონის ტრენინგის საჭიროებების შეფასება ხორციელდება HELP-ის კურსის პირველ საორგანიზაციო შეხვედრაზე, და ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ ეროვნული სასწავლო ინსტიტუტები, ან ადვოკატთა ასოციაცია, რომლებიც პასუხისმგებელია კურსის განხორციელებაზე. ეს მსმენელთა კონკრეტული ჯგუფის სასწავლო საჭიროებების გამოვლენის საშუალებას იძლევა, რაც HELP-ის სასწავლო პროგრამების ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ადაპტაციაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ტრენერის ამოცანაა.

გამოავლინეთ თქვენი პოტენციური მსმენელები და მათი სავარაუდო პროფილი. ეს ასევე დაეხმარება კონკრეტული სასწავლო საჭიროებების გამოვლენაზე პასუხისმგებელ პირებს.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

რა სახის პროფესიული თუ ორგანიზაციული გამოცდილება აქვთ მსმენელებს?

• სავარაუდო, რა კვალიფიკაციის მქონე მსმენელები იქნებიან წარმოდგენილნი?

• რა სახის და ხანგრძლივობის სამუშაო გამოცდილება ექნება მსმენელს?

• რა ცოდნა/უნარები დასჭირდებათ მათ ტრენინგში მონაწილეობის და შესაბამისი სარგებლის მისაღებად?

როგორც შესავალში იქნა აღნიშნული, მნიშვნელოვანია კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის კონკრეტული საჭიროებების გამოვლენა; კერძოდ, მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, სახელმწიფო მოხელეები და სპეციალისტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებში, ომბუდსმენის აპარატში თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ.

ii. სასწავლო საჭიროებების გამოვლენა ეფექტურობის შეფასების გზით

საერთო მიზნების განსაზღვრის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციის საჭიროებები და სურვილები აისახება მსმენელების სასწავლო საჭიროებებში. ასეთ შემთხვევაში ტრენინგი რელევანტური და სავარაუდოდ, უფრო ეფექტური იქნება.

საერთო მიზნების განსაზღვრის ყველაზე მარტივი გზაა ტრენინგის ადრეულ ეტაპზე პოტენციური სამიზნე აუდიტორიის ჩართვა. ჩართეთ ის პირები, რომლებიც პასუხიმგებელი არიან ტრენინგის ჩატარებაზე, იქნება ეს მოცემული თემატიკის შესახებ ტრენინგის მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება, პოტენციურ მსმენელებთან კონსულტაციები, ან მათი უფრო აქტიური ჩართვა პროგრამებისა და კურსების შექმნის პროცესში. მოცემული მიდგომა გვთავაზობს გზას, რომლის საშუალებითაც ორგანიზაცია აცნობიერებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოს მსმენელს იმ სასწავლო საჭიროებების გამოვლენაში, რომლებიც შესაბამისობაშია მის ორგანიზაციულ მიზნებთან. აქ სწავლება მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების საშუალებაა - იქნება ეს მოსამართლეების, პროკურორების თუ იურისტების მიერ მიწოდებული მომსახურება. ეს უნდა მოიაზრებოდეს როგორც სასწავლო საჭიროებების "სკანირების" მეთოდის დამატებითი საშუალება.

სწორედ ამიტომ HELP-ის სამდივნო სხვადასხვა იურიდიული სფეროების წარმომადგენლებს იწვევს სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც HELP-ის კურიკულუმების მოდელის შემუშავებაზე არიან პასუხისმგებელი.

საქმიანობის ეფექტურობა ასევე შეიძლება დადგენილი კრიტერიუმების საშუალებით შეფასდეს (მაგალითად, მოსალოდნელი კომპეტენციების განსაზღვრა), რაც ორივე

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მხარეს იმ სფეროების გამოვლენის საშუალებას მისცემს, რომელთა გაძლიერებაა საჭირო, მათ შორის, ტრენინგის საშუალებით. ყოველივე ეს ორგანიზაციული და ინდივიდუალური საჭიროებების შეჯერებას უწყობს ხელს: მოსალოდნელი კომპეტენციების განსაზღვრა ეხმარება შედეგების შეფასებაში თვით-მონიტორინგისა და თანასწორთა მონიტორინგის გზით.

არსებული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დადგენილ კომპეტენციებთან შედარების პროცესს ჩვეულებრივ "შეფასებას" ან "შესრულებისა და განვითარების გადასინჯვას" ("P&DR") უწოდებენ. P&DR პროცესის მიზანია საქმიანობის ეფექტურობის მაქსიმალური გაზრდა, რათა მოხდეს სამუშაოთი კმაყოფილების, განვითარების შესაძლებლობებისა და პოტენციური კარიერული ზრდის მიღწევა. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც პერსონალური განვითარების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერითა და მათი ურთიერთდაკავშირების გზით მიიღწევა. ეს ასევე უზრუნველყოფს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ტრენინგის მეტ მხარდაჭერას. ამგვარად, მოსამართლეთა განათლების ინსტიტუტები განიხილება, როგორც ეფექტური და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილი, და არა როგორც სასარგებლო, თუმცა არასავალდებულო დამატება.

"კომპეტენციები" ისეთ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ წარმატებას. კომპეტენციათა წყება შეიძლება გამოყენებული იქნას მიღწევების სადემონსტრაციოდ და სასწავლო მიმართულებების განსაზღვრისათვის, რაც ეხმარება ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრაში სწავლისა და განვითარების საჭიროებების კონტექსტში.

კომპეტენციები ასევე სასარგებლოა ცალკეული პირების კარიერული განვითარებისათვის. კომპეტენციები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, თუ რა უნარ-ჩვევები, ცოდნა და ქცევაა საჭირო თითოეულ დონეზე. კომპეტენციები გვიჩვენებს, თუ როგორ შეგვიძლია კარიერის განვითარება ამჟამინდელი უნარ-ჩვევების გაძლიერებით. ამგვარად, თანამშრომლებმა იციან, თუ რას მოელიან მათგან და მათ ხელთ გააჩნიათ ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მათ გამოავლინონ კარიერული წინსვლის, ან სხვა სამსახურში გადასვლისთვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები. საქმიანობის ეფექტურობის განხილვისას თანამშრომლების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გააჩნიათ ნათელი, სამართლიანი და ობიექტური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მათ თანამშრომლების სამუშაო მიზნების განსაზღვრაში. გარდა ამისა, ეს ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს საქმიანობის ეფექტურობაზე უკუკავშირის მიწოდებისას გამოიყენოს შეჯერებული და დამკვიდრებული ტერმინები და განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო ან განვითარების საჭიროებები, ისევე როგორც ამისთვის საჭირო რესურსები, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობა უკეთ

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

შეუწყობს ხელს თანამშრომლების განვითარებისა და ტრენინგის სტრუქტურის ჩამოყალიბებას.
ადაპტირებულია: ძირითად კომპეტენციათა ჩარჩო, სახელმძღვანელო ბუკლეტი (იუსტიციის სამინისტრო) <https://www.justice.gov.uk/downloads/jobs/competency-framework/core-competence-guidance-booklet.pdf> ბოლო წვდომა 2016 წლის 25 მაისს.

HELP-ი ეფექტურობის შეფასებას რამდენიმე ფაქტორზე ამყარებს, მათ შორისაა მსმენელის ეფექტურობისა და მონაწილეობის HELP-ის სერტიფიცირებული ტრენერის მიერ შეფასება.

სასწავლო კურსების შემუშავება ასევე მოიცავს საწყის და საბოლოო შეფასებას, რაც მსმენელის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების შეფასების საშუალებას იძლევა.

თუ ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებს სურთ მსგავსი სისტემის დანერგვა, გასათვალისწინებელია, რომ ეფექტურობის შეფასება სამ საფეხურს ითვალისწინებს:

1. პირველი ამოცანაა შეიქმნას სქემა, რომელიც ორგანიზაციული საჭიროებების გათვალისწინებით თანამშრომლებს მოსალოდნელი შესრულების მაჩვენებლების უკეთ გაგების საშუალებას მისცემს. უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის "მისია" და შესრულების მოსალოდნელი შედეგები (ანუ "კომპეტენციები"), რის შედეგადაც თანამშრომლები კარგად უნდა იყონ ინფორმირებული. ამის მრავალი მაგალითი არსებობს.

2. შემდეგ, აუცილებელია ყოველი თანამშრომლის რეალური შესრულების მაჩვენებლის გაზომვა მოსალოდნელ შესრულების მაჩვენებელთან შედარების გზით. ეს შეიძლება განხორციელდეს თვითშეფასების, ან შესრულების ეფექტურობის საზომების გამოყენების გზით, რაც ნაკლოვანებების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ეს სხვადასხვა მიზნების მიღწევისთვის ხდება, რაც ხელმძღვანელ პირებს საშუალებას აძლევს:

- შეაფასონ შესრულების შედეგები და აღიარონ ის წარმატებები, რაც წინა წლის განმავლობაში იქნა მიღწეული;
- გამოავლინონ და შეათანხმონ ინდივიდუალური მიზნები/შესრულების სტანდარტები, რომლებიც ორგანიზაციის გეგმასთან იქნება შეჯერებული; ეს შეიძლება გულისხმობდეს იმ გამოწვევათა გამოვლენას, რომელთა დაძლევაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად
- გამოავლინონ ის სფეროები, სადაც აუცილებელია/მოთხოვნილია და დაგეგმილია სწავლა ან/და განვითარება;
- გადასინჯონ სამუშაო ფუნქციები და პასუხისმგებლობები ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების კონტექსტში.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

3. ბოლო ეტაპი გულისხმობს თანამშრომლების სასწავლო საჭიროებების გამოვლენის შედეგად მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სისტემის შექმნას, რომელიც ორგანიზაციას საშუალებას მისცემს რეგულარულად გამოავლინოს სასწავლო საჭიროებები. ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ სასწავლო საჭიროებებს: მაგალითად, მოსამართლეებმა შეიძლება გამოავლინონ, რომ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე წვდომის საჭიროების გათვალისწინებით, აუცილებელია ჩატარდეს ტრენინგი, რომელიც ყველა მოსამართლის უნარების გაუმჯობესებაზე იქნება მიმართული; მეორეს მხრივ, საოჯახო სამართალში სპეციალიზებულმა მოსამართლემ შეიძლება მიიჩნიოს, რომ საჭიროა ახლგაზრდა სპეციალისტების ცოდნის ამაღლება საოჯახო დავებთან დაკავშირებული სამართლისა და ამასთან დაკავშირებული ტექნიკებისა და ევროპული სტანდარტების თაობაზე შესაბამისი ტრენინგების ჩატარების გზით.

შესაბამისად, ყოველწლიური P&DR პროცესის ძირითად შედეგი იქნება განვითარების გეგმა, რომელიც შეჯერებულია როგორც ინდივიდუალურ, ასევე ორგანიზაციულ მიზნებსა და ამოცანებთან. გეგმაში გათვალისწინებული იქნება არსებული ცოდნა და უნარები, როლი და სამომავლო განვითარების საჭიროებები. გეგმა შეიძლება მოიცავდეს განვითარების სფეროებს და დასახული დონის მიღწევის გზებს (მაგ. მხარდაჭერა, სემინარები, ტრენინგი სამსახურისგან მოუწყვეტლად, მენტორობა).
შესაბამისი ეფექტურობის ინდიკატორი: შეუძლია სამართლებრივი ჩარჩოს, სასამართლოს იურისდიქციისა და პროცედურების ზუსტი აღწერა და განმარტება (მონახაზი); შეუძლია სასამართლოს წევრებისა და თანამშრომლების კოლექტიური და ინდივიდუალური როლების აღწერა.

მოსამართლეებისათვის:

კომპეტენცია: სამართლებრივი ჩარჩოს, იურისდიქციებისა და სასამართლოს პროცედურების გაგება. შესაბამისი ეფექტურობის ინდიკატორი: შეუძლია სამართლებრივი ჩარჩოს, სასამართლოს იურისდიქციისა და პროცედურების ზუსტი აღწერა და განმარტება (მონახაზი); შეუძლია სასამართლოს წევრებისა და თანამშრომლების კოლექტიური და ინდივიდუალური როლების აღწერა.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .



ტრენინგი მარტივი საფეხურით იწყება : ტრენინგის საშუალებით მისაღწევი საერთო მიზნის გამოვლენა ; სასწავლო მიზნების განსაზღვრა "სკანირების" გზით ხდება , რაც გულისხმობს ორგანიზაციის და პასუხიმგებელი პირების საჭიროებების შეფასებას და მათ შემდგომ პრიორიტეტიზაციას ;

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ბ) საერთო მიზნების განსაზღვრა

პირველი კითხვა აშკარაა: რატომ არის ტრენინგი საჭიროდ? შესაძლებელია ამ კითხვის სხვაგვარი ფორმულირებაც: ზოგადად რა მიზანს ემსახურება ტრენინგი? საჭიროებების გამოვლენა ზოგადი სასწავლო მიზნების გამოვლენის საშუალებას იძლევა; თავის მხრივ, ეს უფრო კონკრეტული სასწავლო მიზნების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს.

საერთო მიზანი (OO) კურსის/პროგრამის ფართო დანიშნულებაა. ჩვეულებრივ ეს წარმოდგენილია კურსით/პროგრამით მსმენელებისათვის შეთავაზებული შესაძლებლობების სახით. ტრენინგის საერთო მიზნის განსაზღვრა, ტრენერებისა და სამიზნე აუდიტორიისთვის ტრენინგის ზოგადი მიზნის განმარტების პირველი ეტაპია.

მაგალითი A

წინამდებარე პროგრამის საერთო მიზანია მსმენელებს საშუალება მისცეს გამოიმუშაონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევის უნარები და თავდაჯერებულობა.

მაგალითი B

წინამდებარე კურსის საერთო მიზანია უზრუნველყოფილ იქნას მოსამართლეების მიერ წინასასამართლო პროცესზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების გაგება.

ტრენინგის საერთო მიზნის განსაზღვრის შემდეგ, შეიძლება ტრენინგის შემუშავების ფაზაზე გადასვლა. შემუშავების ფაზაზე შესაძლებელია სასწავლო მიზნების (ან "სწავლის მოსალოდნელი შედეგების") განსაზღვრა (იხ. ქვემოთ, საფეხური 2aiii გვ. 56).

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

საფეხური 2: რა უნდა გააკეთოთ –HELP-ის მიდგომა

ა) კურსის შემუშავება

HELP-ის კურსის მოდელი საერთაშორისო კონსულტანტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამაა. შემუშავების პროცესის დასრულების შემდეგ ფაქტობრივი კურსის დაწყებამდე ადაპტაციის ეტაპია გასავლელი, როგორც შერეული, ასევე დისტანციური სწავლების შემთხვევაში.

რადგან კურსის განხორციელება ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში და იურიდიული პროფესიის ნებისმიერი კატეგორიისთვისაა შესაძლებელი, სასწავლო კურსის შემუშავების პროცესში აუცილებელია სხვადასხვა ეროვნული სამართლებრივი სისტემის, ისევე როგორც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება.

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მიზნად ისახავს რეკომენდაციების მიწოდებას კურსის მოდელის სრულფასოვანი შემუშავების შესახებ. იგი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ადგილობრივი ტრენერის შერჩევა, მასალების ეროვნულ ენაზე თარგმნა, კურსის დაწყებისათვის მომზადება და კურსის ინიციატორი ორგანიზაცია. განხორციელების ფაზას მოსდევს შეფასების, სერტიფიცირებისა და გადასინჯვის ფაზები, რათა სასწავლო მასალები ასახული იქნას HELP-ის პლატფორმის დამოუკიდებელი სწავლის მოდულში და სტრუქტურირებული კურსის სახით ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

შემოთავაზებული განრიგი შემდეგია:

აქტივობა		პერიოდი
სასწავლო საჭიროებების შეფასება (TNA) – პრიორიტეტული თემების იდენტიფიკაცია ქსელის მიერ (სტრასბურგის (და ლუქსემბურგის) სასამართლო-(ებ)ის ადამიანის უფლებათა სფეროში უახლესი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე) და ეროვნული ინსტიტუტების სასწავლო საჭიროებების შეფასების საფუძველზე. კონსულტანტებისა და ევროპის საბჭოს/პარტნიორის ექსპერტების შერჩევა		
კურიკულუმის შემუშავება (კონკრეტული სასწავლო მიზნების, კურსის დეტალური მონახაზის, პრაქტიკული მაგალითების, დავალებების, შეფასების ინსტრუმენტების, დამატებითი და სარეფერენციო მასალების სიის შემუშავება)	I სამუშაო ჯგუფის შეხვედრა	თვე 1-2
	II სამუშაო ჯგუფის შეხვედრა	თვე 1-2
	III სამუშაო ჯგუფის შეხვედრა	თვე 1-2

ინტერაქტიული პროდუქტის შემუშავება	ინტერაქტიული პროდუქტის შემუშავება	ინტერაქტიული პროდუქტის შემუშავება
ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ადაპტაცია (ToT - სერტიფიცირებული ტრენერების ბაზა, რომელთა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამოყენებაა შესაძლებელი)		თვე 8-9
კურსის განხორციელება და ეროვნულ დონეზე ვალიდაცია	მსმენელთა შერჩევა	თვე 9
	პირისპირ შეხვედრა - გახსნის ღონისძიება	თვე 10
	განხორციელება	თვე 10-14
	სერტიფიცირება/შეფასება	თვე 15

i. თემების შერჩევა საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით

HELP-ის სამოქმედო გეგმა

HELP-ის ყოველწლიური კონფერენციის განმავლობაში, ქსელი განიხილავს ინსტიტუტებისა და სამართლის სფეროს სპეციალისტების საჭიროებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ხდება კითხვარების წინასწარ შემუშავება ქსელის წევრებისგან ინფორმაციის შეგროვების მიზნით. შემდეგ ეს ინფორმაცია კონფერენციის დროს დისკუსიების საფუძვლად გამოიყენება.

მეტი ინფორმაციისათვის იხ. ქსელის წევრების მიერ საჭიროებების შეფასებისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიების ანალიზი[11]. ქსელის წევრებს შეუძლიათ მიუთითონ თავიანთი პრიორიტეტები, დაასახელონ, თუ რომელი კურსების განხორციელებას ისურვებდნენ და განსაზღვრონ ეს ეროვნული, თუ მრავალეროვნული ინიციატივების დონეზე უნდა განხორციელდეს.

ამ ინფორმაციის საფუძველზე, HELP-ის სამდივნო შეიმუშავებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას, მომდევნო ყოველწლიურ კონფერენციამდე და მიუთითებს არსებული კურსების დაწყების, ან დახვეწის პრიორიტეტებს.
ქსელის წევრები ასევე განიხილავენ სამართლის სფეროს სპეციალისტებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგიას, და იმ ინსტიტუციური, ტექნიკური თუ დამოკიდებულების თვალსაზრისით არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს დასახავენ, რომლებიც მათ წინაშე დგას.

საჭიროებების შეფასება ასევე ეფუძნება ქსელის წევრი ინსტიტუტების მიერ ერო-

11)https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806544fe

ვნულ დონეზე განხორციელებულ შეფასებას. (იხ. წინა სექცია) იხ. HELP-ის 2014 წლის ანგარიში საუკეთესო პრაქტიკის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის.[12]

იმავე სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინაცია

HELP-ი რეგულარულ კონტაქტს ამყარებს ქსელის წევრებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პარტნიორებთან და ევროპის საბჭოს სხვა სტრუქტურებთან. შეფასება ხორციელდება ტრენინგის საჭიროების განსაზღვრისას, ისევე როგორც გარკვეულ თემაზე ტრენინგის მომზადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა მონაწილე მხარის ძალისხმევის კოორდინირება, უკვე არსებული ტრენინგისა და მასალების დუბლირების/რეპლიკაციის თავიდან აცილების მიზნით. შემუშავებულ ტრენინგს დამატებითი ღირებულება უნდა გააჩნდეს, რათა იგი ეფექტური და მსმენელისათვის რელევანტური იყოს.

ii. HELP-ის სამუშაო ჯგუფები (WG)

კონსულტანტების შერჩევა

კონსულტანტები დაინიშნებიან სამუშაო ჯგუფის წევრებად, რომელიც ხელმძღვანელობს ინგლისურენოვანი კურსის მოდელის შემუშავებას. სამუშაო ჯგუფი შედგება მინიმუმ 4 გარეშე კონსულტანტისგან, რომელთაგან ერთ-ერთი კოორდინატორის როლს ასრულებს. კონსულტანტების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს თემიდან, და HELP-ის სამდივნოსა და ევროპის საბჭოს ან/და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობიდან

გამომდინარე. მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასურველია ყოველი სამართლის სფეროს წარმომადგენლის მონაწილეობა. საუკეთესო შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს ერთი მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატისა და სამოქალაქო საზოგადოების ან აკადემიური წრეების წარმომადგენლისგან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეულ სამუშაო ჯგუფს საკუთარი თავისებურებები აქვს. პროექტის მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს და HELP-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით დაარეგულიროს ეს თავისებურებები.

როგორც უკვე აღინიშნა, შინაარსის შემუშავების ფაზის დაწყებამდე, HELP-ის სამდივნო ნიშნავს კონსულტანტებს. შესყიდვის პროცედურებიდან გამომდინარე, კონსულტანტები შეირჩევიან საერთაშორისო ტენდერების, შეზღუდული კონსულტაციების ან პირდაპირი მოლაპარაკებების პროცედურის საფუძველზე.

12)https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016805c460d

ევროპის საბჭოს შესყიდვის პროცედურები ასახულია ერთ სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტში, 2011 წლის 29 ივნისის წესი N1333 ევროპის საბჭოს შესყიდვის პროცედურების შესახებ (შემდგომში "წესი"). წესის მე-2 მუხლის თანახმად, შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არაექსკლუზიურობის, თანაბარი მოპყრობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს.

ორგანიზაციისათვის საქონლის, მომსახურების ან სამუშაოების მიწოდების კონტრაქტებზე, ჩარჩო ხელშეკრულებებზე და პარტნიორობის ხელშეკრულებებზე შემდეგი პროცედურა ვრცელდება (წესის მე-4 მუხლი):

საერთაშორისო ტენდერების გამოცხადება ან შეზღუდული კონსულტაციების პროცედურის განხორციელება მიზნად ისახავს პოტენციური პრეტენდენტების ფართო რაოდენობის წვდომას. იგი შემსყიდველ ადმინისტრაციულ უწყებას საშუალებას აძლევს შეარჩიოს საუკეთესო კანდიდატები სატენდერო განაცხადების გონივრული რაოდენობიდან. შესაბამისად, შეტყობინებები უნდა გამოქვეყნდეს ევროპის საბჭოს ვებგვერდზე (მაგ. ტენდერის გამოცხადებისთვის გამოყოფილი განყოფილება) და ისეთ ვებგვერდებზე, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს ეხმარება იპოვონ სამუშაო ადგილების ჩამონათვალი ევროკავშირის ინსტიტუტებში (მაგალითად, EuroBrussels). გარდა ამისა, ტენდერის შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს HELP-ის ქსელის საშუალებით, ისევე როგორც HELP-ის პარტნიორების საშუალებით, როგორიცაა სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი (EJTN).

შესყიდვის პროცედურის ფორმის მიუხედავად, კონსულტანტების დავალება უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მისაწოდებელი სერვისი და შეტანილი იქნას სატენდერო განცხადებაში (ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში), ან ხელშეკრულებაში (შეზღუდული კონსულტაციისა და პირდაპირი მოლაპარაკების პროცედურების შემთხვევაში).

კონსულტანტების როლი

თითოეულმა კონსულტანტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს დადგენილ ვადებში ინგლისურენოვანი კურსის მოდელის მომზადებაში, რადგან ამოცანები სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის იქნება გადანაწილებული. კურსის შინაარსის გარდა, თითოეულმა კონსულტანტმა უნდა წარადგინოს შერჩეული დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, შეკითხვების ჩამონათვალი (მაგ. სწორი/არასწორი, რამდენიმე პასუხის მქონე კითხვები და ა.შ.), თითოეული მოდულის სასწავლო მიზნები, თემის შესაბამისი გარე ვებგვერდების ბმულები და მულტიმედიური ინსტრუმენტები. დაბოლოს, შესაძლებელია დისკუსიის თემის შეთავაზება, რომელიც შემდგომში ადგილობრივი ტრენერის მიერ განხორციელების ფაზაში იქნება გამოყენებული.

სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მოვალეობას ასრულებს, ზემოთ აღნიშნული მომსახურების გარდა, პასუხისმგებელია შინაარსის შემუშავების ფაზის ზედამხედველობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებისგან იღებს ინფორმაციას, კითხულობს და კომენტარებს აწვდის მათ, რათა მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაში მოვიდეს როგორც შინაარსის, ასევე სტილისა და ფორმატის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ის თანამშრომლობს ელექტრონული სწავლების დიზაინერთან კონტენტის განვითარების ფაზის დასრულებისას, რათა ხელი შეუწყოს კურსის Articulate პროგრამული ვერსიის შექმნას. HELP-ის სამდივნოს რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია კურსის შემუშავების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

ამასთან, მოსალოდნელია, რომ თითოეული კონსულტანტი დაამყარებს და შეინარჩუნებს მჭიდრო სამუშაო ურთიერთობას სამუშაო ჯგუფის სხვა წევრთან, ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ტრენინგის მასალების გაზიარების მიზნით.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრები

კონსულტანტებს მოეთხოვებათ მონაწილეობა მიიღონ სამუშაო ჯგუფის მინიმუმ სამ შეხვედრაში, რომელთა შორის პერიოდი მინიმუმ ორი თვეა. მიუხედავად ამისა, შეხვედრების რაოდენობა შეიძლება დაზუსტდეს, თუ საჭირო გახდება დამატებითი შეხვედრის დაგეგმვა. შეხვედრებს შორის პერიოდი წინასწარ დაგეგმილია კურსის მოცულობის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრები მნიშვნელოვანია შინაარსის შემუშავების ფაზაში, მოსალოდნელია, რომ კონსულტანტები, ძირითადად შეხვედრებს შორის პერიოდში განახორციელებენ მუშაობას. საშუალოდ, HELP-ის კურსის მოდელის შემუშავება 9 თვის განმავლობაში ხორციელდება.

კონსულტანტების შერჩევისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტების ინფორმირების შემდეგ, შესაძლებელია სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის დაგეგმვა. პირველი შეხვედრის დროს განისაზღვრება მომდევნო შეხვედრების ვადები, ისევე როგორც ინფორმაციის წარდგენის ვადები. საუკეთესო შემთხვევაში, ვადები ისეა განსაზღვრული, რომ სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი დაესწროს ყველა შეხვედრას. იმ შემთხვევაში, თუ პროცესი შეიძლება დაყოვნდეს კონსულტანტის მოუცლელობის გამო, შესაძლებელია ვებკონფერენციის ორგანიზება.

ამასთან, პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრასთან ერთად, კოორდინატორს მოეთხოვება ელექტრონული სწავლების დიზაინერთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საბოლოო პროდუქტის გრაფიკული სცენარის შექმნის მიზნით ორგანიზებული შეხვედრაში (Storyboard), რომელიც ტარდება შინაარსობრივი ნაწილის შემუშავების ფაზის დასრულების შემდეგ.

როდესაც სასწავლო კურსის თემა ევროპის საბჭოს უწყებების მანდატს ეხება, შესაძლებელია სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლების მოწვევა შინაარსობრივი ნაწილის შემუშავების ფაზაში მონაწილეობის მისაღებად. მათი ჩართულობა დამოკიდებულია მათ ხელმისაწვდომობაზე, და შეიძლება შემოიფარგლებოდეს სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობით, ერთი მოდულის შემუშავებით ან ტრენინგის მასალების გადახედვით.

სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრამდე

ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად, სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრამდე, მთელი რიგი აქტივობები უნდა განხორციელდეს მისი პროდუქტიულობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის. პირველ რიგში, აუცილებელია ყველა კონსულტანტთან დაკავშირება სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაში მონაწილეობის დასაგეგმად. ამასთან, კონსულტანტებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების, ისევე როგორც HELP-ის პროგრამის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ HELP-ის პროგრამის ზოგადი პრეზენტაცია პირველი შეხვედრის დროს ხდება, კარგი პრაქტიკა მოითხოვს კონსულტანტებისთვის HELP-ის ვებგვერდის ბმულის წინასწარ გაგზავნას, და წახალისებას შექმნან ანგარიში ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. ეს მათ პროგრამასთან და მის ინსტრუმენტებთან გაცნობის საშუალებას მისცემს.[13]

კონსულტანტებს დეტალური ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ კურსის, მისი მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ამ მიზნით, ზოგიერთი მასალა შეიძლება შეგროვდეს ან/და შემუშავდეს და შეხვედრის დაწყებამდე გაზიარებულ იქნას კონსულტანტებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასალების შერჩევას, რადგან შეხვედრის მიზანია „ბრეინსტორმინგის“ ჩატარება.

კარგი პრაქტიკაა დოკუმენტების სამუშაო ჯგუფების ვებგვერდზე არსებული ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე ატვირთვა. კონსულტანტებს შეიძლება დაეგზავნოთ სახელმძღვანელო პლატფორმის გამოყენების, დოკუმენტებისა და იდეების ატვირთვისა და გაზიარების შესახებ. ეს ვებგვერდი ასევე გამოიყენება კურსის შემუშავების მიმდინარეობაზე თვალყურის მისადევნებლად. ვებგვერდზე წვდომა მხოლოდ სამუშაო ჯგუფის წევრებს, HELP-ის სამდივნოსა და იმ პირებს გააჩნიათ, რომლებიც შეიძლება ჩართულნი იყვნენ შინაარსობრივი ნაწილის შემუშავების ფაზაში.

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის მიზანია კონსულტანტების მიერ ერთმანეთის გაცნობა, და ასევე მათთვის HELP-ის პროგრამისა და მისი სასწავლო მეთოდოლოგიის წარდგენა. შეხვედრის დასასრულს კონსულტანტებმა უნდა შეათანხმონ სასწა-

13 http://www.coe.int/help

ვლო გეგმის პირველი მონახაზი, კურსის ფორმატი, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ამოცანების გადანაწილება და ვადები. დღის წესრიგში შემდეგი თემებია შეტანილი:

- HELP-ის გაცნობა;
- მონაწილეთა გაცნობა;
- არსებული ინიციატივები და ტრენინგის მასალები;
- სასწავლო საჭიროებების შეფასება;
- სასწავლო მიზნები;
- სასწავლო გეგმის მონახაზი;
- ფორმატი;
- ამოცანათა გაზიარება.

ჩვეულებრივ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მონაწილეთა გაცნობა მიზნად ისახავს კონსულტანტების მიერ გამოცდილებისა და მოლოდინების გაზიარებას. თითოეული კონსულტანტის გამოცდილება გათვალისწინებული უნდა იქნას ამოცანათა გადანაწილებისას. თითოეული კონსულტანტი იმ მოდულის შემუშავებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომელშიც ის უფრო თავდაჯერებულად გრძნობს თავს, რაც მაღალი ხარისხის შედეგს უზრუნველყოფს.

არსებული ინიციატივებისა და სასწავლო მასალების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, კონსულტანტებს წარუდგენენ ევროპის საბჭოს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ტრენინგის მიზნებში უკვე დამუშავებული თემების ზოგად მიმოხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ეს HELP-ის სამდივნოს მხრიდან ინფორმაციის კვლევას მოითხოვს, შესაძლებელია არსებული მასალების სასწავლო კურსში ინტეგრირება მათი მფლობელების თანხმობით უაღრესად სასარგებლო იყოს.

იმის გათვალისწინებით, რომ სამიზნე აუდიტორია სამართლის სფეროს წარმომადგენლებია, და კურსის დაწყებამდე უფრო დეტალური შეფასება ეროვნული სასწავლო ინსტიტუტის ან ადვოკატთა ასოციაციის მიერ ხორციელდება, ტრენინგის საჭიროებების შეფასება სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის დროს ხდება. დისკუსიის შემდეგ სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტს, თუ რამდენად შესაძლებელია კურსის შინაარსი მსგავსი იყოს იურიდიული პროფესიის სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლებისთვის, თუ აუცილებელია სამიზნე აუდიტორიის შესაბამისად ცვლილებების შეტანა.

საერთო მიზნები შეიძლება შემუშავდეს სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის დროს. სასწავლო მიზნები, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამონათვალი, რომლებსაც მსმენელი კურსის დასრულებისას მიიღებს, გადაიხედება საბოლოო შეხვედრის დროს. თითოეული მოდულის სასწავლო მიზნები შეიძლება შემუშავებული იქნას შეხვედრის დროს ან თითოეული კონსულტანტის მიერ დამოუკიდებლად იმ მოდულის შემუშავებისას, რომელზეც იგია პასუხისმგებელი.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სასწავლო გეგმის მონახაზის შექმნა შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. თავდაპირველად იქმნება ძირითადი სტრუქტურა, მიზანშეწონილია ეკრანის გამოყენება, რომელიც კონსულტანტებს საშუალებას მისცემს მიჰყვნენ დისკუსიას. მას შემდეგ რაც, კონსულტანტები კურსის მონახაზზე შეთანხმდებიან, შესაძლებელია უფრო დეტალური დისკუსია წარიმართოს. ასეთ შემთხვევაში საკითხების სია შეიძლება წარმოდგენილ იქნას მონახაზში. კონსულტანტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ცვლილებები საბოლოო ვერსიის წარდგენამდე ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონახაზი შეიძლება შეიცვალოს, თუ ჯგუფი მიიჩნევს, რომ პედაგოგიური მიზნებისთვის ეს მიზანშეწონილი იქნება.

კურსის ფორმატის განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს კონსულტანტების დამოკიდებულებას კურსის შინაარსის შემუშავების ფაზის მიმართ. სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის დროს კონსულტანტები იღებენ გადაწყვეტილებას კურსი სრულად ინტერაქტიული იქნება, თუ წარმოდგენილი იქნება, როგორც Articulate-ისა (ელექტრონული სწავლების პროგრამა) და ტექსტური პრეზენტაციების (როგორიცაა Word და Power Point) კომბინაციის სახით. გადაწყვეტილება მიიღება დამოუკიდებლად იმისა, კურსი შერეული თუ დისტანციური სწავლების ტიპის იქნება. ჯგუფმა უნდა განსაზღვროს შინაარსობრივი ნაწილის თითოეული პროექტის წარდგენის ვადები. კარგი პრაქტიკაა, კონსულტანტებმა კოორდინატორს პროექტები მეორე შეხვედრამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე და მესამე შეხვედრამდე სამი კვირით ადრე წარუდგინონ.

ამოცანების გაზიარება ასევე მოიცავს როლების მკაფიო განსაზღვრას. აუცილებელია სამუშაო ჯგუფის წევრებს პროექტის კოორდინატორის როლი მკაფიოდ განემარტოთ. პროექტის კოორდინატორი სამუშაო ჯგუფის მუშაობას ადმინისტრაციულ დონეზე უწევს ხელმძღვანელობას, ხოლო კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი კონსულტანტი პასუხისმგებელია მასალების შინაარსის კოორდინირებაზე. თითოეულ წევრს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ჩართული პირების მოვალეობების შესახებ.

შეხვედრის შემდეგ, სასწავლო მასალების შემუშავება HELP-ის სამდივნოს მიერ მოწოდებული ნიმუშების საშუალებით ხორციელდება. ნიმუშები სამუშაო ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ, რაც ხელს უწყობს უკუკავშირსა და კომენტარების გაზიარებას. სამუშაო ჯგუფის მიერ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად, თითოეულ კონსულტანტს ევალება წარმოდგენილ მასალაზე კომენტარების გაკეთება და კოორდინატორისთვის წარდგენა ცვლილებების მიდევნების (track change) ინსტრუმენტის გამოყენებით. გარდა ამისა, კონსულტანტებს მოეთხოვებათ ცვლილებები შეიტანონ მათი პროექტის შინაარსში სხვა კონსულტანტების კომენტარების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს მათი ნაწილის შინაარსთან შესაბამისობაშია.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა

სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა მიზნად ისახავს თითოეული კონსულტანტის ნამუშევრის განხილვას და რედაქტირებას. კონსულტანტებს სთხოვენ მოკლე პრეზენტაციის გაკეთებას მათი ნამუშევრის შესახებ, რადგანაც შესაძლოა სხვა წევრებს მასალების გაცნობის საშუალება არ ჰქონოდათ.

შესაძლებელია ელექტრონული სწავლების დიზაინერისა და კომუნიკაციის ექსპერტის მოწვევა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ელექტრონული სწავლის ტექნიკების და ეფექტური წერის შესახებ პრეზენტაციის ჩასატარებლად. მსგავსი პრეზენტაციის ადრეულ ეტაპზე ჩატარებას საკმაოდ დადებითი შედეგი მოაქვს, რადგან კონსულტანტები ეცნობიან Articulate პროგრამას და სასწავლო მასალების მომზადებისას ითვალისწინებენ მათ ინტერაქტიულობას.

ინტერაქტიული ფორმატის განხილვა ჩვეულებრივ სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრაზე ხდება, როდესაც უკვე განსაზღვრულია კურსის მონახაზი. ინტერაქტიულობა უზრუნველყოფილია კურსისთვის გამოყენებული მულტიმედიური ინსტრუმენტების საშუალებით. კონსულტანტები განიხილავენ შესავალი ვიდეოების, ან/და ზოგიერთი პრეზენტაციის ვიდეო-ლექციით ჩანაცვლების შესაძლებლობებს. როგორც სფეროს ექსპერტები, კონსულტანტებს შეიძლება ეთხოვოთ დაეხმარონ სამდივნოს იმ ვიდეოების სცენარის შემუშავებაში, რომელთა გადაღება ჩვეულებრივ ევროპის საბჭოს ოფისში ხდება. მნიშვნელოვანია ინტერაქტიულობის სწორი დონის შერჩევა თემისა და სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.

შესავალი ვიდეოს დამატების შემთხვევაში, მასში ნახსენებია, თუ როდის შედგა თანამშრომლობა ევროპის საბჭოსა და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის კურსის შემუშავების მიზნით. შესავალი ვიდეოს მთავარი მიზანია მსმენელის წახალისება ბოლომდე ჩაერთოს დისტანციურ/შერეული სწავლების კურსს. სწორედ ამიტომ მისასალმებელი სიტყვის ავტორის შერჩევა გადამწყვეტია. აქცენტი უნდა გაკეთდეს პირზე, რომელიც სამიზნე აუდიტორიაში ავტორიტეტით სარგებლობს.

კონსულტანტები კიდევ უფრო მეტად არიან ჩართულნი კურსის შინაარსთან დაკავშირებული ვიდეოების შექმნის პროცესში, თუ ამ ვიდეოებმა შეიძლება ტექსტური ნაწილი ჩაანაცვლონ. მათ შეიძლება ეთხოვოთ სცენარის შექმნა და სურვილის შემთხვევაში ლექციის წაკითხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ვიდეოს ტრანსკრიპტის მომზადება, რადგან ის გამოყენებული იქნება სუბტიტრებისთვის, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა ეროვნულ ენაზე ითარგმნება.

სამუშაო ჯგუფის მესამე შეხვედრა და ხარისხის შემოწმება

სამუშაო ჯგუფის მესამე და საბოლოო შეხვედრის მიზანია სასწავლო მასალების საბოლოო ვერსიის განხილვა და დამტკიცება. კონსულტანტები ამოწმებენ, რომ ყველა შეთავაზებული ცვლილება შეტანილ იქნა, გადახედავენ სასწავლო მიზანს, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი შეესაბამება კურსს და განიხილავენ კურსის ფორმატს. განხილვის საფუძველზე, შეხვედრის შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში კონსულტანტებმა უნდა წარადგინონ მათი ნამუშევრის საბოლოო ვარიანტი.

HELP-ის სამდივნოსთვის საბოლოო ვერსიის წარდგენის შემდეგ, შესაძლებელია საჭირო გახდეს ლინგვისტური შემოწმება, სასწავლო მასალების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, განსაკუთრებით სხვადასხვა ეროვნულ ენაზე თარგმანის მხრივ.

კურსის შემუშავების და სამუშაო ჯგუფის თითოეულ შეხვედრას შორის ჩატარებული სამუშაოს ილუსტრირება შემდეგნაირად შეიძლება:



iii. სასწავლო მიზნების განსაზღვრა

საერთო მიზნების დადგენა ტრენინგის პროგრამის კონკრეტული სასწავლო მიზნების ("LOs") განსაზღვრის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, ეს კურსის საერთო მიზნებისა და კონკრეტული სასწავლო მიზნების (იხ. წინა ნაწილი სასწავლო საჭიროებების შეფასებისა და საერთო მიზნების შესახებ) შესაბამისი შეფასებისა და უკუკავშირის სტრატეგიის შემუშავების, ისევე როგორც, ტრენინგის მეთოდების და სასწავლო აქტივობების გამოვლენის საშუალებას მოგვცემს, რომლებიც ხელს უწყობს მსმენელის მიერ საერთო მიზნებისა და კონკრეტული სასწავლო მიზნების მიღწევას.

კონკრეტული სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შემდეგ დაწერა წარმატებული ტრენინგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სასწავლო მიზნების დადგენა ეხმარება ტრენერს მთლიანობაში წარმოიდგინოს ტრენინგის სხვადასხვა ელემენტები თანმიმდევრული ტრენინგის თუ კურსის ჩატარებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო მიზნებისა და სასწავლო მიზნების მიღწევას.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომაა ნათელი სასწავლო მიზნების ფორმულირება მნიშვნელოვანი დაგეგმვის ეტაპზე.

▶ სასწავლო მიზნები აღწერს, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირება უნდა შეძლოს მსმენელმა კურსის/პროგრამის დასასრულს. საერთო მიზნები განუმარტავს კურსის საერთო დანიშნულებას როგორც ტრენერის, ასევე მსმენელებს. ყველას ესმის, თუ რა წარმოადგენს ტრენინგის მიზანს, და შესაბამისად შესაძლო გაუგებრობების თავიდან აცილება ხდება.

▶ სასწავლო მიზნების ფორმულირება უზრუნველყოფს ტრენინგის შესაბამისობას მსმენელის საჭიროებებთან და მის კონკრეტულ დროში განხორციელების შესაძლებლობას. სასწავლო მიზნების გარეშე ტრენინგი უბრალოდ არ იყოს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული, ან ზედმეტად ამბიციური აღმოჩნდეს.

▶ სასწავლო მიზნების შეფასება ტრენერსა და მსმენელს საშუალებას მისცემს შეაფასონ ტრენინგის ეფექტურობა. გარდა ამისა, მსმენელს ტრენინგისადმი გამოუმუშავდება დამოკიდებულება "მე შემიძლია", რაც განამტკიცებს კომპეტენციებზე დაფუძნებული ტრენინგის ცნებას ორგანიზაციასა თუ საჯარო სამსახურში.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სასწავლო მიზნებმა შეიძლება გვაჩვენოს მსმენელის ცოდნისა და უნარების სიღრმე, ისევე როგორც მისი უნარი პრაქტიკაში უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა. შესაძლებელია განვასხვავოთ შესავალი ტრენინგი (მაგ. სისხლის სამართლის პროცესი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები) და უფრო რთული დონის ტრენინგი (მაგ. იურიდიული წარმომადგენელი და გირაოთი გათავისუფლების უფლება). სასწავლო მიზნები ყოველთვის მიღწევადი უნდა იყოს, თუმცა მოითხოვდეს ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიმართ მოთხოვნები უნდა იზრდებოდეს ტრენინგის განმავლობაში მსმენელის ინფორმირებულობისა და კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად.

სასწავლო მიზნების დაკონკრეტება ეხმარება ტრენერებს ტრენინგის ტექნიკის შერჩევაში.

ეს ყველაფერი მიგვანიშნებს ენის სიზუსტის საჭიროებაზე. გამოყენებული ენის სიცხადე უზრუნველყოფს მომდევნო ეტაპებზე აზრის სიცხადეს. ეს არც თუ ისე რთული ამოცანაა. არსებობს ორი სასარგებლო მინიშნება: პირველი - სასწავლო მიზნები უნდა იყოს “SMART““; და მეორე - სასწავლო მიზნების ფორმულირება უნდა უზრუნველყოფდეს მათ გაზომვადობას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

პირველ რიგში, სასწავლო მიზნების ფორმულირებისას აუცილებელია ზუსტი ენის გამოყენება. დღესდღეობით აღიარებულია, (ყოველ შემთხვევაში ინგლისურ ენაში!) რომ სასწავლო მიზნები უნდა იყოს SMART ანუ:

Specific (კონკრეტული) – ნებისმიერი მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და არაორაზროვანი. მას კონკრეტული სამიზნე უნდა ჰქონდეს, მაგ. თემის ნათელი გაგება.

Measurable (გაზომვადი) – მიზანი მოიცავს მსმენელის პროგრესის გაზომვის საშუალებას.

Attainable (მიღწევადი)- მიზანი უნდა შეესაბამებოდეს მსმენელის შესაძლებლობებს.

Relevant (რელევანტური) - მიზანი უნდა იყოს კურსის მსმენელისათვის მისაღები.

Time-specific (დროში განსაზღვრული) - მიზანში განსაზღვრული უნდა იყოს ამოცანის შესრულების ვადები.

მეორე, შესაძლებელი უნდა იყოს თითოეული სასწავლო მიზნის მიღწევის წარმატების დონის გაზომვა. ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ხდება სასწავლო მიზნის დასახელება, მისი ძირითადი არსისა და სწავლისთვის დათმობილი დროის განსაზღვრა, რასაც მოჰყვება აქტიური ზმნით დაწყებული წინადადება, (აღნიშნავს, თუ რის დემონსტრირებას შეძლებენ მსმენელები) + დამატება (რა უნდა ვისწავლოთ) + განსაზღვრება (აზუსტებს სწავლების მოსალოდნელ შედეგს). მაგალითად, (ბაკალავრიატის დონეზე, ცოდნაზე ორიენტირებულ სასწავლო მიზნებთან, რომლებიც არ მოიცავენ ადამიანის უფლებებს):

სასწავლო მიზნების ფორმულირებისას მოერიდეთ ისეთი ზმნების გამოყენებას, როგორიცაა გაგება, შეფასება, გაცნობა, და ცოდნა, რადგან ისინი მკაფიოდ არ გამოხა-

რა უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო მიზნების ფორმულირებისას

რა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები აქვთ მონაწილეებს კურსში ჩართვისას?
რა ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები უნდა შეიძინონ მათ კურსის შედეგად?
რა უნდა გააკეთოს მსმენელმა, რათა აჩვენოს სასწავლო მიზნების მიღწევა?
სასწავლო მიზნების ფორმულირებისას მისაღებია ერთიდაიგივე ზმნის რამდენჯერმე გამოყენება, თუ იგი გამოხატავს თუ რას უნდა მიაღწიონ მსმენელებმა?
მიზნები და სასწავლო მიზნები გამოიყენება, როგორც ტრენერების, ისე მსმენელების მიერ. ისინი კურსების/პროგრამების მიზნისა და სასწავლო მიზნების სიცხადეს უზრუნველყოფენ.
შეეცადეთ შეზღუდოთ სასწავლო მიზნების რაოდენობა: 2 ან 3 სასწავლო მიზანი ერთდღიანი სემინარისთვის სავსებით საკმარისია

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ტავენ, თუ რა დონის გაგება ან ცოდნა უნდა გამოავლინოს მსმენელმა შეფასებისას. ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ მიზნების ფორმულირების განსხვავებული გზები არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ეყრდნობა მარტივ ფორმულას:

აქტიური ზმნა (გამოხატავს, თუ რის დემონსტრირებას შეძლებენ მსმენელები) + დამატება (რა უნდა ვისწავლოთ) + განსაზღვრება.

მაგალითად ზოგიერთი ზმნა უფრო რთული მნიშვნელობის მატარებელია სხვებთან შედარებით. "ხელახალი ფორმულირება" აღნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ დამახსოვრება და გამეორება; ხოლო "ახსნა" ინფორმაციის დამუშავებისა და გაგების ელემენტს შეიცავს.

შევხედოთ რამდენიმე მაგალითს. მათი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო მიზნების ფორმულირების ძირთადი პრინციპების განმარტება. სასწავლო მიზნების უმეტესობა ასევე მოიაზრებს ცოდნისა და უნარების არსებულ დონეს, რაც შემდგომი სწავლის საფუძველს წარმოადგენს. ზოგიერთი სასწავლო მიზანი მსმენელს უფრო რთულ ამოცანებს სთავაზობს ("წერილობითი და ზეპირი ფორმით დასაბუთებული არგუმენტების წარმოება"), ხოლო სხვები ფართო, თუმცა არა ღრმა ცოდნაზე აკეთებენ აქცენტს ("სხვადასხვა შინაური და საფერემო ცხოველების ძირითად ორგანოთა სისტემების ფუნქციონალური ანგარიშის წარმოდგენა")

მაგალითი

წინამდებარე თავის დასრულების შემდეგ თქვენ შეძლებთ შემდეგი საკითხების გაგებას:

- მსგავსებები და განსხვავებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დაცვასა და 1951 წლის კონვენციით და ევროკავშირის კანონმდებლობით უზრუნველყოფილ საერთაშორისო დაცვას შორის.
- გარემოებები, რომლის შემთხვევაშიც თავშესაფრის მაძიებლები უფლებამოსილნი არიან კონვენციის მე-3 მუხლით უზრუნველყოფილ დაცვაზე.
- ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების ვალდებულება უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრების ზედმიწევნითი და დეტალური შესწავლა.

მაგალითი

წინამდებარე კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები შემდეგ საკითხებში შეძლებენ ცოდნის დემონსტრირებას:

- ცნებები, განსხვავებები და კავშირები სიძულვილის დანაშაულსა და სიძულვილის ენას შორის და მათი ისტორიული კონტექსტი
- სიძულვილის დანაშაულების და სიძულვილის ენის გავლენა
- სიძულვილის დანაშაულსა და სიძულვილის ენაზე რეაგირება

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მაგალითი
წინამდებარე კურსის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ:
- გამოიყენონ დასაშვებობის პრინციპები ეროვნულ საქმეზე
- სწორად გამოიყენონ დასაშვებობის პრინციპები სტრასბურგის სასამართლოში განაცხადის წარმატებით წარდგენისათვის.

ერთდღიანი სასწავლო სემინარის / დისტანციური სწავლების მოდულის შემთხვევაში, სადაც „მსმენელისათვის“ პირველად ხდება თემის წარმოდგენა, სასწავლო მიზნები სავარაუდოდ სხვა სტილში დაიწერება (თუმცა ყურადღება მიაქციეთ მე-4 სასწავლო მიზანს, რომელიც ახალი ინფორმაციის დამუშავებას მოითხოვს მისი პრაქტიკულ მაგალითში გამოყენების გზით):

მაგალითი
სემინარის/მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ:
- ახსნან სიცოცხლის დაცვისა და არასათანადო მოპყრობის ვალდებულების ძირითადი არსი და მოქმედების სფერო;
- წარმოადგინონ მე-2 და მე-3 მუხლების “პროცედურული ასპექტის” მონახაზი
- პრაქტიკულ მაგალითში გამოავლინონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოების (სასამართლოები, პროკურორები, პოლიცია და სასამართლო მედიცინის თანამშრომლები) ნაკლოვანებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის საფუძველზე

ცოდნისა და გაგების დახვეწის სხვადასხვა დონის იდეის ილუსტრირება შესაძლებელია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით

გაითვალისწინეთ, რომ სასწავლო მიზნების მიღწევის “მაღალი” დონე დამოკიდებულია “ქვედა” მიზნების მიღწევაზე. ამგვარად, ცოდნის თვალსაზრისით, სხვადასხვა სასწავლო მიზნების პირამიდა მკაფიოდაა წარმოდგენილი:

(Bloom et al, 1956)

შესაძლებელია „აქტიური ზმნების“ ცხრილის შემუშავება, სადაც გამოყოფილია „ქვედა“ (ანუ უფრო საბაზისო) და „მაღალი“ (ანუ უფრო მოწინავე) სასწავლო მიზნები. შესაბამისად, წინამდებარე ცხრილი გამოსადეგია ცოდნის შეძენის საილუსტრაციოდ:

ცოდნა	გაგება	გამოყენება	ანალიზი	სინთეზი	შეფასება
განსაზღვრა განსაზღვრა აღრიცხვა ჩამოთვლა ახსენება დასახელება დაკავშირება ხაზგასმა	ფორმულირება პერეფრაზირება განხილვა აღწერა აღიარება განმარტება გამოხატვა გამოვლენა დადგენა ანგარიშგება მიმოხილვა მოთხრობა	ინტერპრეტაცია მისადაგება მოხმარება გამოყენება დემონსტრირება ინსცენირება პრაქტიკაში გამოყენება ილუსტრირება შესრულება დაგეგმვა მონახაზის შექმნა	განსხვავება ანალიზი გარჩევა შეფასება გამოთვლა გამოცდა გატესტვა შედარება მისადაგება კრიტიკა დიაგრამის შედგენა შემოწმება კამათი შეკითხვა დაკავშირება გადაჭრა შესწავლა კატეგორიზება	შედგენა დაგეგმვა შეთავაზება შემუშავება ფორმულირება მოწყობა აწყობა შეგროვება აგება შექმნა წამოწყება ორგანიზება მართვა მომზადება	ექსპერტული შეფასება (Appraise) განსჯა მსჯელობითი შეფასება (evaluate) რანჟირება (Rate შედარება გადახედვა რაოდენობრივი შეფასება (assess) სავარაუდო შეფასება (estimate)

დღეისათვის ბლუმის ტაქსონომია ფართოდ გამოიყენება[14]. მისი კიდევ ერთი ილუსტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:



14) ბლუმის ტაქსონომია, პატრიცია არმსტრონგი, დირექტორის თანაშემწე, სწავლების ცენტრი https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/

რას უნდა მოიცავდეს სასწავლო მიზნები?

ადამიანის უფლებათა სწავლებაში სასწავლო მიზნების უმეტესობა შეეხება ცოდნისა და გაგების საკითხებს. თუმცა, პროფესიული კომპეტენციების აღწერისას (კერძოდ, მოსამართლეებთან მიმართებაში) ყურადღება სულ უფრო მეტადაა გამახვილებული უნარების მნიშვნელობაზე (მაგალითად, სამართლებრივი კვლევა, პრობლემის გადაჭრა და განჩინებათა წერა, რომლებიც ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოლოდინს).

მოკლედ, ტრენინგი მსმენელს აძლევს ცოდნასა და უნარებს. ანუ, ტრენერები შეეცდებიან მსმენელებს მიაწოდონ ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების კონკრეტული ნაბიჯები. ასე მაგალითად, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) აკადემიური კურსი მსმენელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არსს გააცნობს, ტრენინგი მოიცავს როგორც არსს, ასევე სტრატეგიულ სამართალწარმოებაზე მუშაობას (ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შესახებ კლიენტების კონსულტირებას, ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქმეებზე მომუშავე სტუდენტების სწავლებასა და ზედამხედველობას).

> ” ცნობიერების ამაღლების საფუძველს ამერიკელი ბენჟამინ ბლუმის (1956) ნაშრომი წარმოადგენს. ტრენერებისა და პედაგოგებისათვის სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაში დახმარების მიზნით, მან საგანმანათლებლო ან სასწავლო მიზნები სამ კონკრეტულ მიმართულებად დაყო: შემეცნებითი, შეგრძნებითი და ფსიქომოტორული (ანუ ცოდნა, განცდა და გაკეთება).

ადამიანის უფლებათა ტრენინგის შემთხვევაში ეს შეიძლება თავისთავად ცხადი იყოს: მოსამართლეებს შეიძლება დასჭირდეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების გაცნობა (ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაში HUDOC-ის ბაზა); მათ უნდა შეძლონ მათ განსახილველ საქმეებთან მიმართებაში ევროპული სტანდარტების გამოყენება; ასევე, მათ უნდა შეძლონ განჩინების დაწერა, რომელიც მიუთითებს, რომ კონვენციით მოთხოვნილი სამართლებრივი კრიტერიუმები გამოყენებული იქნა კონკრეტულ შემთხვევაში.

თუმცა, არსებობს სასწავლო მიზნებში გასათვალისწინებელი კიდევ ერთი ფაქტორი. ადამიანის უფლებათა არსებული სტანდარტების შესახებ ცოდნის გაღრმავება ადამიანის უფლებათა კონკრეტული სტანდარტის ძირეული მიზეზების ახსნას საჭიროებს. უნარების განვითარებისთვის აუცილებელია საბაზისო ცოდნა. ხოლო ადამიანის უფლებათა სტანდარტების ყოველდღიურ ვითარებებში პრაქტიკაში გამოყენება გარკვეულ უნარებს მოითხოვს. თუ ამ სამი ასპექტიდან რომელიმე არ არის მიღწეული, ტრენინგი ნაკლებ ეფექტური იქნება.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ადამიანის უფლებათა სფეროში მომზადების დიდი ნაწილი მიმართულია არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, არამედ ასევე დამოკიდებულების შეცვლაზე. მაგალითად, მოსამართლეებმა არა მხოლოდ უნდა იცოდნენ თუ რა პრინციპები განსაზღვრავს ეჭვმიტანილის გირაოთი გათავისუფლებას, არამედ მათ უნდა შეძლონ სწორი კითხვების დასმა სწორი დასკვნის გამოტანისათვის. ყველაფერ ამასთან ერთად, მოსამართლეებს ასევე უნდა ჰქონდეთ ადამიანის უფლებათა მიდგომის მათ საქმიანობაში გამოყენების სურვილი. ტრენინგის „გათავისება“ დამოკიდებულების შეცვლას მოიაზრებს.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, წარმატებისათვის ადამიანის უფლებათა ტრენინგი უნდა მოიცავდეს უფრო მეტს, ვიდრე „უბრალოდ“ ცოდნასა თუ უნარებს. ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება გულისხმობს ადამიანის უფლებათა ნორმატიული ღირებულების რწმენას. გარკვეულწილად ეს შეიძლება რთულად წარმოგვიდგეს - მაგრამ „მასწავლებლებმა“ (ამ კონტექსტში, იურისტებთან მომუშავე ტრენერებმა) დიდი ხანია აღიარეს, რომ ტრენინგი ასევე ტრანსფორმაციულ ელემენტს უნდა შეიცავდეს.

დამატებითი რჩევები სასწავლო მიზნებში „დამოკიდებულების შეცვლის” ჩართვის შესახებ მოცემულია მომდევნო თავებში.

შესაბამისად, ცოდნისა და უნარების გადაცემასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ტრენინგს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება. ანუ იმასთან ერთად, რომ ჩვენ ვცდილობთ გადავცეთ ცოდნა და ცოდნის გამოყენების უნარები, ასევე ხელს ვუწყობთ ამ ცოდნის ან უნარის პრაქტიკაში კონკრეტული სახით გამოყენებას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებზე ტრენინგის პროცესში ჩვენ ვცდილობთ მოვამზადოთ ადვოკატები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებების დაცვას, ნაცვლად ადამიანის უფლებათა დამრღვევების დაცვისა. სამართლებრივი გაძლიერების კონტექსტში, ჩვენ ვცდილობთ მოვამზადოთ იურისტის თანაშემწეები, რათა მათ ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს უთხრან რომ პრობლემა აქვთ და მისი გადაჭრისათვის უნდა მიმართონ ადვოკატს, იზრუნონ საზოგადოების განათლებაზე მათი უფლებების შესახებ, რათა საზოგადობამ საკუთარი უფლებების განხორციელება შეძლოს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იურისტებისთვის ადამიანის უფლებების სწავლება სამი კომპონენტს მოიცავს - ცოდნა, უნარები და ადამიანის უფლებების გამოყენების ვალდებულება, ადამიანის უფლებების სფეროს „დამოკიდებულებებთან/ემოციებთან“ დაკავშირებული ასპექტები.

ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში “ემოციონალური” (ანუ “გრძნობების”) მხარე შეიძლება დაიყოს დამოკიდებულების გარდაქმნად, და რაც ყველაზე რთულია, პიროვნული რწმენებისა თუ ღირებულებების გარდაქმნად (ბლუმის[15] აზრით, “ღირებულებებისადმი” პიროვნული ერთგულება ვითარდება დამოკიდებულების გათავისებიდან; ადამიანის უფლებათა კონტექსტში დამოკიდებულებებსა და ღირებუ-

15) http://teaching.uncc.edu/sites/teaching.uncc.edu/files/media/files/file/GoalsAndObjectives/Bloom.pdf

ლებებს შორის განსხვავების დანახვა სასარგებლო იქნება, რადგან ეს ტრენერის ყურადღებას მიაპყრობს მსმენელის პიროვნულ შეხედულებებზე, რომლებიც შესაძლოა შეჯერებას საჭიროებდნენ საჯარო ორგანიზაციის მიერ გაცხადებულ ღირებულებებთან.) სწორედ ამიტომ HELP-ის კურსები მოიცავს მსხვერპლის ჩვენებებს ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ, რაც შეიძლება ვიდეო ინტერვიუების სახით იყოს წარმოდგენილი (მაგ., იხ. ბ-ნი გებრემედინის ისტორია კურსში - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და თავშესაფარი“).

ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სათანადოდ ფორმულირებულ სასწავლო მიზნებში უნდა იყოს წარმოდგენილი:

ცოდნა	უნარები	დამოკიდებულებები და ღირებულებები
მაგ., ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების / სტრასბურგის სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ცოდნა	მაგ., ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული პრობლემის გამოვლენის და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების კვლევის უნარები, რათა კანონი მოცემულ შემთხვევაზე იქნას გავრცელებული	მაგ., შესაბამისი დამოკიდებულებების გამყარება, რომლებიც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და ხელშეწყობის პროფესიულ პასუხისმგებლობას. ისეთი ღირებულებებისადმი ერთგულება, როგორიცაა თანასწორობა, ადამიანის ღირსების პატივისცემა, პლურალიზმი, ტოლერანტობა ა.შ.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

HELP-ის ქსელის წევრმა სასწავლო ინსტიტუტებმა შემდეგი ინფორმაცია წარმოადგინეს საჭიროებების შეფასების თავიანთი მეთოდოლოგიის შესახებ:

თქვენი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ სასწავლო მიზნებში, რომელი მოცემული ასპექტებია გათვალისწინებული (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)



(წყარო: HELP-ის კონფერენციის 2015 წლის ანგარიში)

კავშირი სასწავლო და საერთო მიზნებს შორის

სასწავლო ინიციატივის საერთო მიზნების გამოვლენას ბუნებრივად მოსდევს სასწავლო მიზნების განსაზღვრა. საერთო მიზნები მომდინარეობს ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებიდან.

განვიხილოთ იურისტების ტრენინგის სასწავლო მიზნების მაგალითები. ეს სულაც არ არის სრულყოფილი მაგალითები, თუმცა გვეხმარება ავხსნათ: (ა) რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ტრენინგის ფარგლებში, ცოდნაზე, უნარებზე, დამოკიდებულებასა თუ ღირებულებებზე; (ბ) როგორია ცოდნის სავარაუდო საწყისი დონე ტრენინგის დაწყებამდე და (გ) რა დონის სირთულის საკითხებია გათვალისწინებული [კონკრეტული საკითხები ფრჩხილებშია მოცემული და მუქი შრიფტითაა გამოყოფილი].

ტრენერმა ასევე უნდა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული სასწავლო მიზნები ორგანიზაციის, ან მისი წევრების გამოვლენილ სასწავლო საჭიროებებს:

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მაგალითი 1: “ტრენერთა ტრენინგი” – მოსამართლეთა მოსამზადებელი სემინარი (2 დღე)

ამ სესიის საერთო მიზნებია მოსამართლეთათვის ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდების მიმოხილვა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გაცნობა (მე-6 მუხლის კონკრეტული მითითებით).

სასწავლო მიზნები შეიძლება შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული:

სესიის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ:

- დაწერონ შესაბამისი სასწავლო მიზნები; [ცოდნა]
- გამოავლინონ მსმენელების საჭიროებები ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების თვალსაზრისით; [საჭიროებების ანალიზი]
- წარმოაჩინონ (ა) ლექციის სტილის პრეზენტაციების და (ბ) მცირე ჯგუფური სამუშაოს უპირატესობები და ნაკლოვანებები [გაგება]
- ჩამოაყალიბონ შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნის კარგი პრაქტიკის რეკომენდაციები [გამოყენება]
- შეიმუშაონ “გაკვეთილის გეგმის” მონახაზი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნების საფუძველზე [გამოყენება]

მაგალითი 2: სემინარი ჟურნალისტებისათვის (2 საათი) გამოხატვის თავისუფლება და მედია

სემინარის საერთო მიზანია ჟურნალისტები და პრაქტიკოსი იურისტები გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მე-10 მუხლის ჭრილში

სასწავლო მიზნები შეიძლება შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული:
სესიის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ:

- მედიის თავისუფლების კონტექსტში მე-10 მუხლის მთავარი პრინციპების პერიფრაზირებას [ცოდნა]
- დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის პასუხისმგებლობის შესახებ საქმეებისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის კრიტიკულ შეფასებას [ანალიზი; სინთეზი]
- შეფასებას, თუ რა ხარისხით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას. [შეფასება]

საერთო მიზნების და სასწავლო მიზნების წარდგენა

ტრენინგის შემუშავების და მომზადების ეს ასპექტი ალბათ ყველაზე მარტივია. რეკომენდებულია, რომ ტრენინგის დაგეგმვასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ ორგანიზაციის და სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების ყურადღებით გათვალისწინება. აღნიშნული შესაძლოა ასევე მოიაზრებდეს ტრენინგის სამიზნე ჯგუფთან კონსულტაციების ჩატარებას.

შესაბამისად, საერთო მიზნების და სასწავლო მიზნების განსაზღვრა შესაძლოა მოიცავდეს პირველად კონტაქტს „მსმენელებთან". ვინაიდან, ჩვენ ტრენინგებს სხვადასხვა დონის ცოდნის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების მქონე ზრდასრულ ადამიანებს ვუტარებთ, მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების და ინტერესების გათვალისწინება ტრენინგის პროგრამის შემუშავებისას. აღნიშნულის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალებაა წინასატრენინგო კითხვარის ან გამოკითხვის მომზადება, სადაც მითითებული იქნება შეთავაზებული საერთო მიზნები და სასწავლო მიზნები და რომელიც შეაფასებს, თუ რამდენად უპასუხებს იგი მსმენელის საჭიროებებსა და ინტერესებს.

სასწავლო მიზნების შერჩევა და ჩამოწერა დაგეგმვის საწყისი ეტაპის ყველაზე კრიტიკული ასპექტია. საერთო მიზნები წარმოადგენენ ზოგადი მიზნის განაცხადს, ხოლო სასწავლო მიზნები კი კონკრეტული და გაზომვადია. ***განსხვავება საერთო მიზნებსა და სასწავლო მიზნებს შორის***

ტრენერების და სამიზნე აუდიტორიის სახით ტრენინგში ჩართული პირებისთვის საერთო და სასწავლო მიზნების საბოლოო ვარიანტის გაცნობას გარკვეული უპირატესობები გააჩნია:

- ორივეს მხარეს ნათელი მოლოდინი აქვს. ტრენერებმაც და მსმენელებმაც იციან რა მიზნებს ემსახურება შემუშავებული ტრენინგი (და შესაბამისად, რას არ მოიცავს აღნიშნული კურსი).

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები ხელს უწყობს ტრენინგის დონის დადგენას: საბაზისო თუ უფრო რთული დონის?

- თუ სამიზნე აუდიტორიას დასწრებასთან დაკავშირებით არჩევის საშუალება მიეცემა, „მსმენელებმა" შეიძლება უარი თქვან შეთავაზებულ ტრენინგზე დასწრებაზე, იმ მიზეზით, რომ იგი არ არის მისთვის მნიშვნელოვანი, ზედმეტად რთული, ან საბაზისო დონისაა.

- რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „მსმენელები" ტრენინგის ბოლოს თავად აფასებენ, თუ რამდენად მიაღწიეს სასწავლო მიზნებს. არასასურველი შედეგის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გამოავლინონ შემდგომი ნაბიჯები (მაგ., წარმოდგენილი მასალების დამატებით ინდივიდუალური შესწავლა, შეფასებისას ტრენინგის გაგრძელების საჭიროების გამოვლენა და ა. შ.).

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

საერთო და დასახული სასწავლო მიზნების განსაზღვრა, აღწერა და გაცნობა ტრენინგის შემუშავების პირველი და უმთავრესი ნაბიჯია. ტრენერებისა და „მსმენელებისთვის“ არ არის საკმარისი ნათელი წარმოდგენის შექმნა - მათ ტრენინგის მიზნების მკაფიო და არაორაზროვანი ფორმულირება სჭირდებათ.
საერთო მიზნების და სასწავლო მიზნების აღწერა

არსებული და მოსალოდნელი ქცევა საკვანძო მნიშვნელობისაა, და იგი სასწავლო მიზნების შემუშავებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. აუდიტორიის ქცევის შესახებ ცოდნას და მისი გარდაქმნის საჭიროების დანახვას მივყავართ კითხვამდე, თუ როგორ შეიძლება ქცევის შეცვლა.

iv. ტრენინგის მასალების და პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავება
მოდულის ხანგრძლივობა

ძირითადი საკითხი ტრენინგის ხანგრძლივობას შეეხება. HELP-ის პროგრამის ფარგლებში იგულისხმება, რომ მსმენელები საშუალოდ სამ საათს დაუთმობენ თითოეულ მოდულს, ხოლო ერთი მოდულის გასავლელად გამოყოფილია ორი კვირა. აღნიშნული, დამატებით საკითხავ ლიტერატურის გარდა, ყველა სავალდებულო მასალას და დავალებას მოიცავს.

შესაბამისად, HELP-ის კურსის საშუალო ხანგრძლივობა მთლიანობაში კურსში შემავალი მოდულების რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუმცა ზოგადად, სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობის კურსი არ არის რეკომენდებული, სამართლის სფეროს სპეციალისტების შეზღუდული დროიდან და მსმენელების მიერ მოტივაციის დაკარგვის რისკიდან გამომდინარე.

ელექტრონული სწავლების კონტექსტში ეს შეიძლება გულისხმობდეს: კურსის მასალის რამდენი გვერდი შეესაბამება ერთსაათიან ელექტრონულ სწავლებას? როდესაც სასწავლო კურსს კომპანია შეიმუშავებს, სასწავლო კონტენტის ღირებულება განისაზღვრება სწავლების ერთ საათის, ან გვერდის მოცულობის მიხედვით. ამგვარად, ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. თუმცა, აკადემიური თვალსაზრისით, ამის განსაზღვრა შეიძლება რთული იყოს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს და შეუძლებელია არსებობდეს გვერდების დათვლის რაიმე დადგენილი წესი. ამის მრავალი მიზეზი არსებობს.

- ერთი გვერდის წასაკითხად ადამიანებს განსხვავებული დრო სჭირდებათ;
- ზოგიერთი გვერდი მეტ ინფორმაციას შეიცავს ან მკითხველთან მეტ ინტერაქტივს საჭიროებს;

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- ზოგიერთ გვერდზე სხვადასხვა ხანგრძლივობის ვიდეოები ან პრეზენტაციებია წარმოდგენილი;
- ზოგ ადამიანს კი შესაძლოა თითოეული გვერდის ხელმეორედ წაკითხვა დასჭირდეს.

თუმცა, უმჯობესია თუ მსმენელებს ტრენინგის დაწყებამდე გარკვეული წარმოდგენა ექნებათ კურსის ხანგრძლივობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, არაოფიციალური სტანდარტია - დაახლოებით 50 სლაიდი ერთსაათიანი ელექტრონული სწავლებისათვის. თქვენი კურსისთვის ასეთი საზომის გამოყენება ყველაზე ზუსტი იქნება.

ინფორმაციის შეკვეცა

SCORM-ზე დაფუძნებული ელექტრონული სწავლების კურსი[16] მოკლეა და მხოლოდ იმ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, რომლის კურსში შეტანაც აუცილებელია. ეს მთელ რიგ სირთულეებს უქმნის ინსტრუქციულ დიზაინერს. ზოგიერთი სირთულე და საინფორმაციო საკითხი საბოლოო პროდუქტის გრაფიკული სცენარის შექმნის მიზნით ორგანიზებულ შეხვედრაზე განიხილება. მაგრამ ინსტრუქციულმა დიზაინერმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი წესები:

<u>აუცილებლად უნდა შეიცავდეს</u> - მოდული აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამ ინფორმაციას. იგი სასწავლო მიზნების ან კურსის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, ან მოხდეს მისი მაქსიმალური სიზუსტით პერიფრაზირება. იგი წარმოადგენს საკვანძო მნიშვნელობის ინფორმაციას.

<u>ამის ცოდნა სასარგებლოა</u> - ამ ინფორმაციის ცოდნა სასარგებლოა. მას სასწავლო მიზნების წარმატებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, მსგავსი ინფორმაცია მომხმარებელს დამატებითი ინფორმაციას ან კონტექსტს აწვდის დაინტერესების შემთხვევაში. თუ ინფორმაციას მოდულის ძირითად ნაწილში ვერ შეიტანთ, კარგი იქნება მისი ბმულის ან ნაბეჭდი რესურსის სახით დამატება, რათა სურვილის შემთხვევაში, მსმენელმა შეძლოს მისი წაკითხვა.

<u>არც ისე რელევანტური</u> - სფეროს ექსპერტისათვის რთულია ინფორმაციის გამოტოვება, მაგრამ ინსტრუქციულმა დიზაინერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს სასწავლო მიზნებს ესა თუ ის ინფორმაცია. თუ იგი სასწავლო მიზნებს არ აკმაყოფილებს, მისი კურსში შეტანა არ არის საჭირო.

კითხვების გამოყენება ინტერაქტიულ სწავლებაში

ელექტრონული კურსის შემუშავებისას ინფორმაციის განსაზღვრა უმთავრესი უნარია. სასარგებლო, ეფექტური და ეკონომიური კურსის შემუშავება, პირველ რიგში

16 SCORM - ელექტრონული სწავლების შემუშავების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომელიც უზრუნველყოფს თავსებადობას სწავლების მართვის ყველა სისტემასთან.

დროს და გამოცდილებას მოითხოვს. პირველი, SCORM-ზე დაფუძნებული კურსის შემუშავებისას, უმჯობესია თუ საწყის ეტაპზე ინსტრუქციულ დიზაინერის გამოცდილებას მეტად დაეყრდნობით.

ამ მიზეზით, რეკომენდებულია, რომ სფეროს ექსპერტი არ იყოს კურსის ავტორი. ინფორმაციის ობიექტურად დანახვის უნარი მნიშვნელოვანია, ხოლო, როდესაც დრო და კვლევა იხარჯება ცოდნის შეძენაზე, რთულია ობიექტურობის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში, უკეთესია სფეროს ექსპერტმა უხელმძღვანელოს კურსის ავტორს, ვიდრე თავად დაწეროს კურსი.

HELP-ის პროგრამის ინსტრუქციული დიზაინის რესურსები და კურსის დიზაინერები საწყის ეტაპზე დახმარებას გაუწევენ სპეციალისტებს.
სასწავლო გარემოში კითხვები, როგორც წესი, ცოდნის შესამოწმებლად გამოიყენება. თუმცა, თუ საკითხს სხვა კუთხიდან შევხედავთ არსებობს კითხვების გამოყენების არაერთი გზა, რომელიც შეგიძლიათ მოარგოთ თქვენს სასწავლო კურსს:

1. ცოდნის შემოწმება. სწავლის ეს ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნას მოდულის დასაწყისში, რათა განისაზღვროს მომხმარებლის დონე კურსის დაწყებისას. სწავლის იგივე სტილი შეიძლება გამოყენებული იქნას კურსის ბოლოს, რათა დარწმუნდეთ, რომ მომხმარებლებმა მიაღწიეს მოთხოვნილ სტანდარტს.

2. ცოდნა ასევე შეიძლება შემოწმდეს მთელი კურსის მიმდინარეობისას შესასწავლი საკითხების განსამტკიცებლად და მათი გაგების უზრუნველსაყოფად.

3. კითხვები შეიძლება რეალური სიტუაციების სიმულაციისთვის იქნას გამოყენებული. მაგალითად, სცენარში ან პრაქტიკულ მაგალითში კითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას რეალურ ცხოვრებაში მისაღები გადაწყვეტილების სიმულაციისათვის. SCORM-ზე დაფუძნებული სწავლებისას, შესაძლებელია აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგების ჩვენებაც. დაიმახსოვრეთ, რომ კურსი უსაფრთხო გარემოა, სადაც შეიძლება შეცდომების დაშვება.

4. შექმენით ჰიპოთეტური სიტუაცია, რომელიც მომხმარებელს გამოიყვანს კომფორტის ზონიდან. სთხოვეთ იფიქროს საპირისპირო გადმოსახედიდან. სთხოვეთ საკუთარი თავი ვინმეს მდგომარეობაში ჩააყენოს, - თუნდაც ეს მისთვის შემაშფოთებელი მოსაზრება იყოს.

5. კითხვების გამოყენება შესაძლებელია ინფორმაციის მისაწოდებლად. არასწორი პასუხის მიღება შეიძლება სწავლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი იყოს. კითხვების განზრახ ორაზროვნად ფორმულირება, ისე, რომ მომხმარებელმა არასწორი პასუხი გასცეს შესაძლოა მნიშვნელოვანი მომენტი იყოს სწავლებისთვის.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

v. დასკვნითი დავალების შემუშავება სასწავლო მიზნების შესაფასებლად

მასალის ათვისების შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა შეფასება. ცოდნა შეიძლება შეფასდეს კურსის დაწყებამდე და განმეორებით, კურსის დასრულებისას, შედეგების შედარებისა და შეფასებისთვის.
შეფასება ორ ფუნქციას ასრულებს მსმენელთათვის - იგი სწავლების მხარდაჭერას უზრუნველყოფს და სწავლების აკრედიტაციას ახდენს. ტრენერებისთვის შეფასება მესამე მნიშვნელობის მატარებელია -იგი ეხმარება მათ ტრენინგის წარმატების შეფასებაში.

აღნიშნული მიზნებისთვის შეფასების დავალებების დაგეგმვა ტრენინგის შემუშავების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი ტრენინგის შემუშავების ადრეულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს. სასწავლო მიზნების განსაზღვრის შემდეგ, იფიქრეთ როგორ შეიძლება მათი შეფასება შედეგების თვალსაზრისით. აღნიშნული ასევე საშუალებას მისცემს ტრენერებს განსაზღვრონ, თუ რამდენადაა შესაძლებელი სასწავლო მიზნების შეფასების მეთოდების ტრენინგის დიზაინში შეტანა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ყურადღების ტრენინგის მეთოდების შერჩევაზე გამახვილება.

ტრენერებმა ტრენინგის ისეთი დიზაინი უნდა გამოიყენონ, რომელიც ტრენინგის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციულ უკუგების მიღების საშუალებას იძლევა და ეხმარება მსმენელებს გამოავლინონ, თუ რამდენად მიაღწიეს სასწავლო მიზნებს.
შეფასება, როგორც ტრენინგის ნაწილი

აღნიშნული უფრო ნათელი ხდება მაგალითების განხილვის შემთხვევაში.

პირველ რიგში, დავუშვათ, რომ სასწავლო მიზნები ითვალისწინებს ტესტების გამოყენებას, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეებმა უნდა განიხილონ საქმეები, როდესაც ეჭვმიტანილი შუამდგომლობას აყენებს საქმის განხილვამდე გირაოთი გათავისუფლების შესახებ. (თავად სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ტრენინგის დასრულებისას მოსამართლე შეძლებს შეადგინოს მოკლე წერილობითი განჩინება, სადაც წარმოდგენილი იქნება ეჭვმიტანილისთვის საქმის განხილვამდე გირაოთი გათავისუფლებაზე უარის თქმის მიზეზები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად).

აღნიშნული სწავლის შედეგი მოიცავს გარკვეულ „ უფრო რთული დონის“ დავალებას (ე.ი. ფაქტობრივი გარემოებების გახსენებაზე მეტი), რომელიც სტრასბურგის იურისპრუდენციისა და იმ საკვანძო საქმეების ცოდნაზეა დამოკიდებული, სადაც გირაოთი გათავისუფლების საკითხი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ჭრილში იყო განხილული.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, შეფასების დიზაინი შედარებით მარტივია: მასში მოცემულია პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც საკვანძო ტესტების გამოგონილ სიტუაციებში გამოყენებაზეა დაფუძნებული. აღნიშნული, თავის მხრივ, ტრენინგის ჩატარების მთელ რიგ შესაძლო გზებს წარმოგვიდგენს, იმ მეთოდის შერჩევის საშუალებით, რომელიც მეტი ალბათობით უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას (მაგ., 15 წუთიანი მოკლე მოხსენება, რასაც მოსდევს საქმის ინდივიდუალური მომზადება და ჯგუფში განხილვა, დაბოლოს პლენარული მოხსენება იმ სირთულეების წარმოსაჩენად, რომლებიც ჯგუფური დისკუსიის დროს წამოიჭრა).

ასეთი მიდგომა განიხილავს შეფასებას, როგორც სწავლის პროცესის განუყოფელ ეტაპს.

რა ფუნქცია აქვს შეფასებას

შეფასება სამ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს:

- შეფასება სწავლისთვის - შეფასების დავალებები მსმენელებისთვის მიმდინარე უკუგების მიწოდებისა და მათი სასწავლო აქტივობებში ჩართვისთვის გამოიყენება.
- სწავლის შეფასება - შეფასების დავალებები შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის გამოიყენება, რაც გულისხმობს სერტიფიკატის გადაცემას ან დამსახურების სხვა სახით აღიარებას, კურსის განმავლობაში მსმენელის მიღწევების შესაბამისად.
- იგი ასევე საშუალებას აძლევს ტრენერებს შეაფასონ მათი ტრენინგის ეფექტურობა

ტრენერებმა უნდა განიხილონ, თუ რომელი შეფასებეის დავალებები, და მათი თანმიმდევრობა მისცემს მსმენელებს სასწავლო მიზნების უკეთესად მიღწევის საშუალებას.

შეფასების დიზაინი და მისი ტრენინგში ჩართვა

შეფასება რამდენიმე განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. ამის გამო, შეფასების დიზაინს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, თუ მთავარი პრინციპი დაცულია: შეფასების პროცესმა უნდა შეაფასოს ტრენინგის შედეგები, რომლებიც გამოხატულია მიღებული ცოდნის, ცოდნის გაუმჯობესების, შეძენილი უნარ-ჩვევების და (საჭიროების შემთხვევაში) დამოკიდებულების შეცვლის სახით. პროფესიული განათლების კონტექსტში, შეფასება საშუალებას აძლევს მსმენელებს მიიღონ ინფორმაციული უკუგება სწავლისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ. იურისტების ტრენინგის კონტექსტში შეფასება შეიძლება მოიცავდეს მსმენელისათვის უკუკავშირის მიწოდების მეთოდებს, რომლებიც მონაწილეებს დაეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასებაში.

გრძელვადიან პერსპექტივაში, შეფასება „სწავლის ციკლის“ მნიშვნელოვანი შემა-

დგენელი ნაწილია (იხილეთ ქვემოთ); იგი ატესტაციის პროცესებში თამაშობს როლს, და ეხმარება ორგანიზაციებს უზრუნველყონ, რომ საზოგადოებისთვის მიწოდებული მომსახურება აკმაყოფილებს მათ მოლოდინს პროფესიონალიზმის თვალსაზრისით.

შეფასების ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებია მნიშვნელოვანი:[17]

- უმჯობესია შეფასების კურსის განმავლობაში განხორციელება, ნაცვლად მისი კურსის ბოლოს დამატების სახით წარმოდგენისა;
- შეიმუშავეთ შეფასების ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწავლას;
- ინფორმაციის უბრალო დამახსოვრების ნაცვლად შეაფასეთ გაგების უნარი და უფრო მაღალი დონის სწავლა (როგორიცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება)
- გამოიყენეთ შეფასების სხვადასხვა მეთოდი, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ თითოეულის ნაკლოვანებები, და თითოეულ მსმენელს (რომელთაც განსხვავებული შესაძლებლობები და სწავლის მიდგომები აქვთ) საკუთარი მიღწევების გამოვლენის შესაძლებლობა ჰქონდეს.
- მთელი კურსის განმავლობაში დასახეთ მზარდი სირთულის ამოცანები
- დაიწყეთ „არაფორმალური“ პატარა დავალებებით, და უზრუნველყავით დროული და სათანადო ინფორმაციული უკუგება
- წაახალისეთ ყურადღების გამახვილებით წინსვლასა და მიღწევებზე, და არა წარუმატებლობაზე
- მიეცით მონაწილეებს თვითშეფასების და ტრენინგის სხვა მონაწილეების მხრიდან შეფასების შესაძლებლობა
- ხშირად გამოიყენეთ უკუკავშირის შესაძლებლობა. დარწმუნდით, რომ იგი სენსიტიური და კონსტრუქციულია, აჩვენებს თუ რა იყო კარგი და რატომ, რა იყო არასწორი /არასათანადო და რატომ და როგორ შეიძლება შედეგების გამოსწორება.

სასწავლო მიზნების საფუძველზე შეფასების დავალებების შემუშავება

ტრენინგის მოდელის მესამე ეტაპს წარმოადგენს შეფასების დავალებების სასწავლო მიზნებზე მისადაგება.

სასწავლო მიზნების შეფასებასთან მიმართებაში, აღნიშნული შედეგზე ორიენტირებული მიდგომა ეხმარება მსმენელებს:

- განსაზღვრონ თუ რას უნდა მიაღწიონ;
- თვალ-ყური ადევნონ საკუთარი მიზნებისკენ წინსვლას;
- უფრო მეტად აკონტროლონ საკუთარი სწავლის პროცესი; და
- როგორც მსმენელებმა მეტი დამოუკიდებლობა შეიძინონ.

სასწავლო მიზნების შეფასებასა და სწავლების/სწავლის აქტივობებთან ამგვარი მისადაგების მაგალითი ქვემოთაა მოყვანილი:

17 ადაპტირებულია უმაღლესი განათლების კვლევის ცენტრის ნაშრომიდან ‘ეფექტური შეფასების ძირითადი პრინციპები“, www.cshe.unimelb.edu.au/assessinglearning, ავსტრალიის უნივერსიტეტების სასწავლო კომიტეტის და შეფასების რეფორმების ჯგუფის (2002) ნაშრომიდან, სწავლის შეფასება - 10 პრინციპი, ნაფილდის ფონდი (Nuffield Foundation), http://arrts.gtcni.org.uk/gtcni/bitstream/2428/4623/1/Assessment%20for%20Learning%20-%2010%20principles.pdf

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სასწავლო მიზნები	შეფასების დავალებები	სწავლების/სწავლის ამოცანები
კურსის დამთავრების შემდეგ თქვენ შეძლებთ:		
შეაფასოთ ზრდასრულთა პრაქტიკული სწავლებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა	პრაქტიკული მაგალითი მოცემულ თემაზე, რომლის გადაწყვეტის გზებიც უნდა შემოგთავაზოთ ტრენინგის მონაწილემ პორტფოლიო, სადაც მსმენელები პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების არსებული პრაქტიკის კრიტიკულ ანგარიშს წარმოადგენენ	პრაქტიკული მაგალითის განხილვა სამუშაოს შესრულება ზედამხედველობის ქვეშ
ევროპის სხვადასხვა მხარეებისა და სხვადასხვა ისტორიული პერიოდების სათანადო შედარება სარწმუნო ისტორიული მონაცემების საფუძველზე	სადისკუსიო თემის დოკუმენტი ორ მონაწილეს მიეწოდება. მათ საკუთარი პოზიცია სემინარზე დამსწრე კოლეგების წინაშე უნდა დაასაბუთონ. შემდეგ მონაწილეებს შორის ტარდება კენჭისყრა. ორი გამომსვლელი საკუთარ არგუმენტებს, კენჭისყრის შედეგებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ნასწავლ საკითხს წერილობითი ფორმით წარადგენენ.	ლექციების კურსი, რომელიც მოიცავს თემატიკას/პერიოდს სადისკუსიო სემინარი პირველწყაროებს გამოყენებით, და ზოგადი დამატებითი ტექსტი მიმოხილვის სახით რეკომენდებული ლიტერატურა

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამისა და კურსის სასწავლო მიზნები ნათლად ფორმულირებული და შეფასებადი იყოს. ეს ასევე გულისხმობს, რომ შეფასების სტრატეგიები და დავალებები სასწავლო მიზნების მიღწევის მეშვეობით ყველა სტუდენტს უნარების საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს.

რეფლექსია, როგორც ეფექტური ტრენინგის უმთავრესი ნაწილი - „სწავლის ციკლი'

შემდგომი რეფლექსია აუცილებელია მსმენელთა სწავლის პროცესში დასახმარებლად, და მოცემული პროცესი ზემოთ განხილული შეფასების პირველი ფუნქციაა.

> ***სწავლის შეფასების პროცესში დავალებები მსმენელებისთვის უკუგების მიწოდებისა და მათი სასწავლო აქტივობებში ჩართვისთვის გამოიყენება.***

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

„სწავლის ციკლი“ შეიმუშავა კოლბმა (1984), როგორც მარტივი საშუალება რეფლექსიასა და სწავლის გაუმჯობესებას შორის კავშირის საილუსტრაციოდ.[18] პროფესიული ტრენინგების პროცესში ტრენერებს რეალური შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ მსმენელების არსებული ცოდნა და დაეხმარონ მათ საქმიანობაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობის გააზრებაში. სწავლის ციკლი ხაზს უსვამს, რომ რეფლექსია ამჟამად სწავლის მთავარ ასპექტად განიხილება, მიუხედავად იმისა „მსმენელი“ პირველი კურსის სტუდენტია, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. იურისტებისთვის ტრენინგების ჩატარებისას მისი გამოყენება უფრო მარტივია, ვიდრე სკოლადამთავრებულთათვის შესავალი კურსის ჩატარების პროცესში.

სასწავლო ციკლი შეიძლება გამოყენებული იქნას სწავლის პროცესის განვითარებადი ხასიათის ასახსნელად. პროფესიულ განათლებაში რეფლექსია შესაძლოა გამოყენებული იქნეს [ტრენინგის მონაწილეთა] დასახმარებლად, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე და განსაზღვრონ გზები, რომლითაც შეძლებენ საკუთარი გამოცდილების და პროფესიული ქცევის სრულყოფას. ... ადამიანები რეფლექსიას სხვადასხვა მიზნითა და კონტექსტში იყენებენ, მაგრამ ზოგადად რეფლექსიის მიზანი ერთია: უკეთესად გაიგონ და გაიაზრონ თუ რას გრძნობენ და განიცდიან.

ვების აზრით:
სწავლის პროცესი იწყება მიღებული გამოცდილებით. იმისთვის, რომ ვისწავლოთ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გვჭირდება მისი გააზრების შესაძლებლობა და გამოცდილების და რეფლექსიის თეორიული აბსტრაგირების და გათავისების უნარი, რომელიც შემდგომ შეიძლება შემოწმდეს ახალ ვითარებებში.

ჯ. ვები (1995) „სად არის ქმედება იურიდიულ განათლებაში“ - საერთაშორისო ჟურნალ იურიდიული სფეროს წარმომადგენლებისთვის 2 (2/3) 187-216

აღწერილ „გამოცდილებას“ შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ... როდესაც რეფლექსია აკადემიურ ან პროფესიულ გარემოში სწავლისთვის გამოიყენება, მას ყველაზე ხშირად მოსდევს დაგეგმილი აქტივობა ან სასწავლო აქტივობების სერია.

ალბათ ყველა სტუდენტს უნდა შეეძლოს საკუთარი სწავლება ეჭვქვეშ დააყენოს და შეაფასოს საკუთარი შრომის ხარისხი. თუმცა, ბუნი მიიჩნევს, რომ აღნიშნული უნარ-ჩვევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის სტუდენტებისთვის:

18 დ.ა. კოლბი (1984) ემპირიული სწავლება: გამოცდილება, როგორც სწავლის და განვითარების წყარო (ნიუ ჯერსი: გამომცემლობა Prentice Hall)

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

> მსმენელებმა უნდა ისწავლონ არა უბრალოდ „მოქმედება“, არამედ ისეთი აზროვნების ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ იკითხონ თუ კონკრეტულ გარემოებებში რატომ უნდა „იმოქმედონ“ ადვოკატებმა სწორედ ასე. ეს გულისხმობს ქმედების სამეცნიერო კვლევას, მოტივაციას და ეთიკას, რაც საფუძველს ჩაუყრის არა მხოლოდ სამუშაოს შესრულების, არამედ ქმედების ძირითადი მიზეზის გააზრების უნარს.
> ა. ბუნი (1996) „უნარ-ჩვევები იურიდიული განათლების საწყისი ეტაპზე: გარდასახვის თეორია და პრაქტიკა“, ჯ. ვები და კ. მოენი იურისტის უნარ-ჩვევების სწავლება (ლონდონი: გამომცემლობა Butterworths)

ამონარიდი: კ. ჰინეტი, რეფლექსიური პრაქტიკის დანერგვა იურიდიულ განათლებაში (გაერთიანებული სამეფოს იურიდიული განათლების ცენტრი, 2002)

უკუკავშირი მსმენელთათვის

შეფასების მეორე ფუნქცია „ტრენერის“ უფრო ტრადიციულ ამოცანას ემსახურება, რაც მსმენელისათვის გარკვეული ფორმით შეფასებების მიწოდებას გულისხმობს. მსმენელის აზროვნებაში იგი აუცილებლად დაკავშირებულია „სერტიფიცირებასთან“ ან „აკრედიტაციასთან“. თუმცა, ტრენინგებზე ეს აუცილებელი არ არის (ასევე, არსებობს სერიოზული მიზეზები, თუ რატომ არ არის სასურველი ტრენინგებში გამოცდის რაიმე ფორმით შეტანა).

ეფექტური უკუკავშირის მიწოდება ტრენერის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა. უკუკავშირის მიწოდება მთელ რიგ სიტუაციებშია მიზანშეწონილი:

- ცოდნა: მას შემდეგ რაც პლენარულ სხდომაზე ჯგუფი წარადგენს საკუთარ დასკვნებს მაგ., პრაქტიკული მაგალითის, თუ პრობლემის შესახებ, ან იმიტირებულ სასამართლოზე პაექრობის შემდეგ, ტრენერმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად გაიგეს და შეძლეს მსმენელებმა ცოდნის გამოყენება.

- უნარ-ჩვევები: ახალი უნარ-ჩვევების გამოყენების შესაფასებლად შემუშავებული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ, (მაგ., პოლიციის ოფიცრების მიერ დაკითხვის ისეთი ტექნიკის გამოყენება, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს) ტრენერი ძირითადად უკუკავშირს აწვდის მსმენელებს ტრენინგის მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ზეგავლენასთან დაკავშირებით.

ამის მიზანია მსმენელებისთვის საკუთარი შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობის მიცემაა.

- მსმენელს თავდაპირველად უნდა ჰქონდეს საკუთარი თავის შეფასების შესაძლებლობა.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი - შეეცადეთ გამოიყენოთ კონკრეტული მაგალითები მსმენელის მიერ შესრულებული სამუშაოდან.

- უკუკავშირი უნდა იყოს დაკავშირებული შედეგებთან, და არა მსმენელის პიროვნულ თვისებებთან - შესაბამისად, უკუკავშირის მიწოდებისას გამოყენებულ უნდა იქნას ნეიტრალური და ობიექტური ტერმინები.

- უკუკავშირის მოცულობა უნდა იყოს მართვადი - იგი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს სამი ან ოთხი პუნქტისაგან.

- ასევე, დაცული უნდა იყოს ბალანსი დადებით კომენტარებსა და კონსტრუქციულ კრიტიკას შორის.

უკუკავშირის მიწოდება უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ტრენინგის სხვადასხვა ეტაპზე, ტრენერების მიერ კომენტარების მიწოდების მრავალი შესაძლებლობა არსებობს (მაგ. ჯგუფის მიერ ანგარიშის წარმოდგენის, იმიტირებული სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ან პლენარულ სესიაზე აუდიტორიასთან ურთიერთობის დროს). თუ შესაძლებელია, შეეცადეთ უკუკავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებს დაუკავშიროთ.

vi. ელექტრონული სწავლების პაკეტის შემუშავება

დამოუკიდებლად იმისა, ელექტრონული სწავლების პაკეტი ცალკე იქნება გამოყენებული, თუ შერეული სასწავლო კურსის სახით, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- გრაფიკული სცენარის შექმნის მიზნით ორგანიზებული შეხვედრა

მას შემდეგ, რაც კურსის დიზაინის და შინაარსის ჩამოყალიბების ეტაპი დასრულდება, ეწყობა გრაფიკული სცენარის შექმნაზე მიმართული შეხვედრა. კურსის კონტენტზე მომუშავე ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი და ელექტრონული სწავლების დიზაინერები ხვდებიან არაინტერაქტიული სცენარის შესაქმნელად, რომელიც შემდგომ გამოიყენება ელექტრონული სწავლების დიზაინერის მიერ კურსის Articulate პროგრამული ვერსიის შესაქმნელად. ‘Articulate’ წარმოადგენს პროგრამას, რომლის მეშვეობითაც ინტერაქტიული ელექტრონული სწავლების მოდული შემუშავდება.

კოორდინატორის, როგორც პროცესის ზედამხედველისა და სფეროს ექსპერტის შეხვედრაში მონაწილეობა აუცილებელია ორი მიზეზის გამო: პირველი, სწავლების საკვანძო საკითხების და შესაძლო სასწავლო მიზნების განსაზღვრა და მეორე, სამიზნე აუდიტორიის და ტრენინგის მახასიათებლების გამოვლენა.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ფორმატთან დაკავშირებული მსჯელობის საფუძველზე ხდება ვიდეოების გრაფიკულ სცენარში ინტეგრაცია, შემდგომ მათი საბოლოო ინტერაქტიულ პროდუქტში წარმოდგენისთვის.

შეხვედრის შემდეგ, გრაფიკული სცენარის პროექტი წარედგინება კოორდინატორს და HELP-ის სამდივნოს საბოლოო ვერსიის დასამტკიცებლად. აღნიშნულის საფუძველზე ელექტრონული სწავლების დიზაინერი HELP-ის სამდივნოს წარუდგენს კურსის ინტერაქტიულ (Articulate) ვერსიას.

რამდენადაც გრაფიკული სცენარის შეხვედრაზე კურსის დიზაინის შექმნის პროცესი იწყება, ეს ინტერაქტიული, ელექტრონული სწავლების შემუშავების უმნიშვნელოვანესი მომენტია. ეს ის ეტაპია, როდესაც დიზაინერი იწყებს ინფორმაციის შეგროვებას აუდიტორიისა და საგნის შესახებ, რაც დაეხმარება მას სასწავლო ინტერვენციის დასრულებაში. აღნიშნულ შეხვედრაზე წარმოდგენილი ინფორმაცია გასცემს პასუხს ზოგიერთ მნიშვნელოვან შეკითხვას, რომელთა განსაზღვრა აუცილებელია პროცესისათვის. ამ ნაწილში ჩვენ შევაჯამებთ ზოგიერთ ამ კითხვას. ამასთანავე, თქვენ შეგიძლიათ დოკუმენტების ნიმუშები იხილოთ რესურსების განყოფილებაში, სადაც მოცემულია ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის დაზუსტებაც აუცილებელია გრაფიკული სცენარის შემუშავების მიზნით ორგანიზებულ შეხვედრაზე.
გრაფიკული სცენარის შეხვედრა მოახდენს ზეგავლენას როგორც მოდულის შინაარსის განსაზღვრაზე, ასევე სხვა ასპექტებზეც. მაგალითად, თუ როგორ გამოიყურება მოდული, რა ხანგრძლივობისაა და ინფორმაციის რა ელემენტების გამოყენებაა შესაძლებელი სასწავლო პროცესში.

„გრაფიკული სცენარის შეხვედრის“ საკვანძო საკითხები შემდეგია:

პროექტის მართვა	
აუცილებელი ინფორმაცია	**მიზანი**
პროექტის მართვის საკითხები	მოდულის შექმნის საწყის ეტაპზე კარგი იქნება პროექტის მართვის შედეგების განხილვა. გრაფიკული სცენარის შემუშავების შეხვედრა დაიწყეთ პროექტის გუნდის წევრების როლების, სავარაუდო ვადების და დამსწრეთა ხელმისაწვდომობის, ასევე მათი საკონტაქტო ინფორმაციის განსაზღვრით.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

პროგრამის აღწერა	
კურსის ხანგრძლივობა	სასწავლო ინტერაქციის ხანგრძლივობის ცოდნა განსაზღვრავს სასწავლო კონტენტის გვერდების რაოდენობას, რომლებიც ინსტრუქციული დიზაინერისათვისაა ხელმისაწვდომი. ეს საკითხი არსებითია ელექტრონული სწავლების მწარმოებელ კომპანიასთან მუშაობისას, რომელიც შესაძლოა გვერდების მიხედვით ითხოვდეს ანაზღაურებას, ხოლო საკუთარი კონტენტის შექმნა მოქნილობის გარკვეული დონეს უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, სასწავლო კონტენტზე პირველად მუშაობისას ვადების დაწესება ფასდაუდებელ გამოცდილებას წარმოადგენს. გადახედეთ სახელმძღვანელოს განყოფილებას „კურსის ხანგრძლივობის“ შესახებ კურსის ხანგრძლივობის მიმოხილვა იხილეთ სახელმძღვანელოს ამ განყოფილებაში
ინტერაქტივის მიზანი	რა მიზნებს ემსახურება სასწავლო ინტერაქტივის შექმნა? არის თუ არა იგი უფრო ხანგრძლივი კურსის შესავალი ნაწილი? ეს სრულფასოვანი ტრენინგია რაიმე კონკრეტული თემის შესახებ? დამოუკიდებლად სწავლის თუ საკლასო გარემოში გამოსაყენებელი კურსია? სწავლების როლის ცოდნა სასარგებლოა, იმის განსაზღვრისას თუ რა ინფორმაცია უნდა შეიტანოთ მასში და რა გამოტოვოთ. თუ, მაგალითად, კურსი წარმოადგენს უფრო დიდი სასწავლო კურსის ნაწილს, შეგიძლიათ გამოტოვოთ ისეთი ინფორმაცია, რომლის მოძიებაც სხვაგანაა შესაძლებელი.
იგი არსებული კონტენტის მხარდაჭერა იქნება თუ მისი ჩანაცვლება?	თუ კურსი წარმოადგენს სხვა არსებული კურსების მხარდაჭერას, შეგიძლიათ კურსს სწავლების სხვა წყაროები დაურთოთ სასწავლო სივრცის გამოყენების გარეშე, რომელიც შესაძლოა უფრო მეტად დაგჭირდეთ.
დასრულდება თუ არა კურსი სათანადოდ?	კურსის სავალდებულო ნაწილის სწავლებისას, სრულიად შესაძლებელია, რომ მოსთხოვოთ მსმენელს გადახედოს კურსის ყველა გვერდს, ამ შემთხვევაში მისი დასრულება აუცილებელია შესაბამისი თანამიმდევრობით. თუმცა, ელექტრონული სწავლების ზოგიერთი ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საცნობარო სახელმძღვანელოები, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს გადახედოს ინფორმაციას რამდენჯერაც და როდესაც საჭიროა. ასეთ შემთხვევაში კურსის იძულებით დასრულება შესაბამისი თანამიმდევრობით უსარგებლო იქნებოდა.
წარმოადგენს თუ არა კურსი სავალდებულო პროგრამის ნაწილს?	ელექტრონული სწავლების სავალდებულო კურსისთვის შესაძლოა აუცილებელი იყოს კურსის დასრულების დადასტურება, ან იმის დადასტურება, რომ სასწავლო მიზნები მიღწეულია. აღნიშნული შეიძლება გულისხმობდეს მონაწილისთვის სერტიფიკატის გადაცემას ან ოფიციალურ ტესტირებას.
მოითხოვს თუ არა კურსს დამატებით რესურსებს	ხანდახან ელექტრონული სწავლების კურსს შეიძლება ახლდეს დამატებითი საბეჭდი რესურსები. ასეთი შეიძლება იყოს საცნობარო სახელმძღვანელოები ან სამახსოვროები. იმის გააზრება, რომ აღნიშნული რესურსების მომზადება უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ცოდნის შეფასება	როგორ უნდა შეფასდეს ცოდნა, როგორც კურსის ნაწილი? გესაჭიროებათ თუ არა ცოდნის დონის დადგენა მომხმარებლების მიერ მოდულის გავლამდე? ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კურსის დაწყებამდე შეფასების შემუშავება, რომელიც დაეხმარება მომხმარებელს მიიღოს ანალიზისთვის ყველაზე საჭირო ინფორმაცია. ცოდნა მუდმივად მოწმდება კურსის მიმდინარეობისას თუ იგი კურსის დასრულებისას შემოწმდება ტესტირებით?
უკუკავშირი	ცოდნის შემოწმებისას უკუკავშირი დაუყოვნებლივ ხდება თუ კურსის დასრულების შემდგომ?
აუდიო	კურსში შეტანილი იქნება თუ არა ნარატიული ან აუდიომასალა? ასეთ შემთხვევაში ინსტრუქციულ დიზაინერს აუდიო ტექსტის დაწერაც დასჭირდება.
ინტერაქტიულობა	კურსის რამდენი პროცენტი შეიძლება შეიცავდეს ინტერაქტიულ კომპონენტებს? საგნის ექსპერტს უნდა ჰქონდეს გარკვეული შეხედულება აღნიშნულზე თუ იგი იცნობს სასწავლო კურსის აუდიტორიას. ინტერაქტიულობის მოცულობის ცოდნა დაეხმარება ინსტრუქციულ დიზაინერს კურსის შემუშავებაში.
სწავლება კომუნიკაციის მობილური საშუალებების გამოყენებით	ექნება თუ არა კურსს კომუნიკაციის მობილური საშუალებების მხარდაჭერა? ასეთ შემთხვევაში დიზაინის გარკვეულ კომპონენტებს შესაძლოა არ გაეჩნდეთ მობილური პლატფორმა.
აუდიტორია	
ვისთვისაა განკუთვნილი სწავლება?	თქვენთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვინ უნდა გამოიყენოს აღნიშნული სწავლება. ამის გაგება წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს სწავლასთან დაკავშირებული ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებისას. თქვენი სამიზნე აუდიტორიის დადგენის შემდეგ შეგიძლიათ დემოგრაფიული ფაქტორები გაითვალისწინოთ. აუდიტორიამ, რომლისთვისაც ქმნით კურსს, შეიძლება გიკარნახოთ ტონიც. მაგალითად, ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება უხერხულად ან შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი სწავლების ყოველდღიურ სასაუბრო სტილში წარმართვის გამო. ზოგიერთი შეიძლება ნაკლებად რეაგირებდეს სწავლების ოფიციალურ ტონზე.
სწავლის გამოცდილება	აუდიტორიას აქვს თუ არა სწავლის გამოცდილება? ბოლოს როდის გაიარეს სასწავლო კურსი ან ტრენინგი? აღნიშნულის დადგენა მნიშვნელოვანია თქვენი სწავლის მიდგომების განსასაზღვრად. შესაძლოა უფრო იოლი იყოს ისეთ ადამიანებთან მუშაობა, რომლებსაც სწავლის უახლესი გამოცდილება აქვთ. შესაძლოა დაგჭირდეთ ალტერნატიული მიდგომების შემუშავება იმ ადამიანებისათვის, რომლისთვისაც საკლასო გარემო უცხოა.
სწავლისადმი დამოკიდებულება	როგორ რეაგირებს სწავლაზე სამიზნე აუდიტორია? არსებობს რაიმე, რაც მათთვის მისაღებია ან რაიმე სახის დისკომფორტს იწვევს?

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სწავლის ხელმისაწვდომობა	რა დრო აქვს აუდიტორიას გამოყოფილი ინფორმაციის ასათვისებლად? აქვთ თუ არა განსაზღვრული დრო? უთავსებენ სწავლის პროცესს დაძაბულ სამუშაო დღეს? აქვთ თუ არა დრო სწავლის დასასრულებლად ან ხომ არ იმყოფებიან წნეხის ქვეშ?
ტექნიკური შესაძლებლობები	წარსულში რა შეხება ჰქონია სამიზნე აუდიტორიას ტექნოლოგიებთან? მანამდე უსარგებლიათ თუ არა ელექტრონული სწავლებით? გამოუყენებიათ თუ არა იგი განათლებაში? აუდიტორიის ტექნიკური შესაძლებლობების გაღრმავება რა დონემდეა შესაძლებელი? აღნიშნულმა საკითხმა შეიძლება განაპირობოს თქვენს მიერ განხილული ინტერაქტივის ტიპები.
დემოგრაფიული მოსაზრებები	გაითვალისწინეთ თქვენი აუდიტორიის ასაკი, სქესი და ეთნიკური შემადგენლობა. თუ გამოყენებულ თვალსაჩინოებებსა და მაგალითებში ვერ ასახავთ დემოგრაფიული ჯგუფებს, შესაძლოა ჯგუფმა ნაკლებად შეძლოს ჩართვა თემაში. თვალსაჩინო მაგალითისთვის - თუ კურსის განმავლობაში თქვენს მიერ წარმოდგენილ მაგალითებში მხოლოდ მამაკაცებზე ისაუბრებთ, როდესაც მონაწილეთა გენდერული ბალანსი დაახლოებით 50/50-ზეა ეს კურსის მდედრობითი სქესის მონაწილეებზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.
სენსიტიური თემა	კარგად დაფიქრდით განსახილველ თემაზე. არის თუ არა ისეთი საკითხი, რომლის მიმართაც მსმენელი შეიძლება სენსიტიური იყოს? მაგალითად, თუ თქვენს კურსში ბოშების შესახებ წარმოდგენილი იქნება მოძველებული და სტერეოტიპული შეხედულებები ეს შესაძლოა აღქმულ იქნას შეურაცხყოფად.
სწავლის ანალიზი	
არსებული ცოდნა	ცოდნის რა დონე ექნება აუდიტორიას? ჰქონიათ თუ არა მათ წარსულში შესასწავლ საკითხთან შეხება? ასეთ შემთხვევაში, საჭიროა თუ არა ძველი ინფორმაციის გახსენება?
ამჟამინდელი ქცევა	როდესაც გადაწყვეტთ სასწავლო მასალის მომზადებას, გაითვალისწინეთ აუდიტორიის ამჟამინდელი ქცევა. თემატიკასთან დაკავშირებით ამჟამად როგორი ქცევის დემონსტრირებას ახდენენ, რაზეც უნდა იყოს სწავლა მიმართული.
მოსალოდნელი ქცევა	ტრენინგის შემდეგ როგორ ქცევას გამოავლენენ მსმენელები? როგორ გავიგოთ, რომ სასწავლო სავარჯიშო წარმატებული იყო?

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

კურსის შინაარსის გრაფიკულ სცენარად გარდაქმნა

ელექტრონული სწავლების გრაფიკულ სცენარს ინსტრუქციული დიზაინერი ქმნის. შემდეგ აღნიშნულ სცენარს ტექნიკური ექსპერტი SCORM-ის ან Flash-ის ფორმატის სამუშაო ფაილად აკონვერტირებს. თითოეული სცენარი შეიცავს ყველა სიტყვას, გამოსახულებას და ჩანაწერს, რომელიც ესაჭიროება დიზაინერს კურსის შექმნისთვის. ელექტრონული სწავლების გრაფიკული სცენარი კურსის არაფუნქციური ვერსიაა. მასში არ არის მოქმედი ღილაკები. მისი მეშვეობით შეუძლებელია პასუხების გაგზავნა. შეუძლებელია ეკრანზე განთავსებული რაიმე ინფორმაციის გადაადგილება. მისი მეშვეობით შესაძლებელია ეკრანზე ინფორმაციის განლაგების ნახვა. გრაფიკულ სცენარში მოცემულია ზუსტი ტექსტი, რომელიც ეკრანზე გამოჩნდება. თქვენ შესაძლოა გქონდეთ გრაფიკული დიზაინის ან ილუსტრაციის მაგალითი, რომელსაც დიზაინერი გამოიყენებს. მასში მოცემულია მრავალი ჩანაწერი, რომელიც აღწერს თუ როგორ გამოიყურება ინფორმაცია კონვერტაციის შემდეგ.

გრაფიკულ სცენარში შეუძლებელია გადაადგილება და ინტერაქტივი, შესაბამისად შესაძლებელია ცალკე სლაიდში აღწერილ იქნას ქმედებები. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ნაჩვენებია გრაფიკული სცენარი მარტივი, ოთხღილაკიანი ინტერაქტივისთვის.

ქვემოთ მოცემული გამოსახულება აჩვენებს ეკრანს, როდესაც იგი პირველად გამოჩნდება მომხმარებლისთვის. ეკრანის ზედა ნაწილში დატოვებულია ცარიელი ადგილი ბმულის განსანთავსებლად. იგი სამ ნაწილადაა მოცემული.

მოდულის ნომერი_თავის ნომერი_გვერდის ნომერი (01_01_04 იქნება მოდული 1, თავი 1, გვერდი 4)

გვერდის ძირითადი ნაწილი შეიცავს ნიმუშს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს დასრულებული მოდული. მასში შედის ყველა ტექსტი, რომელიც გამოჩნდება გვერდზე და ასევე გამოსახულება, რომელიც ინსტრუქციულმა დიზაინერმა უნდა დაურთოს გვერდს სასწავლო კურსის შემქმნელის სურვილით.

მარჯვნივ მოცემულია შენიშვნები სფეროს ექსპერტის საყურადღებოდ იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავებს გვერდი. ამ შემთხვევაში მისი შინაარსი დაახლოებით შემდეგია იქნებოდა:

„მოცემულია ოთხი ღილაკი. როდესაც მომხმარებელი დააჭერს ღილაკს, ახალი ფანჯარა გამოჩნდება ღილაკის მარჯვნივ დამატებითი ინფორმაციით.“

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .



გრაფიკული სცენარის შემდეგი გვერდი უჩვენებს მომხმარებელს, თუ როგორ გამოჩნდება გვერდი პირველ ღილაკზე (1. Lorem Ipsum Dolor Sit Amet) დაჭერის შემდეგ. როგორ იცვლება გვერდი, რა გამოჩნდება გვერდზე, რა შინაარსი აქვს ტექსტს. არის თუ არა შემდგომი გამოსახულებები და ა.შ.

ბმული ეკრანზე იცვლება - ამ შემთხვევაში ხდება მეოთხე ცვლადის დამატება, გვერდის მეორე მდგომარეობის ასახვისათვის.

მოდულის ნომერი_თავის ნომერი_გვერდის ნომერი_გვერდის მდგომარეობა (01_01_04_a იქნება მოდული 1, თავი 1, გვერდი 3, გვერდის მდგომარეობა a)

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .



როგორც ზემოთაა დასურათებული, პირველ ღილაკზე დაჭერით მისი ფერი ლურჯიდან ვარდისფერზე იცვლება. საწყისი გვერდის გამოსახულება ქრება და მას ანაცვლებს თეთრი ტექსტური ფანჯარა ლურჯი ჩარჩოთი.

რის ილუსტრაციას უნდა ახდენდეს გრაფიკული სცენარი

თქვენ დაგჭირდებათ მოდულში ჩაურთოთ გრაფიკულის სცენარის ერთი გვერდი თითოეული შეცვლილი მდგომარეობისთვის. გრაფიკული სცენარი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. ტექსტს, რომელიც ჩნდება ღილაკზე დაჭერისას;
2. როდესაც ადგენთ კითხვებს, უნდა დაასურათოთ გვერდის ხედი პასუხის გაცემამდე; შემდეგ უნდა ჩაურთოთ ორი დამატებითი გვერდი, სადაც ილუსტრირებულია უკუკავშირი, რომელიც გამოჩნდება კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ. ასევე საჭი-

როა სწორ და არასწორ პასუხზე უკუკავშირის ილუსტრირება.
3. როგორი იქნება ინტერაქტიული კომპონენტი მასზე დაწკაპუნების შემდეგ? შეიცვლება თუ არა ღილაკის ფერი, მაგალითად, მასზე დაჭერის შემთხვევაში?
4. თუ ახალი გამოსახულება ჩნდება, აუცილებელია მისი ილუსტრირება. „ჩაშენებულ შენიშვნებში“ რეკომენდებულია გამოსახულების ბმულის დართვა - ბმულის ნომერი და ვებგვერდი ფოტო გალერეის შემთხვევაში, ან ვებგვერდის მისამართი, თუ გამოსახულება ვებგვერდიდან გაქვთ აღებული. თუ გამოსახულება შიდა ქსელის საკუთრებაა, აუცილებელია ფაილის მდებარეობის მითითება, სადაც შესაძლებელია გამოსახულების მოძებნა.
5. ასევე რეკომენდებულია ალტერნატიული გამოსახულებების ან ადგილმდებარეობების დართვაც, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნილი გამოსახულება არ მოიძებნა.

გამოსახულებების გამოყენება

არსებობს გამოსახულების გამოყენების ცდუნება, რომ კურსი უფრო ინტერაქტიული და მიმზიდველი გავხადოთ. როდესაც გამოსახულების გამოყენებას აპირებთ, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. რას ჰმატებს გამოსახულება კურსს? აუცილებელია მათი გამოყენება? ხომ არ გამოიწვევენ გამოსახულებები ყურადღების გაფანტვას?

1. გამოსახულება სასწავლო საკითხის ილუსტრირებას ახდენს ან იძლევა კონტექსტს.
2. დიდი რაოდენობით გამოსახულებების გამოყენება არაა რეკომენდებული.
3. გამოსახულებები არ უნდა აჭარბებდეს ტექსტს.
4. ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ჯგუფების, განსაკუთრებით უმცირესობების, ვიზუალურ წარმოდგენას, რომლებიც არ უნდა განამტკიცებდნენ უსარგებლო სტერეოტიპებს.

ინტერაქციის გამოყენება

გამოსახულებების გამოყენების ანალოგიურად, ინტერაქციამ არ უნდა გადაფაროს შესასწავლი საკითხები. ინტერაქტივი არ უნდა განთავსდეს იმიტომ, რომ კურსი უფრო შთამბეჭდავი გახდეს, იგი საჭიროა მსმენელთა „გამოსაფხიზლებლად“. კურსის შემუშავებისას ხშირად დაშვებული შეცდომაა ინტერაქტივის შეტანა იმის გამო, რომ მომხმარებელმა დაწკაპუნების გარეშე არ გაიაროს რამდენიმე გვერდი. ინტერაქტივმა უნდა:

1. აჩვენოს მომხმარებელს პროცესი
2. მოახდინოს პროცესის ილუსტრაცია ან დემონსტრირება
3. წარმოაჩინოს შესასწავლი საკითხი

ინტერაქტივის გამოყენება ასევე შესაძლებელია ინფორმაციის გვერდზე გასავრცო-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ბად, თემატური შესაბამისობის შენარჩუნებისათვის. თუ ერთი საკითხი მთლიანად არ ეტევა ერთ სლაიდზე, შემდეგ სლაიდზე გადასვლის ნაცვლად, უმჯობესია ინფორმაცია დაიყოს თავების ან ღილაკების საშუალებით.

აღნიშნულთან დაკავშირებული მაგალითების სანახავად, გადახედეთ პროგრამა HELP-ის კურსს „შესავალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებზე“.[19]

ვიდეოს გამოყენება[20]

დღესდღეობით მომხმარებლებს მარტივი და მართვადი წვდომა გააჩნიათ (ინტერაქტიულ) ვიდეომასალაზე. ვებ-მედიამ შესაძლებელი გახადა ვიდეომასალის გადაცემა და მათი გაზიარება და ნახვა ვებსივრცეში.

ვიდეო ხშირად გაერთიანებულია სხვა სასწავლო აქტივობებთან. ვებ-ორიენტირებული ვირტუალური სასწავლო გარემო, როგორიცაა Blackboard და Moodle, ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, რადგან იგი უზრუნველყოფს შედარებით მარტივ ონლაინ კონცეფციას, რომელშიც ხდება სასწავლო რესურსების, მათ შორის ვებ-ორიენტირებული პრეზენტაციების და მულტიმედია რესურსების მიწოდება. ვიდეო უკვე აღარ წარმოადგენს სატელევიზიო პროდუქტს: იგი ამჟამად უკვე სასწავლო (უფრო მეტად ინტერაქტიული) და იოლად ხელმისაწვდომი საშუალებაა. ვიდეოს გაზიარება მარტივია, მას სასწავლო პროგრამების მხარდაჭერის ან მასში სრული ინტეგრაციის ფუნქცია აკისრია. ახალგაზრდები უკვე მიჩვეულები არიან ვიდეოს. შედეგად მათ უფრო მეტად მხედველობითი და სმენითი ტიპის სწავლის უნარი აქვთ განვითარებული. ვიდეოს შექმნა და მისი განათლებაში გამოყენების ხერხები დიდი გამოწვევაა პედაგოგებისათვის; იგივე შეიძლება ითქვას იურიდიული და ადამიანის უფლებათა განათლების ტრენერებზეც.

რისთვის უნდა გამოვიყენოთ ვიდეო? [21]

ძველი გამონათქვამის თანახმად: „ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო“. ვიდეო/ანიმაცია, ხმასა და ბგერასთან კომბინაციაში, ძალიან მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია. მას ადამიანის გონებაზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია და თემის ვიზუალიზაცია ხელს უწყობს გაგებას და მოტივაციას. შეადარეთ იგი კურსს, რომელიც მხოლოდ ტექსტების კითხვას ითვალისწინებს საგნის შესწავლის პროცესში და მიხვდებით, თუ როგორ მნიშვნელობას იძენს გამოსახულების და ბგერის დამატება. ამის საუკეთესო მაგალითია, ფილმი „ევროპის სინდისი“, რომლის ბმული მოცემული იქნება მოგვიანებით მაგალითებთან ერთად.

19 http://help.ppa.coe.int/course/view.php?id=866

20 ადაპტირებულია სახელმძღვანელოდან „ციფრული ვიდეო და აუდიო განათლებაში“ (The VideoAktiv Project),<https://moodle.technion.ac.il/pluginfile.php/344724/mod_resource/content/0/Ulpan/VideoAktiv_Handbook_fin.pdf> რომელიც ხელმისაწვდომია 2016 წლის 24 მაისიდან

21 ადაპტირებულია სახელმძღვანელოდან „ციფრული ვიდეო და აუდიო განათლებაში“ (The VideoAktiv Project),<https://moodle.technion.ac.il/pluginfile.php/344724/mod_resource/content/0/Ulpan/VideoAktiv_Handbook_fin.pdf> რომელიც ხელმისაწვდომია 2016 წლის 24 მაისიდან

ხშირად გსმენიათ, რომ ვიდეო აკმაყოფილებს მოქნილი განათლების მოთხოვნებს, რადგან შესაძლებელია მისი ყოველთვის და ყველგან წვდომა. თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას წიგნზეც. ამასთან ერთად, წიგნის უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ მას ტექნიკური მოთხოვნები არ გააჩნია. რითაა ვიდეო მიმზიდველი? როგორც ჯ. ომონტი (J. Aumont)[22] აღნიშნავს, გამოსახულება წარმოადგენს ცოდნის, დარწმუნების და სიამოვნების მიღების წყაროს, მისი ყოველი წამი ისეთივე მძლავრია, როგორც დაწერილი სიტყვა.

რ. მოსის [23] შესაბამისად, ვიდეო სხვა სასწავლო ტექნოლოგიებისაგან განსხვავდება, რადგან იგი მხედველობის უპირატესობებს იყენებს. მოძრავი გამოსახულება ეხმარება სტუდენტებს პროცესის ვიზუალიზაციაში და იმის აღქმაში, თუ როგორ მუშაობს ან ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას ესა თუ ის საგანი. ე. დეილი[24] თვლიდა, რომ მოძრავ გამოსახულებას შეეძლო „გადაჭარბებული ვერბალიზაციის“ დაბალანსება, რაც ასეთი დამახასიათებელი იყო განათლებისთვის.

თუმცა, მოძრავი გამოსახულების ერთადერთ მნიშვნელობას მხოლოდ მისი ვიზუალური გამოვლინება არ წარმოადგენს. სასწავლო პროგრამების შემქმნელები ხშირად ახსენებენ ვიდეომასალის სამოტივაციო ასპექტებსა და ემოციურ მიმზიდველობას. გამოსახულება ყოველთვის შეიცავს (ნახევრად) დაფარულ გზავნილს, მაგალითად, ნარატივს, ემოციას, უფლებამოსილებას, ავთენტურობას და სიმბოლიზმს.

ვიდეოს სიძლიერე (მათ შორის ანიმაციურისაც) სხვა სასწავლო აქტივობებთან შედარებით, შემდეგია:

- ვიდეოს ვიზუალიზაციის მაღალი ხარისხი გააჩნია;
- მოძრავი გამოსახულებები „აცოცხლებს“ კურსის შინაარსს;
- მოძრავი გამოსახულებები სასწავლო კონტექსტს სძენს ავთენტურობასა და რეალურობას;
- ვიდეო უდავოდ ქმნის რეფლექსიას, ატმოსფეროს და ემოციას;
- ხმასთან შერწყმული გამოსახულებებს ტვინი უკეთესად აღიქვამს, ვიდრე წერილობით ტექსტს;
- ვიდეოს გააჩნია მოძრავი გამოსახულების დაწყების, დაპაუზების და გადახვევის შესაძლებლობა (ანალიზისა და გააზრებისთვის);
- ვიდეოს განხილვა შესაძლებელია სურვილისებრ, მსმენელებს შეუძლიათ გაიმეორონ ვიდეო (ან ნაწყვეტი) როდესაც და რამდენჯერაც საჭიროა სრულყოფილი გააზრებისთვის;
- შესაძლებელია რთული ისტორიების ასახსნელად გამოყენება (ანიმაცია);

22 ჯ. ომონტი (1997) გამოსახულება (ლონდონი: ბრიტანეთის ფილმის ინსტიტუტი)
23 რ. მოსი (1983) ვიდეო: განათლების გამოწვევები (ლონდონი: Croom Helm Ltd)
24 ე. დეილი (1962) აუდიო-ვიზუალური მეთოდები სწავლებაში (ნიუ იორკი: Holt, Rihehars and Winston)

ანიმაციური მაგალითი აადვილებს რთული ისტორიის გაგებას:

[SSR-ის ანიმაცია, ჰოლანდიის სასამართლო სასწავლო ინსტიტუტი, სტრატეგიული მიზნების განმარტება

დაახლოებით 3 წუთი, ანიმაცია და გახმოვანება - ენა: ინგლისური]

ვიდეოს შესაძლებლობების საილუსტრაციოდ იხილეთ გრაფიკული გამოსახულება მომდევნო ნაწილში, გვ. 104 (დეილი). „სწავლების კონუსში“ მოცემულია, რომ გამოსახულების და ხმის კომბინაციას შეუძლია სასწავლო მიზნების უკეთესად მიღწევა, ვიდრე ტექსტის ან წიგნის კითხვას. (დეილის „სწავლების კონუსი“ (დეილი, 1969) ასევე ნახსენებია პირველ ნაწილში).

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხშირად გესმით, რომ წევრი სახელმწიფოების მოსამართლეები მზად არ არიან გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რადგან ისინი საკმაო სირთულეებს აწყდებიან

უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობის გაგებისა და გამოყენებისას. ვიდეომასალა, მისი მაღალი ემოციური მიმზიდველობით, აღნიშნული ბარიერის დასაძლევის კარგი ინსტრუმენტია. მას შეუძლია სტიმული მისცეს სტუდენტებს და სწავლების კონტექსტს, ასევე შეუძლია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „გაცოცხლება“. მაგალითად, უყურეთ ფილმს „ევროპის სინდისი“, რომელიც შეიქმნა და გავრცელდა თავად ევროპის საბჭოს მიერ. http://youtu.be/lJdoe02cY0U

> [„ევროპის სინდისი“ ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფილმია. იგი აღწერს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მის სამუშაო გამოცდილებასა და საქმიანობას. დოკუმენტური ფილმი 15 წუთი გრძელდება. მისი ჩვენება შესაძლებელია სასკოლო პროგრამის ფარგლებში, მაგალითად, სამოქალაქო განათლების გაკვეთილის განმავლობაში. იგი ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება ნახოს, რომელსაც სურს უფრო მეტი შეიტყოს სასამართლოს შესახებ, რომელიც ევროპაში ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ბოლო 50 წლის მანძილზე იცავს. კერძოდ, ფილმი წარმოგვიდგენს აღნიშნული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების კონკრეტულ მაგალითებს და განიხილავს მომავალ პერსპექტივებს და მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.]

ვიდეოს საგანმანათლებლო შესაძლებლობების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ დღეს არაერთი საგანმანათლებლო ორგანიზაცია ქმნის მულტიმედიურ მომსახურებას და აფუძნებს სტუდიებს მედიაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობების მხარდასაჭერად. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს საორგანიზაციო სირთულეებიც, რომელიც თან ახლავს ვიდეომასალის, როგორც ინოვაციური პროდუქტის შექმნას. მასწავლებლებისთვის და კურსის შემქმნელებისთვის/ ხელმძღვანელებისათვის აუცილებელია ახალი უნარ-ჩვევების ათვისება მედიის და საჭირო აპარატურის გამოსაყენებლად. ასევე, შეიძლება წამოიჭრას მედიაკონტენტის სასწავლო კურსის მონახაზში შეტანის პრობლემები. დაბოლოს, გასათვალისწინებელია სირთულეები მასალის საავტორო უფლებებთან დაკავშირებით და ტექნიკური სირთულეები, რომლებიც თან ახლავს ორგანიზაციის შიგნით ვიდეოების შექმნას, შენახვას, გავრცელებასა და გაზიარებას. ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ამავე თავში.

პედაგოგიური მომზადება

სამი i-ს პრინციპი (The ‘Three ‘I’s Framework)[25] მასწავლებლებს და კურსის შემქმნელებს სასარგებლო მეთოდოლოგიას და ვიდეო მასალაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობების შემუშავების პრაქტიკულ მიმოხილვას სთავაზობს.

ფილმი და ვიდეო ხშირად დაკავშირებულია კლასიკურ სასწავლო ან გადაცემის პედაგოგიურ მიდგომებთან, მასწავლებელი აკონტროლებს და ირჩევს რესურსებს, დროს და ადგილს, სადაც უნდა განხორციელდეს სწავლება.

25 კ. იანგი, (C. Young) მ. ასენსიო (Asensio M) (2002) სამი i-ს განხილვა: ვიდეოჩვენების პედაგოგიური გამოყენება, ქსელური სწავლების პროცედურები, შეფილდი

თუმცა, კონსტრუქტივიზმის მიდგომა ამტკიცებს, რომ ადამიანები ქმნიან საკუთარ გაგებას სამყაროს შესახებ, გამოცდილებაზე დაფუძნებული ინდივიდუალური მენტალური მოდელის გენერირებით. შესაბამისად, ინტერაქტიულობა კონსტრუქტივიზმის ძირითადი კომპონენტია, რამდენადაც სასწავლო რესურსების და გამოცდილების კონტროლი, არჩევა და წვდომა საშუალებას აძლევს მსმენელს აქტიურად განავითაროს საკუთარი ცოდნა.

არსებული პედაგოგიური გამოწვევა გასცდა სასწავლო/გადაცემის მოდელსა თუ კონსტრუქტივიზმის ფართოდ აღიარებულ კონცეფციასაც კი, რათა მოიცვას თანამშრომლობითი, სიტუაციური და სასაუბრო მეთოდები.

ციფრული ვიდეოს ვების სხვა ინსტრუმენტებს უნაკლოდ მისადაგების საშუალება გვაძლევს შესაძლებლობას შევცვალოთ ვიდეოს, როგორც წმინდა პრეზენტაციული და სასწავლო (იზოლირებული) ინსტრუმენტის კონცეფცია, და წარმოვადგინოთ იგი, როგორც სტუდენტების აქტივობაზე, თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე ორიენტირებული ინსტრუმენტი. აღნიშნული პედაგოგიური ცვლილებები შეგვიძლია შევაჯამოთ სამი i-ს პრინციპის ფარგლებში ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მნიშვნელობა	ტექნოლოგია	კონტროლი	პედაგოგიური ხედვა
გამოსახულება	ფილმი, ტელევიზია, ვიდეოფირი	მასწავლებელი	გადაცემის მოდელი
გამოსახულება + ინტერაქტივი	ვიდეო დისკი, სამუშაო მაგიდა, ვიდეო, მულტიმედია, CD-დისკი	სტუდენტი	კონსტრუქტივიზმის მოდელი
გამოსახულება + ინტერაქტივი + ინტეგრაცია	ინტერნეტი და ტრანსლაცია	გადანაწილებული	თანამშრომლობა, კონტექსტუალიზაცია, საზოგადოება

სამი i-ს პრინციპი და ძირითადი პედაგოგიური პერსპექტივები
ვიდეოტრენინგის გამოყენება

ამ ნაწილის მიზანია განათლებაში ვიდეოს გამოყენების ფართო შესაძლებლობებსა და დაკავშირებულ პედაგოგიურ ღირებულებებზე ყურადღების გამახვილება.[26]

26 ადაპტირებულია სახელმძღვანელოდან „ციფრული ვიდეო და აუდიო განათლებაში“ (The VideoAktiv Project), <https://moodle.technion.ac.il/pluginfile.php/344724/mod_resource/content/0/Ulpan/VideoAktiv_Handbook_fin.pdf> რომელიც ხელმისაწვდომია 2016 წლის 24 მაისიდან, გვ.11.

ვიდეოს გამოყენება	განმარტება
„დიქტორი“ (‘talking head’) და გაკვეთილები	მრავალი პრაქტიკოსისთვის, საწყის წერტილს მათ მიერ შექმნილ ვიდეოებში წარმოადგენს ერთგვარი „დიქტორი“, ანუ ლექციის, გაკვეთილის ან ლაბორატორიული მეცადინეობის ჩანაწერი, სადაც ყურადღება გამახვილებულია მასწავლებელზე, რომელიც პირდაპირ ესაუბრება ცოცხალ აუდიტორიას ან საუბრობს კამერაში. ციფრულ ვიდეო ფორმატში გადატანისას, შედეგებმა შეიძლება იმედი გაგვიცრუოს მსმენელების ჩართულობის თვალსაზრისით. გამოსახულება ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს. მასწავლებლები პირდაპირი ჩართვისას ხშირად მოძრაობენ, რაც შესაძლოა ყურადღების გაფანტვის საფუძველი გახდეს, ასევე, გამოსახულების და ხმის ხარისხი შეიძლება არადამაკმაყოფილებელი იყოს, თუ ღონისძიება პირდაპირ გადაიცემოდა. მეორეს მხრივ, თუ მასწავლებელი კარგი „გამომსვლელია“, მისმა ენთუზიაზმმა და მიდგომამ შესაძლოა უფრო საინტერესოდ წარმოაჩინოს თემა და გამოიწვიოს სტუდენტების ჩართულობა.
ავთენტური დაარქივებული ვიდეომასალის გამოყენება	კიდევ ერთი გავრცელებული საშუალება მასწავლებლის მიერ არსებული ვიდეო და აუდიო საარქივო რესურსების გამოყენებაა. ბოლო წლებში ციფრული არქივები საერთაშორისო დონეზე ვრცელდება, რაც საგანმანათლებლო სექტორს საავტორო უფლებებისგან თავისუფალ მედია რესურსს სთავაზობს. შესაძლებელია ადგილობრივ პორტალებზე არსებული დიდი მოცულობის მასალის მოძიება, შერჩევა, დახარისხება, დამუშავება და ვირტუალურ სასწავლო გარემოში ინტეგრაცია.
პრაქტიკული აქტივობის შესასწავლი ვიდეო ინსტრუქციები	ვიდეო პროცესის, პროცედურების და რაიმე კონკრეტული ქმედების სხვადასხვა ეტაპების საჩვენებლად გამოიყენება. იგი ასევე გამოიყენება ექსპერტებისა და მოსწავლეების პრაქტიკული საქმიანობის სადემონსტრაციოდ. სასწავლო ვიდეოს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ციფრული ფორმატის მთავარი უპირატესობაა, რომ აღარაა საჭირო თანამიმდევრული თხრობა და მომხმარებლებს თავად შეუძლიათ მენიუდან შეარჩიონ მიმდევრობა მათი დონისა და საჭიროებების შესაბამისად. საუკეთესო მაგალითებში მოცემულია ანიმაციური სქრინშოთის, ხმოვანი ლექციების და საარქივო მასალების (როგორიცაა პრაქტიკული მაგალითი) კომბინაცია მსმენელისთვის მიმზიდველი და საკმაოდ ინტერაქტიული გამოცდილების შესაქმნელად. მის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ დამოუკიდებელი სასწავლო პაკეტების შექმნა რთულია, დიდ დროს მოითხოვს და ძვირადღირებულია.
ექსპერტთან ინტერვიუ ან ექსპერტის პრეზენტაცია	ტექნიკური თვალსაზრისით, ლექციების ჩასატარებლად მომხსენებლის მოწვევა შეიძლება დიქტორის ჩაწერის ანალოგიური იყოს. თუმცა, პედაგოგიურ მიზანს, პრაქტიკოსის ან ექსპერტის მიერ სფეროს გაგებისა და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებით სწავლებისათვის კონტექსტის მინიჭება ან ალტერნატიული მოსაზრების გაცნობა წარმოადგენს. ამგვარი ღონისძიებები შემდგომი დისკუსიის წამოსაწყებად გამოიყენება, ამასთანავე ვიდეომასალის შინაარსი უნდა წარმოადგენდეს მსმენელთათვის საწყის წერტილს.

ვიდეო ბლოგები „ფიქრი ხმამაღლა“	საკმაოდ გავრცელებულია საგანმანათლებლო ბლოგები, სადაც სუბიექტი (მსმენელი ან მასწავლებელი) საკუთარი აზრების და ქმედებების ვიდეო ჩანაწერს აკეთებს. ბლოგის წარმატება დამოკიდებულია არაფორმალურ, პირად მოსაზრებებზე. როგორც უკვე ვნახეთ, ვიდეოს და აუდიოს შეუძლია ტონის, იუმორის და სპონტანურობის დაფიქსირება. სუბიექტს თავადაც შეუძლია ვიდეო დღიურის წარმოება ან შესაძლოა მას ეხმარებოდეს კამერის უკან მდგომი პირი.
პრაქტიკული ვიდეო მაგალითები /სიმულაციები/როლური თამაშები	ამ შემთხვევაში მიზანია ისეთი მოვლენის სიმულაცია, როგორიცაა ლაბორატორიული ექსპერიმენტი, სადაც უსაფრთხოება შესაძლოა რისკის ქვეშ დადგეს; ან პრაქტიკულ მაგალითზე როლურ თამაშებში მონაწილეობა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ექსპერიმენტები ჩაატარონ სხვადასხვაგვარი რეაგირებით და ქცევით. აღნიშნული ქცევების გაანალიზებით სტუდენტებს უფრო მეტი წარმოდგენა შეექმნებათ არსებული პრობლემების შესახებ. ვიდეო ამ შემთხვევაში წარმოადგენს კონტექსტს „რეალური ცხოვრებიდან“ ან/და ემოციურ გავლენას.
ვიდეო რეალურ მოვლენებსა და სიტუაციებზე	მისი მიზანია ისეთი აქტივობის გადაღება, რომლის კლასში განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია. აღნიშნული ვრცელდება ნებისმიერ მოვლენასა და სიტუაციაზე, რომელიც ხდება შენობის გარეთ, ჩვეულებრივ, საველე მოგზაურობების დროს. ანალოგიურად, ვიდეო უზრუნველყოფს ისეთი მოვლენების ხელმისაწვდომობას, სადაც სტუდენტების დიდი ჯგუფის მონაწილეობა რთულია, მაგალითად, როგორიცაა კლინიკური ღონისძიებები და საწარმოო გარემო. შესაძლებელია რეალური ცხოვრებიდან აღებული მოვლენების დაკვირვება, ინტერპრეტაცია და განხილვა. გარე გამოცდილების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ცოდნის კონტექსტუალიზაციას და მისი გადაცემის შესაძლებლობას.
პრეზენტაციის/გამოსვლის უნარ-ჩვევები და უკუკავშირი	რეფლექსური თვითმოდელირებული ვიდეომასალა მრავალი წელია გამოიყენება მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად. იგი მიზნად ისახავს გააზრებისა და დისკუსიის მეშვეობით პირებისა და პირთა ჯგუფების გამოსვლების გადაღებას, მიმოხილვასა და დახვეწას. ეს მიდგომა ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლას, აამაღლებს მოტივაციას და უბიძგებს მსმენელებს თავად იპოვონ გამოსავალი და უფრო თავდაჯერებულები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მსმენელს ხელმძღვანელი ჰყავს, იგი ამ პროცესის თანასწორუფლებიანი პარტნიორია. ჩაწერილი გამოსვლები შესაძლოა შემდგომში გამოყენებულ იქნას, როგორს სტუდენტების ელექტრონული პორტფოლიო.

განსაზღვრეთ თქვენი დიდაქტიკური მიდგომა

მოცემული მიმოხილვა წარმოადგენს წინადადებებსა და მაგალითებს, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი დიდაქტიკური მიდგომა.

რისი გაკეთება გსურთ?	ტექნიკა/ მეთოდი	აღწერა
ქმედების ჩვენება, სიტუაცია, რომელიც ფიზიკურად ვერ განხორციელდება კლასში	რეალიზმი	ღონისძიება შენობის გარეთ, საქმიანობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის განხილვა, სცენა, რომელიც ისტორიულ საკითხებს ასახავს და ა.შ. სტუდენტებს შეუძლიათ დააკვირდნენ, გააანალიზონ, განმარტონ და განიხილონ ეს ვიდეოები. მაგალითი: ვიდეო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ „ევროპის სინდისი“ დოკუმენტური ფილმის სტილი კადრს მიღმა ხმით, ემოციურად საკმაოდ მიმზიდველი. (დაახლოებით 15 წთ.); ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ისტორიასა და მისიაზე http://youtu.be/lJdoe02cY0U
აჩვენებს ქმედებებს, რომლის ნახვაც ფიზიკურად შეუძლებელია	სიმულაცია	სიტუაცია დადგმულია იმგვარად, რომ რეალურ მოვლენას გვაგონებს. მიზეზები, თუ რატომ უნდა ავირჩიოთ სიმულაცია და არა რეალური ცხოვრებისეული ჩანაწერი: 1. უსაფრთხოება; 2. მოქმედება მოხდა წარსულში; 3. განსაკუთრებული სიტუაცია (რთულია ან ძვირადღირებული რეალურ ცხოვრებაში გადასაღებად); 4. სურვილი გაქვთ აჩვენოთ ალტერნატიული ვარიანტები: კარგი და ცუდი მაგალითი. მაგალითი: სასამართლო განხილვის/სხდომის ჩანაწერი; აჩვენეთ სტუდენტებს; ნება მიეცით გააანალიზონ საქმე; დაასრულონ იგი საკუთარი გადაწყვეტილების გამოტანით; გადახედეთ გადაწყვეტილებას და გააანალიზეთ იგი. https://www.youtube.com/watch?v=HwB8PtH6XKw
კონკრეტული პროცედურის ჩვენება	შემეცნებითი	ვიდეო მომზადებულია ქრონოლოგიურად და აჩვენებს პროცესის სხვადასხვა ეტაპებს. მაგალითები: ვიდეო: სასამართლოში საჩივრის შეტანის სწორი მეთოდი ანიმაცია გრაფიკული გამოსახულებით და კადრს მიღმა ხმით (დაახლ. 4 წუთი) ყურადღებას უთმობს პროცედურას, შემეცნებითი მიზანი. http://youtu.be/mA_iGhvxYFM ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვიდეო „დასაშვებობის პირობები“ ანიმაცია გრაფიკული გამოსახულებით და კადრს მიღმა ხმით (დაახლ. 3.40 წუთი) ყურადღებას უთმობს პროცედურას, შემეცნებითი მიზანი

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

		http://youtu.be/mcbDDhs5ZVA?list=PLT-6qb4oU5fhzKQdkQk6O7UPNhSuAWsB9 HUDOC-ის ვიდეო - პრეცედენტული სამართლის საქმეთა მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემა. ვიდეო ტრანსლაცია კადრს მიღმა ხმით, შემეცნებითი მიზანი (დაახლ. 3 წუთი) https://www.youtube.com/watch?v=reO12mvvlYE ვიდეო, სადაც წარმოდგენილია ლექტორი და მწვანე ეკრანი (სტუდია), რომელიც აჩვენებს გეოგრაფიული ადგილების ფოტოებს გარემოს დაცვის სამართლის სისტემის გრაფიკას (ჰოლანდიური ენა, დაახ. 2 წუთი) http://youtu.be/GQcUELyWV_o
მოცემულია მაგალითები განსახილველ საკითხებზე	ილუსტრაცია ანიმაციები	კონკრეტული სიტუაციები, რომელიც აჩვენებს განსახილველ საკითხს, უადვილებს სტუდენტებს მის გაგებას და დამახსოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ვიდეო, სადაც წარმოდგენილია კონვენციის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მაგალითი: ანიმაცია გამოსახულებებით და აუდიოს თანხლებით (მუსიკა), კადრს მიღმა ხმის გარეშე. ყურადღებას გამახვილებულია კონვენციის მუხლებზე, შეიცავს ინფორმაციას და ზრდის მოტივაციას (დაახლ. 3 წუთი). http://youtu.be/MOcmUQTgjCw მაგალითი: ანიმაცია გამოსახულებით და კადრს მიღმა ხმით (გაერთიანებული სამეფო) სათაური: როგორ მუშაობს: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გაერთიანებული სამეფოს დაწესებულებებში (დაახლ. 7 წუთი). http://youtu.be/N-y75YQXQAo
ჩაწერეთ ლექცია ან პრეზენტაცია (ვიდეო ტრანსლაციის ვებინარი)	დიქტორი	მასწავლებელი/წამყვანი საუბრობს კამერაში. მიზანს წარმოადგენს აუდიტორიის მოსაზრება. როდესაც უყურებთ ჩანაწერს, განცდაა, თითქოს მოსაუბრე მიმართავს მაყურებელს. http://era-comm.eu/stream/Rostant_114DV25/index.html http://media.ssr.nl/Mediasite/Play/b0a4f985f16c4cc19096b4ef4e965fd71d
ჩაწერეთ ვინმეს მოსაზრებები/რეაქცია/მათი მოსაზრებების აღწერა	ვიდეო დღიური/ინტერვიუ - ფიქრი ხმამაღლა	ვიდეო დღიური: სუბიექტი საუბრობს კამერის წინ, ინტერვიუ კამერის პირისპირ: სხვა ადამიანის მიერ გამოწვეული მოსაზრებები მაგალითი: ინტერვიუ დანაშაულის მსხვერპლთან, რომელიც საუბრობს დანაშაულის შედეგებზე მის ცხოვრებაში და დამნაშავის მიმართ მის გრძნობებზე. მიზანი: მოსამართლეებში დანაშაულის პიროვნულ ზეგავლენასთან დაკავშირებით ცნობიერების ჩამოყალიბება. მაგალითი: ინტერვიუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჰოლანდიელ მოსამართლესთან ჯოს სილვისთან (Jos Silvis) ევროპის სამართალი: შესავალი ნაწილი კადრს მიღმა ხმით, ფოტოები გეოგრაფიული ადგილებიდან, მწვანე ეკრანი გამოსახულებებით ნაჩვენებია ფონის სახით (დაახლ. 25 წუთი): https://media.ssr.nl/Mediasite/Play/03b6d5c9b11c41a2a8b906114542b9d91d

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ღონისძიების ჩაწერა მისი მოგვიანებით მოსაზრების გამოთქმის და ანალიზის მიზნით	ფარული კამერა	კამერა დამაგრებულია ერთ წერტილში და იწერს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება შეგიძლიათ, როდესაც სცენარი არ გაქვთ მომზადებული. სუბიექტი არ იცვლის ადგილს და არც სხვადასხვა ფოკუსი ესაჭიროება (დეტალური მიმოხილვა). შემდგომში შეგიძლიათ ხელახლა გაუშვათ ვიდეო და განიხილოთ. მაგალითი: მოცემული ბმული წარმოადგენს ვებგვერდს, სადაც განთავსებულია სტრასბურგის სასამართლოს სასამართლო განხილვების ყველა ვებტრანსლაცია. ამ ვებგვერდზე შეგიძლიათ ნახოთ სასამართლო განხილვების ვებტრანსლაცია, რომელიც დალაგებულია თარიღების და ქვეყნების მიხედვით, ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე, ასევე განთავსებულია სასამართლო გადაწყვეტილებები და პრესრელიზები. http://youtu.be/MOcmUQTgjCw
ჩაწერეთ ღონისძიება არქივში შესანახად და მოგვიანებით განსახილველად	არქივი	დამოკიდებულია თქვენს შესაძლებლობებზე, რა ხარისხის მიღება გსურთ და რამდენად რთულია თქვენი სემინარი/სამუშაო შეხვედრა/კონფერენცია. მაგალითი: მოცემული ბმული წარმოადგენს ვებგვერდს, სადაც მოცემულია სტრასბურგის სასამართლოს სასამართლო განხილვების ვებტრანსლაციები. ამ ვებგვერდზე შეგიძლიათ ნახოთ სასამართლო განხილვების ვებტრანსლაცია, რომელიც დალაგებულია თარიღების და ქვეყნების მიხედვით, ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე, ასევე განთავსებულია სასამართლო გადაწყვეტილებები და პრესრელიზები. http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=hearings&w=4604314_07012015&language=en
სთხოვეთ სტუდენტებს დააკვირდნენ საკუთარ ქცევას	როლური თამაშები	ვიდეოს მიზანია, სტუდენტებმა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს საკუთარი თავი დაინახონ როგორც სარკეში. სამუშაო გარემოში სიმულაციის გზით სტუდენტებმა შეიძლება მოირგონ სხვადასხვა როლი და ქცევა. ჩაწერა და ვიდეოს გაშვება. ამჯერად სტუდენტებს შეუძლიათ გააანალიზონ და განიხილონ სხვა სტუდენტებთან ერთად რა შეიძლება იყოს უკეთესი. თუ შესაძლებელია ესეც უნდა ჩაიწეროს რეალურ სიტუაციაში. მაგალითი: იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩანაწერი

**სქემაზე ნაჩვენები ზოგიერთი ვიდეო მაგალითი წარმოადგენს უფასოდ ხელმისაწვდომ ვიდეომასალას. ყველა ვიდეოს ჩვენება YouTube-ის სერვერიდან ხდება, ისინი შექმნილი და გამოქვეყნებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრესის განყოფილების მიერ საგანმანათლებლო მიზნებისათვის.*

გახადეთ ვიდეო ეფექტური

თუ ვიდეოს გამოყენებას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ იგი საგანმანათლებლო მნიშვნელობით ეფექტური უნდა იყოს. კარგი ვიდეო რამდენიმე პედაგოგიურ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. სტუდენტების მოტივაცია და მასალის გავლენა

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მათზე დამოკიდებულია თემის შერჩევაზე და სწორი მასალის მოძიებაზე ან შექმნაზე. ვიდეო ძლიერი მედიასაშუალებაა, თუ მასალა სტუდენტების ცოდნის დონეს შეესაბამება და ძლიერ ემოციებს იწვევს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე გაითვალისწინეთ გავრცელების მეთოდი: როგორ გარემოში აჩვენებთ მასალა? მისი ნახვა სტუდენტებს ტრადიციული ლექციების დროს შეეძლებათ კლასში თუ სახლში საკუთარ კომპიუტერთან? ჯგუფში მოხდება ნახვა თუ ინდივიდუალურად? ვიდეოს ნახვა დაკავშირებულია კონკრეტულ დროსთან და სივრცესთან, თუ მისი ნახვა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილასაა შესაძლებელი? დიდ ეკრანზე იქნება ნაჩვენები თუ კომპიუტერის ეკრანზე? ვიდეო ჩვენების ადგილმდებარეობა გავლენას ახდენს ხანგრძლივობაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ვიდეოს ხანგრძლივობის განსაზღვრისას.

არსებული ვიდეო მასალის ან საკუთარი პროდუქციის გამოყენება

ზემოხსენებული დიდაქტიკური მიდგომიდან გამომდინარე, ვიდეოს გამოყენების სურვილის შემთხვევაში თქვენ მრავალფეროვანი არჩევანი გაქვთ. შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ არსებული ვიდეომასალებზე, ან ჩაატაროთ ვებინარი და შექმნათ საკუთარი ინდივიდუალური ვიდეო პროდუქტი. სანამ საკუთარი მასალის შექმნას დაიწყებდეთ, რეკომენდებულია გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ვიდეომასალის მოძიება ნაკლები დანახარჯების გამო.

თუმცა, არსებული მასალის მოძიებასაც და საკუთარის შექმნასაც დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. როდესაც ქმნით საკუთარ კონტენტს, მასალა ოპტიმალურად იქნება მორგებული თქვენ მიერ დასახული სწავლებისა და სწავლის მიზნებზე. შეგიძლიათ შექმნათ სწორედ ის მასალა, რაც თქვენი აზრით, აუცილებელია. თუმცა, ყოველივე ეს დიდ ძალისხმევას და ტექნიკურ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, და ყველა კურსის ხელმძღვანელს ან მასწავლებელს არ შეუძლია ღირებული ვიდეოს შექმნა. არსებული მასალების გამოყენებას დიდი უპირატესობა აქვს, რადგან მთელი შემოქმედებითი სამუშაო უკვე შესრულებულია (გარდა ამისა, იგი შესრულებულია პროფესიონალების მიერ, ვინც იციან თუ როგორ გადაიღონ კარგი ვიდეო). მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება საჭირო გახდეს მასალის შერჩევა და რედაქტირება, რომელიც თქვენს კონკრეტულ კურსთანაა დაკავშირებული.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც დაგეხმარებათ სწორი არჩევანის გაკეთებაში.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ხელმისაწვდომია უფასოდ	დიქტორის (Talking head) სტილში შექმნილი ვიდეო	ინდივიდუალური ვიდეო (საჭიროების შემთხვევაში აუთსორს კომპანიის მიერ)
Youtube/Vimeo	საკლასო ლექციის ჩანაწერი	როლური თამაშის ჩანაწერი
Coursera	ვებინარი ან ვებკასტი	სხდომის ჩანაწერი
სტრასბურგის სასამართლოს პრესის სამსახურის ვიდეოები	ვებკასტი	ანიმაციის წარმოება
ტელევიზია		დოკუმენტური სტილის ვიდეო
დოკუმენტური ფილმები		ინტერვიუს ჩანაწერი
ვიდეო არქივები		
უპირატესობები	**ნაკლოვანებები**	**ნაკლოვანებები**
ზოგჯერ წყარო გაურკვეველია	პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა	წარმოების მაღალი საჭიროებები
შემაწუხებელი რეკლამები	გამოსახულებისა და ხმის ჩაწერის საშუალებით აღჭურვილის სტუდიის საჭიროება	მოითხოვს მულტიმედიურ/მონტაჟის უნარებს
URL-ის შეცვლის რისკი (ინტეგრირების შემთხვევაში)	მოითხოვს მულტიმედიურ ცოდნას	შენახვისა და დოკუმენტირების ორგანიზება
საავტორო უფლებების საკითხები	მოითხოვს მულტიმედიურ უნარებს	მოითხოვს დიდ დროსა და ხარჯებს
სთრიმინგის სერვერი	**სთრიმინგის სერვერი**	**სთრიმინგის სერვერი**
გარე	გარე	გარე
	შიდა	შიდა

საავტორო უფლებები

ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი არსებული მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, საავტორო უფლებებია. ყველა ვიდეო და მედია არ არის საჯარო (თუნდაც კლასში) ჩვენებისთვის განკუთვნილი

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მედიის კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ხშირად რთული გასაგებია, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კანონმდებლობისადმი ყველგან ერთნაირი მიდგომაა. ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, წიგნი, ფოტოგრაფია, ფერწერა, ვიდეო, აუდიო პროდუქტი შექმნის მომენტიდან ავტომატურად ხდება საავტორო უფლებით დაცული.

თუმცა Creative Commons (CC) წარმოადგენს უფასო ინსტრუმენტებს, რომლებიც ავტორებსა და განათლების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს საშუალებას აძლევს მარტივად მიანიჭონ თავისი შემოქმედებით ნამუშევარს შეზღუდვის თავისუფლება მათი სურვილისებრ. Creative Commons მოიცავს ვებგვერდებს, აკადემიურ პუბლიკაციებს, მუსიკას, ვიდეოს, ფილმს, სასწავლო კურსის პროგრამულ უზრუნველყოფას და ა.შ. Creative Commons -ის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ვებგვერდზე: https://creativecommons.org/ სხვის მიერ შექმნილი მასალის გამოყენებისათვის თქვენ დაგჭირდებათ (წერილობითი) ნებართვა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

როდესაც ქმნით საკუთარ ვიდეო მასალას, საავტორო უფლებები ამ შემთხვევაშიც პრობლემაა. დაფიქრდით იმ ადამიანების უფლებებზე, რომელიც ვიდეოში არიან გადაღებული, მაგალითად, მასწავლებელი (გამომსვლელი) ან სტუდენტები. ვის აქვს უფლებები შექმნილ პროდუქტზე? გაქვთ თუ არა უფლებები, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაციას? თუ მასწავლებელსაც თუ აქვს უფლებები? ზოგიერთმა მასწავლებელმა შესაძლოა მოითხოვოს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მათი ანაზღაურება განისაზღვრება ნახვების მიხედვით. რეკომენდებულია, ვიდეოს გამოქვეყნებამდე გამოიკვლიოთ, განსაზღვროთ და გააცნოთ საავტორო უფლებები ადამიანებს, რომლებიც ჩართულები არიან.

ვიდეო, როგორც პრეზენტაციის მეთოდი

ვებლექციები

ფართოდ გავრცელებული პროგრამული უზრუნველყოფის, PowerPoint-ის გამოყენებით მასწავლებლებს საშუალება აქვთ შექმნან მარტივი მულტიმედია პროდუქტი ხმით, გამოსახულებებითა და ვიდეოკლიპით, რომელიც მოცემული იქნება სლაიდშოუს სახით. PowerPoint მრავალი სასწავლო დაწესებულებისთვის წარმოადგენს კლასში ლექციის ჩატარების დამხმარე მულტიმედია საშუალებას.
თუმცა, დღესდღეობით ვებინარის შექმნის პრაქტიკამაც უზარმაზარი განვითარება ჰპოვა. ვებინარი Web-based seminar-ის (ინტერნეტზე დაფუძნებული სემინარი) შემოკლებული ფორმაა. ვებინარი ინტერნეტის საშუალებით გადაცემული პრეზენტაცია, ლექცია, მასტერ კლასი ან სემინარია, რომელიც იყენებს ვიდეო კონფერენციისთვის განკუთვნილ სპეციალურ პროგრამას. ვებინარის მთავარ მახასიათებელს

წარმოადგენს მისი ინტერაქტიული ელემენტები - ინფორმაციის გადაცემის, მიღების და განხილვის შესაძლებლობა. ვებინარი ვებკასტში არ უნდა აგვერიოს, სადაც მონაცემთა გადაცემა წარმოადგენს ცალმხრივია, და წამყვანსა და აუდიტორიას შორის (ცოცხალი) ურთიერთქმედების საშუალებას არ იძლევა.



ვებკასტის ეკრანის ანაბეჭდი (screenshot) [ინსტრუმენტი: მედიასაიტი][27]

ციფრულმა ტექნოლოგიებმა შედარებით გაადვილა ვებლექციების (ან ონლაინ/ციფრული პრეზენტაციების) ნავიგაცია და მოძიება, ჩანაწერები ხშირად თემატურ სეგმენტებადაა დაყოფილი, (რომელიც ასევე „კლიპის“ სახელწოდებითაა ცნობილი), და პრეზენტაციის სლაიდები ვიდეოსთან და აუდიოსთანაა სინქრონიზებული.

ვებინარის და ვებტრანლაციის ძლიერ მხარეა მისი ერთდროულად სტუდენტების დიდ ჯგუფთან გამოყენების შესაძლებლობა, მათი ადგილმდებარეობის (მანძილის) მიუხედავად. ამ დროს ჩართულობას ზრდის მასწავლებლის სახის გამომეტყველება და ჟესტების ენის.

ქვემოთ მოცემული სქემა აჩვენებს განსხვავებას პრეზენტაციის ტრანსლაციის მეთოდებს შორის.

17 https://media.ssr.nl/Mediasite/Play/67776117d1cc4ede96edc2efe387eadd1d

პრეზენტაციის მეთოდი	მიწოდება	აღწერა
„დამოუკიდებელი“ ვებკასტის პრეზენტაცია ლექციის/საკლასო შეხვედრის პრეზენტაციით მხარდაჭერა (შებრუნებული კლასის კონცეფ-ცია)	დიქტორი ვიდეო გადაცემა (ინტერნეტი)	- ნახვა მოთხოვნის საფუძველზე - დამოუკიდებელი ლოკაცია - ნებისმიერ დროს/ნებისმიერ ადგილას - ასინქრონული წვდომა - ინდივიდუალური გამოყენება - ცოცხალი ინტერაქტივის გარეშე
პირდაპირი ტრანსლაციით ვები-ნარის პრეზენტაცია	დიქტორი ვიდეო გადაცემა (ინტერნეტი)	- ნანახია კონკრეტულ დღეს და დროს - დამოუკიდებელი ლოკაცია - სინქრონული წვდომა - ჯგუფური გამოყენება - ცოცხალი ინტერაქტივი
ვებტრანსლაციის/ვებინარის ინტეგრაცია სწავლის სხვა მეთო-დებთან	დიქტორი გადაცემა ელექტრონული სწავლება/მულ-ტიმედია	- ლექცია ჩაშენებულია ციფრულ სასწავლო გარემოში და ერთ (ან მეტ) სასწავლო კურსის პროგრა-მაში - ნახვა მოთხოვნის საფუძველზე - დამოუკიდებელი ადგილმდება-რეობა - ნებისმიერ დროს/ადგილზე ან კონკრეტულ დროს - ასინქრონული ან სინქრონული წვდომა - ინდივიდუალური ან ჯგუფური გამოყენება - პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერაქტივი

რჩევები ვებლექციების შესაქმნელად

თუ ვებლექციების შექმნა გაქვთ გადაწყვეტილი თქვენი ორგანიზაციისათვის, გთა-ვაზობთ რამდენიმე გლობალურ რჩევას, რომელიც გამოგადგებათ. ვებინარის ან ვებკასტის შექმნა და ჩაწერა საკმაოდ განსხვავდება კლასში პრეზენტაციის წარდგე-ნისგან. ეს უბრალოდ კამერის მასწავლებლისთვის დამიზნებას არ გულისხმობს. სა-ჭიროა იცოდეთ შემდეგი:

- ტექნიკური პირობები (საკმარისი გამტარუნარიანობა გადასაცემად);
- სწორი პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა (გადახედეთ ტექნიკურ და საკომუ-ნიკაციო ასპექტებს);
- აღჭურვეთ ჩასაწერი მოწყობილობა კამერით, აუდიო და ა.შ. (შეიძინეთ ან დაიქი-რავეთ სტუდია);

- ასწავლეთ თქვენს მასწავლებლებს, როგორ ჩაატარონ მიმზიდველი და ეფექტური ონლაინ ლექცია;
- ასწავლეთ და დანიშნეთ მოდერატორი (რომელიც დაეხმარება მასწავლებელს სინქრონული ჩანაწერის გაკეთების დროს)
- დარწმუნდით, რომ არსებობს ტექნიკური მხარდაჭერა სატესტო და სინქრონული ჩაწერის დროს (ავტორიზაციის პრობლემები და ა.შ.).
- მარკეტინგული საკომუნიკაციო ასპექტების მართვა: მოწვევა, დანიშვნა/რეგისტრაცია, და ა.შ.

ვებინარის ფორმატის განსაზღვრა

ვებინარის აგება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს ერგება. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პოპულარული ფორმატი, რომელიც შესაძლოა გაითვალისწინოთ:

	აღწერა	უპირატესობები	ნაკლოვანებები
ერთი გამომსვლელი	ერთი გამომსვლელი საუბრობს, ახდენს დემონსტრირებას და აუდიტორიის კითხვებზე პასუხობს	ვებინარის ინსტრუმენტის შესახებ ნაკლები ადამიანების კოორდინირება და მომზადებაა საჭირო	- მხოლოდ ერთი გამომსვლელი უფრო მეტ ავტორიტეტს მოიპოვებს კლასის წინაშე, რამაც ზოგიერთი აუდიტორიის მონაწილეობა და კითხვების დასმა შეიძლება შეზღუდოს.
ინტერვიუს სტილში	ინტერვიუერი წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს სვამს.	რამდენიმე მოსაზრების მიღებას უწყობს ხელს. ის ფაქტი, რომ ინტერვიუერი უსვამს ექსპერტს კითხვებს, აუდიტორიის მხრიდან კითხვების დასმას წაახალისებს.	- საჭიროა მეტი ადამიანის მომზადება და კოორდინირება. - რეალური ვებინარის დაგეგმვა და ჩატარება შესაძლოა უფრო რთული იყოს.
მოდერირებული პანელ-დისკუსია	ერთდროულად ხაზზეა რამდენიმე ადამიანი. დისკუსიას მოდერატორი უძღვება	სხვადასხვა მოსაზრებებსა და პერსპექტივებს გვთავაზობს	საჭიროა მეტი ადამიანის მომზადება და კოორდინირება. - რეალური ვებინარის დაგეგმვა და ჩატარება შესაძლოა უფრო რთული იყოს. - რთულია აკონტროლო, რომ მონაწილეებმა ერთდროულად არ ისაუბრონ

ინტერაქტივი	აუდიტორიის წევრები სრულად მონაწილეობენ ინსტრუქტორის ორგანიზებულ სავარჯიშოებსა და მოდერირებულ დისკუსიებში	კარგად განხორციელების შემთხვევაში, მონაწილეები იძენენ საგნის სიღრმისეულ გაგებას, რადგან ისინი სრულად ჩართულნი არიან დიალოგსა და სავარჯიშოებში.	მხოლოდ მცირე ჯგუფზეა გათვლილი - ძალიან გამოცდილ მასწავლებელს/ფასილიტატორს მოითხოვს

თქვენი აუდიტორიის გადაღების უპირატესობა

სწორი უნარები ონლაინ ლექციის შექმნისას ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საჭიროა მაყურებლების გადაღება და აუდიტორიის შენარჩუნება. PowerPoint პრეზენტაცია გაცილებით მეტ სტრუქტურას საჭიროებს, რათა მაყურებლებმა შეძლონ მისი თემებსა და სლაიდებს შორის ნავიგაციისთვის გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია წამყვანი (მასწავლებელი) რომელსაც ხშირად სათანადოდ არ აფასებენ. იუმორის, ინტონაციის, ჟესტებისა და არტიკულაციის მნიშვნელობა გადამწყვეტია. გახსოვდეთ, რომ მაყურებლების კონცენტრაციის მაქსიმალური დრო ონლაინ ლექციის ყურებისას 10-15 წუთს არ აღემატება.

გამომსვლელსა და მაყურებელს შორის ურთიერთქმედება აუდიტორიას ეხმარება ყურადღების შენარჩუნებაში. პრეზენტაციის პროგრამულ უზრუნველყოფას აუდიტორიასთან ინტერაქციის სხვადასხვა ინსტრუმენტი გააჩნია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ონლაინ ლექციის ისეთი ინტერაქტიული ელემენტების გამოყენებით შექმნა, როგორიცაა კითხვები, (ონლაინ) გამოკითხვა პრეზენტაციაში და დისკუსიის დაწყება (პირდაპირი) ლექციის დროს. მიუხედავად იმისა, რომ „დიქტორი“ ვიდეოს შედარებით პასიურ გამოყენებას წარმოადგენს, კარგად შემუშავების ან/და კარგი შესრულების შემთხვევაში, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, „ვირტუალურმა პროფესორმა“ შეიძლება გასაკვირად შეუწყოს ხელი მონაწილეობას. მიმზიდველი და ეფექტური ონლაინ ლექციის შემუშავების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ინტერნეტით მოიძიოთ დეტალური რჩევები.

ელექტრონული სწავლების კურსის შექმნა

ბაზარზე ელექტრონული სწავლების კურსების შექმნისთვის ბევრი პროგრამაა ხელმისაწვდომი. ელექტრონული სწავლების დიზაინისა და შექმნისათვის, პროგრამა HELP-მა შეარჩია პროგრამა Articulate Storyline. Storyline-ს ბევრი უპირატესობა გააჩნია.

- მისი ინტერფეისი ნაცნობია Microsoft Office-ის მომხმარებლისათვის
- მას გააჩნია შაბლონები და ინტერაქტივები, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს მომხმარებლის მიერ
- გააჩნია ძლიერი ონლაინ მხარდაჭერა

ბ) კურსის ადაპტაცია (შინაარსი და ფორმატი)

i. ადგილობრივი ტრენერის შერჩევა

ადგილობრივი ტრენერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრამის განხორციელების ეტაპზე, რადგან მან უნდა იმუშაოს კურსის მოდელის შინაარსის საპილოტე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე მოსარგებად, ისევე როგორც უხელმძღვანელოს კურსს (შერეული ან დისტანციური).

ადგილობრივ ტრენერს ერთობლივად ნიშნავს HELP-ის სამდივნო და ეროვნული სასწავლო ინსტიტუტი ან ადვოკატთა ასოციაცია სამუშაო აღწერილობის საფუძველზე. ადგილობრივ ტრენერს მოეთხოვება იყოს სფეროს ექსპერტი და ჰქონდეს ტრენერობის გარკვეული გამოცდილება. გარდა ამისა, სავალდებულოა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა HELP-ის სამდივნოსთან კომუნიკაციის გასამარტივებლად. ადგილობრივი ტრენერს, ფაქტობრივად, მოეთხოვება HELP-ის სამდივნოს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია კურსის განხორციელების შესახებ.

დანიშვნა უნდა მოხდეს ნებისმიერ დროს ადაპტაციის ეტაპამდე. თუ ტრენერი უფრო ადრეულ ეტაპზე დაინიშნება, იგი შეიძლება ჩაერთოს შინაარსის შემუშავების ეტაპზე სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი შეხვედრაზე დასწრებით. ამგვარი მონაწილეობა ტრენერისათვის კარგი შესაძლებლობაა გაეცნოს HELP-ის მეთოდოლოგიას და ტრენერის როლს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივი ტრენერს იწვევენ HELP-ის პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ, ერთ-ერთ ტრენერთა ტრენინგზე დასასწრებად. საუკეთესო შემთხვევაში, ტრენინგი ადაპტაციის ეტაპის დაწყებამდე ტარდება.

ტრენერთა ტრენინგი

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, HELP-მა მნიშვნელოვანი განვითარების გზა გაიარა. პროგრამა 12 პარტნიორი ქვეყნიდან 47 ქვეყანაში გავრცელდა და ამჟამად მიმართულია ადვოკატების, მოსამართლეების და პროკურორების განათლების სფეროზე. HELP-ის ფარგლებში განხორციელდა სატელიტი პროექტები, მათ შორის

- HELP 28-ში, დაფინანსებულია DG Justice-ს გრანტით, ევროპის კავშირი;
- HELP-ი რუსეთის ფედერაციაში, დაფინანსებულია ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მიერ;

- პროექტი გამოხატვის თავისუფლება თურქეთში, თანადაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ;

- სხვა

HELP-ი შეიმუშავებს და ახორციელებს სხვადასხვა ახალ კურსებს და ქმნის მოთხოვნას HELP-ის ადგილობრივ ტრენერებზე, რომლებიც ფლობენ უნარ-ჩვევებს და გააჩნიათ მოტივაცია უხელმძღვანელონ HELP-ის არაერთ დისტანციურ, პირისპირ და შერეულ სასწავლო კურსებს ადგილობრივ დონეზე.

შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შემუშავებულ იქნა ტრენერთა ტრენინგი, ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების და ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლების HELP-ის ტრენერებად მომზადებისა და მათთვის HELP-ის მეთოდების გაცნობისათვის.

HELP-ის ტრენერთა ტრენინგი სპეციალურად ორიენტირებულია მკაფიოდ გამოხატული კომპეტენციების მიღწევაზე და HELP-ის მეთოდოლოგიის უფრო სრულყოფილ გაგებაზე ტრენერთა ტრენინგის მიზანია HELP-ის დისტანციური, შერეული და პირისპირ სასწავლო კურსების მაღალი ხარისხისა და ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა, HELP-ის ტრენერთათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარებით, HELP-ის მეთოდოლოგიის და ელექტრონული სწავლების პლატფორმის (Moodle) შესახებ.

ამოცანები

- მონაწილეთათვის სტრასბურგის უახლესი იურისპრუდენციის გაცნობა;
- HELP-ის პრინციპების და მეთოდების დაზუსტება, რომლებიც სასწავლო მიზნების განსაზღვრისას გამოიყენება, საჭიროებების შეფასება, კურსის სახელმწიფო სამართლებრივ სისტემაზე მორგება და შეფასება;
- ტრენინგების ჩატარება მონაწილეთათვის HELP-ის ელექტრონული სწავლების Moodle პლატფორმის შესახებ (გვერდის შექმნიდან დაწყებული სხვადასხვა აქტივობების ჩათვლით და HELP ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომი რესურსებით);
- ტრენერების როლის განხილვა ადგილობრივ კურსებზე და მონაწილეთა შესაბამისი კომპეტენციების განვითარება HELP-ის დისტანციური, შერეული და პირისპირ სასწავლო კურსების წარმართვისთვის;
- ტრენერების ადგილობრივი ქსელის შექმნა, რომლებიც ფლობენ შესაბამის უნარებს და აქვთ მოტივაცია, უხელმძღვანელონ HELP-ის კურსებს ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებსა და ადვოკატთა ასოციაციებში.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის შესახებ დისტანციური, შერეული და პირისპირ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ღია დიალოგისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.

ტრენერთა ტრენინგის დროს განვითარებული კომპეტენციები

კომპეტენცია 1 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება HELP-ის მოდელის კურიკულუმების საფუძველზე, ტრენინგის საჭიროებების შეფასების ჩატარებიდან სასწავლო მიზნების შემუშავებამდე, კურიკულუმის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე მორგება და კურსის შეფასება.

კომპეტენცია 2 - HELP-ის ელექტრონული სწავლების პლატფორმის (Moodle) და მასზე არსებული რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენება.

კომპეტენცია 3 - ინდივიდუალური და ჯგუფური პროცესების გაგება და ხელშეწყობა.

პირისპირ ტრენინგი (ორი-სამი დღე)



საპილოტე დისტანციური კურსი (ოთხ თვემდე)



შერეული კურსები (ექვს თვემდე)

ტრენერთა ტრენინგის მონაწილეები

მონაწილეთა შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭება მულტიპლიკატორის ეფექტის თვალსაზრისით არსებულ პოტენციალს ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებსა და ადვოკატთა ასოციაციებში. სტრასბურგში, კურსის მონაწილეების რიცხვი 30-დან 60-მდე მერყეობს, რომლებიც ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან არიან მივლინებული. სამიზნე ჯგუფი შედგება ეროვნული სასწავლო ინსტიტუტებისა და ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლებისგან, რომელთაც იურისტების ტრენერობის ან საერთაშორისო ტრენერობის გამოცდილებაც კი აქვთ ან აღნიშნულის მიღწევის ძლიერი მოტივაცია გააჩნიათ. ისინი სრულყოფილად ფლობენ ინგლისურ ენას და მოტივირებული არიან უხელმძღვანელონ HELP-ის სასწავლო კურსებს.

წარმატებული მონაწილეები HELP-ის სერტიფიცირებულ ტრენერთა სიაში შეჰყავთ, რომელიც განთავსებულია HELP-ის ვებგვერდზე. ევროპის საბჭოს ოფისებიც და ეროვნული სასწავლო დაწესებულებებიც/ადვოკატთა ასოციაციებიც ინფორმირებულები არიან ტრენერების ამ წრიდან შერჩევის შესაძლებლობის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო საქმიანობისთვის. ვებგვერდზე ასევე მოცემულია ინფორმაცია ტრენერების სამუშაო ენების, პროფესიული გამოცდილების და პრაქტიკის განხორციელების ქვეყნის შესახებ, მრავალეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.

2014 და 2015 წლების HELP-ის ქსელის წლიურ კონფერენციაზე მიღებულმა უკუკავშირმა წარმოაჩინა ასეთი ტრენინგების ღონისძიებების მტკიცე მხარდაჭერა. ეს ადგილობრივი ტრენერების შესაძლებლობებს აძლიერებს შექმნან ძლიერი ეროვნული ფლობა.

ტრენერთა ტრენინგის ელემენტები

HELP-ის ტრენერთა ტრენინგის პროგრამა იმგვარადა შემუშავდა, რომ მონაწილეებს აჩვენებს თუ, როგორ შექმნან საკუთარი კურსი HELP-ის მეთოდოლოგიის, ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე განთავსებული კურსის მოდელის მასალების, ინსტრუმენტებისა და რესურსების გამოყენებით, ისევე როგორც ინტერაქტიული ტრენინგის მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად, ტრენინგი შემდეგ ელემენტებზე ეფუძნება:

ნაწილი 1. გახსნა	
ტრენერთა ტრენინგის კომპონენტი	HELP-ის შერეული კურსი
HELP-ის პრეზენტაცია	პრეზენტაციის მიზანია წინასწარი ინფორმაციის მიწოდება პროგრამის და მისი მისიის შესახებ, და იმ კურსების წარმოდგენა, რომლებიც ადგილობრივ ენაზეა ხელმისაწვდომი. პრეზენტაცია შეიძლება მოეწყოს სხვადასხვაგვარად: • ანიმაციური ვიდეო • ვებგვერდი და ელექტრონული სწავლების პლატფორმა • prezi ან ppt ფორმატი
ტრენერთა ტრენინგის მიზნები და ამოცანები	კურსის მიზნების და დასახული სასწავლო მიზნების გაცნობა მსმენელთათვის პირველი პირისპირ შეხვედრისას (სასტარტო შეხვედრა) და მანამდე კი - მონაწილეთა მოწვევა.
მონაწილეთა გაცნობა, ურთიერთობების დამყარება და სავარჯიშოები ჯგუფის ფორმირების მიზნით	ეს კომპონენტი ეხმარება მონაწილეებს კითხვების დასმისას თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და დარწმუნდნენ, რომ პატივისცემით მოეპყრობიან; იგი ასევე ხელს უწყობს მონაწილეთა მიერ ჯგუფში თავის დამკვიდრებას პირველი და ზოგჯერ შუალედური შეხვედრისას.

ნაწილი 2. თემის გაცნობა	
ტრენერთა ტრენინგის კომპონენტები	HELP-ის შერეული კურსი
ექსპერტის პრეზენტაცია პანელ-დისკუსია დებატები იმიტირებული სასამართლოს ექსპრეს სავარჯიშო	კომპონენტის მიზანია არა ამომწურავი ლექციის ჩატარება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ პრეზენტაციის სხვადასხვა ფორმატის ჩვენება. შერჩეული თემების წინასწარი ცოდნა აუცილებელია

ნაწილი 3. მონაწილეთა შესაბამისი კომპეტენციების განვითარება HELP-ის შერეული კურსების შემუშავების და განხორციელების მიზნით	
ტრენერთა ტრენინგის ელემენტი	HELP-ის შერეული კურსი
სემინარი Moodle-ის შესახებ	მონაწილეები HELP-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმასთან მუშაობის პრაქტიკულ უნარჩვევებს იძენენ, კურსის გვერდების შექმნით; ტრენერი ძირითად ინსტრუმენტებსა და ხელმისაწვდომ რესურსებს აცნობს მათ.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სემინარი ტრენერთა კომპეტენციის შესახებ	ჯგუფური დინამიკის ზოგადი გაგება, ზრდასრულთა სწავლების თავისებურებები, ტრენინგის ტექნიკა (დისკუსია მცირე ჯგუფებში, "გონებრივი იერიში", ჯგუფებად დაყოფა, რანჟირება, როლური თამაშები, პრაქტიკული მაგალითები, სიმულაცია და შემაჯამებელი შეხვედრა). მონაწილეები განიხილავენ სწავლის პირამიდას, ტრენინგის ტექნიკას და განსხვავებას ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს შორის. ისინი ასევე ეცნობიან მსმენელზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიას.
სემინარი HELP-ის კურსის დიზაინთან დაკავშირებით	საგანმანათლებლო პროგრამა HELP-ის გამოყენებით კურიკულუმის მოდელის შექმნის ზოგადი გაგება. ტრენერი აჩვენებს ტრენინგის საჭიროებების შეფასების მნიშვნელობას, როგორ შეიძლება ტრენინგის საჭიროებების შეფასების საფუძველზე სასწავლო მიზნების და კურსის ზოგადი სტრუქტურის შემუშავება. მონაწილეები ახდენენ სასწავლო მიზნების ფორმულირებას SMART ინდიკატორების გამოყენებით.
სასწავლო სესიები მომზადებული და განხორციელებულია ტრენერთა ტრენინგის მონაწილეთა მიერ	კურსის მომზადების სრული სიმულაცია და მისი განხორციელება. ეს ნაწილი წარმოადგენს დავალებას, რომელიც ეფუძნება პროექტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პრინციპებს. მისი მიზანია ახალი ცოდნის გამოყენება რეალურ სიტუაციებში. იგი ასევე უზრუნველყოფს მსმენელთა ჩართულობას, აკავშირებს პროგრამის ცოდნასა და გამოყენებას; ავითარებს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და წარმოდგენის, ისევე როგორც თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს. პირველ სასწავლო სესიაზე ქვეჯგუფები ერთი-ერთი კურსის ჯგუფებიდან უხელმძღვანელებენ სხვა კურსის ჯგუფებს. ერთი ჯგუფი მეორეს წარუდგენს შემუშავებულ კურსს. მეორე სესიაზე პირიქით ხდება: ქვეჯგუფები ხელმძღვანელობენ პირველ ორ ჯგუფს. ამ დროს ხდება ჯგუფების ისეთი გადანაცვლება, რათა არ მოხდეს ერთი და იმავე ჯგუფების კომბინაციის მიღება.

ნაწილი 4. დასასრული

ტრენერთა ტრენინგის კომპონენტი შემაჯამებელი შეხვედრა	HELP-ის შერეული კურსი შემაჯამებელი სესიის მიზანს წარმოადგენს ნასწავლის რეფლექსია და ტრენინგით შესრულებული ამოცანების გააზრება, ისევე როგორც მათი დაკავშირება პიროვნულ უნარ-ჩვევებთან და სასწავლო მიზნებთან
HELP-ის პროგრამის მომავალი და ჩემი პირადი გეგმა ანონიმური კითხვარი უნდა შეივსოს მსმენელთა მიერ და შეფასების ფორმები - ტრენერების მიერ	კურსის შეფასება

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ტრენერთა ტრენინგის შეფასება
ტრენერთა ტრენინგის შეფასება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: დაბინავება, კვება, ადგილმდებარეობა და ტრანსპორტირება კურსზე.
2) კურსის მიზანი, მოლოდინი და ტრენინგის ტექნიკა.
3) შინაარსი (კურსის სესიები).
ზოგადად, მონაწილეები შემდეგ სესიებს მიიჩნევენ ყველაზე მნიშვნელოვნად და საინტერესოდ:

საკუთარი ტრენინგის სესიის მომზადება
მონაწილეების სამსაათიანი ტრენინგის სესია
Moodle პლატფორმა
HELP-ის მეთოდოლოგია

		დღე 1	დღე 2	დღე 3	დღე 4	
8:00 – 9:00		საუზმე				
9:00 - 9:30		ოფიციალური გახსნა, HELP-ის პროგრამის შესავალი				
9:30 – 11:00			სემინარი	კურსის დიზაინი	სასწავლო სესია 2	მონაწილეთა წასვლა
11:00 - 11:30		შესვენება				
11:30 – 13:00		ჯგუფური სავარჯიშოები, იმიტირებული სასამართლო ან პრაქტიკული მაგალითი	სემინარი	კურსის დიზაინი	სასწავლო სესია 2	მონაწილეთა წასვლა
13:00 – 14:30		ლანჩი				
14:30 – 16:00		თემის შესავალი: ძირითადი გამომსვლელის პრეზენტაცია ან პანელ-დისკუსია	სემინარი	სასწავლო სესია 1	შეფასება: პროგრამის გამოყენება თქვენს ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტში ინფორმაციებზე და ძირითადი სამუშაო გეგმა	
16:00 – 16:30		შესვენება				
16:30 – 18:00	მონაწილეთა ჩამოსვლა, მისალმება, და რეგისტრაცია	თემის შესავალი: დადებითი და უარყოფითი მხარეები; დებატები	სემინარი	სასწავლო სესია 1	HELP-ის ძიმსვალი, იდეების პრეზენტაცია	
18:00 - 18:30		შემაჯამებელი შეხვედრა				
19:00 – 20:30		სადილი				

განათლების მიდგომები და პრინციპები ადამიანის უფლებათა სფეროში

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მონაწილეები ნაკლებად აქტუალურად მიიჩნევენ შემდეგს:

- ჟურნალების პრეზენტაცია
- პლენარული განხილვა ექსპერტებთან ერთად
- ძალიან ხანგრძლივი უკუკავშირის პროცესი.
- კომენტარები და რეკომენდაციები მონაწილეთაგან:
- „ვისურვებდი HELP-ის პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელებას“
- „შეამცირეთ სამუშაო დრო 6 საათამდე დღეში“
- „მონაწილეები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებული კურსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მის დაწყებამდე“
- „გმადლობთ გამოცდილების გამდიდრებისთვის“
- „მოხარული ვარ, რომ ტრენერები ორიენტირებულები იყვნენ მონაწილეთა სწავლებაზე და ყურადღებით ეკიდებოდნენ ამ პროცესს“
- „საინტერესოა. ვისურვებდი ამ გამოცდილების გაგრძელებას“
- „მადლობას გიხდით ყველაფრისათვის!“
- „მომეწონა გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი“
- „ტრენინგი ძალიან ეფექტური იყო“
- „ტრენინგს Moodle პლატფორმის შესასწავლად უფრო მეტი დრო უნდა ეთმობოდეს“
- „ჩვენ გვინდა უფრო მეტი HELP-ის ტრენინგი და ასევე სივრცე ჩვენი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გასაზიარებლად“
- „პროფესიონალური და ინტერაქტიულია“

საკონტროლო სია - ნაბიჯ-ნაბიჯ

1. ტრენერთა ტრენინგის თარიღის განსაზღვრა;
2. დოკუმენტების გავრცელება (ადგილმდებარეობა - „ქალაქგარეთ“, ერთი საკონფერენციო ოთახი 30 მონაწილისთვის, სამი პატარა ოთახი 10-12 მონაწილისთვის ხელმისაწვდომი იქნება 9.00 - 19.00 საათებში, ძალიან კარგი ინტერნეტ კავშირი, 6 კომპიუტერი, პროექტორი, ხანმოკლე შესვენება) ტრენერთა ტრენინგამდე მინიმუმ სამი-ოთხი თვით ადრე;
3. ტრენერების მოწვევა - ტრენერთა ტრენინგამდე მინიმუმ სამი-ოთხი თვით ადრე;
4. ერთდღიანი მოსამზადებელი შეხვედრა ტრენერებთან - ტრენერთა ტრენინგამდე მინიმუმ ორი თვით ადრე (მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, ტრენერთა ტრენინგისთვის შერჩეული HELP-ის კურსები, ექსპერტების შერჩევა, სესიების მონახაზი/მოვალეობების გადანაწილება);
5. მონაწილეების მოწვევა - ტრენერთა ტრენინგამდე 45 დღით ადრე;
6. ექსპერტების მოწვევა - ტრენერთა ტრენინგამდე 45 დღით ადრე;
7. ტრენერთა ტრენინგის გვერდი Moodle-ზე განთავსებული დღის წესრიგით, შესავალი კურსითა და კონცეფციით;

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

8. მონაწილეების მიერ ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობის დადასტურება, სისტემაში რეგისტრაცია, ტრენერთა ტრენინგის წინასწარი დავალება;
9. მოსამზადებელი შეხვედრა ტრენერებთან ადგილზე - ტრენერთა ტრენინგამდე ერთი დღით ადრე;
10. კურსის შეფასება მონაწილეთა და ტრენერთა მიერ, მისიის ანგარიში - ტრენერთა ტრენინგიდან ერთი კვირის შემდეგ;
11. დასკვნითი დავალების ბოლო ვადა - ტრენერთა ტრენინგიდან ერთი თვის შემდეგ;
12. ტრენერთა მიერ ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადა (ყოველდღიური, ჩამოყალიბებული იდეების შეჯამება; სამომავლო რეკომენდაციები) - ტრენერთა ტრენინგიდან ერთი თვის შემდეგ;
13. ტრენერთა ტრენინგის შედეგები - ტრენერთა ტრენინგიდან 1.5 თვის შემდეგ;
14. სრული შემაჯამებელი ანგარიში - ტრენერთა ტრენინგიდან ორი თვის შემდეგ;
15. სერტიფიკატები - ტრენერთა ტრენინგიდან 2.5 თვის შემდეგ;
16. გადამზადება, ანუ „ტრენინგი არსებით საკითხებზე“ - წლის განმავლობაში.რთა ტრენინგიდან ერთი კვირის შემდეგ;
11. დასკვნითი დავალების ბოლო ვადა - ტრენერთა ტრენინგიდან ერთი თვის შემდეგ;
12. ტრენერთა მიერ ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადა (ყოველდღიური, ჩამოყალიბებული იდეების შეჯამება; სამომავლო რეკომენდაციები) - ტრენერთა ტრენინგიდან ერთი თვის შემდეგ;
13. ტრენერთა ტრენინგის შედეგები - ტრენერთა ტრენინგიდან 1.5 თვის შემდეგ;
14. სრული შემაჯამებელი ანგარიში - ტრენერთა ტრენინგიდან ორი თვის შემდეგ;
15. სერტიფიკატები - ტრენერთა ტრენინგიდან 2.5 თვის შემდეგ;
16. გადამზადება, ანუ „ტრენინგი არსებით საკითხებზე“ - წლის განმავლობაში.

ii. თარგმანი ეროვნულ ენაზე

განჭვრეტადი ენობრივი ბარიერის გამო, ტრენინგი იურისტებისათვის შესაძლოა უფრო ეფექტური გახდეს, თუ იგი ეროვნულ ენაზე ჩატარდება. თუ მსმენელები სრულყოფილად არ ფლობენ ინგლისურს, კურსში მონაწილეობამ ისინი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს და შესწავლილი მასალის არასწორი გამოყენება გამოიწვიოს. გარდა ამისა, მსმენელთა დიდი უმრავლესობის ყოველდღიური სამუშაო ენა მათი ეროვნული ენაა.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, იურისტებისთვის სასარგებლო იყოს ინგლისურ ენაზე ჩატარებული ტრენინგი, განსაკუთრებით სამართალწარმოების მიზნებისათვის, შესაძლებელია, რომ მასალები არ ითარგმნოს. გარდა ამისა, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალეროვნული კურსის გაშვებისთვის, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების იურისტების შერეული ჯგუფებისათვისაა გამიზნული, ვისთვისაც ინგლისური ენა სამუშაო ენას წარმოადგენს.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დავუბრუნდეთ დისტანციურ/შერეულ კურსებს, რომლებიც ეროვნულ ენაზე ტარდება, ინგლისურენოვანი კურსის მოდელი საპილოტე ქვეყანაში ეროვნულ ენაზე ითარგმნება. პრაქტიკული თვალსაზრით, მასალები სათარგმნად სერვისის მომწოდებლებს ეგზავნებათ. რაც შეეხება ინტერაქტიულ ვერსიას, ორი სვეტისგან შემდგარი ცხრილი ექსპორტირებულია პროგრამიდან „Articulate“ და ეგზავნებათ მთარგმნელებს. თარგმანისთვის გამოყოფილ შესაბამის მარჯვენა სვეტში იწერება ტექსტი ეროვნულ ენაზე და შესაძლებელი ხდება მისი ავტომატური ატვირთვა პროგრამაში „Articulate“ ელექტრონული სწავლების დიზაინერის ან HELP-ის სამდივნოს მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, თუ კურსს ვიდეომასალა აქვს დამატებული, და ასეთი კურსები მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი. ვიდეომასალის ტრანსკრიპცია და სუბტიტრები შედის სათარგმნ პაკეტში, რომელიც უნდა ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე. შემდეგ ისინი ემატება ცალკე ფანჯარაში ან სუბტიტრების სახით.

შეიძლება გარკვეული პრობლემები წამოიჭრას, თუ თარგმანი ზუსტი არ არის ან/და მისი მიწოდება არ ხდება მოთხოვნილ ვადებში. თარგმნის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მომსახურების გაწევა კომპეტენტურ მომწოდებელს უნდა დაევალოს. აპრობირებული პრაქტიკაა წინასწარ შემოწმდეს აქვს თუ არა მომწოდებელს სამართლებრივი, კერძოდ კი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტების თარგმნის გამოცდილება, მთარგმნელებმა ასევე უნდა იხელმძღვანელონ სიტყვარებით, რომელიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს მიერ[28].

კარგი ხარისხის თარგმანზე დახარჯული დრო დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ორიგინალის ხარისხი და სირთულე. რაც შეეხება ხარისხს, იგი დამოკიდებულია იმაზე, შეადგინა თუ არა ტექსტი მშობლიურ ენაზე მოსაუბრემ ან/და გავლილი აქვს თუ არა ხარისხის შემოწმება. რაც შეეხება ტექსტის სირთულეს, თარგმანი შეიძლება უფრო გამართული იყოს, ხოლო თარგმანის ხარისხი უფრო მაღალი, თუ მთარგმნელები უზრუნველყოფილი არიან საცნობარო დოკუმენტებით.

თარგმანების წარმოდგენის შემდეგ ხარისხის კონტროლს ახორციელებს ადგილობრივი ტრენერი, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მოეთხოვება ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე ადაპტირებული მასალების გადახედვა. შინაარსის ადაპტაცია კურსის გაშვების მომზადებისას

ეროვნული სამართლებრივი სისტემისადმი ადაპტირება

როგორც უკვე აღინიშნა, ადგილობრივი ტრენერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი ერთ-ერთი ამოცანაა კურსის მოდელის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე მორგება. ტრენერის სამუშაოს მოცულობა დამოკიდებულია თემატიკაზე და მიზნად ისახავს კურსის მოდელის ადაპტირებას სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებზე.

შესავალის სახით, ადგილობრივ ტრენერს მოეთხოვება პრეზენტაციის მომზადება

28 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების განხორციელების მხარდაჭერის სამმართველომ შეიმუშავა სიტყვარები ინგლისურიდან: აზერბაიჯანულ, ბულგარულ, ქართულ, რუმინულ, რუსულ, სერბულ, უკრაინულ, თურქულ ენებზე. მათი მოძიება ასევე შესაძლებელია სამმართველოს ვებსაიტზე http://www.coe.int/t/dgi/hr-natimplement/documentation_en.asp

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელებასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტატუსს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და საერთაშორისო ხელშეკრულებების კანონიერ ძალას (დუალისტური შეხედულება გამოიყენება თუ მონისტური).

გარდა ამისა, ადგილობრივ ტრენერს მოეთხოვება არსებული ტრენინგის მასალების რედაქტირება ან დამატებითი მოდულის შედგენა, იგი ასევე, მთელი კურსის განმავლობაში უნდა მიმართავდეს შესაბამის კანონმდებლობისა და ეროვნულ იურისპრუდენციას. კურსის ძირითად შინაარსთან ერთად, ადგილობრივმა ტრენერმა დამატებითი მასალების ჩამონათვალს უნდა დაუმატოს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა მასალა, რომელიც აქტუალურია ეროვნულ დონეზე. დაბოლოს, მას მოეთხოვება მოარგოს დავალებები მსმენელთა საჭიროებებს და ცოდნის დონეს.

აუდიტორიის საჭიროებებზე ადაპტირება

კურსის შინაარსი მორგებული უნდა იყოს არა მარტო ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე, არამედ სამიზნე აუდიტორიაზეც. როგორც უკვე აღინიშნა, იმისდა მიხედვით, კურსი ადვოკატებისთვის, მოსამართლეებისა თუ პროკურორებისთვისაა განკუთვნილი, საჭიროებები და მასალების შესაბამისობაც შეიძლება განსხვავებული იყოს. ტრენერი აუცილებლად უნდა დარწმუნდეს, რომ ტრენინგი მის აუდიტორიაზეა ადაპტირებული.

ელექტრონული სწავლება ტრენინგის მასალების ატვირთვა HELP-ის Moodle პლატფორმაზე

ტრენინგის მასალები საბოლოო შეჯერების შემდეგ, ადგილობრივი ტრენერი მასალებს HELP-ის Moodle-ის გვერდზე ტვირთავს. HELP-ის სამდივნოს მიერ იქმნება კურსისთვის განკუთვნილი სპეციალური გვერდი და იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ მსმენელთათვის. უფრო დეტალური ინფორმაცია კურსის მოდერაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება სახელმძღვანელოს შესაბამის ნაწილში.

ადგილობრივი ტრენერები ტრენინგის მასალების ატვირთვას და Moodle-ის გვერდის მართვას ტრენერთა ტრენინგზე სწავლობენ. გარდა ამისა, ტრენერს შეუძლია მიმართოს HELP-ის სამდივნოს ან გამოიყენოს არსებული სახელმძღვანელოები და გაკვეთილები HELP-ის Moodle პლატფორმის მართვასთან დაკავშირებით. შესაძლებელია დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერა გახდეს საჭირო, მაგ., როდესაც კურსი არ იწყება ტრენერთა ტრენინგის დამთავრებისთანავე ან თუ ტრენერი აწყდება გარკვეულ პრობლემებს, რომელიც ტრენინგის დროს არ იყო გათვალისწინებული.

ადგილობრივ ტრენერს, როგორც კურსის ხელმძღვანელს, შეუძლია დააწესოს მასალის ატვირთვის ვადები. ეს ნიშნავს იმას, რომ ტრენინგის მასალების ატვირთვა შესაძლებელია კურსის გაშვებამდე, ან თითოეული მოდულის გავლისას რეგულარულად. თუ ყველა მასალა ერთდროულად აიტვირთება, ისინი ხელმისაწვდომი იქნება მსმენელებისთვის მათი კურსით გათვლილი ვადების შესაბამისად.

ნაწილი 3: განხორციელება

საფეხური 3: როგორ განვახორციელოთ კურსი

ა) ტრენინგის ყველაზე სათანადო ტექნიკის შერჩევა

ახალი კურსის შემუშავებისას ძალიან იოლია ტრენინგის მეთოდების შერჩევა იმის ნათლად გააზრების გარეშე თუ, რამდენად ოპტიმალურია მეთოდები მსმენელების მიერ საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევებსა და მიდგომების შესაძენად და სასწავლო მიზნების მისაღწევად.

ტრენინგი (უკვე საუნივერსიტეტო სწავლებასთან ერთად) ხშირად ხასიათდება ორი მთავარი სწავლების/სწავლის მეთოდით: ლექციებით და პრობლემაზე ან დისკუსიაზე ორიენტირებული სემინარებით/გაკვეთილებით. (უმაღლეს განათლებაში ასევე ლაბორატორიული სამუშაო, საველე მუშაობა, პროექტები და დისერტაციებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი; პროფესიული ტრენინგის კონტექსტში, აღნიშნული შესაძლოა ჩანაცვლდეს ვიზიტებითა და ანგარიშების შედგენით).

როგორც სახელმძღვანელოს ამ ნაწილის დასაწყისში იყო განხილული, ბევრ მსმენელს შეიძლება არ ჰქონდეს დიდი მოლოდინი ტრენინგისგან, რაც იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით მათი გამოცდილების შედეგია. შესაბამისად, არსებობს ტრადიციული სწავლების ჩანაცვლების ნათელი საჭიროება, რადგან:

- აქტიური სწავლება „მსმენელს "უფრო აახლოებს რეალურ სამყაროსთან და ეხმარება მას შეიძინოს უნარ-ჩვევები და შეიცვალოს მიდგომები, ვიდრე უბრალოდ მიიღოს ცოდნა;

- არსებობს ინდივიდუალური სწავლებისადმი გაზრდილი ინტერესი ანუ მსმენელზე ორიენტირებული მიდგომა.

სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, ტრენინგის შემუშავებისას საჭიროებების შეფასება, აუდიტორიის ცოდნა, სირთულეების გამოვლენა, რათა განისაზღვროს შესაბამისი სწავლების ტექნიკაც.

ახლა პედაგოგებს ესმით ორი ძირითადი მომენტი, რომელიც უნდა ახსოვდეთ ტრენინგის დროს:

- ზოგადი პრინციპები, თუ რა ფორმით სწავლობენ ადამიანები ყველაზე ეფექტურად;

- ადამიანები განსხვავდებიან - სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად სწავლობს.

პირველი პუნქტის გამოსახვა უფრო მარტივია გრაფიკული ფორმით:

.....

.....

.....

.....



მეორე საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ის რომ ადამიანები განსხვავებულად სწავლობენ, კურსის შემქმნელ ტრენერებს უფრო მეტ სირთულეს უქმნის. ზრდასრულ ადამიანებს სხვადასხვა სწავლის სტილი აქვთ. კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს სწავლის სამი სტილი - მხედველობითი, სმენითი და კინესთეტიკური. მნიშვნელოვანია მხედველობითი სტილით შემსწავლელების სურათებით, დიაგრამებით და სხვა ვიზუალური მასალით უზრუნველყოფა. სმენითი სტილის შემსწავლელები სწავლობენ დისკუსიების მეშვეობით, როგორც საუბრისას, ისე მოსმენისას. კინესტეტიკური სტილით შემსწავლელებს ესაჭიროებათ აქტივობები და სწავლობენ როლური თამაშებითა და დებატებით.

სასიხარულო ამბავია, რომ მართალია, ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ამ სტილიდან ერთ-ერთს ანიჭებს, მაგრამ ბევრი მათგანი რეაგირებს მათ კომბინაციაზეც. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ზრდასრულთა სწავლებას უფრო ნაკლები სირთულე ახლავს, ვიდრე ბავშვების სწავლებას, მიუხედავად იმისა, თუ სწავლის რომელ სტილს ანიჭებს ბავშვი უპირატესობას. ზრდასრულთა სწავლების კვლევამ (ანდრაგოგიკა) დაასკვნა, რომ უფროსები ბავშვებისგან განსხვავებულად სწავლობენ. ანდრაგოგიკის დამფუძნებელმა, მალკოლმ ნოულსმა განსაზღვრა ზრდასრულთა სწავლების ექვსი პრინციპი: • ზრდასრულები შინაგანად მოტივირებულები და დამოუკიდებლები არიან

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- ზრდასრულებს ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა გადმოაქვთ სწავლის გამოცდილებაში
- ზრდასრულები მიზანზე ორიენტირებულები არიან
- ზრდასრულები რელევანტურობაზე ორიენტირებულები არიან
- ზრდასრულები პრაქტიკულები არიან
- ზრდასრულ მსმენელებს მოსწონთ, როდესაც პატივისცემით ეპყრობიან.[29]

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ზრდასრულთა ტრენინგის შემთხვევაში სწავლების სტილი, რომელიც მრავალფეროვან მეთოდოლოგიას ეყრდნობა მაქსიმალურად ზრდის მსმენელთა მიერ წარმოდგენილი მასალის დამახსოვრებას. გარდა ამისა, ტრენინგის წარმატების საწინდარია მსმენელთა გამოცდილების გამოყენება და უზრუნველყოფა, რომ ტრენინგი აქტუალური და პრაქტიკული იყოს.

ბ) ტრენინგის მეთოდის შერჩევის მისადაგება სასწავლო მიზნებთან

ტრენინგის შემუშავებაში (თითქმის) დასკვნით ეტაპს წარმოადგენს სათანადო მეთოდების შერჩევა კონკრეტული სასწავლო მიზნების უზრუნველსაყოფად- ე.ი. ყველაზე მეტად ტრენინგის რომელი ტექნიკა დაეხმარება მსმენელს მიაღწიოს განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს (და როგორც შემოწმებულია შერჩეული შეფასების ინსტრუმენტებით)?

სასწავლო მიზნების, შეფასების ინსტრუმენტების და ტრენინგის ტექნიკის შესაბამისობა მნიშვნელოვანია. არსებობს ხელმისაწვდომი ტექნიკის ფართო არჩევანი. სწავლების და სწავლის მეთოდების მოცემული ცხრილი მიუთითებს არჩევანს, რომლის წინაშეც ტრენინგის შემქმნელები დგანან დისტანციური სწავლების ან ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკის გათვალისწინების გარეშეც:[30]

	სასწავლო მიზნები				
	ცოდნა	ცოდნის შემუშავება, ანალიზი და გამოყენება	იდეების და მონაცემების გენერირება	პიროვნული განვითარება	საკუთარი სწავლის დაგეგმვა და მართვა
ტრენერის მიერ წარმართული აქტივობები	ლექტორები მოწვეული ლექტორები	პრაქტიკული მაგალითი პრაქტიკული მეცადინეობები პრაქტიკული სემინარი „გონებრივი იერიში“	პრაქტიკული სემინარი „გონებრივი იერიში“ ლაბორატორიული	უკუკავშირი სასწავლო ხელშეკრულებები როლური თამაშები	

29 მ. ნოულსი (Knowles M.) (1984) ანდრაგოგიკა პრაქტიკაში (სან ფრანცისკო: გამომცემლობა Jossey-Bass)
30 ტ. ბურნერი (Bourner T) (1997) „სწავლების მეთოდები სწავლის შედეგებისთვის“ განათლება + ტრენინგი, 39.9, 344-348, ჯ. ბ. ბიგსი (Biggs J.B) (2003), სწავლება ხარისხიანი სწავლისთვის უნივერსიტეტში (ბუკინგემი: Open University Press/Society for Research into Higher Education)

	კონცეფციის ასახვა მოდელირება ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით ხმის მიცემის ელექტრონული სისტემები	ლაბორატორიული დემონსტრირება ექსპერიმენტები სიმულაციები დისკუსია დებატები სემინარები და გაკვეთილები ზედამხედველობა დისკუსიები კომპიუტერის მეშვეობით	პრაქტიკული მეცადინეობები საველე სამუშაო დისკუსია ექსპერიმენტები ზედამხედველობა	ხელმძღვანელობა ქოუჩინგი ემპირიული სწავლა	
მსმენელის მიერ წარმართული აქტივობები	ინფორმაციის ძიების დავალებები მიმართული კერძო სწავლება	პროექტები პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ნარკვევები მუშაობაზე ორიენტირებული სწავლება ჯგუფში მუშაობა მსმენელის პრეზენტაციები მსმენელის ჩატარებული სემინარები ლიტერატურის მიმოხილვა თანაგუნდელების შეფასება მსმენელის ხელმძღვანელობა სწავლება თანაგუნდელის მონაწილეობით თვითშეფასება	მოთხოვნაზე დაფუძნებული სწავლება კვლევის პროექტი დისერტაცია ჯგუფში მუშაობა Mind-mapping (გეგმის ვიზუალური წარმოდგენა) პრობლემის გადაწყვეტა დისციპლინათშორისი პროექტები მომსახურების შესწავლა სტუდენტების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები	ასახვის ჟურნალები თვითშეფასება	პროფესიული განვითარების პორტფოლიო სასწავლო ჟურნალები პროექტები დამოუკიდებელი სწავლა დისერტაცია საწარმოო პრაქტიკა პორტფოლიოს განვითარება

ეს ცხრილი დაგეხმარებათ ტრენინგის ტექნიკა შეუსაბამოთ ფორმულირებულ სასწავლო მიზნებს. თუმცა, წინამდებარე სახელმძღვანელოში შეთავაზებული მოდელი მოუწოდებს სასწავლო მიზნების ფრთხილ მისადაგებას არა მხოლოდ შეფასებასთან, არამედ ტრენინგთან და სწავლის აქტივობებთანაც. როგორც ზემოთ იყო მოცემული, შეფასების ინსტრუმენტის ადრეული შემუშავება შემოგთავაზებთ სხვადასხვა მზა „დავალებებს“, რომლებიც გიძლიათ ჩართოთ ტრენინგის დიზაინში. მაგალითად:

სწავლის შედეგები	შეფასების დავალებები	სწავლების/სწავლის ამოცანები
კურსის დამთავრების შემდეგ თქვენ შეძლებთ:	პრაქტიკული მაგალითის ანალიზი, რომლის გადაწყვეტაც უნდა შემოგთავაზოთ სტუდენტმა პორტფოლიო, რომელშიც სტუდენტი იძლევა კრიტიკულ ანგარიშს საკუთარი გამოცდილების შესახებ, სადაც ყურადღებას ამახვილებს პრობლემებზე და შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებზე	პრაქტიკული მაგალითის განხილვა სამუშაოს შესრულება ზედამხედველობის ქვეშ
შეაფასოთ პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტა ზრდასრულთა განათლების პრაქტიკაში		
სათანადო შედარების გაკეთებას ევროპის სხვადასხვა ნაწილების და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს შორის სარწმუნო ისტორიული მონაცემების საფუძველზე	დებატების ფურცელი, რომელშიც ორი მსმენელი იკავებს პოზიციას და უსაბუთებენ საქმეს სადისკუსიო თემის დოკუმენტი ორ მონაწილეს მიეწოდება. მათ საკუთარი პოზიცია სემინარზე დამსწრე კოლეგების წინაშე უნდა დაასაბუთონ. შემდეგ მონაწილეებს შორის ტარდება კენჭისყრა. ორი გამომსვლელი საკუთარ არგუმენტებს, კენჭისყრის შედეგებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ნასწავლ საკითხს წერილობითი ფორმით წარადგენს.	ლექციების კურსი, რომელიც მოიცავს თემატიკას/პერიოდს სადისკუსიო სემინარი პირველადი წყაროების და ზოგადი მეორადი ტექსტის გამოყენებით უზრუნველყოფს ზოგად მიმოხილვას რეკომენდებული ლიტერატურა

გ) კურსის დაწყება

მართალია, მოსამართლეთა და პროკურორთა ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტებთან ან ადვოკატთა ასოციაციასთან კონტაქტი ადრეულ ეტაპზე უნდა დამყარდეს, HELP-ის სამდივნოსთან და პარტნიორთან თანამშრომლობა მოსამზადებელ ეტაპზეა საჭირო, კურსის გაშვებამდე. შემდეგი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული:

- გადაწყვეტილება ფორმატის, ხანგრძლივობის და ვადების შესახებ;
- გადაწყვეტილება კრედიტების აღიარების შესახებ უწყვეტი ტრენინგის ფარგლებში

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მსმენელთა შერჩევა;
- კურსის წამოწყებასთან დაკავშირებული შეხვედრის ორგანიზება: მოცემული შეხვედრა წარმოადგენს გახსნის ღონისძიებას, რომელიც ხშირად წარმოადგენს პირველ შესაძლებლობას ტრენერისათვის შეხვდეს მსმენელებს/კურსის მონაწილეებს და მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია კურსის შესახებ.

i. ფორმატი, ხანგრძლივობა და ვადები

საჭიროებების ეროვნული შეფასების საფუძველზე, ეროვნული სასწავლო ინსტიტუტი/ადვოკატთა ასოციაცია ადგილობრივ ტრენერთან ერთად თანხმდებიან კურსის ხანგრძლივობასა და ვადებზე. HELP-ის სამდივნოს მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია კურსის დაწყების, მისი ორგანიზების და ჩატარების ზედამხედველობის შესახებ.

ფორმატზე შეთანხმებისას, პარტნიორმა დაწესებულებამ უნდა გადაწყვიტოს კურსი იქნება დისტანციური სწავლების ტიპის თუ არა - რაც იმას ნიშნავს, რომ მსმენელები შეხვდებიან მხოლოდ კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრის ღონისძიებაზე და მონაწილეობას მიიღებენ კურსში, რომლის სასწავლო მასალებიც ხელმისაწვდომია HELP-ის Moodle პლატფორმაზე; შერეული სწავლების შემთხვევაში, - ე.ი. დისტანციური და პირისპირ სწავლების კომბინაცია, მსმენელები დაესწრებიან ლექციებს და გაივლიან მასალას, რომელიც ხელმისაწვდომია HELP-ის Moodle ვებგვერდზე.

რაც შეეხება ხანგრძლივობასა და ვადებს, კურსის გაშვებამდე უნდა გადაწყდეს იქნება თუ არა მოდულები ხელმისაწვდომი მსმენელთათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, წინასწარ აიტვირთა თუ არა ტრენინგის მასალები, წვდომა შეზღუდულია გამოქვეყნების დაგეგმილ თარიღამდე. წინა მოდულები ხელმისაწვდომია ონლაინ კურსის დამთავრებამდე; ხოლო, კურსის დასრულების შემდეგ, კურსის მთლიანი პაკეტია ხელმისაწვდომი. გამოქვეყნების ვადა გავლენას ახდენს მსმენელთა საშუალო დასწრებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად მცირდება, თუ კურსი სამ თვეზე დიდხანს გრძელდება.
კარგი პრაქტიკაა მსმენელთა წინასწარ ინფორმირება, თუ რა დროს მოითხოვს მათგან ტრენინგი. წინასწარ ინფორმირება უნდა მოხდეს შესარჩევი პროცესის განმავლობაში, ან არა უგვიანეს კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრისა. მსმენელებმა წინასწარ უნდა ეცნობოთ იმ ვალდებულებების და მათთვის დადგენილ ვადების შესახებ, რაც სერტიფიკატის მიღების წინაპირობაა. მიზანია, თავიდან აცილებულ იქნას მოულოდნელი გადატვირთული სამუშაო გრაფიკით გამოწვეული დასწრების დაბალი მაჩვენებელი.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ii. კრედიტების აღიარება

ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია მსმენელების მონაწილეობის აკრედიტირება, ეროვნული სასწავლო ინსტიტუტი/ადვოკატთა ასოციაცია შესაძლოა შეთანხმდნენ გარკვეული რაოდენობის კრედიტების აღიარებაზე წარმატებული მონაწილეობისათვის. კრედიტების რაოდენობა, როგორც წესი, პარტნიორის მიერ გამოითვლება, ტრენინგისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის მიხედვით.

გამოცდილება აჩვენებს, რომ კრედიტების აღიარება ზრდის მოტივაციას და კურსის დასრულების ალბათობას.

iii. მონაწილეთა შერჩევა

HELP-ის დისტანციური/შერეული კურსი 25-მდე მოსამართლის, ადვოკატების ან პროკურორებისაგან შემდგარი ჯგუფისათვის ტარდება. ვინაიდან კურსს ხელმძღვანელობს ადგილობრივი ტრენერი, რომელმაც უნდა შეაფასოს მონაწილეთა დავალებები, 25 წარმოადგენს მონაწილეთა იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის მართვაც შესაძლებელია. თუ ეროვნულ სასწავლო ინსტიტუტს/ადვოკატთა ასოციაციას სურვილი აქვს უფრო მეტი მონაწილე მიიღოს, აუცილებელია მეორე ტრენერის დანიშვნაც.

ეროვნული სასამართლო ტრენინგის სისტემიდან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში საპილოტე ჯგუფები შედგება როგორც მოსამართლეებისაგან, ასევე პროკურორებისაგან. სხვა ქვეყნებში, ტრენინგს ორგანიზებას უწევენ ცალკეული ორგანოები და ორივე შესაბამისი ორგანო უნდა შეთანხმდეს ერთობლივ ტრენინგზე. ამის საპირისპიროდ, ადვოკატების პროფესიული მომზადება, როგორც წესი, წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული ორგანოს ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას, როგორიცაა, მაგალითად, ადვოკატთა ასოციაცია.

როგორც მრავალეროვნული, ასევე შიდაპროფესიული კურსები პროგრამა HELP-ის მოქმედების სფეროში შედის. HELP-ის მრავალეროვნული კურსი ჩვეულებრივ, ერთნაირი კატეგორიის იურისტებისათვის ტარდება სხვადასხვა ქვეყნებიდან. სამუშაო ენა ინგლისური ან ამ ქვეყნებისთვის საერთო ენაა, რეგიონული კურსის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ანალოგიურ ქვეყნებს (მაგალითად, რეგიონული კურსი ბალკანეთის ქვეყნებისთვის ან რუსულენოვანი ქვეყნებისთვის). მრავალეროვნული კურსის გაშვების დამატებით უპირატესობას წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სხვა სამართლებრივი სისტემის სპეციალისტებთან. შედეგად, კურსი უფრო დინამიური და საერთაშორისო ხასიათისაა.

HELP-ის შიდაპროფესიული კურსში მონაწილეობენ იურისტები და სხვა პროფესიო-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ნალები, რომელთა პროფესიული საქმიანობა ერთმანეთთან იკვეთება. ნებისმიერი უკვე გაშვებული კურსისთვის HELP-მა შეიმუშავა მრავალი კურიკულუმი სხვადასხვა თემებზე, რომლებიც პროფესიათაშორის ასპექტებს მოიცავს. ამგვარი შესაძლებლობა შესწავლილი იყო HELP-ის ქსელის 2015 წლის კონფერენციაზე სათაურით „ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლებისას იურისტებსა და სხვა სპეციალისტებს შორის ურთიერთქმედება “[31]

კურსის ტიპის მიუხედავად, მონაწილეების შერჩევას ახორციელებენ ეროვნული სასწავლო დაწესებულებები /ადვოკატთა ასოციაციები, HELP-ის სამდივნოსთან ერთად. შერჩევის და პროცედურების კრიტერიუმები დგინდება წინასწარ და ეგზავნება სავარაუდო მონაწილეებს. როგორც წესი, განცხადება ვრცელდება იმ იურისტებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ დადგენილ ვადებში გააგზავნოს განაცხადი.

შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ეცნობებათ კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრის და HELP-ის Moodle პლატფორმაზე რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ. იმასთან ერთად, რომ მონაწილეებს შეუძლიათ HELP-ის ვებგვერდის დათვალიერება და Moodle პლატფორმის გაცნობა, სისტემაში პირადი ანგარიშის შექმნა ამარტივებს მათ შემდგომ რეგისტრაციას Moodle-ის გვერდის კურსზე.

iv. კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრის ორგანიზება

მოცემული შეხვედრა წარმოადგენს პირველ შეხვედრას HELP-ის სამდივნოსთან, ადგილობრივ ტრენერთან, ეროვნული სასწავლო დაწესებულების/ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან და კურსის მონაწილეებთან. იგი მიზნად ისახავს მონაწილეთათვის პროგრამა HELP-ის გაცნობას და მათთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც დისტანციური კურსი იწყება, რადგან ეს შესაძლებელია, მონაწილეთა შეკრების და ტრენერის პირადად გაცნობის ერთადერთი საშუალება იყოს.

კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრა წარმოადგენს ერთდღიან შეხვედრას. იგი ორგანიზებულია საპილოტე ქვეყნებში ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების/ადვოკატთა ასოციაციის ტერიტორიაზე, თუ ეს შესაძლებელია. ღონისძიება უნდა მომზადდეს წინასწარ, რადგან კურსის მონაწილეებს შეიძლება სხვა ქალაქებიდან დასჭირდეთ ჩამოსვლა შეხვედრის ადგილზე. რადგანაც სასტარტო შეხვედრა საპილოტე ქვეყნის ეროვნულ ენაზე ტარდება, როგორც წესი, საჭიროა თარჯიმნის მომსახურება HELP-ის სამდივნოს და საერთაშორისო მომხსენებლების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

31 http://www.coe.int/en/web/help/-/15519813

კურსის დაწყებისადმი მიძღვნილი შეხვედრის შინაარსი

როგორც უკვე აღინიშნა, სასტარტო შეხვედრის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მონაწილეთათვის ყველა პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და მათი პირადად გაცნობის საშუალება. თუმცა, ასეთი შეხვედრა ასევე მიზნად ისახავს მონაწილეთათვის კურსის თემატიკის გაცნობას, ერთ ან რამდენიმე პრეზენტაციაზე დასწრებით.

იმის გათვალისწინებით, რომ სასტარტო შეხვედრის დღის წესრიგის რედაქტირება უნდა მოხდეს თემატიკის, საპილოტე ქვეყნის საჭიროებების, მომხსენებელთა ხელმისაწვდომობის და ა.შ. მიხედვით, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- მისასალმებელი მიმართვა;
- პროგრამა HELP-ის შესავალი;
- შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განხორციელება;
- თემატიკასთან დაკავშირებული პრეზენტაცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი;
- კურსის ზოგადი მიმოხილვა;
- მონაწილეთა მოლოდინები და საჭიროებები.

მისასალმებელ მიმართვას, როგორც წესი, წარმოთქვამს ერთი ან ორი წარმომადგენელი მასპინძელი ეროვნული სასწავლო დაწესებულებიდან/ადვოკატთა ასოციაციიდან HELP-ის სამდივნოსთან თანამშრომლობის დასტურად. პროგრამა HELP-ს შემდეგ წარმოადგენს სამდივნოს წევრი, რომელიც შეხვედრას უერთდება. დროის შეზღუდვის გამო, პრეზენტაციაზე ძირითადი ყურადღება ეთმობა მის ძირითად ასპექტებს, კერძოდ, HELP-ის ქსელს, მის მიზნებს, საქმიანობას და მეთოდოლოგიას. მონაწილეებს სასტარტო შეხვედრის დროს აჩვენებენ HELP-ის ვებგვერდს ორი მიზეზით: პირველი, ეს საშუალებას აძლევს მონაწილეებს მოიძიონ ინფორმაცია HELP-ის შესახებ, და მეორე, სასარგებლოა მონაწილეთათვის HELP-ის Moodle პლატფორმის გაცნობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ პრეზენტაციებს, როგორც წესი, წარმოადგენენ საერთაშორისო ან/და ადგილობრივი მომხსენებლები, რომლებიც დანიშნულები არიან HELP-ის სამდივნოს და ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებების/ადვოკატთა ასოციაციების მიერ ერთობლივად. უფრო დეტალური ინფორმაცია მომხსენებელთა შერჩევის შესახებ მოცემულია შემდეგ აბზაცში. ადგილობრივი ტრენერი მონაწილეებს აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას, როგორიცაა კურსის ხანგრძლივობა და ვადები. როგორც უკვე აღინიშნა (ნაწილი 2, საფეხური 3, გ, გვ. 105), აღნიშნული ასპექტები თანხმდება სასტარტო შეხვედრის ორგანიზებამდე. მონაწილეთა მოლოდინის და კონკრეტული

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

საჭიროებების შეგროვების კარგი პრაქტიკა არსებობს ე.წ. მრგვალი მაგიდის მეშვეობით, როდესაც მონაწილეები თავის აზრს რიგრიგობით აფიქსირებენ. კურსის დასრულებამდე მოხდება მათი გადახედვა და მონაწილეების საბოლოო უკუკავშირთან შედარება.

იხილეთ დანართი 4: დღის წესრიგი

მომხსენებელთა შერჩევა

სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივ კონსულტანტებს სასტარტო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ და თითოეულ მათგანს პრეზენტაციის წარმოდგენას სთავაზობენ. მომხსენებლების შერჩევა წარმატებული სასტარტო შეხვედრის მთავარი შემადგენელი ნაწილია, იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი დონის პრეზენტაცია უზრუნველყოფს მონაწილეების თემის განხილვაში ჩართვას და კურზე ბოლომდე დასწრების მოტივაციას.

კარგი პრაქტიკაა სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, როგორც საერთაშორისო მომხსენებლის მოწვევა, რადგან მისთვის ცნობილია კურსის თემატიკა და შინაარსი. ალტერნატივის სახით, პრეზენტაცია შესაძლოა წარმოადგინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეესტრის ან კვლევის დეპარტამენტის იურისტმა. ადგილობრივი მომხსენებელი წარმოადგენს პრეზენტაციას, რომელშიც ძირითადი ყურადღება ეთმობა ეროვნულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც გამიზნულია კურსში მონაწილე იურისტებისათვის. ეროვნული კანონმდებლობის და უახლეს ეროვნულ პრეცედენტულ კანონმდებლობაზე მითითება კეთდება მონაწილეთა ინტერესის გასაღვივებლად.

შემდგომი პირისპირ შეხვედრა შერეული კურსის შემთხვევაში

როდესაც სასწავლო გეგმა შერეული კურსის დასაწყებად გამოიყენება, სასტარტო შეხვედრას მოჰყვება კიდევ ერთი პირისპირ შეხვედრა. შეხვედრა ეროვნული სასწავლო დაწესებულების/ადვოკატთა ასოციაციის მიერაა ორგანიზებული და მას ადგილობრივი ტრენერები და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მომხსენებლებიც ესწრებიან. შეხვედრები ორგანიზებულია HELP-ის სამდივნოსგან დამოუკიდებლად, თუმცა მიუხედავად ამისა ტრენერმა მუდმივად უნდა მიაწოდოს სიახლეები თითოეული შეხვედრის თარიღთან და შინაარსთან დაკავშირებით.

დ) ტრენინგის ჩატარება: როგორ და ვის მიერ?

i. HELP-ის რესურსების გამოყენებით ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგის ჩატარების სხვადასხვა მეთოდები

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლების კურსები, რომლებიც HELP-ის მეთოდოლოგიას იყენებენ, ონლაინ კურსებია, სადაც ყველა მასალა და საქმიანობა ხორციელდება HELP-ის პლატფორმაზე ადგილობრივი ტრენერის დახმარებით. HELP-ი უტარებს ტრენინგებს ადგილობრივ ტრენერებს პლატფორმის და HELP-ის მეთოდოლოგიის გამოყენებაში. მათი ამოცანაა კურსი ეროვნულ სამართლებრივ სისტემას და მონაწილეების საჭიროებებს მოარგონ, მიჰყვნენ კურსს მონაწილეებთან ერთად კურსის შინაარსთან და სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნებულია პლატფორმაზე. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ვებკონფერენციებს, სემინარებს, ერთობლივად შემუშავებულ დოკუმენტებს, ფორუმის გამოყენებას, თვითშეფასების ღონისძიებებს, ასევე პრაქტიკულ მაგალითებს და ტრენერების მიერ განხორციელებულ შეფასებას. აღნიშნული ფორმატი იძლევა მონაწილეთა და ტრენერებს შორის ინტერაქტივის საშუალებას, ასევე თავად მონაწილეთა შორის ინტერაქტივის შესაძლებლობასაც, რომლებსაც შეუძლიათ მოსაზრებების გაზიარება და კითხვებზე პასუხის გაცემა ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით.

დისტანციური სწავლების უპირატესობაა იოლი წვდომა მასალებზე, ასევე მონაწილეთა სწავლის ტემპის და სამუშაო გრაფიკის გათვალისწინება.

დამოუკიდებლად სწავლა

დამოუკიდებლად სწავლის რესურსები მოიცავს უკვე გამოცდილი და დამოუკიდებელი სწავლის სექციაში გადატანილ ელექტრონული სწავლების რესურსებს. ასეთ შემთხვევაში, კურსი სხვა მონაწილეებთან ინტერაქტიული აღარ არის, მაგრამ პლატფორმაზე დარეგისტრირებული ყველა მომხმარებლისთვისაა ხელმისაწვდომი. ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაიაროს კურსი საკუთარი ტემპით და გამოიყენოს მხოლოდ თვითშეფასების ინსტრუმენტები.

პლატფორმის დამოუკიდებლად სწავლის განყოფილება ასევე მოიცავს დიდი რაოდენობით ტრენინგის მასალებს სხვადასხვა ენაზე, სტატიებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თემატიკაზე. ასევე ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოები და სხვადასხვა თემები, ისევე როგორც ადგილობრივი ტრენერების მიერ გამოგზავნილი პრეზენტაციები ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის სხვადასხვა საკითხზე.

შერეული სწავლება

შერეული სწავლება იყენებს, როგორც ონლაინ დისტანციურ სწავლებას, ასევე ტრადიციულ პირისპირ ტრენინგსაც. მას გააჩნია, ელექტრონული სწავლების პლატფორმის დროის ეკონომიისა და მარტივი წვდომის უპირატესობები, ასევე პირისპირ ტრენინგისა და ცოცხალი ურთიერთქმედების სარგებელი. ასეთ შემთხვევაში,

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დისტანციური სწავლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტრენინგის პირისპირ სწავლების ნაწილის მოსამზადებლად, ცოდნის წინასწარი გადაცემისა და დავალების მიცემის თუ გაზიარებისათვის.

ii. HELP-ის სამდივნოს როლი

HELP-ის სამდივნოს მოვალეობაა HELP-ის ქსელის წევრების მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგების ჩატარებაში, როდესაც მათ ონლაინ ან შერეული ტრენინგის ჩატარება სურთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ. HELP-ის ყველა მასალა განთავსებულია HELP-ის ვებსაიტზე უფასო გამოყენებისათვის და ხელმისაწვდომია ყველა იურისტისათვის, რომელიც დარეგისტრირდება HELP-ის ვებგვერდზე. თუ ეროვნულ სასწავლო დაწესებულებას ან ადვოკატთა ასოციაციას სურს დისტანციური ან შერეული სასწავლო კურსის ჩატარება ნებისმიერ ხელმისაწვდომ თემაზე, HELP-ის სამდივნო კურსის ორგანიზაციულ მხარდაჭერას ახორციელებს და სასწავლო მასალისა და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფს.

თუ გსურთ უფრო მეტი გაიგოთ არსებული კურსებისა და იმ ენების შესახებ, რომელზეც უკვე ითარგმნა კურსის მასალები, იხილეთ HELP-ის არსებული კურსების კატალოგი.[32]

HELP-ის სამდივნო ასევე უზრუნველყოფს, HELP-ის მეთოდოლოგიის მითითებას ევროპის კავშირის მიერ განხორციელებულ თანამშრომლობის ყველა პროექტში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ევროპაში იურისტებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ ჩატარებული ტრენინგების ჰარმონიზება.

HELP-ის სამდივნო უზრუნველყოფს ერთობლივ საქმიანობას და თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა ტრენინგებში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაერთიანებული ერების სააგენტოები, (გაეროს) ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი, და ა.შ.) და შესაბამისი პარტნიორებთან საერთაშორისო დონეზე (სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭო და ა.შ.).

iii. სასწავლო დაწესებულების როლი

ქვეყანაში იურისტების მომზადებაზე პასუხისმგებელი სასწავლო დაწესებულებას აღებული აქვს პასუხისმგებლობა მოამზადოს იურისტები ზოგადად ადამიანის უფლებათა და ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციის შესახებ. HELP-ის რესურსების გამოყენების საშუალება ხარისხიან სასწავლო მასალებზე წვდომის კარგი შესაძლებლობა. ონლაინ ფორმატი მაქსიმალურად ბევრი იურისტისთვის ტრენინგის ჩატარების ეკონომიურ საშუალებას წარმოადგენს.

---

32 https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168065457b

ეროვნულ სასწავლო დაწესებულებებს და ადვოკატთა ასოციაციებს აღებული აქვთ პასუხისმგებლობა მხარი დაუჭირონ ადგილობრივ ტრენერებს კურსის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე ადაპტაციაში. შემდეგ, როდესაც კურსი გაივლის სხვადასხვა ეტაპებს და შემოწმდება მონაწილეთა პირველ საპილოტე ჯგუფთან, ეროვნული სასწავლო დაწესებულება/ადვოკატთა ასოციაცია გადაიბარებს მას და უზრუნველყოფს მის განახლებას, რათა შემდგომში ქვეყნის სხვა იურისტებმაც შეძლონ კურსით სარგებლობა.

iv. ტრენერის როლი

HELP-ის კურსის მოდელის ადაპტაცია

HELP-ის კურსის ტრენერის ვალია HELP-ის კურსის მოდელის ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ადაპტაცია. თუ კურსი ქვეყანაში ეროვნულ ენაზე მიმდინარეობს, კურსის მასალები ტრენერს ამავე ენაზე გადმოეგზავნება. შემდეგ საჭიროა მასალის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე და ასევე სამიზნე აუდიტორიაზე ადაპტაცია.
ეროვნული სამართლებრივი სისტემისადმი ადაპტირება

HELP-ი კურსის ადგილობრივი ტრენერებისგან HELP-ის პროგრამის გაშვებისას გაცნობითი ხასიათის დოკუმენტის შედგენას მოითხოვს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის და კურსის შესაბამისი სხვა ინსტრუმენტების შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განმარტებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შიდასახელმწიფოებრივი განხორციელება მონაწილეთათვის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობაა. თუ ასეთი დოკუმენტები უკვე შედგენილია ქვეყანაში წარსულში განხორციელებული კურსებისთვის, თქვენ შეგიძლიათ ხელმეორედ გამოიყენოთ დოკუმენტი.

ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე კურსის ადაპტაცია მოიცავს კურსის მოდელის გადახედვას, რელევანტური და უმნიშვნელოვანესი საკითხების განსაზღვრას. სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა პრობლემებს აწყდებიან. კურსის მოდელის მიზანია მოიცვას მაქსიმალურად ბევრი საკითხი და შეეცადოს გაითვალისწინოს ყველა შესაძლო პრობლემა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ჭრილში, რომლის ძირითად საფუძველს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს. თუ თვლით, რომ საკითხი იმსახურებს მეტი დროის დათმობას, ამის გადაწყვეტა თქვენი პრეროგატივაა.
პრაქტიკულად, ეს ასევე გულისხმობს კურსის მონაწილეთათვის შეხსენებას, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, და დამატებითი სათანადო მასალების დამატებას. Moodle -ის პლატფორმაზე თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ დამატებითი დოკუმენტები, პრეცედენტული სამართალი, ბმულები, ვიდეოები, სხვა აქტივობები და რესურსები.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ადაპტაცია სამიზნე აუდიტორიაზე

ადაპტაციის მეორე ეტაპი, კურსის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე ადაპტაციის შემდეგ, კურსის სამიზნე აუდიტორიაზე მორგებაა. აღნიშნული მოიცავს თქვენი აუდიტორიის ცოდნას და მისი საჭიროებების შეფასებას.

სხვადასხვა კატეგორიის იურისტებს სხვადასხვა საჭიროებები აქვთ და მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ინფორმაციის ტიპი, რომელსაც გადავცემთ აუდიტორიას, არამედ ინფორმაციის გადაცემის ხერხები და ინსტრუმენტები.

რაც შეეხება პირველ პუნქტს, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციიდან გამომდინარე, როგორც კურსის მონაწილეთა კოლეგას თქვენ შეგეძლებათ გაიგოთ, თუ რომელი ინფორმაციაა ყველაზე რელევანტური მონაწილეთათვის და რისი ცოდნა სჭირდებათ მათ. ეს დაგეხმარებათ ყურადღება ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილოთ. ძალიან მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ კურსი რელევანტური და პრაქტიკულია. მონაწილეებისთვის აუცილებელია ტრენინგის საჭიროების გააზრება, და ცოდნა, თუ როგორ გამოიყენონ გადაცემული ინფორმაცია.

რაც შეეხება მეორე პუნქტს, კურსის მონაწილეთა მიერ ინფორმაციის სხვადასხვაგვარად მიღების შესახებ, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ყველა მონაწილეს მსგავსი რეაქცია არ ექნება ერთსა და იმავე სწავლის მიდგომაზე. უნდა გაითვალისწინოთ ტრენინგს, უფროსი თანრიგის იურისტს უტარებთ თუ სტუდენტს. ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მაგალითში მიდგომები საგრძნობლად განსხვავებული იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, რესურსებისა და აქტივობების მრავალფეროვნება ყოველთვის მომგებიანია, ხოლო პრაქტიკული მიდგომა წარმატების საწინდარია. რაც უფრო ინტერაქტიულია ტრენინგი, მით უფრო ეფექტურია იგი. შესაბამისად, შერეული სწავლება ძალიან მომგებიანია. მაგალითად, შესაძლებელია ელექტრონული სწავლების პლატფორმის გამოყენება ინფორმაციის მისაღებად და პირისპირ სესიის მოსამზადებლად. ეფექტური ტრენინგის ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ სამიზნე აუდიტორიას.

პრაქტიკული და ეფექტიანი ტრენინგი ნიშნავს არა მარტო ცოდნის გადაცემას, არამედ უზრუნველყოფას, რომ მონაწილეებმა შეიძინონ ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბდათ დამოკიდებულება, რათა შეძლონ ამ უნარ-ჩვევების ეფექტიანად გამოყენება.

მოდულების გამოქვეყნება[33]

როგორც უკვე ითქვა, ტრენინგის მასალების ატვირთვა შესაძლებელია კურსის გაშვებამდე, ან თითოეული მოდულის გავლისას რეგულარულად. თუ ყველა მასალა

33 ყველა ასპექტისთვის, რომელიც Moodle-ს უკავშირდება, მიჰყევით დეტალურ სახელმძღვანელოს, HELP-ის პლატფორმაზე ასევე გაკვეთილებიც ხელმისაწვდომია. http://help.ppa.coe.int/

ერთდროულად აიტვირთება, ისინი ხელმისაწვდომი იქნება მონაწილეთათვის მათი კურსით გათვლილი ვადების შესაბამისად.

ადგილობრივი ტრენერის ამოცანაა დარწმუნდეს, რომ მონაწილეებს წვდომა აქვთ თითოეულ მოდულთან სათანადო დროს (ეს მოიცავს კურსის შინაარსს, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე ადაპტაციას, შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, დავალებებს) და დახმარება აღმოუჩინოს მათ ტექნიკური პრობლემების წამოჭრისას.

კურსის დიზაინი

„კურსის დიზაინში“ ჩვენ ვგულისხმობთ, როგორც კურსის მონახაზს, ასევე, თუ როგორ გამოიყურება იგი Moodle-ზე, ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელსაც HELP-ი იყენებს.

თითოეული კურსი იწყება სურათით და კურსის სახელწოდებით. მის ქვემოთ არის სიახლეების ფორუმი და დისკუსიების ფორუმი. ფორუმების გამოყენებისთვის იხილეთ ქვედა განყოფილება, გვ. 113. აღნიშნული ფორუმები საერთოა კურსისთვის და შესაძლებელია მისი ჩაშენება თითოეულ მოდულში უფრო კონკრეტული საკითხების განსახილველად.

შემდეგ, თითოეული მოდული წარმოდგენილია ერთნაირად, მოდულის სახელის ჩათვლით (მოდული 1, მოდული 2, ...), მოდულის სურათი და მოდულის სახელწოდება სურათის ქვემოთ. კურსის შინაარსი წარმოდგენილია კატეგორიების მიხედვით, რომელიც შემდეგნაირადაა დაყოფილი:

- პრეზენტაციები
- დამატებითი რესურსები
- სასარგებლო ბმულები
- ვიდეოები და მულტიმედია
- შეფასება
- დამატებითი დავალებები

- შექმენით ლამაზი და სასიამოვნო გარემო
- მოახდინეთ რესურსების ორგანიზება მომხმარებლისთვის მეგობრულ გარემოში

SCORM-ის პაკეტის ატვირთვა

SCORM-ის პაკეტი (პაკეტი, რომელიც შეიცავს ელექტრონულ სწავლებას), წარმოადგენს ფორმატს, რომელსაც ინტერაქტიული ელექტრონული სწავლების კურსი იყენებს. HELP-ის სამდივნო, როგორც წესი, ტვირთავს მას კურსის გვერდზე და ვებგვერდის დამოუკიდებელი სწავლის განყოფილებაში. აღნიშნული სრულდება მარტივი ბრძანების შესრულებით „დაამატეთ აქტივობა ან რესურსი“ და „SCORM-ის“ პაკეტის პარამეტრის არჩევით.

მასალის იმპორტირება

მასალის ერთი კურსიდან მეორეში იმპორტირება არათუ შესაძლებელია, არამედ იოლიცაა. კურსის დუბლირება მარტივადაა შესაძლებელი, თუ მისი ხელახლა გაშვებაა საჭირო.

დამატებითი რესურსები

დამატებითი რესურსები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ადაპტაციის პროცესში. დამატებითი რესურსები შეიძლება მოიცავდეს ვებგვერდების ბმულებს, დამატებით საკითხავ ლიტერატურას, და ბმულებს სახელმძღვანელოებზე. ისინი წარმოადგენენ რესურსებს, რომელიც სასარგებლოა მონაწილეთათვის, მაგრამ არაა მთავარი იმ ცოდნისათვის, რისი მიღებაც მათ სჭირდებათ. დამატებითი რესურსები კარგი საშუალებაა იმ მრავალი რესურსის წარმოსადგენად, რომელიც ხელმისაწვდომია შესასწავლ თემატიკასთან დაკავშირებით.

ვიდეოები

ვიდეოების გამოყენება ორგვარად შეიძლება. შესაძლებელია კურსისთვის შესაბამისი ვიდეოების ბმულების დამატება. იმ ვიდეოების გამოყენება, რომელიც განთავსებულია საჯარო დომენზე და საჭიროებს ავტორიზაციის გავლას, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი. ვიდეოს ჩაშენება შესაძლებელია კურსის შემადგენელი ნაწილის სახით, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს ვიდეოს ტიპს. ევროკავშირის არხის და პროგრამა HELP-ის ვიდეომასალის ჩაშენება შესაძლებელია კურსის შემადგენლობაში. თქვენი საკუთარი ვიდეომასალა, რომელიც შექმნილია სპეციალურად თქვენი კურსისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას ანალოგიურად. მიმართეთ Moodle-ის დეტალურ ინსტრუქციას, რათა შეიტყოთ თუ როგორ გააკეთოთ ყოველივე ეს.

ფორუმების გამოყენება

სტანდარტულად კურსის გვერდზე ორი სახის - სიახლეების და სადისკუსიო - ფორუ-

მია განთავსებული პროგრამა HELP-ის Moodle პლატფორმაზე. მართალია, ფორუმები ერთნაირი პრინციპითაა აგებული, მაგრამ მიზანი და შინაარსი განსხვავებული აქვთ და ადგილობრივ ტრენერებს ორივე მათგანის მართვა მოეთხოვებათ.

სიახლეების ფორუმი

სიახლეების ფორუმი მიზნად ისახავს მონაწილეთათვის კურსთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებას, როგორიცაა მოდულების გამოქვეყნების თარიღი, განსაზღვრული ვადები და ა.შ.

სადისკუსიო ფორუმი

სიახლეების ფორუმისგან განსხვავებით, სადისკუსიო ფორუმი წარმოადგენს ადგილს, სადაც შეიძლება მონაწილეთა შორის დებატების გამართვა. სამუშაო ჯგუფის წევრის მიერ შეთავაზებული თემატიკის საფუძველზე ადგილობრივი ტრენერი სვამს თემასთან და ეროვნულ კანონმდებლობასთან ან პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებულ კითხვებს. იმის გათვალისწინებით, რომ ფორუმი გულისხმობს ადგილს, სადაც მონაწილეები გამოხატავენ საკუთარ აზრს, რეკომენდებულია კითხვების ღია ფორმატში დასმა. გარდა ამისა, მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ დასკვნითი შეფასება არ არის დამოკიდებული მათ პასუხებზე და რომ ფორუმზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ კურსის სხვა მონაწილეებს.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ტრენერი დისკუსიას დაიწყებს ფორუმზე პოსტის დადებით, ყველა მონაწილეს შეუძლია უპასუხოს აღნიშნულ პოსტს ან დადოს ახალი პოსტი.

ვიკი

ვიკი აქტივობა Moodle-ში წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ერთობლივი სამუშაო დოკუმენტის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. იგი შეიძლება გამოსადეგი იყოს ჯგუფში მუშაობისას, მაგ. იმიტირებული სასამართლოს მომზადებისას (იხილეთ გვ. 115). HELP-ი ასევე იყენებს ვიკი ინსტრუმენტებს კურსის სასწავლო გეგმის შესაქმნელად ექსპერტთა სამუშაო ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავს HELP-ის დისტანციური სწავლების კურსის შექმნას.

BBB ვებკონფერენციის ინსტრუმენტი

Moodle ვებკონფერენციის ჩატარების საშუალებას პროგრამის გადმოწერის გარეშე იძლევა. ინსტრუმენტი ჩაშენებულია პლატფორმაში და შესაძლებელია კურსის ნაწილს წარმოადგენდეს. ეს ძალიან გამოსადეგი ინსტრუმენტია, რომელიც პრეზე-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ნტაციის ონლაინ წარდგენის, და ასევე, საცნობარო დოკუმენტების და PowerPoint პრეზენტაციების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. BBB-ს გამოყენება შესაძლებელია დისკუსიების იმ მონაწილეებს შორის გამართვისთვის, რომლებიც ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობენ. იგი გამოყენებულ იქნა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ იურისტებისათვის განკუთვნილი მრავალეროვნული კურსის გახსნით ღონისძიებაზე. იგი იოლად გამოსაყენებელია და პირისპირ შეხვედრების შემცვლელ კარგ საშუალებას წარმოდგენს, რომელიც კურსზე დამატებით ჩარიცხვას არ მოითხოვს. ღონისძიება შეიქმნება კურსის გვერდზე და ყველა მონაწილეს ექნება წვდომა ღონისძიების ღილაკზე მარტივი დაწკაპუნებით.

BBB გვთავაზობს ვიდეო კონფერენციის სესიის ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობას. ეს დიდი უპირატესობაა მაშინ, თუ მონაწილეებს არ ჰქონდათ სესიაზე დასწრების საშუალება მოთხოვნილ დროს.

ჩატი

ჩატის სესიაც ხელმისაწვდომია იმავე პრინციპების გათვალისწინებით, რასაც BBB გვთავაზობს, თუმცა ვიდეოს გარეშე. ფორუმსა და ჩატს შორის განსხვავება იმაშია, რომ ყველა, ან მონაწილეთა ნაწილი ხაზზე იმყოფება ერთსა და იმავე დროს და შეუძლიათ რაიმე იდეის განხილვა ან აზრის გამოხატვა. ჩატის სესიის მოდერაციას ახორციელებს ტრენერი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირს ან ეხმარება მონაწილეებს დისკუსია წარმართონ სწორი მიმართულებით.

დავალებები

შინაარსის შემუშავების ფაზაში, სამუშაო ჯგუფის წევრები ადგენენ სხვადასხვა სახის დავალებებს, რომელიც მთელი კურსის მანძილზე გამოიყენება. დავალება შეიძლება იყოს პრაქტიკული მაგალითი, ნარკვევები, რამდენიმე შესაძლო პასუხის ან სწორი/მცდარი პასუხის ტიპის ტესტებს.

ზოგიერთი დავალება შემუშავებულია ისე, რომ Moodle-მა მონაწილეებს ავტომატური პასუხები მიაწოდოს. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ტრენერი არ ასწორებს და არ აფასებს შესრულებულ დავალებებს, მაგრამ აანალიზებს სტატისტიკას, რომელსაც Moodle-ის პლატფორმა აწვდის.

და პირიქით, ზოგიერთი დავალება მოითხოვს ტრენერისგან ინდივიდუალურ შეფასებას. აღნიშნული ვრცელდება დასკვნით დავალებაზე, რომელიც სერტიფიცირებასთანაა დაკავშირებული. ადგილობრივი ტრენერს, ფაქტობრივად, მოეთხოვება იმ პირების სიის მიწოდება, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს კურსი და გადაეცე-

მათ სერტიფიკატები დასკვნითი დავალების შესრულების შედეგების საფუძველზე.

ტესტი

ტესტი, როგორც წესი, შეიცავს კითხვებს არჩევითი პასუხებით ან კითხვებს სწორი/მცდარი პასუხებით. ამგვარი აქტივობა საშუალებას აძლევს მონაწილეებს მიიღონ უკუკავშირი ავტომატურ რეჟიმში სისტემიდან, რადგან სწორი პასუხები მანამდე შეტანილ იქნა ტრენერის მიერ. ტესტის შედგენისას ტრენერს შეაქვს უკუკავშირი ავტომატური სწორი და არასწორი პასუხებისთვის.

ნარკვევი

ნარკვევის კითხვები მოითხოვს ტრენერის ჩართულობას, რომელიც ინდივიდუალურ უკუკავშირს უზრუნველყოფს მონაწილეების მიერ შესრულებული სამუშაოსთვის. აღნიშნული მეტ დროს მოითხოვს როგორც მონაწილეებისგან, ასევე ტრენერისგან, მაგრამ ძალიან სასარგებლოა კონცეფციის გააზრების ან შეძენილი უნარ-ჩვევების შესაფასებლად, მაგალითად, პრაქტიკული მაგალითის ანალიზის მეშვეობით.

თვითშეფასება

არჩევითი კითხვები ან სწორი/მცდარი კითხვები წარმოადგენს ერთგვარ თვითშეფასებას, რადგან სისტემა მონაწილეებს აწვდის უკუკავშირს და მიღებულ ქულას. ინტერაქტიული ელექტრონული სწავლების პაკეტის შემუშავებისას, „ცოდნის შემოწმებაც“ შეიძლება განთავსდეს კურსში. მონაწილეთათვის ნამდვილად სასარგებლო იქნება კონცეფციის წაკითხვის შემდეგ საკუთარი ცოდნის უშუალოდ შეამოწმონ კითხვებზე პასუხის გაცემით, ეკრანზე ობიექტის გადატანით და სხვა საშუალების გამოყენებით.

შერეული და პირისპირ სწავლების აქტივობები: იმიტირებული სასამართლო

<u>რატომ იმიტირებული სასამართლო?</u>

იმიტირებული სასამართლო წარმოადგენს რეალური სასამართლო განხილვის სიმულაციას, ხოლო უფრო ფართო გაგებით, მთლიანად სასამართლო პროცესის სიმულაციას, არგუმენტების მომზადებიდან დაწყებული, განაჩენის გამოტანით დამთავრებული.

იმიტირებული სასამართლო, როგორც სასწავლო სავარჯიშო სათავეს იღებს დებატების ტრადიციიდან ბრიტანეთსა და ამერიკის უნივერსიტეტებში, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ ევარჯიშათ დასაბუთების პრაქტიკასა და ორატორულ ხელოვნებაში, სადაც პაექრობდნენ გამოგონილ სასამართლოებზე, რომელსაც წარადგენდნენ მათი

პროფესორები. იმ დროში, ისევე, როგორც თანამედროვე ეპოქაში, პროფესორები ყველაზე ხშირად მოსამართლეების როლს თამაშობდნენ. ამჟამად მრავალი იურიდიული ფირმა და ზოგიერთ ქვეყანაში პროკურორის სამსახურები იყენებენ იმიტირებული სასამართლოს კომპონენტებს სასამრთლო განხილვისთვის მოსამზადებლად. არაფორმალური განათლების და „შერეული“ სწავლების განვითარების ფარგლებში, იმიტირებული სასამართლო, როგორც ტრენინგის მეთოდი, უფრო და უფრო პოპულარული ხდება სამართლის სკოლებსა და სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში არა მხოლოდ სტუდენტების ცოდნის შეფასების, არამედ, როგორც მოტივაციის ამაღლების და დიდი მოცულობის მასალის ათვისების საშუალება, რაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა უმეტეს შემთხვევაში მსმენელებს აიძულებს უფრო კონცენტრირებული იყვნენ და უფრო სწრაფად აითვისონ, დაიმახსოვრონ და გააანალიზონ ინფორმაცია. თუმცა, მნიშვნელოვანია ტრენინგს შევუნარჩუნოთ სავარჯიშოს ხასიათი, რათა თავიდან ავიცილოთ გამარჯვებაზე ორიენტაციის გაკეთება. მნიშვნელოვანია პედაგოგის/ტრენერის როლი, რათა ყველა იმიტირებული სასამართლო უბრალოდ შეჯიბრი იყოს, სადაც, პირე დე კუბერტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამარჯება.

იმიტირებული სასამართლოს მიზანია უნარ-ჩვევების განვითარება საქმის ანალიზის, დასაბუთების, კრიტიკული აზროვნების და საჯარო გამოსვლების გზით. იგი მონაწილეთათვის თეორიული ცოდნისა კონტექსტში ჩასმისა და სამართლებრივი პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობაა.

რადგანაც იმიტირებული სასამართლო, როგორც სავარჯიშო ანგლოსაქსური სამართლებრივი ტრადიციის პროდუქტია, მომზადებისას ყურადღება ექცევა სასამართლო პრაქტიკაში არსებული შესაბამისი სტანდარტებისა და მიდგომების მოძიებას და არა უბრალოდ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობას. მონაწილეთათვის სამოქალაქო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებიდან ეს შეიძლება რთული ამოცანა აღმოჩნდეს; თუმცა, გლობალიზაციის სამყაროში სამართლებრივი ტრადიციები ერთმანეთს ერწყმის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა შესახებ ტრენინგების შემთხვევაში, რომლის სტანდარტებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლით, ევროპის კავშირის სასამართლო პალატის იურისპრუდენციაში და შეიძლება გვხვდებოდეს გაეროს კვაზისასამართლო ორგანოებში. როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, არგუმენტების ჩამოყალიბება წარსული სასამართლო გამოცდილების საფუძველზე, ასევე სამართლებრივი ნორმების განმარტება მოქმედი პრეცედენტული სამართლის ჭრილში, ბევრი სამოქალაქო სამართლის სისტემის იურისტის სუსტ წერტილს წარმოადგენს. იმიტირებული სასამართლო შესაბამისი ინსტრუმენტია მათი გადაწყვეტისთვის.

იმიტირებული სასამართლო შეიძლება ჩატარდეს კონკრეტულ თემატიკაზე ცოდნის დონის გაღრმავების მიზნით და ასევე, კონკრეტულ სამართლებრივ ინსტრუმენტებ-

თან მუშაობის უნარების განსამტკიცებლად: ადგილობრივ და საერთაშორისო სასამართლოებში, კვაზისასამართლო ორგანოებში, და ა.შ.; იგი გამოყენებულ უნდა იქნას რთული სამართლებრივი და პოლიტიკური ფენომენის ან პოლიტიკური მოვლენის გასაანალიზებლად.[34]

ყველაზე ცნობილი სტუდენტებისთვის საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო შეჯიბრებებია: ჯესაპის საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო შეჯიბრება, რომელიც ეფუძნება სასამართლო პროცესის სიმულაციას გაეროს საერთაშორისო სასამართლოში; რენე კასინის იმიტირებული სასამართლო შეჯიბრი, რომელიც იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ატარებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; ვილემ ვისის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო იმიტირებული სასამართლო, რომელიც იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ატარებს სიტუაციურ კომერციულ არბიტრაჟში. როდესაც იმიტირებული სასამართლოს შეჯიბრს აწყობთ პირველად, გარკვეული წარმოდგენის შექმნისთვის რეკომენდებულია ზემოხსენებული შეჯიბრებების ვებსაიტების დათვალიერება.

<u>სად შეიძლება მისი გამოყენება:</u>

იმიტირებული სასამართლო წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომელიც ხშირად გამოიყენება იურიდიულ კლინიკებში და პროგრამის გარე აქტივობებში. იურისტთა უწყვეტ ტრენინგებში იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრენინგის დასკვნითი სავარჯიშოს სახით. იმიტირებულ სასამართლოებს ზოგჯერ დასკვნითი გამოცდის სახით იყენებდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს, კერძოდ თუ აუცილებელია ოფიციალური შეფასება.

„შერეული“ სწავლების შემთხვევაში, სავარჯიშოს გამოყენება შეიძლება პირისპირ სესიების დროს ტრენინგის მოდულებს შორის, რათა მოხდეს ცოდნის/უნარ-ჩვევების ფიქსაცია, და ასევე, როგორც კურსის ერთ-ერთი დასკვნითი დავალება. მისი გამოყენება სრული დისტანციური სწავლების კურსში შეზღუდულია იმ აუცილებლობით, რომ ყველა მონაწილე ჯგუფი უნდა ერთსა და იმავე ადგილზე და ერთი და იგივე დროს უნდა იმყოფებოდეს.

<u>როგორ უნდა მოხდეს მისი ორგანიზება:</u>

იმიტირებული სასამართლოს ორგანიზება და ფორმატი დამოკიდებულია მიზნებზე და ფინანსური და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობაზე. უფრო მასშტაბური ღონისძიებებისთვის, რომელიც შეიძლება 2-3 დღეს გაგრძელდეს და მოიცავდეს შერჩევის ეტაპებსაც, შეიძლება საჭირო იყოს 4-5-კაციანი გუნდი. მოხალისეთა ხელმისაწვდომობა, რომლებიც შეასრულებენ მოსამართლეების, აღმასრულებლების/დროის მაკონტროლებლის როლს, მნიშვნელოვანია. ზეპირი მოსმენის ნაწილს (უშუ-

34 2015 წლის ჯესაპის იმიტირებული საქმე ნაწილობრივ ეფუძნებოდა 2014 წლის მაისში ყირიმის რუსეთის მიერ ანექსიას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ალოდ იმიტირებული განხილვა) შეიძლება მხოლოდ ერთი მოსამართლე ჰყავდეს (თუმცა უკეთესია, თუ სამი მოსამართლე ეყოლება), მიუკერძოებლობის გამო წერილობითი არგუმენტაცია უნდა მიიღოს რამდენიმე მოსამართლემ. უფრო მცირე მოცულობის შემთხვევაში, ერთი მწვრთნელი/ტრენერი და დამხმარე საკმარისი იქნება.

საქმის მომზადება

ნებისმიერი იმიტირებული სასამართლოს მთავარ კომპონენტს წარმოადგენს იმიტირებული საქმე. მიუხედავად იმისა, ადაპტირებული რეალური საქმე იქნება თუ გამოგონილი, იგი თანამიმდევრული უნდა იყოს. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს შინაგანი ლოგიკა, და საქმის სხვადასხვა ნაწილში არ იყოს ფაქტების შეუსაბამობა. მონაწილეებმა უნდა მიიღონ საკმარისი ინფორმაცია ფაქტებიდან და ფაქტობრივი (რეალური) კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებებიდან, რათა არ დასჭირდეთ რაიმეს გამოგონება. ფაქტობრივად, იმიტირებული სასამართლოების უმრავლესობის წესებით მონაწილეებს ეკრძალებათ ფაქტების ან დეტალების გამოგონება, რომელიც განსხვავდება მოცემული საქმეში არსებული ფაქტებისა და დეტალებისაგან (ეს არ ვრცელდება აღნიშნული ფაქტების ან სამართლებრივი აქტების განმარტებაზე).

საქმის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო ექნებათ მონაწილეებს იმიტირებული სასამართლოს მოსამზადებლად, იგი, როგორც წესი, 15-30 გვერდს მოიცავს. პრაქტიკული მაგალითის ანალიზისგან განსხვავებით, როდესაც მსმენელებს პირველად ეძლევათ საქმე სასწავლო გარემოში ან ონლაინ სავარჯიშოს სახით, და დაუყოვნებლივ უნდა აწარმოონ ზეპირი პაექრობა რამდენიმე წუთიანი განხილვის შემდეგ, იმიტირებული სასამართლო სერიოზულ მომზადებას მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მსმენელებს გადაეცეთ საქმე და წესები მათი წერილობითი არგუმენტების წარდგენის ბოლო ვადამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. ჯგუფის მოცულობის მიხედვით, მონაწილეებმა შეიძლება მიიღონ ინდივიდუალური (მცირე ჯგუფებისთვის განკუთვნილი) ან გუნდური დავალებები. ორივე შემთხვევაში, პირს ან ჯგუფს შეიძლება დაევალოს არგუმენტების მომზადება სამართალწარმოების ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მეტი დროა საჭირო, თუმცა საგანმანათლებლო შედეგი გაცილებით ეფექტურია.

მოსამართლეები

უმეტეს შემთხვევაში, „მოსამართლეების“ მიმართ, რომლებიც იმიტირებულ სასამართლოში მოხალისეებს წარმოადგენენ, რამდენიმე მოთხოვნა არსებობს. საერთო მოთხოვნაა სამართალმცოდნის ხარისხი და იმ მიმართულების ცოდნა, რომელზეც იმიტირებული სასამართლოა ფოკუსირებული. თუმცა, მოსამართლეებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ კარგად მოემზადონ. მათ კარგად უნდა იცოდნენ საქმის შე-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მადგენელი ნაწილები, მოქმედი კანონმდებლობა და იდეალურ შემთხვევაში, უნდა მოამზადონ კითხვები მხარეებისთვის. აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით, გამოიცემა სპეციალური სახელმძღვანელოები მოსამართლეთათვის, რომელსაც ხშირად უწოდებენ „მოსამართლეთა მემორანდუმს“. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა საქმის და წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების დეტალურ და თანამიმდევრულ ანალიზს, იძლევა მითითებებს, მოყვანილია ციტატები, შესაბამისი სამართლებრივი ნორმები და გამოცდილება და დიდ დროს უზოგავს მოსამართლეებს მომზადებისას. თუმცა, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ სტიმული, რომ საკუთარი თავები არ შეიზღუდონ ამ სახელმძღვანელოთი და საკუთარი მოკვლევაც ჩაატარონ.

წერილობითი ტურები

წერილობითი არგუმენტების მომზადება ყოველთვის საქმეზე მუშაობის პირველ ეტაპს წარმოადგენს. უმჯობესია, თუ გუნდებს (ან ინდივიდუალურ მონაწილეებს) ჩამოწერილი ექნებათ განსახილველი საკითხების ნუსხა, მაგალითად, „კითხვები მხარეებისთვის“, სამართალწარმოების მხარეების სამართლებრივ პოზიციებთან ერთად. გუნდური მუშაობის შემთხვევაში, ეს წარმოადგენს დროს, როდესაც თითოეული მწვრთნელის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია.

წერილობითი არგუმენტები ფასდება „მოსამართლეების“ მიერ, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. რამდენიმე გუნდის შემთხვევაში, ზოგიერთი გუნდი შეიძლება ამ ეტაპზე გამოეთიშოს შეჯიბრს. თუმცა, უფრო მცირემასშტაბიანი შეჯიბრების დროს, უკეთესი იქნება ყველა გუნდის ზეპირ ტურზე გადაყვანა და მათი წერილობითი სამუშაოსთვის მიღებული ქულების გათვალისწინებით მოხდება საბოლოო შედეგების დაანგარიშება.

ზეპირი ტური

ეს გახლავთ ნებისმიერი იმიტირებული სასამართლოს მთავარი, „თეატრალური“ ეტაპი, როდესაც მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა, არა მხოლოდ ივარჯიშონ ორატორულ ხელოვნებაში, არამედ გამოიყენონ სამართლებრივი ნორმების და პრინციპების ფართო სპექტრი, რომელიც დადგენილია პრეცედენტული სამართალსა და დოქტრინაში (დანართში შეგიძლიათ იხილოთ ზეპირი მოსმენის წესების მაგალითი). ორგანიზატორებმა საკლასო ოთახი სასამართლო დარბაზივით უნდა მოაწყონ, სკამი მოსამართლეთა კოლეგიისთვის, ცალ-ცალკე მდგომი მაგიდები სამართალწარმოების მხარეებისთვის, სკამები აუდიტორიისათვის და დროის მაკონტროლებლისთვის. ერთი სასამართლო განხილვა, როგორც წესი, 30-40 წუთს გრძელდება, რომელშიც შედის გუნდების მიერ წარმოდგენილი ზოგადი პრეზენტაციები და საპირისპირო მტკიცებულებები.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ამ ეტაპის ყველაზე კრიტიკულ ნაწილს წარმოადგენს უკუკავშირი, რომელსაც ყველა გუნდი იღებს მოსამართლეთაგან განაჩენის გამოცხადების შემდეგ. ამ დროს ხდება მონაწილეთა გამოსვლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, ასევე მათთვის რეკომენდაციების მიცემა შემდგომში დასახვეწად.

იმიტირებული სასამართლოს ინსტრუმენტები შეგიძლიათ მოიძიოთ ევროპის საბჭოს კომპასში ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ.[35]

მსმენელთა მხარდაჭერის მნიშვნელობა

მსმენელთა მხარდაჭერა ღია და დისტანციური განათლების ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს. სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების ხარისხი და მასშტაბი განსაზღვრავს ღია და დისტანციური განათლების პროგრამების საერთო ხარისხს. მსმენელთა მხარდაჭერა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ უმეტეს შემთხვევაში - ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენებით ხორციელდება. მაგალითად, ტექნიკური რესურსებია სასწავლო მასალების დიზაინი, სასწავლო სახელმძღვანელოები, დამხმარე სასწავლო მასალები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები, სტატისტიკური ანალიზის მეთოდები და ა.შ. ადამიანურ რესურსებს განეკუთვნებიან კონსულტანტები და მასწავლებლები, რომლებიც მუდმივ მხარდაჭერას და კონსულტაციებს სთავაზობენ მსმენელებს მთელი სტუდენტური კარიერის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, ტრადიციულ განათლებაში პირისპირ კომუნიკაციას შესაძლოა ჰქონდეს მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც მეორე ნაწილშია განხილული. ე.ი., პირისპირ კომუნიკაციაში შესაძლოა არსებობდეს ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ინტერპერსონალური, კულტურული ან გარემოსთან დაკავშირებული „მანძილი“ (4). ასე, რომ ტრადიციულ განათლებაშიც, სადაც პირისპირ კომუნიკაცია სწავლების ძირითად მეთოდს წარმოადგენს, მსმენელის მხარდაჭერის მექანიზმი შეიძლება სასარგებლო იყოს.

სტუდენტთა მხარდაჭერა ელექტრონულ სწავლებში ტრენინგის და საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ ორგვარად არის უზრუნველყოფილი - მსმენელის მხარდაჭერა და სწავლის პროცესის მხარდაჭერა. მსმენელის მხარდაჭერა ნიშნავს სტუდენტების მეთოდურ დახმარებას სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიწოდებით ან კონსულტაციის გაწევის გზით. მსმენელის მხარდაჭერა ელექტრონულ სწავლებაში სტრუქტურირებულია და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საინფორმაციო ეტაპი
- ხელმძღვანელობის ეტაპი
- რეგისტრაციის ეტაპი

35 http://www.eycb.coe.int/compass/

- ინტეგრაციის ეტაპი
- აკრედიტაციის მხარდაჭერის ეტაპი
- შემდგომი სწავლის ხელმძღვანელობის ეტაპი

სწავლების პროცესის მხარდაჭერის ქვეშ მოიაზრება მეთოდური დახმარება, რომელსაც უზრუნველყოფს ტრენინგის ჩამტარებელი ორგანიზაცია სწავლების ფაქტობრივი პროცესის დროს. სწავლების პროცესის მხარდაჭერა ხორციელდება სწავლის ეტაპზე, რომელიც ონლაინ და ოფლაინ სასწავლო ფორმატშია ორგანიზებული. ოფლაინ და ონლაინ სწავლების პროცესის ორგანიზება ელექტრონული კონტენტის მიწოდებით და ელექტრონული ფოსტის, ჩატების, სადისკუსიო ფორუმების და ა.შ. ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება. ყველა ეს მექანიზმი ტრენერსა და მსმენელს შორის, და აგრეთვე მსმენელებს შორის ინტერაქტივს უზრუნველყოფს. პრაქტიკაში, ელექტრონული სწავლების პროგრამებში იგი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საშუალებებით:

- დისტანციური საგანმანათლებლო კონტენტის მიწოდებით ონლაინ სწავლების ტექნოლოგიების და ოფლაინ პლატფორმების გამოყენებით.
- სადისკუსიო ფორუმებით. ყველა სტუდენტის სადისკუსიო სივრცით უზრუნველყოფა, კურსის ფარგლებში აზრთა გაცვლა-გამოცვლის, საკითხის წამოჭრის, კომენტარების დამატების და ა.შ. მიზნით. სადისკუსიო სივრცეებს ზედამხედველობას უნდა უწევდეს ფასილიტატორი ან ტრენერი.
- ელექტრონული ფოსტით. ტრენერებთან ან/და კურსის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობის დასამყარებლად გამოყენებული სხვადასხვა საშუალებებით.
- ელექტრონული გაკვეთილებით. ელექტრონული დოკუმენტებით, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტების მიაღწიონ სასწავლო მიზნებს.
- რესურსებით/ბიბლიოთეკით. სტუდენტების სწავლის მხარდამჭერ დამატებით რესურსებთან ელექტრონული წვდომით.
- სტუდენტის თვითშეფასებით. კონკრეტული კურსის მონაწილე სტუდენტების შედეგების ზედამხედველობით ელექტრონული მექანიზმების გამოყენებით. ეს ეხმარება სტუდენტებს, გაიგონ აღწევენ თუ არა გარკვეულ შედეგებს.
- ავტომატური შეფასებით. აღნიშნული ელექტრონული საშუალება დასკვნითი შედეგების მიღების საშუალებას იძლევა, რომელიც გამოიყენება სერტიფიკაციის ეტაპზე.
- ტრენერის შეფასებით. დაწესებულება, რომელიც ტრენერს/მასწავლებელს უგზავნის ნაშრომს შესასწორებლად და შესაფასებლად.
- სტუდენტის პორტფოლიოებით. ყველა სტუდენტისთვის გამოყოფილია პერსონალური გვერდი ონლაინ კოლეგებისთვის საკუთარი თავის წარდგენის და ნაშრომების ჩვენებისთვის, ასევე ონლაინ კოლეგებისთვის კურსის ალტერნატიული წყაროების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის.

სტუდენტთა მხარდაჭერის თანამიმდევრული და ერთიანი მომსახურება, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს შემდეგს:
- ხშირად დასმული კითხვების სექციას რეგისტრაციასთან დაკავშირებით
- მომსახურების ტექნიკურ მხარდაჭერაზე წვდომას

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას
- ტრენერებთან ურთიერთობის შესაძლებლობას
- სხვა სტუდენტებთან ურთიერთობის შესაძლებლობას
- რეკომენდაციებს შემდგომი სწავლის შესახებ
- სადისკუსიო ფორუმებს
- ელექტრონულ გაკვეთილებს
- დავალებების უკუკავშირს
- ტრენერის ხელმისაწვდომობას

ნაწილი 3: შეფასება

საფეხური 4: როგორ შევაფასოთ კურსი და დავგეგმოთ მისი შემდგომი განხორციელება

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ:

- როგორ შევაფასოთ ტრენინგის ეფექტურობა
- ჩატარებული ტრენინგის ხარისხთან დაკავშირებით მსმენელისგან უკუკავშირის მიღებაში დახმარება
- მსმენელთათვის ტრენინგის შემდგომი საჭიროებების გამოვლენა

ტრენინგის წარმატების შეფასება ტრენინგის შემუშავების და ჩატარების მნიშვნელოვანი დასკვნითი ეტაპია.

ეს პროცესი აღემატება იმ პროცესს, რომელიც სასწავლო მიზნების მიღწევას აფასებს: ტრენინგის შეფასება მოიცავს ღია, სამართლიან და კონსტრუქციულ დაბრუნებას ჩატარებული ტრენინგის დროში, სამომავლო ტრენინგების დახვეწის მიზნით.

შეფასება უნდა ვრცელდებოდეს ტრენერებზეც და მსმენელებზეც. იგი შესაძლოა, ასევე მოიცავდეს გარე კომპონენტებსაც (მაგალითად, გარე დამფინანსებელი, აუდიტის მომსახურება ორგანიზაციაში).

შეფასება დიდწილად დამოკიდებულია ფაქტობრივ მონაცემებზე. იგი მრავალ კრიტერიუმს მოიცავს, მათ შორის თვითანალიზს, კეთილსინდისიერებას, პირდაპირობის კრიტერიუმებს და ნაკლოვანებების გამოვლენის სურვილსა და ნასწავლი გაკვეთილების მომავალ ტრენინგებში ასახვის მზაობას.

თუმცა აღნიშნული მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე კითხვა „სრულად არის თუ არა მიღწეული სასწავლო მიზნები?“, სასწავლო მიზნების, როგორც ტრენინგის შეფასების საწყისი წერტილის გამოყენება, სრულიად გასაგებია.

რატომ უნდა შეფასდეს ტრენინგი?

არსებობს ოთხი ძირითადი მიზეზი:

- ჩვენი, როგორც ტრენერების ეფექტურობის დახვეწა: შეფასება ნათლად დაგვანახებს მივაღწიეთ თუ იმას, რისი მიღწევაც გვქონდა დასახული მიზნად და იქნა თუ არა შესწავლილი ესა თუ ის მასალა

- იყავით ანგარიშვალდებულნი: ტრენინგი მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. საჭიროა დავრწმუნდეთ, რომ რესურსები გონივრულად დაიხარჯა.

- გაიზიარეთ გამოცდილება: სხვებს შეუძლიათ ისწავლონ თქვენი წარმატებიდან და შეცდომებიდან თქვენი შეფასების მიმოხილვით შეგიძლიათ თქვენს ცოდნას მიუმატოთ გამოცდილება, თუ რომელ მსმენელთან რა მუშაობს უკეთესად.

- ეძიეთ მოტივაცია: როდესაც ხედავთ, რომ თქვენი ტრენინგი შედეგებს აღწევს, შეგიძლიათ იამაყოთ თქვენს გუნდთან ერთად.

ადაპტირებულია ONHCR-ს სახელმძღვანელოდან ადამიანის უფლებების შესახებ ტრენინგის აქტივობები (2011), გვ.19

თუ პრობლემები შეიქმნა სასწავლო მიზნების გამოყენებასთან დაკავშირებით, იგი შეიძლება განპირობებული იყოს ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორით: მაგ.,

- სასწავლო მიზნები მეტისმეტად რთული იყო
- ტრენინგის პროგრამაში შემავალი შეფასების დავალებებით ვერ მოხდა სასწავლო მიზნების შეფასება
- ტრენინგის ჩატარებამ (ე.ი. მეთოდის შერჩევამ) ხელი არ შეუწყო სასწავლო მიზნების მიღწევას
- აუდიტორიამ სასწავლო მიზნები არ მიიჩნია შესაბამისად

მიზანშეწონილია ორი ნიშანდობლივი საკითხის გარკვევა, რომელიც შესაძლოა წამოიჭრას შეფასებისას:

ტრენერებმა უნდა იცოდნენ მიღწეულია თუ არა სასწავლო მიზნები (ე.ი. ეფექტური იყო თუ არა ტრენინგი) და შეეძლოთ განსაზღვრონ მომავალი ტრენინგის საჭიროებები მსმენელთათვის (ე.ი. თუ სასწავლო მიზნები არ, ან მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული, როგორ უნდა განისაზღვროს, თუ რისი მიწოდებაა საჭირო ტრენინგის შემდეგ რაუნდში). პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე (ვინაიდან ტრენერები თვითონვე ზრუნავენ ისწავლონ შესრულებული საქმის გაუმჯობესება), ტრენერებს სურვილი ექნებათ პლენარულ და ჯგუფურ სესიებზე შეიტყონ თუ რას ფიქრობენ მსმენელები მათ მიერ შესრულებული საქმის შესახებ.

მსმენელებს სჭირდებათ დახმარება იმის გამოსავლენად, თუ რამდენად მიაღწიეს ტრენინგის სასწავლო მიზნებს. თუ სასწავლო მიზნები ვერ იქნა მიღწეული, წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ ტრენერებს, მაგრამ შემდგომ ამისა, მსმენელებმა ასევე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა და შეეცადონ განსაზღვრონ თუ რა გზით შეიძლება მოხდეს დასახულ და მიღწეულ მიზნებს შორის არსებული დეფიციტის გამოსწორება. (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსმენელმა უნდა დასვას კითხვა: რის გაკეთება შეუძლია ნაკლის აღმოსაფხვრელად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევა აუცილებელია სამუშაოს სათანადოდ შესასრულებლად მოსამართლის, პოლიციის ოფიცრის, ციხის თანამშრომლის და ა.შ. რანგში).

შესაბამისად ტრენინგის შეფასება, ორ მთავარ მიზანს ემსახურება: პირველი, მომავალი ტრენინგის საჭიროებების გამოვლენა; და მეორე, ტრენინგის ჩატარების ხარისხის გაუმჯობესება.

მსმენელების მიერ ტრენერებისთვის უკუკავშირის მიწოდება:

სწავლის ციკლი თანაბრად ვრცელდება ტრენერებზე. ტრენერებს მოეწოდებათ გაა-

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ნალიზონ მათი სპიკერის ან მცირე ჯგუფის ფასილიტატორის როლში შესრულებული სამუშაო: თუმცა, დღეს, მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება ტრენინგის მნიშვნელოვან და მიღებულ ნაწილს წარმოადგენს. აუდიტორიისთვის უკუკავშირის შესაძლებლობის არშეთავაზება შეიძლება ტრენინგის მიმართ პროფესიული ინტერესის ნაკლებობად ჩაითვალოს.

ეფექტურობისათვის, მსმენელთაგან მიღებული ტრენინგთან დაკავშირებული უკუკავშირი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- მსმენელებს უნდა განემარტოთ, თუ რატომაა უკუკავშირი აუცილებელი: მომავალი ტრენინგის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასევე ამჟამინდელი ტრენინგის წარმატების შეფასებისთვის;
- უკუკავშირი ანონიმური უნდა იყოს;
- უკუკავშირისთვის უნდა გამოიყოს შესაბამისი დრო (სასურველია კურსის ბოლოს), რათა შესაძლებელი იყოს უკუკავშირის ფორმის შევსება - არასოდეს თხოვოთ მსმენელებს უკუკავშირის ფორმის შევსება და დაბრუნება მათთვის ხელსაყრელ დროში, რადგან ძალიან იშვიათია ასეთ შემთხვევაში მისი შევსების და დაბრუნების ალბათობა;
- კითხვები შედგენილი უნდა იყოს სასარგებლო პასუხების მისაღებად;
- დასმული კითხვები დაკავშირებული უნდა იყოს, როგორც ტრენერების მიერ შესრულებულ სამუშაოსთან, ასევე ტრენინგის რელევანტურობასა თუ წარმატებასთან.

რა სახის უკუკავშირი სჭირდებათ ტრენერებს, ტრენინგის ეფექტურ შეფასებაში? პასუხების მიღება სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი: კურსის შეფასების ფორმების მეშვეობით, დასრულებული კურსის შეჯამებით, მცირე ჯგუფებში დისკუსიით და არაოფიციალურ გარემოში, შესვენების დროს.

მსმენელებს უნდა შესთავაზოთ ისეთი კითხვები, როგორიცაა:

- მსმენელის ინტერესი განსახილველად შერჩეულ თემისადმი;
- თემის მსმენელის პროფესიულ საქმიანობასთან შესაბამისობა;
- ტრენინგის ორგანიზაციული ასპექტები (ადგილმდებარეობა, დრო, და ა.შ.);
- გავრცელებული მასალების მნიშვნელობა და ხარისხი;
- ექსპერტების და ტრენერების მიერ შეტანილი წვლილი (პლენარულ სხდომებთან დაკავშირებით) და მცირე ჯგუფებში მუშაობისას (მათ შორის ტრენერის როლი);
- ტრენინგის მეთოდების დიაპაზონი, მრავალფეროვნება და შესაბამისობა (მათ შორის პლენარული პრეზენტაცია, მცირე ჯგუფებში მუშაობა, იმიტირებული სასამართლო პროცესის სავარჯიშოები, და ა.შ.)

თუ წერილობითი შეფასების ფორმები გამოიყენება, კითხვები შესაძლოა მოითხოვდეს პასუხების ფართო სპექტრს: მაგ.
წრფივი გამოსახულება.: მსმენელები

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

1-5 ქულიანი სისტემით (1=ძალიან ცუდი; 5=შესანიშნავი), თუ შეიძლება, შეაფასეთ:
• როგორ იყო წარმოდგენილი მოხსენება;
• წარმოდგენილი ინფორმაციის შინაარსი;
• გადმოცემული მასალების სარგებლიანობა;
• საგნის ცოდნა ტრენინგზე დასწრებამდე;
• საგნის ცოდნა ახლა;

ყველაზე შესაფერისი პასუხის არჩევა: ერთი (ან შესაძლოა მეტი) პასუხის არჩევა: მაგ.
რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორ(ებ)ი, რამაც ტრენინგზე დასწრება გადაგაწყვეტინათ?
[აღნიშნეთ პასუხები, რომელიც შეესაბამებოდა თქვენს მდგომარეობას]
- ვფიქრობდი, რომ ვისწავლიდი რაიმე სასარგებლოს;
- ტრენინგის შინაარსი შეესაბამება ჩემს სამსახურს;
- ჩემმა ზემდგომმა დამავალა დასწრება;
- ჩემმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ესწრებოდნენ;
- დასწრება მსურდა სხვა კოლეგების გაცნობის მიზნით;

რამდენიმე მოცემული პასუხიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი: საჭიროა ერთი პასუხის გაცემა, მაგ.
თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ტრენინგს? შეარჩიეთ ყველაზე შესაბამისი:
- შესაძლებლობა მექნება ახლადშეძენილი ცოდნა მყისიერად განვახორციელო პრაქტიკაში;
- ვფიქრობ, ახლადშეძენილ ცოდნას გამოვიყენებ უახლოეს მომავალში;
- ვერ ვხედავ ჩემი ახლადშეძენილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივას უახლოეს მომავალში;
- მიღებული ცოდნა ჩემთან პირდაპირ კავშირში არაა.

ღია პასუხები მოითხოვეთ შეზღუდული რაოდენობით: მსმენელებს სთხოვენ გამოხატონ მთავარი შთაბეჭდილებები: მაგ,
ჩამოთვალეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც შეისწავლეთ /რასაც გამოიყენებთ თქვენს საქმიანობაში?
1.
2.
3.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ასევე მნიშვნელოვანია კითხვების თითოეული პაკეტის ბოლოს მოცემული იყოს სივრცე კომენტარებისთვის მსმენელის სურვილისებრ: აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია შემდეგი ფორმულირებით: „რაიმეს ხომ არ დაამატებდით?' ან მომავალი ტრენინგის გასაუმჯობესებლად რაიმე წინადადება ხომ არ გაქვთ?" (თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ისეთი კითხვა, როგორიცაა „რაიმე წინადადება ხომ არ გაქვთ კურსის პირველი ნაწილის დასახვეწად?" უფრო კონკრეტულია და უფრო სავარაუდოა, რომ კარგი უკუკავშირი იქნება ტრენერებისთვის).

შეფასება: შედეგები

ეფექტურ შეფასებას დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია როგორც ტრენერისათვის, ისე მსმენელთათვის. თითოეული ჯგუფი შეიძლება შეფასდეს ცალ-ცალკე.

ტრენერები

ტრენერების მიერ ტრენინგის შეფასება შემუშავებულია წარსული შეცდომების (და წარმატების) გასათვალისწინებლად. აღნიშნული შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს ღონისძიების დასრულებისთანავე (რამდენადაც, მსმენელთა შეფასებები შეიძლება სწრაფად შეჯერდეს), მაგრამ ასევე შეიძლება მისი გადავადება უფრო გვიანი თარიღისთვის (თუმცა, არც ისე, რომ ტრენერებს შთაბეჭდილებები გაუქრეთ). „მტკიცებულების" მიღება სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი:

- მსმენელებისაგან მიღებული შეფასების ფორმები;
- ტრენერების (და გარე ექსპერტების) მოსაზრებები და თუ (ან რამდენად) დაკმაყოფილდა სასწავლო მიზნები;
- თავად მსმენელებისაგან: მათი დამოკიდებულება, ჩართულობის დონე, მიღებული ცოდნა;
- ორგანიზაციული ასპექტები: (დრო, ადგილმდებარეობა, მცირე ჯგუფებისთვის გამოყოფილი ოთახების ხელმისაწვდომობა და. ა.შ.);
- პროგრამა (მრავალფეროვანი და დაბალანსებული ტრენინგების მეთოდების ჩათვლით);
- ტრენინგის სამომავლო საჭიროებების გამოვლენა;

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დროულია ორი კითხვის (ტრენინგის ციკლის გათვალისწინებით) დასმა:
- რამ ჩაიარა კარგად (და რატომ); და ასევე
- რა არის გამოსასწორებელი (და როგორ).

ტრენერებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ რა დონემდეა შესაძლებელი ტრენინგების ჩატარების შედეგად მიღებული გაკვეთილების გავრცობა. აღნიშნულ ასპექტს

ხშირად უგულებელყოფენ: ტრენინგებზე დახარჯული ადამიანური, მატერიალური და ეკონომიკური რესურსები, როგორც წესი, საკმაოდ შთამბეჭდავია და ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული რესურსების დადებითი გავლენის გაზრდა.
იფიქრეთ შემდეგზე:

• მსმენელებისგან მოელიან (ან მოუწოდებენ) ტრენინგებით მიღებული ცოდნის გავრცელებას? იგი შეიძლება ტრენინგის ერთ კონკრეტულ მიზნად ჩამოყალიბდეს - და ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ რამდენად ასახავს მსმენელების შერჩევა მათი, როგორც ტრენერების სავარაუდო პოტენციალს, ხოლო ტრენინგის პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას სესიები, რომელიც მოიცავს მსმენელთა მიერ ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებას ადგილობრივად.
• შესაძლებელი იქნება თუ არა რესურსების შეგროვება და მათი ხელმისაწვდომობა ტრენინგის შემდეგ? შესთავაზეთ მსმენელებს, რომ წარმოდგენილი მასალები ხელმისაწვდომი გახადონ თავისი კოლეგებისთვის. შესაძლებელია თუ არა ექპერტების მოხსენებების ჩაწერა აუდიო (ან ვიდეო) მატარებელზე ან მათი ასლების გაკეთება? ხელმისაწვდომია თუ არა მასალები ვებგვერდზე?
• მნიშვნელოვანი იქნებოდა რესურსცენტრის დაარსება მონაწილეთათვის მასალების მოწოდების თხოვნის საშუალებით, რომელთა შემდგომ ტრენინგებზე გამოყენებაც იქნებოდა შესაძლებელი?
• უნდა დავარწმუნოთ თუ არა მსმენელები, დაუკავშირდნენ ტრენინგის ორგანიზატორ გუნდს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კითხვები გაუჩნდებათ ან წამოჭრილი საკითხების დაზუსტება დასჭირდებათ? აღნიშნული ასევე საშუალებას მისცემს ტრენერებს ჩამოაყალიბონ პუნქტები, რომლებიც საჭიროებს ყურადღების გამახვილებას შემდგომ ტრენინგებზე.

ასევე, ტრენერებსაც შეიძლება გაუჩნდეთ ტრენინგთან დაკავშირებული შეხედულებების და გაკვეთილების გავრცელების სურვილი: უმთავრესად „რა წარიმართა კარგად“ და „რა ჩავარდნები იყო“ - და რატომ. განსაკუთრებით, თუ ტრენინგის პაკეტი ზოგადი მოხმარებისთვისაა შემუშავებული, პროგრამის დახვეწა, მეთოდები ან მცირე ჯგუფებისთვის განკუთვნილი შემთხვევის ანალიზის შერჩევა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ასევე, უმჯობესია თუ შევეცდებით არ გავიმეოროთ წარსული შეცდომები.

მსმენელები

„მსმენელების“ მოტივირება გაიგონ შეფასების მიზანი, გაცილებით რთულ ამოცანას წარმოადგენს. „სასწავლო ციკლი“ გულისხმობს, რომ სწავლის პროცესი თანამიმდევრული და დამხმარე პროცესია. პოლიციის, სასამართლო ან სხვა სახის პროფესიული ტრენინგის კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ მსმენელებმა სწავლასა და შედეგებზე საკუთარი პასუხისმგებლობა აღიარონ და დაისახონ მომავალი პირადი და პროფესიული განვითარების გეგმა. (მიაქციეთ ყურადღება, რომ ამგვარი აზრის მიწოდება შეიძლება რთული იყოს, თუ იგი უმთავრესად მოიცავს დასაქმების კულტურის შესახებ დამოკიდებულების შეცვლას, როდესაც ყოველთვის ვერ ხდება უწყვეტი

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

პროფესიული განვითარების მნიშვნელობის გააზრება).

მოკლედ რომ ითქვას, ყველა ტრენინგის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მსმენელების უნარის ამაღლება, გაიგონ რას და როგორ სწავლობენ, ასევე გადახედონ, დაგეგმონ და აიღონ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობა. ტრენინგის მიზანია დაეხმაროს მსმენელებს გახდნენ უფრო შედეგიანები, დამოუკიდებელი და საკუთარ თავში დარწმუნებული მსმენელები. შესაბამისად, ტრენერები უნდა დაეხმარონ მსმენელებს გამოავლინონ და ჩამოაყალიბონ მომავალი ტრენინგის საჭიროებები. დაბოლოს, მსმენელების დახმარებას გარკვეული მხარდაჭერა სჭირდება:

- განსაზღვრეთ რამდენად იქნა მიღწეული დასახული სასწავლო მიზნები ტრენინგის დასრულებისას მოკლე მიმოხილვის საშუალებით. თუ გარკვეული სასწავლო მიზნების მიღწევა არ მოხდა, ეს ნიშნავს, რომ მომავალი ტრენინგის საჭიროებები უკვე გამოვლენილია. როგორ შეიძლება აღნიშნულის მიღწევა როგორც ტრენერის, ისე მსმენელის მიერ?

- ეცადეთ გამოავლინოთ იდეები ან წინადადებები მომავალი ტრენინგისთვის - ამგვარად, ტრენერებმა შეიძლება მიიღონ გარკვეული წარმოდგენა თუ რა არის შემდეგი ტრენინგისთვის რელევანტური (შესაბამისად, პროექტის მნიშვნელობის კიდევ ერთხელ ხაზგასმა, წარმოადგენს გზავნილს, რომ ტრენინგი მორგებულია კონკრეტულ აუდიტორიას).

მას შემდეგ, რაც ყველა მოდული გამოქვეყნდება და მონაწილეები წარადგენენ დასკვნით დავალებებს, ადგილობრივი ტრენერი აფასებს კურსის მოკლევადიან შედეგებს. იგი ხორციელდება HELP-ის Moodle პლატფორმაზე კითხვარის ატვირთვით, რომელიც მოწოდებულია HELP-ის სამდივნოს მიერ სახელმწიფო ენაზე. მონაწილეებს სთხოვენ კითხვარის შევსებას.



კითხვარი მიზნად ისახავს მონაწილეებისგან უკუკავშირის მიღებას ტრენინგის მასალების ხარისხთან დაკავშირებით, თუ როგორ უხელმძღვანელა კურსს ადგილობრივმა ტრენერმა, და როგორ გამოიყენებენ მსმენელები შესწავლილ მასალას პრაქტიკაში. აღნიშნული შედეგების საფუძველზე ადგილობრივი ტრენერი უგზავნის ანგარიშს HELP-ის სამდივნოს, რომელსაც დართული მსმენელთა უკუკავშირიც.

ა) HELP-ის მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ტრენინგის შეფასებასთან დაკავშირებით

პროგრამა HELP-ის ფარგლებში, მას შემდეგ, რაც სასწავლო გეგმები ხელმისაწვდომი ხდება ინგლისურ ენაზე, ისინი შემოწმებას გადის რამდენიმე საპილოტე სახელმწიფოში. თითოეული კურსის დასრულების შემდეგ, თითოეულ მონაწილეს ეგზავნება კითხვარი და ხდება დახარისხებული მონაცემების ანალიზი, რათა გაირკვეს, კურსის რომელი ნაწილი საჭიროებს დახვეწას და ცვლილებების შეტანას მონაწილეთა რეალური საჭიროებების მიხედვით.
რეკომენდებულია ეროვნულ სასწავლო დაწესებულებებთან/ ადვოკატთა ასოციაციებთან თანამშრომლობა თითოეული კურსისთვის მონაწილეთა გუნდიდან თითო ფოკუს ჯგუფის შესაქმნელად. ეს ფოკუს ჯგუფი წინასწარ ინფორმირებულია, რომ ხელახლა უნდა გასცენ პასუხი იმავე კითხვებს ტრენინგის დასრულებიდან 6 თვის და 2 წლის შემდეგ. აღნიშნული საშუალებას იძლევა უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას, თუ რამდენად მოხერხდა ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.

რა თქმა უნდა, ინფორმაციის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს უკუკავშირი, რომელსაც უგზავნიან დისტანციური სწავლების კურსის ხელმძღვანელ ადგილობრივ ტრენერებს.

ტრენერის როლი დისტანციურ განათლებაში შედარებით განსხვავებულია პირისპირ ტრენინგისაგან და მოითხოვს სპეციალურ უნარ-ჩვევებს და სტრატეგიას: „დისტანციური განათლების ხელმძღვანელებმა წინასწარ უნდა შეიმუშაონ გეგმა, იყვნენ ძალიან ორგანიზებულები და მსმენელებთან ახლებური ურთიერთობები დაამყარონ. ისინი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყვნენ, იმუშაონ გუნდურად საჭიროების შემთხვევაში და ითამაშონ ფასილიტატორის ან ხელმძღვანელის როლი მსმენელებთან ურთიერთობის დროს. დაბოლოს, მათ შესაძლოა უფრო მეტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის აღება მოუხდეთ საკუთარ თავზე, ვიდრე პირისპირ ტრენინგების შემთხვევაში“.[36]

სწავლების შეფასების შესახებ ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტუდენტების შეფასებებით, რომელიც შეეხება სწავლების მხოლოდ იმ ასპექტებს, რომელსაც სტუდენტი ხედავს. შეფასების სხვა მეთოდები, როგორიცაა თანაგუნდელების მოსაზრებები კურსის დიზაინსა და შინაარსთან დაკავშირებით (თვითშეფასებასთან ერთად), გამოიწვევს სწავლების ეფექტურობის უფრო სრულყოფილ გააზრებასა და ეფექტურ შეფასებას.

ასევე, მნიშვნელობა ენიჭება არაოფიციალურ უკუკავშირსაც, რომელიც შეიძლება მიიღოთ დისკუსიების, პირისპირ აქტივობების ან შემაჯამებელი შეხვედრის და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალის დროს. ზოგიერთ ქვეყანაში უფრო იოლია

36 http://www.westga.edu/~distance/ojdla/summer72/tobin72.html

უკუკავშირის მიღება მოსაზრებების არაოფიციალური გაცვლა-გამოცვლის დროს და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამგვარი უკუკავშირის მხედველობაში მიღებაც. იხილეთ დანართი 6: შეფასების კითხვარი.

ბ) HELP-ის კურსების შეფასების ეტაპები

i. მონაწილეთა შეფასება

ტრენერის მიერ წარმართული დისტანციური სწავლების კურსის მონაწილეებს, კურსის დასრულებისას გადაეცემათ სერტიფიკატები (და ზოგ შემთხვევაში ენიჭებათ კრედიტები). ამისათვის აუცილებელია მონაწილეთა შეფასების შემუშავება მათი სასწავლო მიზნების მიხედვით. მიღწეულია თუ არა სასწავლო მიზნები?

ii. შეფასება მონაწილეების მიერ

მონაწილეებს სთხოვენ, რომ კურსის ბოლოს შეაფასონ ტრენინგი, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეებმა უნდა გააგზავნონ უკუკავშირი კურსის შინაარსისა და ფორმატის შესახებ, ასევე უნდა გამოთქვან მოსაზრებები, თუ რამდენად მიაღწიეს სასწავლო მიზნებს.

რენერებმა უნდა წარადგინონ ანგარიში კურსის, მონაწილეთა ტრენინგში მონაწილეობის, შინაარსის, კურსის ადაპტაციის და ა.შ. შესახებ.

გ) სერტიფიკაციის გადაცემა და შემაჯამებელი შეხვედრა

ადგილობრივი პედაგოგის მიერ მოწოდებული სიის საფუძველზე HELP-ის სამდივნო გამოსცემს სერტიფიკატებს კურსის წარმატებული მონაწილეებისათვის. HELP-ის სერტიფიკატი ერთობლივად გაიცემა ევროპის კავშირის და ეროვნული სასწავლო დაწესებულებების/ადვოკატთა ასოციაციების სახელით და მას ხელს აწერენ ორივე მხარის წარმომადგენლები. სერტიფიკატები ეგზავნება ეროვნულ სასწავლო დაწესებულებას/ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც შემდეგ გადასცემს სერტიფიკატებს მონაწილეებს. სერტიფიკატის გადაცემა, ასევე შეუძლია HELP-ის სამდივნოს წარმომადგენლს, თუ დაგეგმილია შემაჯამებელი შეხვედრის ჩატარება.

შემაჯამებელი შეხვედრა ეწყობა საპილოტე ქვეყანაში, დაჯილდოების ცერემონიალის ფორმატში კურსის დასრულებისას. შეხვედრა კიდევ ერთი მნიშვნელობის მატარებელია: HELP-ის სამდივნო აგროვებს უკუკავშირს მონაწილეებისაგან და აფასებს ტრენინგის საჭიროებებს შემდგომი ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით. შემაჯამებელი შეხვედრა, როგორც წესი ეწყობა იმ ქვეყნებში, სადაც HELP-ის ერთი და იგივე ან სხვადასხვა დისტანციური/შერეული კურსები იწყება ერთსა და იმავე დღეს.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სერტიფიცირების კრიტერიუმები

მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცემათ იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელსაც კურსის მასალების შემუშავებაში ჩართული სამუშაო ჯგუფის წევრები განსაზღვრავენ. თემატიკის და სამიზნე აუდიტორიის მიხედვით კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს (იგი შეიძლება შეიცვალოს სამიზნე აუდიტორიის მიხედვით):

- ადამიანის უფლებათა კონვენციის შესახებ კურსის წარმატებით დასრულება;
- კურსის რეგულარულად დასწრება და კურსის მასალების ათვისება;
- დისკუსიაში მონაწილეობა;
- თითოეული მოდულის დავალებების წარმატებით შესრულება;
- დასკვნითი დავალების 60%-ით შესრულება;

წარმატებული მონაწილეების განსაზღვრა ტრენერის პრეროგატივას წარმოადგენს.
სერტიფიკატების გადაცემა
სერტიფიკატების დასაბეჭდად, რომელიც HELP-ის და ეროვნული სასწავლო დაწესებულების სახელით გაიცემა, HELP-ის სამდივნოს უნდა გაეგზავნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- წარმატებული მონაწილეების სია (სახელი, გვარი)
- პარტნიორი დაწესებულების სახელი და ლოგო (.jpg ფორმატით და მაღალი რეზოლუციით)
- ტრენინგის დასრულების თარიღი

სერტიფიკატების დაბეჭდვას რამდენიმე კვირა სჭირდება და ზემოხსენებული ინფორმაცია HELP-ის სამდივნოს უნდა გაეგზავნოს შემაჯამებელ /სერტიფიკატების გადასაცემ შეხვედრამდე ერთი თვით ადრე.

დ) კურსის გადახედვა

საპილოტე ეტაპის მიზანს წარმოადგენს კურსის სხვადასხვა ქვეყნებში შემოწმება, რათა დადგინდეს თუ რამდენად საჭიროა ტრენინგის მასალების გადახედვა, მანამდე, სანამ ისინი განთავსდება დამოუკიდებლად სწავლის განყოფილებაში HELP-ის Moodle პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

არსებული კურიკულუმების გადახედვა საპილოტე ეტაპის შემდეგ მოხდება, თუ გამოიკვეთება ამის საჭიროება ადგილობრივი ტრენერების ანგარიშებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, კურიკულუმების გადახედვა შესაძლებელია გარკვეული პერიოდის შემდეგაც, როდესაც საჭირო ხდება კურსში პრეცედენტულ სამართალში შეტანილი სიახლეების ასახვა. ტრენინგის მასალები უნდა გადაიხედოს სამუშაო ჯგუფის წევრების, HELP-ის სარედაქციო კოლეგიის, HELP-ის საკონსულტაციო ჯგუფის და ევროპის კავშირის შესაბამისი უწყებების მიერ.

უკუკავშირი უმნიშვნელოვანესია HELP-ისთვის მასალების მუდმივად განახლების და ელექტრონული სწავლების კურსის მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით.

უკუკავშირი ტრენერისგან

HELP-ის ტრენერმა HELP -ს უნდა წარუდგინოს დეტალური ანგარიში, თუ როგორ წარიმართა ტრენინგი/კურსი, შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- მონაწილეთა მოტივაცია;
- სადისკუსიო ფორუმში მონაწილეობა;
- ტესტირების შედეგები;
- კურსის ფორმატი და ხანგრძლივობა და როგორ რეაგირებდნენ მონაწილეები;
- კურსის ეროვნულ თავისებურებებზე მორგება, მათ შორის ეროვნული სამართლებრივი სისტემის პრიორიტეტები, შერჩეული ჯგუფის მონაწილეების ეფექტურობა ...;
- მონაწილეების უკუკავშირი და კურსთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები;

უკუკავშირი მონაწილეებისგან

მონაწილეები შემაჯამებელი შეხვედრისას გვაწვდიან უკუკავშირს, თუ ეს შესაძლებელია, ან იყენებენ უკუკავშირის კითხვარს, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული დისტანციური სწავლების კურსის ბოლოს HELP-ის Moodle პლატფორმაზე.

HELP-ის სამდივნოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღება ინგლისურ ენაზე. თუმცა, ენობრივი ბარიერის გამო, შეიძლება საჭირო გახდეს უკუკავშირის ტრენერის მიერ მშობლიურ ენაზე მიღება და HELP-ს სამდივნოსთვის კურსის/ტრენინგის დასრულებისას ანგარიშის წარდგენა.

უკუკავშირი დაწესებულებებისგან

სასწავლო დაწესებულებებისგან მიღებული უკუკავშირი ძალიან მნიშვნელოვანია. მოეწონათ თუ არა კურსი მონაწილეებს? რამდენი ადამიანი იყო მიღებული კურსზე? ჩაატარებთ თუ არა ასეთივე კურსს?

დაწესებულებებს, ასევე შეუძლიათ აცნობონ HELP-ს, თუ რამდენად რელევანტურია ტრენინგი მათი საჭიროებებისთვის და როგორ შეიძლება იგი უფრო ეფექტიანი გავხადოთ.

ე) სასწავლო გეგმის გამოყენება თვითნასწავლი მასალის სახით: დისტანციური სწავლებიდან დამოუკიდებელ სწავლამდე

მას შემდეგ, რაც დისტანციური/შერეული კურსები გაეშვება სხვადასხვა საპილოტე

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ქვეყანაში და მოხდება მათი გადახედვა (საჭიროების შემთხვევაში), შესაძლებელია ტრენინგის მასალების HELP-ის Moodle პლატფორმის დამოუკიდებელი სწავლის განყოფილებაში გადატანა. რას ნიშნავს ყოველივე ეს?
როგორც ვნახეთ დამოუკიდებლად შესასწავლი რესურსები ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის, რომელიც დარეგისტრირებულია HELP-ის Moodle პლატფორმაზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ჰქონდეს უფასო წვდომა ონლაინ მასალებთან.

მთავარი, რაც განასხვავებს „დისტანციური სწავლების კურსს“ „დამოუკიდებლად სწავლის რესურსებისაგან“ არის ის, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ადგილობრივი ტრენერი არ წარმოადგენს კურსის ხელმძღვანელს და სერტიფიკატები ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით არ გაიცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტების მინიჭება არ ხდება.

ნაწილი 3: დასკვნა

ნაწილი 3: დასკვნა - როგორ ვითამაშოთ აქტიური როლი HELP-ის ქსელში

1. HELP-ის ქსელის მნიშვნელობა: იყო მისი ნაწილი

HELP-ის ქსელი ადამიანის უფლებათა ერთადერთი პანევროპული, თანასწორთა განათლების ქსელია. იგი შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს მოსამართლეთა და პროკურორების ეროვნული სასწავლო ინსტიტუტების (NTIs) და ადვოკატთა ასოციაციების (BAs) წარმომადგნელებისგან.

HELP-ის ქსელის ავალია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ინტერპრეტაციის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების შესახებ იურისტების თავდაპირველი და უწყვეტი სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას. ქსელი ამ ყველაფერს ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საშუალებით, რაც მას ეფექტური და მორგებული ტრენინგების შემუშავების საშუალებას აძლევს.

სათანადოდ მომზადებული ტრენინგები უზრუნველყოფს იურისტების შესაძლებლობას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე „რეფლექსურად“ გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება შესაბამის სფეროებში მოხდება ავტომატურად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენება მნიშვნელოვანია მოსამართლეთა და პროკურორთათვის. აღნიშნული, სხვა დანარჩენთან ერთად, შექმნის პრეცედენტულ სამართალს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. იურისტებისთვის აუცილებელია გამუდმებით იფიქრონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებზე, მაგრამ ასევე იცოდნენ, თუ როგორ შეუსაბამონ დასაშვებობის კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადებს. აღნიშნული მნიშვნელოვან როლს თამაშობს განაცხადების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფაში, რაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების უკეთეს აღსრულებას.

HELP-ის რესურსები ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის, რომელიც დარეგისტრირებულია მის პლატფორმაზე, იგი უფასოა და ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე. ეს ყოველივე ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ 47 წევრი ქვეყნის იურისტებს შორის. აღნიშნულთან

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ერთად ხდება სამართალმცოდნეთათვის საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგების ინიციატივების კოორდინაციისა და ერთიანობის სრულყოფა.

> „ტრენინგის ინტერნალიზაცია გულისხმობს დამოკიდებულების შეცვლას“

შესაძლო ინიციატივებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს HELP-ის კურსების ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებების და ადვოკატთა ასოციაციების კურიკულუმებთან გაერთიანებას, შემდეგი უნდა იქნას გათვალისწინებული:

- ცნობიერების ამაღლება HELP-ის თითოეული კურსის სასტარტო შეხვედრის დროს, სახელმწიფო ორგანოების ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკითხებში სათანადო მომზადების საჭიროებების/ინტერესების (მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა ჰირსის (Hirsi) გადაწყვეტილებაში, როდესაც მესაზღვრეთა არასათანადო სწავლების გამო, ლიბიაში გაძევებულ იქნენ მოქალაქეები მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევით) და შესაბამისად, HELP-ის რესურსების გამოყენების საჭიროების შესახებ;

- HELP-ის სასტარტო შეხვედრამდე ეროვნული სასწავლო დაწესებულებებისა და ადვოკატთა ასოციაციების ვალდებულების უფრო ოფიციალური გაცხადება შეიტანონ აღნიშნული კურსი საკუთარ უწყვეტ საგანმანათლებლო პროგრამაში და განახორციელონ ღონისძიების/შემდგომი საქმიანობის შესაბამისი დაგეგმვა;
- თითოეული წევრი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს დაინტერესებულ პოლიტიკურ/ადმინისტრაციულ ორგანოებთან მუდმივი კავშირი/ადვოკატირება, დაინტერესებული ეროვნული სასწავლო დაწესებულებების და ადვოკატთა ასოციაციების წახალისების მიზნით, შეიტანონ HELP-ის ტრენინგის რესურსები სასწავლო გეგმებში);
- იმ ქვეყნებში, სადაც HELP-ის კურსები გაერთიანებულია ეროვნული სასწავლო დაწესებულებების/ადვოკატთა ასოციაციების კურიკულუმებთან, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების/ადვოკატთა ასოციაციების წახალისება სხვადასხვა საშუალებებით წარმოაჩინონ და პოპულარიზაცია გაუწიონ HELP-ის კურსებს (ვებსაიტი, პროფესიული ტრენინგების გამოფენები, სარეკლამო კამპანიების რეგისტრაცია);
- წახალისების ფორმების შემუშავება ეროვნული სასწავლო დაწესებულებებისთვის/ადვოკატთა ასოციაციებისთვის, რომლებიც შეიტანენ HELP-ის კურსებს თავის პროგრამაში (მაგ., HELP-ის/ევროპის კავშირის ხარისხის ნიშნის შექმნა და გადაცემა, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს მათ ვებგვერდებზე და საინფორმაციო ბარათებზე, თუ მათი ტრენინგის სასწავლო გეგმა მოიცავს HELP-ის მასალებს)

გარდა ამისა, უფრო ფართო გაგებით, პროგრამა HELP-ს იურისტები განიხილავენ, როგორც იურისტების ტრენინგის რესურსს ადამიანის უფლებათა შესახებ. არსებობს დაწესებულებების ფართო სპექტრი, რომლებიც სთავაზობენ იურისტებს (ადამიანის უფლებათა) სამართლის შესახებ ტრენინგებს ან ტრენინგების დაფინანსებას (იხილეთ ქვემოთ).

(ადამიანის უფლებათა შესახებ) იურისტების ტრენინგების გარე მიმწოდებლები
მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ასეთი დაწესებულება უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას ზოგად სამართლებრივ საკითხებზე, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას არ ამახვილებენ ადამიანის უფლებებზე. საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც გვთავაზობენ ტრენინგებს ადამიანის უფლებებზე, აღნიშნული ტრენინგები უფრო ინსტიტუციონალიზებულია, ვიდრე პროგრამა HELP-ი.

უპირატესობები

- სანდოობა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან მჭიდრო კავშირით და ევროპის კავშირის მაღალი ზნეობით;
- ინდივიდუალური მიდგომა: კურსი მორგებულია თითოეულ ქვეყანაზე და მოიცავს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ყველაზე ხშირად ჩადენილ დარღვევებს და მიმდინარე ამოცანებს; სასტარტო შეხვედრის შემდეგ ტრენინგის მონაწილეთა საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობა; ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის დაკავშირების შესაძლებლობა;
- ონლაინ ტრენინგი წარმოადგენს ტრენინგის თანამედროვე ფორმას, რომელიც ყველგანაა ხელმისაწვდომი და მორგებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ პირისპირ ტრენინგებზე დასწრებას;
- უფრო მეტად სპეციალიზებული ადამიანთა უფლებებზე, და არა მის სწავლებაზე რომელიმე პროგრამის ნაწილის სახით;
- ტრენინგის ჩატარება პროკურორებისათვის, რომლებსაც აქვთ ტრენინგზე სხვა სახით დასწრების ნაკლები შესაძლებლობა;
- არაკომერციულია და უფასოდ ხელმისაწვდომი;
- პან-ევროპული ქსელი, რომელიც გვთავაზობს მაღალ ხელმისაწვდომობას და გავრცელების პოტენციალს, რომელიც ფართოვდება საკოორდინაციო/საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით;
- ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი სერტიფიცირებული ტრენერების მიერ;
- მონაწილე დაწესებულებები თავისუფალი არიან მომაბეზრებელი ადმინისტრაციული პროცედურებისგან;
- მულტიპლიკატორის ეფექტი ცალკეული იურისტების ნაცვლად ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებებთან და ადვოკატთა ასოციაციებთან მუშაობით;
- ევროპის კავშირის ტრენინგის კურსების მონაწილეების მეტი უსაფრთხოება, იმ ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კურსის მონაწილეებთან შედარებით, სადაც რთული სიტუაციაა ადამიანის უფლებების თვალსაზრისით;
- პროგრამის ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც მდგრადობის და არსებული კურსების დროდადრო განახლების საშუალებას იძლევა (და არა ერთჯერადი პროექტი)
- სამი სამიზნე ჯგუფის, მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების გაერთიანება;

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

2. HELP-ის პლატფორმის გამოყენების უპირატესობები

თქვენი, როგორც სასწავლო დაწესებულების პასუხისმგებლობას წარმოადგენს ადამიანის უფლებების წინა პლანზე წამოწევა იურისტების განათლების პროგრამის ფარგლებში, იქნება ეს საბაზისო თუ უწყვეტი ტრენინგი. HELP-ი წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ამარტივებს და ხელმისაწვდომს ხდის ონლაინ რესურსების გამოყენებას, ხოლო იურისტებისათვის ამარტივებს მათთვის საჭირო რესურსების მოძიებას სწრაფად და ყველა ფორმატის მხარდაჭერით, პორტატული მოწყობილობების ჩათვლით.

> ინფორმაციის იოლი ხელმისაწვდომობა

HELP-ის ელექტრონული სწავლების პლატფორმა შესაძლებელია იოლად შეივსოს ტრენინგის მასალებით თითოეული ქვეყნიდან ყველა ენაზე. პლატფორმის გამოიყენება 47 წევრი სახელმწიფოდან რესურსების თავმოყრის და მათი სხვა ქვეყნის იურისტებისათვის გაზიარების მიზნით.

ფორუმის გამოყენება შესაძლებელია იურისტებისთვის, დისკუსიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაზიარებისათვის.

3. HELP-ის სერტიფიცირება

HELP-ი გასცემს სხვადასხვა სახის სერტიფიკატებს, რათა უზრუნველყოს იურისტებისათვის ჩატარებული ტრენინგების მაღალი ხარისხი. მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ კრედიტები კურსებზე, რომლებსაც გადიან პროგრამა HELP-ის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტრენინგის ინტერნალიზაციას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

ა) HELP-ის სერტიფიცირებული ტრენერები

HELP-ის ტრენერების სერტიფიცირება უზრუნველყოფს ადგილობრივი ტრენერების მიერ HELP-ის მეთოდოლოგიის ფლობას, და ასევე უზრუნველყოფს HELP-ის რესურსების ეფექტურ გამოყენებას. HELP-ის სერტიფიცირებული ტრენერები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

- გადიან სამდღიან ტრენინგს სტრასბურგში;
- მაღალ დონეზე ფლობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს (HELP-ის ადამიანის ევროპული სასამართლოს შესავალი კურსი);
- ასრულებენ დავალებას მეთოდოლოგიის ცოდნის გამოსავლენად და HELP-ის ინსტრუმენტებისა და რესურსების გამოსაყენებლად;

ბ) HELP-ის კურსების სერტიფიკატები

HELP-ის დისტანციური სწავლების კურსები უტარდებათ მონაწილეთა შერჩეულ ჯგუფს, აღნიშნული კურსს ხელმძღვანელობს ტრენერი, რომელიც სერტიფიცირებულია HELP-ის პროგრამის მიერ (HELP-ის სერტიფიცირებული ტრენერების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია საიტზე).37 კურსის ბოლოს, შეფასება საშუალებას აძლევს კურსის ხელმძღვანელს განსაზღვროს კურსის რომელ მონაწილეებს უნდა გადაეცეთ სერტიფიკატები. აღნიშნული შეიძლება ეფუძნებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
- კურსზე რეგულარული დასწრება
- დისკუსიაში მონაწილეობა
- თითოეული მოდულის დავალებების წარმატებით შესრულება
- საბოლოო შეფასების წარმატებით გავლა

სერტიფიკატის მონაწილისათვის გადაცემის განსაზღვრა ტრენერის და ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების პრეროგატივაა.

HELP-ის სერტიფიკატები მონაწილეთათვის გამოიცემა HELP-ის და ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების მიერ ერთობლივად. ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების მოთხოვნის შემთხვევაში, HELP-ს შეუძლია განსაზღვროს ტრენინგისათვის სწავლებისათვის საჭირო მინიმალური საათების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა აკრედიტაციას. კრედიტების მინიჭება ადგილობრივი სასწავლო დაწესებულების პრეროგატივას წარმოადგენს.

გ) HELP-ის კატეგორიის მინიჭება

HELP -ის ერთ-ერთი მიზანია ადამიანის უფლებების შესახებ ტრენინგის საბაზისო და უწყვეტ განათლებაში ინტეგრაცია. ზოგიერთმა სასწავლო დაწესებულებებმა შეიძლება გამოთქვან საკუთარი ტრენინგის შემუშავების სურვილი და მიიღონ HELP-ის „ხარისხის სერტიფიკატი“, რომელიც დადასტურებული იქნება ევროპის კავშირის მიერ. ეს ძალიან მომგებიანია სასწავლო დაწესებულებებისათვის. მისი მიღება შესაძლებელია კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში რომლებიც დადგინდება HELP -ის ქსელთან ერთად:

37 http://helpcoe.org/content/training-trainers

წარმატების ისტორია:
ეფექტურობა: პროგრამა HELP-ი ეფექტურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიმუშავებს დისტანციურ სასწავლო კურსებს, რომელსაც უძღვებიან კვალიფიციური სასწავლო კურსის ხელმძღვანელები. ამის უდავო მტკიცებულებაა HELP-ის ტრენინგებზე მომზადებულმა იურისტებმა მიიღეს შესაბამისი ცოდნა იმ იურიდიულ საკითხებზე, რომელსაც მოიცავდა მათი ტრენინგი. დამოუკიდებელი სწავლისთვის გამიზნულ კურსებს აქვთ იურისტების დიდ რაოდენობაზე წვდომის პოტენციალი.

4. HELP-ის ხუთი მთავარი ძლიერი მხარე

HELP-ის პროგრამის ზემოხსენებული ძლიერი მხარეები უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული იურისტის ცოდნის გაღრმავებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართულებით, და წარმოადგენს ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებებისთვის მარტივ გზას შეიმუშაონ და მოახდინონ იურისტთათვის განკუთვნილი ტრენინგების ინტეგრაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სფეროში.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მიიღეთ მონაწილეობა ჩვენს ინიციატივაში და შემოუერთდით ჩვენს ქსელს!

რესურსები და დანართები[38]

დანართი 1: რესურსების კატალოგი
დანართი 2: გრაფიკული სცენარის ნიმუშები
დანართი 3: ტრენერთა ტრენინგის სკრიპტი

ევროპის საბჭო
საპილოტე დისტანციური სწავლების კურსის სასტარტო შეხვედრა თემაზე

[კურსის დასახელება]

დღის წესრიგი
[მდებარეობა] [თარიღი]

[მისამართი]
ორგანიზებული
ადამიანის უფლებათა სფეროში იურისტებისათვის შექმნილი

ევროპული საგანმანათლებლო პროგრამის მიერ
[პარტნიორ ადგილობრივ სასწავლო დაწესებულებასთან ან ადვოკატთა ასოციაციასთან]

თანამშრომლობით

38 დანართების ნახვა შეგიძლიათ თანდართულ usb ფლეშ მეხსიერებაზე

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დანართი 4: ნიმუშები: დღის წესრიგი

9.30 – 09.45
მონაწილეთა მოსვლა და რეგისტრაცია
09.45 – 10.15
მისასალმებელი სიტყვა
[HELP-ის ტრენერის სახელი], HELP-ის ტრენერი
[ადგილობრივი დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი]
10.15 – 10.45
HELP-ის პროგრამის შესავალი: ქსელი, მიზნები, აქტივობები და მეთოდოლოგია.
[სამდივნოს წევრის სახელი]; HELP-ის ქვედანაყოფი, ადამიანის უფლებების პოლიტიკის და თანამშრომლობის დეპარტამენტი, ადამიანის უფლებათა დირექტორატი, ევროპის საბჭო
10.45 – 11.45
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და სხვა პრეცედენტული სამართლის საძიებო ინსტრუმენტები
[მომხსენებლის სახელი], იურისტი, პრეცედენტული სამართლის ინფორმაციისა და პუბლიკაციების განყოფილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
11.45 – 12.00
შესვენება
12.00 – 12.30
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა თემაზე [თემის სათაური]
[მომხსენებლის სახელი], იურისტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
12.30 - 13.15
კურსის [კურსის დასახელება] ძირითადი პრინციპების მიმოხილვა
[საკოორდინაციო ან საინფორმაციო ცენტრის სახელწოდება], HELP-ის საკოორდინაციო/საინფორმაციო ცენტრი [ქვეყნის დასახელება]-ში
13.15 – 14.15
სადილი
14.15 – 15.15
ღია დისკუსია კურსის მონაწილეთა მოლოდინებსა და საჭიროებებთან დაკავშირებით; HELP პლატფორმის მხარდაჭერა.
დასკვნითი სიტყვა

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დანართი 5: დისტანციური სწავლების კურსის ხელმძღვანელის ანგარიში
[თარიღი, ადგილი]
ანგარიში [კურსის სახელწოდება, კურსის ხელმძღვანელი]

სასწავლო გეგმის მოდელის მონაწილეთა საჭიროებებზე მორგება
ტრენინგის მასალების შედგენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღსრულების და გამოყენების შესახებ □ უფლებათა ევროპული კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებასთან დაკავშირებული სიახლეები/ ინფორმაცია

ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება
• ტრენინგის მონაწილეებთან დაკავშირება კურსის შემუშავებისას მათი სპეციალური საჭიროებების შესაბამისობაში მოსაყვანად და შესაბამისი აქტივობების მოსამზადებლად; • შესაძლებლობების ფარგლებში ყოფილ მონაწილეებთან დაკავშირება მათი ახლადშეძენილი ცოდნის მიღების და მათი პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე ტრენინგის ზეგავლენის შეფასების მიზნით. • ევროპის საბჭოსთვის მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება კურსის შემუშავებასთან დაკავშირებით; • სემინარის შემდგომი გამოკვლევის ატვირთვა Moodle პლატფორმაზე მონაწილეთაგან უკუკავშირის მიღების მიზნით; • ევროპის საბჭოსთვის კურსის თვისობრივი ანალიზის მომზადება; • ევროპის საბჭოს ინფორმირება მონაწილეთაგან მიღებული კურსთან დაკავშირებული არაოფიციალური უკუკავშირის შესახებ.

HELP-ის სასწავლო პლატფორმა
• კურსზე მონაწილეების მიღება HELP-ის ვებგვერდის მეშვეობით • მონაწილეებთან დაკავშირება ყველა საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით და კურსის ვადების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით; • HELP-ის ვებგვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტის და ტრენინგის მასალის ატვირთვა ელექტრონული სასწავლო კურსის განმავლობაში; • მონაწილეთათვის სიახლეების და ინფორმაციის გამოქვეყნება; • ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თემატიკის, საკითხების და გზავნილების გამოქვეყნება HELP-ის ვებგვერდის ფორუმზე, რომელიც კურსის მონაწილეთათვისაა განკუთვნილი და რომელიც ხელს შეუწყობს მათ შორის დისკუსიას და კომუნიკაციას: მინიმუმ ერთი ახალი დისკუსია უნდა გამოქვეყნდეს ორ კვირაში ერთხელ. ონლაინ ფორუმზე დასმულ კითხვებზე დროული პასუხის უზრუნველყოფა, ხშირად დასმული კითხვების დაფიქსირება

კურსის განხორციელება და შედეგები
• დისკუსიების ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება საჭიროების შემთხვევაში, სასტარტო სემინარის განმავლობაში; • კურსის წარმატების შეფასება და პრობლემების გამოვლენა • შედეგების გაუმჯობესების გზების განსაზღვრა

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დანართი 6: HELP-ის შეფასების კითხვარი
დისტანციური სასწავლო კურსის შემაჯამებელი კითხვარი
კითხვარის მიზნები:
კურსის შინაარსსა და კურსის ხელმძღვანელის როლთან დაკავშირებული შეფასების მიღება
მომავალი დისტანციური სასწავლო კურსის ხარისხის გაუმჯობესება
I. პროფესია
o პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე
o სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე
o უზენაესი სასამართლოს/საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე
o პროკურორი
o ადვოკატი
o სხვა

II. როგორია კურსის საერთო შეფასება?
- შესანიშნავი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- საკმარისი
- სუსტი

III. გთხოვთ შეაფასეთ:

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნეიტრალური	არ ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები
1. განხილული თემები ჩემთვის მნიშვნელოვანია და სასარგებლო იქნება ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში.					
2. კურსმა გააუმჯობესა ჩემი პრაქტიკული ცოდნა თუ როგორ გამოვიყენო კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა შესახებ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.					
3. ტრენერი მეკონტაქტებოდა და კურსში მონაწილეობის სტიმულს მაძლევდა.					
4. კურსის ხელმძღვანელი საკმაოდ კომპეტენტური იყო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით.					
5. ტრენინგისთვის გამოყოფილი დრო საკმარისი იყო.					
6. იურიდიული თარგმანის ხარისხი შესაბამისი იყო.					
7. დისტანციური სწავლებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტები ადეკვატური და ინტერაქტიული იყო.					
8. შემთხვევის ანალიზი მორგებული იყო ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე.					
9. ვისურვებდი HELP-ის კიდევ ერთი დისტანციური სასწავლო კურსის გავლას ან/და ვურჩევდი მას კოლეგას					

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

IV. მოხარული ვიქნებით, თუ დაგვიტოვებთ გამოხმაურებას და კომენტარებს ზოგადად კურსთან დაკავშირებით. გთხოვთ, დაამატოთ თქვენი კომენტარი კურსის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით.

_____

_____

_____

_____

_____

_____

მადლობას გიხდით, რომ დაუთმეთ დრო ჩვენი კითხვარის შევსებას.
„დისტანციური სასწავლო კურსის კითხვარის დასასრული“, კურსის და თარიღის ველები და ფორმულირება „კითხვარის მიზნები“.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

წინამდებარე სახელმძღვანელო HELP-ის ადამიანის უფლებათა ეროვნულ დონეზე განხორციელების განყოფილების, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მიერ შემუშავდა. მისი მიზანია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში იურისტებისათვის ტრენინგის მიმწოდებელი ორგანიზაციების დახმარება HELP-ის ინსტრუმენტებისა და რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად და სათანადოდ გამოყენებაში. იურისტები ამ მხრივ წინა ხაზზე იმყოფებიან და შედეგად ადამიანის უფლებათა სფეროში მათი ტრენინგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ადამიანების ეფექტური და ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფისთვის. სახელმძღვანელო მიმოიხილავს, თუ სხვადასხვა ეტაპებზე, როგორ შეიძლება ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგმა ეფექტურად შეიტანოს წვლილი ეროვნულ დონეზეადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უკეთესად განხორციელებაში.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE